# კვირის პალიტრა

№ 5 (417) ◆ 3 – 9 თებერვალი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## გაეროს წინ ასობით ქართველმა



## „შავლეგო“ დაასძუსძუნა...

შეუძლებელი იყო გულგრილად გეცქირა ხევსურულ სამოსში გამოწყობილი ქართველი ბიჭებისთვის, რომლებსაც მამაპაპური ხმალ-ხანჯლის ნაცვლად ცარიელი ქარქაშები ეკიდათ და ინგლისურენოვანი ტრანსპარანტები ეჭირათ...

„ჩვენ, ამერიკელები, სადაც გვინდა, შევალთ და თქვენც შეგიყვანთ...“ გვ.3

საკუთარი კორესპონდენტი ამერიკიდან გვატყობინებს

## ყმის პოზიცია ქართველებისთვის მიუღებელია

გვ.7



2005 წელს შესაძლოა ყველაზე მაღალი რეიტინგი იმ ადამიანს ჰქონდეს, რომელიც დღეს საერთოდ არ ჩანს პოლიტიკურ არენაზე. იმას კი, რომელიც დღეს პოპულარულია, იმ დროისთვის არავითარი შანსი აღარ ჰქონდეს. ეს პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა.

პრეზიდენტობაზე ფიქრი კი არა, ვისაც რა შეგვიძლია, ის გავაკეთოთ ქვეყნისთვის

### როგორ შეიძლება მზად არასოდეს ვიყოთ?

## სამეგრელოს მთავრებს თავიანთი სააგარაკო სასახლე რომ ენახათ, საფლავში გადაბრუნდებოდნენ...

გვ.6



სასახლის ცენტრალური ნაწილი, რომელიც იტალიიდან ჩამოტანილი ვარდისფერი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, ახლა აღარ არსებობს. ვინ მიიტაცა და სად წაიღეს, ღმერთმა იცის.



## „მოიკითხეთ თქვენი ბელადები და შეაფურთხეთ“

გვ.11, 27

როგორ იყიდეს აფხაზებმა ქართველების საიტი ინტერნეტში

## სამხედრო თემაზე: თავს არ მოიკლავს ქართველი...

რჩევა ავტომატთან „თამაშის“ დაწყების წინ



გვ.5



## ხურცილავას 3-4 წელში შინ გაშვებას შეჰპირდნენ?!

„რა აზრი აქვს ჩემს მონაწილეობას ამ სპექტაკლში?“

## რუსული ფული აჭარაში...

„ასლან აბაშიძე იძულებულია თავდაცვის ნებისმიერი საშუალება მოძებნოს“..

ძალიან კარგია, თუ რუსები აჭარაში დააბანდებენ ინვესტიციებს... ჩექმა რომელი მოგხვდება რა მნიშვნელობა აქვს? გვ.7

## „ქართული ხმები“ აღარ მღერის...



გვ.20

ვერსია

## შენდობას ფულით ვერ იყიდი, ის უნდა გიბოძონ...

— ეს იარაღი, შვილებო, ლავრენტი ბერიამ მაშინ მომცა, როცა სტალინი სოხუმში ისვენებდა. ათი კაცი ვიცავდით მას, ენკავედეს თანამშრომლები. ათივეს ასეთი იარაღი დაგვირიგეს და როცა ბელადი უკან გავისტუმრეთ, სახსოვრად დაგვიტოვეს. ახლა ეს რომ წაიღოთ, ჩათვალეთ, რომ წარსული წამართვით და უწარსულოდ რაღად ვეღირები ამ ხნის კაცი. გვ.10

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## კიევის სამიტი ტრადიციული შედეგებით დასრულდა

მიუხედავად საქართველოში ატეხილი დიდი აურზაურისა, კიევის არაფორმალური სამიტი ტრადიციული შედეგებით დასრულდა. შევარდნაძისგან პუტინისთვის მაგიდაზე მუშტების ბრახუნს არც არავინ ელოდა. რუსეთის პრეზიდენტმა უწყინარ შეკითხვაზე გულმართალი კაცის სახით გვიპასუხა — მოქალაქეობაზე უარს ვერავის ვეტყვით, რკინიგზის აღდგენა კი კორუფციასთან ბრძოლის საუკეთესო ხერხიაო. მეტიც, მან ქართულ მხარეს რკინიგზის სომხეთამდე გაგრძელება შესთავაზა.

## უშიშროების საბჭომ კვლავ უნიათო რეზოლუცია მიიღო

ერაყის პრობლემის გამო აფხაზეთის საკითხი გაეროს უშიშროების საბჭოსთვის მეორეხარისხოვანი აღმოჩნდა. აფხაზეთში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული რეზოლუცია ნიუ-იორკში დებატების გარეშე მიიღეს. მას რამდენიმე ახალი პუნქტი დაემატა, თუმცა ქართული მხარე მათ შინაარსს არ აკონკრეტებს. რეზოლუცია ივლისში მიღებული რეკომენდაციების მსგავსია. გაერო მსოფლიოს მოუწოდებს განიხილონ ბოდენის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ცენტრსა და აფხაზეთს შორის უფლებამოსილება უნდა გაიმიჯნოს, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში. რეზოლუცია უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი ყველა ქვეყნის წარმომადგენელს გაეგზავნა.

## ქართველები აპროტესტებენ...

აფხაზეთის პრობლემატიკისადმი გაეროს ყურადღების მიპყრობა ამერიკაში მცხოვრებმა ქართველებმა საპროტესტო აქციით სცადეს. ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინასთან მოწყობილ მიტინგში მონაწილეობა ქართული დიასპორის თითქმის ყველა წარმომადგენელმა მიიღო. ქართველები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინასთან სახელმწიფო და ხუთჯვრიანი დროშებით მივიდნენ (იხ. გვ. 3).

## საქართველოს სასამართლოს ჩეჩნები არ ემეტება...

უზენაესმა სასამართლომ სამ ჩეჩენს წინასწარი პატიმრობის ვადა ერთი თვით გადაუწია. რუსლან გელოგაევს, ჰუსეინ ალხანოვს და რუსტამ ელიხაჯიევს გამოძიების დასრულებამდე უზენაესმა სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების პერიოდი გაუგრძელა. გელოგაევი, ალხანოვი და ელიხაჯიევი იმ 13 ჩეჩენს შორის იყვნენ, რომლებიც ქართველმა მესაზღვრეებმა გასული წლის 4 აგვისტოს გირევის საგუშაგოზე დააკავეს.

## ცხელ გულზე მოწყობილი პრესკონფერენცია

„რუსეთი საქართველოს ისტორიული რეგიონის, აფხაზეთის ანექსიას ახორციელებს“, — ასეთი განცხადება გააკეთა გაეროს შტაბბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე გაეროში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა რევაზ ადამიამ. მისი თქმით, აფხაზი სეპარატისტები მოსკოვიდან უმძლავრეს სამხედრო და პოლიტიკურ მხარდაჭერას იღებენ. პრესკონფერენციაზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუდაუთაში არალეგალური სამხედრო ბაზაა ორგანიზებული, რესპუბლიკის მოსახლეობაზე კი რუსული პასპორტების გაცემა გრძელდება. რევაზ ადამიას თქმით, რუსი ბიზნესმენები აქტიურად ყიდულობენ რეგიონის მიწებსა და ბუნებრივ რესურსებს. საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროს უშიშროების საბჭოს რუსეთის ქმედებებზე არასათანადო რეაგირება დასდო ბრალად. ადამიამ გაეროს მოუწოდა, თავის თავზე აიღოს აფხაზეთში პროცესების მართვა და ვითარების მოგვარება.

## ზვიადისტებს ადგილის შეცვლას ურჩევენ...

პარლამენტის წინ მორიგი ყოველდღიური მიტინგის ჩასატარებლად მისულ მანანა არჩვაძის მომხრეებს პოლიციის კორდონი დახვდა. სამართალდამცველებს პარლამენტის მთავარ კიბესთან მისასვლელი საიმედოდ ჰქონდათ ჩაკეტილი. ცოცხალი კედელი პარლამენტის წინ პოლიციამ დაახლოებით დღის პირველი საათისთვის აღმართა. მოგვიანებით მისულ მომიტინგეებს კი მაღალჩინოსნები ახსნა-განმარტებას აძლევდნენ. არჩვაძის თანამოაზრეებს საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოხატვა ამისთვის საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში: იპოდრომზე, ვაკის პარკში ან რიყეზე ურჩიეს. რამდენიმე დღის წინ მომიტინგეებმა ქაშუეთის ეკლესიის წინ მეცხრე არხის ჟურნალისტები სცემეს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და ვიდეოკამერა დაუმტვრიეს.

## თბილისის სკოლებს დამოუკიდებლობა მიენიჭა

საკრებულოს დადგენილებით, დედაქალაქის სკოლებს მუნიციპალური სტატუსი მიენიჭათ. ამიერიდან საშუალო სკოლები განათლების სამინისტროზე დამოკიდებულნი აღარ იქნებიან. სკოლებში თვითმმართველობის ორგანოები შეიქმნება, რომელშიც პედაგოგებთან ერთად მშობლებიც გაწევრდებიან. ყველა მნიშვნელოვან საკითხს, მათ შორის სკოლის დირექტორის დანიშვნასაც, აღნიშნული საბჭო გადაწყვეტს.

## გაუფრთხილებლობამ ჯარისკაცი იმსხვერპლა

შინაგანი ჯარების მუხროვანის სპეცდანიშნულების ბრიგადის ჯარისკაცის, ჯონი არჩვაძის ცხედარი ბატალიონის საგუშაგოზე გასვლიდან 15 წუთის შემდეგ, საღამოს იპოვეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის მიზეზი თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა გახდა. წინასწარი ვერსიით, უბედური შემთხვევა გაუფრთხილებელმა მოპყრობამ გამოიწვია — ჯარისკაცს ავტომატი გაუვარდა. ჯონი არჩვაძე ორ კვირაში სამხედრო სავალდებულო სამსახურს ამთავრებდა (იხ. გვ. 9).

## ვყიდე, ვყიდე, ვერ გავყიდე...

...ამ გამოცანას საკმაოდ იოლი პასუხი აქვს — „თბილგაზი“. თბილისის გაზმომარაგების სამსახურის პრივატიზების საკითხებზე მერიაში მორიგი დახურული თათბირი გაიმართა, რომელზეც საწარმოს გასხვისებასთან დაკავშირებით მორიგი ტენდერის გამოცხადება გადაწყდა. ქონების მართვის სამინისტრო ერთი თვის მანძილზე „თბილგაზის“ შესყიდვის მსურველი კომპანიების განაცხადებს მიიღებს. 1997 წლიდან ეს უკვე რიგით მეშვიდე ტენდერია, რომელიც „თბილგაზის“ პრივატიზების მიზნით გამოცხადდა. წინასწარი მონაცემებით, ობიექტის შესყიდვის სურვილი ოთხ ქართულ ჯგუფს ექნება.

## საქართველომ პროცესი მოიგო

ისედაც რთულ ეკონომიკურ ვითარებაში თბილისის მთავრობას ჯარიმის სახით შესაძლოა 26 მილიონი დოლარის გადახდა დაკისრებოდა. საქართველომ ვაშინგტონში „საერთაშორისო საინვესტიციო დავების მოგვარების ცენტრში“ გამართულ პროცესზე ორი ამერიკული და ერთი კვიპროსული ფირმისაგან შემდგარი კონსორციუმი დაამარცხა. თავის დროზე იგი უცხოელმა ინვესტორებმა ჟინვალის ჰიდროკომპლექსის 25-წლიანი იჯარით აღების მიზნით დააარსეს. ქართულმა მხარემ კაბალური საკონტრაქტო პირობების გამო უცხოელებს თანამშრომლობაზე უარი უთხრა.

„ჟინვალის განვითარების ჯგუფის“ სახელით ცნობილმა ამერიკულ-კვიპროსულმა კონსორციუმმა არბიტრაჟში სარჩელი 1999 წელს შეიტანა. იგი მორალური და ფინანსური ზარალის საკომპენსაციოდ 26 მილიონ დოლარს ითხოვდა. საკითხის სამწლიანი შესწავლის შემდეგ ვაშინგტონის არბიტრაჟმა ინვესტორთა პრეტენზიები უსაფუძვლოდ ცნო.

## ჩეჩნები გაეროს უჩივიან

პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩენი დევნილები გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს უნდობლობას უცხადებენ, რადგან კომისარიატის საქართველოს ოფისი მათ ყურადღებას არ აქცევს. მეტიც, ჩეჩენ ლტოლვილთა კომიტეტი ამტკიცებს, რომ ჰუმანიტარული დახმარების განაწილება დარღვევებით მიმდინარეობს, გაეროს წარმომადგენლები კი ამაზე არ რეაგირებენ. კომიტეტის წევრების თქმით, ამ პროცესების გასაკონტროლებლად ჟენევიდან გაეროს სპეციალური კომისია უნდა ჩამოვიდეს. ამავე კომისიას ჩეჩნები მესამე ქვეყნებში მათი გადასახლების უზრუნველყოფას სთხოვენ. დევნილთა მტკიცებით, პანკისის ხეობაში უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობს.

## მორიგი კატასტროფა თუ მორიგი ტერაქტი?

ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედების მოახლოებასთან ერთად, ბოლო დროს საეჭვოდ გახშირდა ნავთობსა და ენერგომატარებლებთან დაკავშირებული კატასტროფები. სამტრედიის მახლობლად მდებარე სოფელ ვაზისუბნის ხიდიდან სარკინიგზო შემადგენლობა გადავარდა. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, სარკინიგზო ხიდიდან შემადგენლობის გადავარდნამდე ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. თუმცა უშიშროების ექსპერტები ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე ტერაქტის ვერსიას საეჭვოდ მიიჩნევენ. ასეთ დროს კატასტროფის მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა უნდა იყოს, მაგრამ შემთხვევის ადგილზე გასული რკინიგზის დეპარტამენტის შეფი და „ხიდმშენის“ უფროსი როგორც შემადგენლობის, ისე ხიდის გაუმართაობას გამორიცხავენ. აზერბაიჯანიდან მომავალ სატვირთო მატარებელს ბათუმის პორტისკენ გადაუმუშავებელი ნავთობით დატვირთული 33 ცისტერნა გადაჰქონდა. დაღვრილია 120 ტონა ნავთობი. ცეცხლმოკიდებული გადაუმუშავებელი ნავთობი ხევისწყლიდან მთელი ღამის განმავლობაში მდინარე რიონის შესართავამდე მიედინებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა კი ახლომახლო სოფლებიდან გაიხიზნა. ამჟამად ხანძარი ლოკალიზებულია, მიმდინარეობს სამუშაოები სარკინიგზო მოძრაობის აღსადგენად. უშიშროებისა და შსს-ის სპეციალურმა სამსახურებმა გამოძიება დაიწყეს.

## ვითომ შსს-ს მეტი მანქანა არ ჰყავს?

ყოველ შემთხვევაში, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ჯემალ გოგიტიძემ საკმაოდ მწვავე განცხადება გააკეთა. როგორც აღმოჩნდა, ფრაქცია „აღორძინების“ ლიდერს თეთრი ფერის „ჟიგული“ აჰკიდებია და მოსვენებას არ აძლევს. ცოტა ხნის წინ მსგავსი განცხადება ნათელაშვილმა და რჩეულიშვილმაც გააკეთეს. საგულისხმოა, რომ სხვა შემთხვევებშიც რატომღაც თეთრი ფერის „ჟიგული“ ფიგურირებდა. გოგიტიძის თქმით, მას შსს-ს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი და დაზვერვის დეპარტამენტის შეფი, ავთანდილ იოსელიანი შეთანხმებულად უთვალთვალებენ, ბრძანება კი საქართველოს პრეზიდენტისგან მოდის.

## წესრიგი კარგია, მაგრამ ამდენ ხალხს ვინ შეინახავს?

დედაქალაქში ტროტუარებზე ვაჭრობა უკვე არაერთგზის აიკრძალა, მაგრამ რეალურად პრობლემა კვლავაც გადაუჭრელია, რადგან დედაქალაქის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავს გარევაჭრობით ინახავს. ამჯერად ფარდულების აღება ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიასა და ხოშარაულის ქუჩაზე თბილისის საგზაო პოლიციამ სცადა, მაგრამ გარემოვაჭრეთა მხრივ სასტიკ წინააღმდეგობას გადააწყდა.

## ირიბარენი ალბათ თავბედს იწყევლის...

თითქოს ნათელაშვილის გადაკიდება არ ჰყოფნიდა, ამერიკული ენერგოკომპანიის შეფს ფინანსთა სამინისტრომაც დაუწყო კირკიტი. კანცელარიაში „ეი-ი-ეს თელასის“ ანგარიშების დაყადაღების საკითხი ორჯერ შეიცვალა. საქართველოს მთავრობამ ამერიკული კომპანია ჯერ დასაჯა, შემდეგ კი გადაწყვეტილება შეცვალა. როგორც ჩანს, ირიბარენმა მთელი თავისი მოთმინება და არტისტიზმი მოიკრიბა, რის შემდეგაც გიორგი ისაკაძის კაბინეტში მასთან მოლაპარაკებაზე მყოფმა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ და ენერგეტიკის მინისტრმა მთელი სიცხადით გააცნობიერეს „ეი-ი-ეს თელასის“ საშინელი მდგომარეობა და ფინანსთა სამინისტრო „ეი-ი-ეს თელასისთვის“ ყადაღის მოხსნას დათანხმდა. ირიბარენის განცხადებით, „ეი-ი-ეს თელასმა“ საგადასახადო ვალდებულებების შესრულება ბოლო დროს ლეიბორისტების მიერ მათ წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანიის გამო ვერ შეძლო, რადგან მოსახლეობა უარს ამბობს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდაზე. მოგვიანებით გიორგი ისაკაძემ „ეი-ი-ეს თელასი“ მსხვილ გადამხდელთა სიაში მოიხსენია და განაცხადა, რომ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ორივე მხარე დათმობაზე წავიდა — ამერიკულ კომპანიას ამ ეტაპზე ერთ მილიონს აპატიებენ და ხუთის ნაცვლად, ბიუჯეტში ოთხ მილიონ ლარს გადაიხდის.

## ნათელაშვილი „ეი-ი-ეს თელასს“ არ ეშვება...

„ეი-ი-ეს თელასის“ სათავო ოფისის წინ ლეიბორისტული პარტიის ინიციატივით საპროტესტო აქცია გაიმართა. ხუთასამდე მომიტინგემ „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ განხორციელებული სადამსჯელო სანქციები დაგმო. ლეიბორისტები მოსახლეობისთვის დენის გათიშვას უკანონოდ მიიჩნევენ. მათი განცხადებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მოსახლეობამ ახალი ტარიფის დადგენამდე ელექტროენერგიის საფასური არ უნდა გადაიხადოს. სხვათა შორის, ლეიბორისტებს აღნიშნული „ისტორიული“ გადაწყვეტილების სიუჟეტზე შექმნილი კლიპი შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ. შალვა ნათელაშვილის მიერ გაკეთებული რეკლამის არაკანონიერების დასადასტურებლად „ეი-ი-ეს თელასმა“ ანტიმონოპოლიურ სამსახურს მიმართა. ეს უკანასკნელი კი გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოს წერილობითი განმარტების შემდეგ მიიღებს. თუ ნათელაშვილს კანონდარღვევა დაუმტკიცდა, ჯარიმის სახით არასათანადო რეკლამის შვიდმაგი ღირებულების გადახდა მოუწევს. მანამდე კი სასამართლო დუელი ლეიბორისტების სასარგებლოდ მიმდინარეობს — დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ ნათელაშვილისთვის დენის ჩაჭრა უკანონოდ ცნო და ამერიკულ ენერგოკომპანიას მისი დაუყოვნებლივ ჩართვა დაავალა.

## როგორ მოვიქცეთ საგანგებო ვითარებაში...

თუ სასტუმრო „მარიოტში“ ჩატარებული კონფერენცია ჩვეულებრივი, გეგმურ-რუტინული პროექტის ნაწილი არ არის, რუსეთისა და ამერიკის „სიყვარულობანას“ გადამკიდე საქართველოს, როგორც ჩანს, წინ დიდი განსაცდელი ელის. სასტუმრო „მარიოტში“ სამი დღის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო სიტუაციების ფედერალური მართვის სააგენტო საქართველოს თავდაცვის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს საკუთარ გამოცდილებას უზიარებდა. ლაპარაკია საგანგებო სიტუაციის დროს მოქმედების სპეციფიკაზე — შემთხვევის მართვა, დახმარების ოპერაცია მასობრივი მსხვერპლის შემთხვევაში და მოქმედება მიწისძვრისას. პარალელურად, ამერიკელი ინსტრუქტორები ქართული სამსახურების შესაძლებლობებს გაეცვნენ. ამერიკელები ქართველ კოლეგებს ტექნიკური ბაზის განახლებაშიც დაეხმარებიან. გარდა ამისა, პრაქტიკული მეცადინეობის მიზნით ქართველი მაშველები სტაჟირებას ამერიკის შეერთებულ შტატებში გაივლიან.

## მოსკოვი ერთ ხელს შევარდნაძეს ართმევს, მეორეთი კი...

...მეორე ხელით კრემლი „აჭარის ლომს“ ეფერება. მაშინ, როდესაც პრეზიდენტი შევარდნაძე ვლადიმირ პუტინს აფხაზეთის პრობლემებსა და რუსეთის მხრიდან მის ეკონომიკურ ექსპანსიაზე ესაუბრებოდა, ბათუმს მოსკოვის მერი ლუჟკოვი ეწვია, რომელსაც თან რუსეთის დედაქალაქის მთელი მთავრობა ახლდა. რუსული დელეგაციის მიზანი რუსეთის ბათუმთან მჭიდრო ეკონომიკური კავშირების დამყარება იყო. ასლან აბაშიძემ საპატიო სტუმარს ძაღლსაშენი და თხების იშვიათი ჯიშების ფერმა დაათვალიერებინა, რის შემდეგაც აჭარის ეკონომიკის სტაბილურობაში დარწმუნებულმა ლუჟკოვმა ბათუმთან საინვესტიციო ხელშეკრულება გააფორმა. მისი მიხედვით, აჭარაში კულტურული და ეკონომიკური აღორძინება უნდა დაიწყოს. რუსმა მოხელეებმა ბათუმს ზღვისპირა ზოლის ევროპეიზაცია, გზებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების განახლება და ახალი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა აღუთქვეს (იხ. გვ. 7).

## ქართველ ძიუდოისტთა წარმატება

თბილისის სპორტის სასახლეში დასრულდა ტრადიციული 30-ე საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელიც „ა“ კატეგორიის ტურნირებს მიეკუთვნება და საკმაოდ პრესტიჟულადაც ითვლება. წლეულს თბილისში 12 ქვეყნის სპორტსმენებმა იჭიდავეს.

ბრწყინვალედ იასპარეზეს ქართველმა ძიუდოისტებმა. 60 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ნესტორ ხერგიანმა ლაშა სარდანაშვილს აჯობა. 66 კგ წონაშიც ქართული ფინალი გაიმართა — დავით მარგოშვილმა მინდია ხომიზური დაჯაბნა, 73 კგ წონით კატეგორიაში კი დავით ბოდაველმა სუფთად მოუგო იაპონელ ისიკავა იოშიჰოს.

90 კგ წონაში ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური გახდა, ხოლო მძიმე წონაში ზვიად ხანჯალიაშვილმა აჯობა ყველას.

## სტატიის კვალდაკვალ...

20-26 იანვრის „კვირის პალიტრის“ ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტ მარინა მამისაშვილის სტატია „ნარჩემაშვილმა კახა თარგამაძეს დაფარული დანაშაულობები ამოუქექა“. მასში მოცემულია ინტერვიუ შს პრესცენტრის ხელმძღვანელთან, პაატა გომელაურთან, სადაც რესპონდენტის მიერ ერთ-ერთ ფაქტად მოყვანილია 2001 წლის 7 ივნისს არასრულწლოვანი გოგონას გატაცება ფულის გამოძალვის მიზნით. აღნიშნულის გამო, „კვირის პალიტრას“ დაუკავშირდა გოგონას მამა ავთანდილ ზარდიაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი ქალიშვილი არა ფულის გამოძალვის, არამედ ცოლად მოყვანის მიზნით გაიტაცეს. და რაც მთავარია: საქმე აღიძრა არა ერთი წლის შემდეგ, როგორც ეს შს პრესცენტრის განცხადებაშია აღნიშნული, არამედ იმავე დღესვე, აცხადებს ზარდიაშვილი.

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა შს პრესცენტრის ხელმძღვანელს, პაატა გომელაურს, რომელიც დაგვპირდა, რომ ზემომოყვანილ ფაქტზე დეტალურ ინფორმაციას მოგვაწვდის მიმდინარე კვირას და შსს-ის პოზიციასაც დააფიქსირებს.

## მეორე ფრონტის საშიშროება




როგორც ჩანს, ესკალაციის შემთხვევაში სპარსეთის ყურეში ომი არც ისე სწრაფად დასრულდება, როგორც ამას დიდი ბრიტანეთი და აშშ იმედოვნებენ. მით უმეტეს, რომ ერაყში ომის სამზადისთან ერთად გააქტიურდნენ ავღანელი თალიბებიც. ავღანეთში უკვე რამდენიმე დღეა, რაც სასტიკი შეტაკებები მიმდინარეობს. ამერიკელი სამხედროები და სამთავრობო ძალები თალიბებს ებრძვიან. შეერთებული შტატები ამ ინფორმაციის გავრცელებისაგან თავს იკავებდა. ამერიკული კონტინგენტის სარდლის, როჯერ კინგის მიერ მოგვიანებით გაკეთებული განცხადების თანახმად, ამერიკელი ჯარისკაცები ბოევიკთა საკმაოდ დიდ დაჯგუფებას გადააწყდნენ. ავღანეთის პრეზიდენტის ჰამიდ ყარზაის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეტაკებებს უკვე 80 ამერიკელი სამხედრო ემსხვერპლა. თალიბები პაკისტანის საზღვართან არიან დისლოცირებულნი.

## კოსმოსური ხომალდი აფეთქდა

მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდი „კოლუმბია“ კოსმოდრომზე დაშვებამდე რამდენიმე წუთით ადრე აფეთქდა. ხომალდში ამ დროს შვიდი ასტრონავტი იმყოფებოდა. NASA-ს სპეციალისტების განცხადებით, ჯერჯერობით კატასტროფის მიზეზები უცნობია. ბოლო წუთამდე სიტუაცია კონტროლს ექვემდებარებოდა, მაგრამ მოულოდნელად ხომალდთან კავშირი გაწყდა.

# გაეროს წინ ასობით ქართველმა „შავლეგო“ დააგუგუნა...

ზურაბ მჭედლიშვილი
საკ. კორ. ამერიკიდან



„ჩვენ, ამერიკელები, სადაც გვინდა, შევალთ და თქვენც შეგიყვანთ...“

შეუძლებელი იყო, გულგრილად გეცქირა ხევსურულ სამოსში გამოწყობილი ქართველი ბიჭებისთვის, რომლებსაც მამაპაპური ხმალ-ხანჯლის ნაცვლად, ცარიელი ქარქაშები ეკიდათ და ინგლისურენოვანი ტრანსპარანტები ეჭირათ... დააგუგუნეს „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „შავლეგო“, აქციაზე სიტყვით გამოსულებმა დაგმეს რუსეთის აგრესიული პოლიტიკა და გაეროს სიტყვიდან საქმეზე გადასვლა მოუწოდეს, წაიკითხეს გაეროს უშიშროების საბჭოსა და გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს ლიდერთადმი მთელ მსოფლიოში მცხოვრებ ქართველთა მიმართვის ტექსტი, რომელზეც ხელმოწერების შეგროვება იქვე დაიწყო. ეს აქცია ყველა ქვეყანაში გაგრძელდება.



ჩვენდა სამარცხვინოდ, იმას, რასაც არ აკეთებდნენ ქართველები, შესანიშნავად ახერხებდნენ აფხაზი სეპარატისტები და მათი ჩრდილოელი პატრონები. ომის დროს და შემდგომაც, მათ არაერთი აქცია გამართეს აქ რამდენიმე წლის წინ კი მთავარ დამნაშავე არძინბას, სანამ მას ალცჰაიმერის დაავადება მოეცელავდა, გაეროს კარიც გაუღეს და პრესკონფერენციაც ჩაატარებინეს, რასაც ოფიციალური თბილისის უბადრუკი პროტესტიღა მოჰყვა...



ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ამ პროცესს დიდი ხნის წინ უნდა ჩაჰყროდა საფუძველი და პერმანენტულ მასობრივ მოძრაობაში გადაზრდილიყო. საუბედუროდ, არც აფხაზეთის ომისას, არც აფხაზეთის დაკარგვისა და ქართველთა მრავალწლიანი გენოციდის გამო არავის შეუწუხებია თავი, რომ მსგავსი აქცია გაეროს შტაბბინასთან ან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ევროპული სტრუქტურების „ციტადელებთან“ გაემართათ და ამით მაინც მიეპყროთ მსოფლიო თანამეგობრობის ყურადღება აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიისადმი, რუსეთის აგრესიისა და გათავხედებული სეპარატისტების დანაშაულობებისადმი. შედეგად რაც მივიღეთ, ცნობილია: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, სხვა საერთაშორისო ფორუმებსა და სამიტებზე მიღებული დეკლარაციები 10 წელიწადია ფარატინა ქაღალდებად რჩება მხოლოდ. შარშან, 31 ივლისს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ 28-ე რეზოლუციაში მართალია, როგორც იქნა, დაფიქსირდა გაეროს მკაცრი პოზიცია სოხუმის რეჟიმისადმი და კატეგორიული მოთხოვნაც, რათა სეპარატისტებს მოლაპარაკების საფუძვლად უპირობოდ მიეღოთ ე.წ. დიტერ ბოდენის დოკუმენტი თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ. მაგრამ კონფლიქტის მოგვარების პროცესი კვლავაც ადგილიდანაც არ დაძრულა. 30 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭომ მორიგი რეზოლუცია მიიღო აფხაზეთის შესახებ და როგორც გაეროელი ექსპერტები ირწმუნებიან, მასში ახალი და პოზიტიური პუნქტებია ჩადებული, თუმცა, რა თქმა უნდა, არც ამჟამად სჯერა ვინმეს, რომ ის მაინც დააჩქარებს აფხაზეთის დაბრუნების პროცესს...

31 იანვრის ცივ და წვიმიან დღეს ნიუ-იორკში, გაეროს შტაბბინასთან საპროტესტო აქციით მისული ასობით ქართველის ხმამ შეაღწია ამ უპირველესი საერთაშორისო ორგანიზაციის კედლებში, რაც უდავოდ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ერთ-ერთ წინა პუბლიკაციაში აშშ-ში არსებულ ე.წ. სათვისტომოზე მქონდა საუბარი, რომელიც არავინ იცის რას აკეთებს, ან ვის ინტერესებს ემსახურება, ამიტომ ცოტა უცნაურად მოგვწვდა „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციისა და საქართველოს ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, რომ აღნიშნული აქციის ორგანიზატორი აშშ-ში არსებული ქართული სათვისტომოაო. არადა, მისი გამართვის თაოსანი ამერიკაში მცხოვრები მხატვარი-მოქანდაკე, ქალბატონი ელისო წიკლაურია. მისი ძალისხმევით მოხერხდა აქციის ორგანიზება და ნიუ-იორკში მცხოვრებმა ქართველობამაც (და არა ე.წ. სათვისტომოს ბომონდმა), უმალ აიტაცა ეს ინიციატივა. ე.წ. სათვისტომო კი არც კი დაინტერესებულა ამ საქმით და ეს მაშინ, როცა სხვა შტატებიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ ქართველები, მათ შორის, ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორი დოდონა კიზირია და თავის დროზე ცნობილი მუსიკოსი, შემდეგ ლუკა ბეთანელის ფსევდონიმით ცნობილი „ამერიკის ხმის“ თანამშრომელი მიშა ფოფხაძე, რომელიც რამდენიმე დღის წინ ვაშინგტონში მამა მიქაელის სახელით მღვდლად აკურთხეს! ჩვენდა სამარცხვინოდ, იმას, რასაც არ აკეთებდნენ ქართველები, შესანიშნავად ახერხებდნენ აფხაზი სეპარატისტები და მათი ჩრდილოელი პატრონები. ომის დროს და შემდგომაც, მათ არაერთი აქცია გამართეს აქ, რამდენიმე წლის წინ კი მთავარ დამნაშავე არძინბას, სანამ მას ალცჰაიმერის დაავადება მოცელავდა, გაეროს კარიც გაუღეს და პრესკონფერენციაც ჩაატარებინეს, რასაც ოფიციალური თბილისის უბადრუკი პროტესტიღა მოჰყვა... მოკლედ, მიუხედავად სამუშაო დღისა (აქ სამსახურის გაცდენა და, შესაბამისად, ანაზღაურების დაკარგვა არ არის იოლი საქმე), 300-ზე მეტი ქართველი მიადგა გაეროს შტაბბინას ტრანსპარანტებით, ქართული სიმღერებითა და დროშებით. შეუძლებელი იყო, გულგრილად გეცქირა ხევსურულ სამოსში გამოწყობილი ქართველი ბიჭებისთვის, რომლებსაც მამაპაპური ხმალ-ხანჯლის ნაცვლად, ცარიელი ქარქაშები ეკიდათ და ინგლისურენოვანი ტრანსპარანტები ეჭირათ... დააგუგუნეს „ჩემო კარგო ქვეყანავ“, „შავლეგო“, აქციაზე სიტყვით გამოსულებმა დაგმეს რუსეთის აგრესიული პოლიტიკა და გაეროს სიტყვიდან საქმეზე გადასვლა მოუწოდეს, წაიკითხეს გაეროს უშიშროების საბჭოსა და გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს ლიდერთადმი მთელ მსოფლიოში მცხოვრებ ქართველთა მიმართვის ტექსტი, რომელზეც ხელმოწერების შეგროვება იქვე დაიწყო. ეს აქცია ყველა ქვეყანაში გაგრძელდება.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბევრი გამვლელი ამერიკელი დაინტერესდა, თუ ვინ ვიყავით იქ შეკრებილნი. აქციის აქტივისტებმა სათანადო ინფორმაციაც მიაწოდეს მათ. ალბათ ზოგს გაეცინება და იტყვის, — მერე ამით რაო, მაგრამ ზემოთქმულისა არ იყოს, გასულ წლებშიც რომ გამართულიყო ასეთი და უფრო მასობრივი აქციები, იქნებ დღეს გაცილებით უკეთ ყოფილიყო აფხაზეთის დაბრუნების საქმე, რუსეთის ანტიქართულ გამოხდომებსაც დასმოდა წერტილი და საქართველოს ხელისუფლებასაც გაეტარებინა პრინციპული პოლიტიკა. სამწუხაროდ, დღესაც, გაეროში და აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში ჩვენთვის სანუგეშოს არაფერს ამბობენ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე — ამისთვის არ სცალიათ, აქტუალურ პრობლემად არ მიაჩნიათ. ეს, უწინარესად, საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ და შემდეგ ალბათ მსოფლიოში და კერძოდ, ერაყის გამო შექმნილ ვითარებას. აკი ახლახან კიდევ ერთხელ გაისმა კიდეც, რუსეთი ამერიკას ერაყის სანაცვლოდ საქართველოს „თავს“ სთხოვსო, ხოლო აშშ-ის მეორე ნომერმა დიპლომატმა რიჩარდ არმიტეჯმა პირდაპირ განაცხადა, „ამერიკა არ გააკრიტიკებს რუსეთს, თუ ის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ტერორისტებს დაბომბავს“. ეს განცხადება ამერიკის ანალიტიკურ წრეებში ერთგვარ სენსაციადაც კი მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ექსპერტი დარწმუნებულია — ვაშინგტონის მიერ მოსკოვისათვის მიცემული ეს კარტ-ბლანში საქართველოს დაბომბვისა, დაგვიანებული რევერანსია და ბუშის ადმინისტრაცია იმავეს ელის პუტინისგან, ოღონდ ერაყთან დაკავშირებით (ადგილობრივი პრესა და მიმომხილველები თითქმის დაბეჯითებით აცხადებენ, რუსეთი აღარ დაბომბავს საქართველოს, რადგან საქართველო-რუსეთის ურთიერთობები დასტაბილურდაო, თუმცა კონკრეტულად რა ინფორმაცია აძლევთ ამის თქმის საფუძველს, არაფერს ამბობენ)... შარშან ბატონმა მელორ სტურუამ ჩემთან ინტერვიუში განაცხადა, რუსეთიც და ამერიკაც ძალიან ცინიკურად ეპყრობიან საქართველოსო... ეს მართალი ყოფილა და ყველაზე მძაფრად ამას სწორედ აქ შეიგრძნობ. უბედურება ის არის, რომ ამ ცინიზმის საფუძველს და უფლებას რუსეთსაც და ამერიკასაც ხან ჩრდილოეთისკენ, ხან — ოკეანის გამოღმა მომზირალი საქართველოს კორუმპირებული ხელისუფლება აძლევს.

ახლა ორიოდ სიტყვით ერაყის შესახებ: ბოლო დროს იქმნებოდა შთაბეჭდილება — როგორც კი გაეროს ინსპექტორები სადამ ჰუსეინის ხელთ არსებული მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ მოპოვებულ დოკუმენტებს წარუდგენდნენ უშიშროების საბჭოს, ვაშინგტონი დაუყოვნებლივ დაიწყებდა ომს ერაყთან. ორშაბათს გამართულ უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე კი გაეროს მთავარმა ინსპექტორმა ჰანს ბლიქსმა არათუ რაიმე ახალი მამხილებელი მასალები წარმოადგინა, არამედ ლამის მადლობაც კი გადაუხადა სადამ ჰუსეინს ინსპექტორებთან „პატიოსანი თანამშრომლობისთვის“ და მხოლოდ რბილად გააკრიტიკა ბაღდადელი დიქტატორი იმის გამო, რომ ინსპექტორებს დღემდე არ გაუმხილა, თუ სად წავიდა ერაყის შეიარაღებაში არსებული ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის არაერთი სახეობა. ბლიქსის გამოსვლამ ისე გაალიზიანა ვაშინგტონი, რომ ერაყში გაეროს ინსპექტორთა მისიას ფარსი უწოდა, კონგრესში გამოსვლისას კი პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა, მიმდინარე კვირას გაეროში მივავლენ კოლინ პაუელს, რომელიც უტყუარ მასალებს წარუდგენს უშიშროების საბჭოს ჰუსეინის მიერ გადამალული აღნიშნული იარაღის შესახებო. ამჯერად კი ბლიქსის გამოსვლამ ის მოიტანა, რომ ერაყში ომის მოწინააღმდეგეებმა მოითხოვეს და მიაღწიეს კიდეც, რამდენიმე კვირით გაეროს ინსპექტორთა მისიის გაგრძელებას და არც ვაშინგტონი შეწინააღმდეგებია ამ გადაწყვეტილებას; თუმცა აშკარად მიანიშნა ყველას, უკვე ლაპარაკიც ზედმეტია ერაყში ინსპექციის თვეობით გაგრძელებაზე და სადამ ჰუსეინს ნებაყოფლობითი განიარაღებისათვის სამიოდ კვირაღა რჩებაო!

ერთი საინტერესო მომენტიც არ გამორჩათ მხედველობიდან ამერიკელ ანალიტიკოსებს. კონგრესში ჯორჯ ბუშის ყოველწლიური გამოსვლისას, სენატორი ჰილარი კლინტონი, რომელზეც ირონიულად ამბობენ, ქმრისგან მემკვიდრეობით გამოჰყვა პოლიტიკური ალღოო, აშშ-ის შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის წევრთა უკან იჯდა და სხვებთან ერთად ტაშისკვრით უმალ ფეხზე დგებოდა, როცა პრეზიდენტს ოვაციას უმართავდნენ! პოლიტიკურ ნიუანსებში კარგად ჩახედულებმა სენატორ კლინტონის ამ საქციელში დაინახეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი არგუმენტი იმისა, რომ ერაყთან ფართომასშტაბიანი ომი გარდაუვალია. ჰილარი აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი იქნება დემოკრატიული პარტიიდან 2004 წლის თუ არა, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მაინც და ამთავითვე უსპობს რესპუბლიკელებს საბაბს, რათა შემდეგ არ წამოაძახონ — როგორ ეწინააღმდეგებოდა ის აშშ-ის მეორე ძლევამოსილ კამპანიას სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ!

და კვლავ აფხაზეთი. უშიშროების საბჭოს რეზოლუციისა და გაეროსთან გამართული აქციის მნიშვნელობის შესახებ ჩემთან საუბარში გაეროში საქართველოს წარმომადგენელმა რევაზ ადამიამ განაცხადა: „ამჟამინდელ დოკუმენტში პრაქტიკულად განმეორებულია ივლისის რეზოლუციაში დაფიქსირებული ელემენტები და სწორად ასახავს მდგომარეობას, რომ აფხაზები ბოდენის დოკუმენტის არათუ წაკითხვას, არამედ ხელში აღებასაც არ აპირებენ. შესაბამისად, ამის გამო რეზოლუციაში სერიოზული შეშფოთებაა გამოთქმული. ჩვენ შევეცადეთ, ბოდენის დოკუმენტისადმი უშიშროების საბჭოს ოფიციალური მხარდაჭერა ჩაწერილიყო რეზოლუციაში, მაგრამ რუსმა კოლეგებმა ასეთი ფრაზის ჩაწერა არ მოისურვეს და ამიტომაც ის ვერ მოხვდა დოკუმენტში... საქართველოს წარმომადგენლობამ წერილობით დააფიქსირა მკვეთრი პოზიცია, რომელიც უშიშროების საბჭოსა და გაეროს ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენელს გადაეცა. მასში კერძოდ ნათქვამია: რასაც რუსეთი ახორციელებს, ეს არის ანექსია; უკმაყოფილებაა გამოთქმული გაეროს მიმართ, რომელიც დამკვირვებლის როლშია და რეალურად არაფერს აკეთებს, შესაბამისად, მას არ შეიძლება დაერქვას გაეროს სამშვიდობო პროცესი... ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია აქ გამართული აქცია. აღმოჩნდა, რომ ამერიკაში არიან ქართველები, რომელთაც აქვთ მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია, შეუძლიათ საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე სიტყვის თქმა და ნების გამოხატვა“.

დაბოლოს: ქართველები რისი ქართველები ვართ, რაიმე „ორიგინალური“ რომ არ გავაკეთოთ? აქციის დასასრულს მისმა მონაწილეებმა უშუალოდ გაეროში შესასვლელის წინ მდებარე ქუჩის ტროტუარზე გადაწყვიტეს გავლა, რაც აკრძალულია. ბუნებრივია, უმალ გაჩნდა პოლიცია, რომელმაც უაღრესად თავაზიანად მოუწოდა მათ, ან კვლავ სკვერს დაბრუნებოდნენ, ან პარალელური ქუჩით განეგრძოთ მსვლელობა თუნდაც ოკეანემდე. პოლიცია ამის უფლებას გაძლევთო! ერთმა ქართველმა მიუგო: „ოკეანესთან რა ჯანდაბა გვინდა, სოხუმში შეგვიყვანეთო!“ სიმპათიურმა პოლიციელმა, რომელმაც ალბათ პირველად გაიგო სოხუმის სახელი, ღიმილით და მრავალმნიშვნელოვნად გვითხრა, — ჩვენ, ამერიკელები, სადაც კი მოვინდომებთ, ყველგან შევალთ და თქვენც შეგიყვანთო...


ეკატერინე ლორთქიფანიძე (მარცხნივ) და შუშანა ავალიანი

— მობრძანდი, შვილო, — ღიმილით მეგებება ყავარჯნიანი ქალბატონი... მაღალ ქუსლებზე შემდგარა, ერთიანად დაღარვია სახე ნაოჭებით, თვალებში კი ახალგაზრდული სხივი უკიაფებს...

— ამხელა ქუსლებზე როგორ დადის? — ვეკითხები მის რძალს, ქალბატონ ბელას...

— მიჩვეული ვარო — ამბობს... მართლაც, უქუსლო ფლოსტები რომ ჩავაცვათ, ვერ გაივლის... მთელი სიცოცხლე „ფრანცუზკებში" გაატარა.

— ბებია ეკატერინე, რომელ წელს დაიბადეთ? — ვეკითხები მოხუცს...

პირის მოძრაობით ხვდება, რომ რაღაცას ვეუბნები, თვალებს რძლისკენ აპარებს — რა უნდაო...

— იქნებ ცოტა ხმამაღლა უთხრათ, არ ესმის... — კითხვას ხმამაღლა ვიმეორებ...

— ცხრაას პირველში, ნენა, მალე 102 წლის გავხდები...

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ...

— ეგ არ მითხრა, შვილო... დიდხანს ვიცოცხლე, მალე უნდა წავიდე, თქვენც რომ მოგასვენოთ და მეც დავმშვიდდე... ას ერთი წელი ხუმრობა ხომ არ გგონია.

— სად დაიბადეთ? — ისევ ხმას ვუწევ...

— წყალტუბოში... — პატარა ბავშვივით მიამიტი გამოხედვა აქვს.

— ძველი დრო ჯობდა თუ ახლანდელი გირჩევნიათ?

— ნიკოლოზის დროზე მეუბნებით ხომ?

— დიახ...

— არა უშავდა... ჩვენ, ლორთქიფანიძეებს, უზარმაზარი სახლი გვქონდა, გოგო-ბიჭები გვემსახურებოდნენ. საქონელიც ბევრი გვყავდა... ხშირად ფეშქაშებიც მოგვდიოდა... ჩემი ბაბუა — დიმიტრი ლორთქიფანიძე კნიაზი იყო — იმ მხარის ბატონი.

— ალბათ ძიძაც გყავდათ...

— კი, ირინე ერქვა საწყალს, ძალიან მიყვარდა.

— რამხელა სახლი გქონდათ?

— ხუთი თვალი იყო, მისაღები ცალკე იდგა.

— ხომ არ ჩაგრავდით მოსამსახურეებს?

— არა, მეგობრებივით იყვნენ...

— სად მიიღეთ განათლება?

— უმეტესად შინ მოდიოდნენ — „დედა ენას" მასწავლიდნენ და სხვა რამეებსაც, მერე მე ჩემს „გოგო-ბიჭებს" ვუკითხავდი.

— ბატონყმობა რომ გადავარდა, როგორ წარიმართა თქვენი ოჯახის ცხოვრება?

— თითქმის ყველაფერი ჩამოგვართვეს: საქონელი, ფრინველი, სახლები...

— რამის გადამალვა მაინც თუ მოასწარით?

— კი, მოვასწარით — მეუბნება და ეშმაკურად ელიმება, — მერე ქუთაისში გადავედით საცხოვრებლად... დიდ სახლზე მიჩვეულებს ცოტა გვიჭირდა... ხშირად მახსენდებოდა ჩვენი უზარმაზარი ბალკონი, ბაბუა რომ გადმოდგებოდა მიმინოთი ხელზე — ძალიან უყვარდა მიმინოთი ნადირობა...

— სად გაიცანით მომავალი მეუღლე?

— ქუთაისში... მერე გადმოვედით თბილისში — მგონი, 1924 წელს...

— რა ერქვა თქვენს მეუღლეს?

— პოლიკარპე ჭეიშვილი...

— თავადის ქალი ჭეიშვილს როგორ გაჰყევით?

— შემიყვარდა, დედა... მერე მენშევიკები და ბოლშევიკები მოვიდნენ...

— და თქვენს თავადურ წარმომავლობას მალავდით, არა?

— ჩვენს წრეში ვამაყობდით ამით, უცხოებთან კი ვმალავდით, მაინც გვეშინოდა...

— რამდენ მთავრობას მოესწარით?

— ოჰ, ვინ იცის...

— ომში თუ იყო თქვენი მეუღლე?

— სანამ დავქორწინდებოდით, პირველ მსოფლიო ომში იყო...

— ტელევიზორი მაშინ არ გქონდათ და რადიო, რითი ერთობოდით ხოლმე?

— დოლი, დაირა, საღამოს შევიკრიბებოდით და იყო ერთი ცეკვა-თამაში. ხანდახან მეც გავშლიდი ხოლმე ხელს...

— ჩაცმულობაც სხვანაირი იყო...

— გრძელი კაბები გვეცვა, ზოგჯერ ოქროს ძაფებით მოქარგული...

— თავზე ალბათ ჩიხტიკოპი გეხურათ...

— არა, ჩიხტიკოპი არ მქონია, მე უფრო ევროპულად ვიცვამდი... შლაპები მეხურა ხოლმე...

— ფერ-უმარილსაც ისვამდით?

— ფერ-უმარილი არ მჭირდებოდა, ისეთი სახის კანი მქონდა — გადატკეცილი, ვარდისფერი.

— როგორ გგონიათ, რა არის თქვენი დიდი ხნის სიცოცხლის საიდუმლო...

— განსაკუთრებული არაფერი მიკეთებია, შვილო, თავისთავად მოხდა... მთელი სიცოცხლე შრომაში გავატარე, თავი არასდროს დამიზოგავს...

— დღევანდელი ახალგაზრდები თითქმის შიშვლები დადიან... გალიზიანებთ თანამედროვე ჩაცმულობა?

— არა დედა, შენ წარმოიდგინე, მომწონს...

— თურმე შვილიშვილს სკოლაში უცნაურად გამოწყობილი აკითხავდით...

— ვუალით, თეთრი ხელთათმანებითა და თეთრი ქოლგით... გადმოვდიოდი მანქანიდან, შევდიოდი სკოლაში, ის კი იმალებოდა — ასე ნუ გაცვია, ნუ მარცხვენო, რა იცოდა იმან თავადური ჩაცმულობა... რაგბიზე დადიოდა, იქაც მე დამყავდა... სახლში კი ერთად ვვარჯიშობდით — ბურთს გადმომიგდებდა — დაიჭირეო, მერე კი „ზახვატს" მიკეთებდა... ძალიან მიყვარს რაგბი... მარა მეშინოდა, ჩემს შვილიშვილს არაფერი დაშავებოდა იმ ზედახორაში...

— ძველი ნივთებიდან ისეთი რამე თუ შემოგრჩათ, რაც მშობლიურ სახლს გაგახსენებთ?

— არა... ბევრი ძვირფასი ნივთი მქონდა... ყველაფერი თანდათან დავკარგე... ბოლო „ბრასლეტი" კინოში დავკარგე — მახსოვს „ჭრიჭინა" გადიოდა... მიყვარდა კინოში სიარული... ლამაზად გამოვეწყობოდი ხოლმე... ალბათ გამძვრა ხელიდან — ოქროსი იყო, მარგალიტებით და ბრილიანტებით მორთული... რატომ გაიკეთეო — მისაყვედურეს, აბა, სახლში დასადებად ხომ არ მექნებოდა სამკაული?

— ბებია ეკატერინე, სურათი რომ გადაგიღოთ შეიძლება?

— არავითარ შემთხვევაში... ასეთი სახით როგორ უნდა გადავიღო სურათი?! ძველები ხომ მაქვს, ის წაიღე, დედა...

ქალბატონ ბელას ალბომი შემოაქვს... ძველი ფოტოებიდან ულამაზესი ქალბატონი შემოგვცქერის.

— ეს ვინ არის?

— ჩემი ბიძაშვილია — შუშანა ავალიანი... იცი, რა ლამაზი იყო?.. ეგ სურათი მიგაქვს, დედა?.. ის არ ჯობია, დეკოლტე რომ მაცვია?

— მირჩევს მორიდებით...

ვემშვიდობები... ყავარჯნის დახმარებით დგება და ღიმილით მიმაცილებს...

— ხომ არ დამიკარგავ სურათს, დედა, ძალიან მიყვარს...

— არა-მეთქი — ვპირდები...

— ეჰ, კაი დრო იყო — სევდიანად დაჰყურებს გაყვითლებულ ფოტოებს... ქალბატონი ეკატერინე მალე 102 წლის გახდება...

***ეკა მახარაშვილი***

## — ნამცეცი გალაკტიონი და გრიშაშვილი აღარ უზით გულში...

იმ დღეს ზამთრისთვის უჩვეულოდ მზიანი და თბილი ამინდი იდგა. ყოფილი პლეხანოვიდან ფეხით გამოვყევი გზას, ალექსანდრეს ბაღით რუსთაველზე ასვლას ვაპირებდი. საღამოვდებოდა. როგორც ყოველთვის, ვორონცოვის ხიდზე მტკვარმა მომტაცა მზერა. ელიას მთიდან სამების გოლიათი ტაძრის მადლი მოდიოდა, იდგა თბილისი მტკვართან ერთად გაზაფხულის მოლოდინში გაყურსული და ის-ის იყო, ხიდზე შეყოვნებული ფიქრში ჩავიძირე, რომ უცებ ვიღაცამ კალთაზე მომქაჩა. დავიხედე. ასე 3-4 წლის პატარა ხორცშესხმული ანგელოზი იდგა ბაბუასთან ერთად და იღიმებოდნენ. „ბაბუას მძიმეს აწევა არ შეუძლია, გულის ოპერაცია აქვს გაკეთებული. მტკვარში გადამახედე რა" — შემომჭიკჭიკა პატარამ. აბა, უარს როგორ ვეტყოდი, ავიტაცე ხელში და ჩახუტებული მოაჯირზე დავასკუპე. „ბაბუა, კენჭები სად არის, მოიტა," — ითხოვა ციცქნამ და მოხუცმა ჯიბიდან კენჭებით სავსე პარკი ამოიღო, გამეცინა. „გინდა მტკვრისა და შეყვარებული გოგო-ბიჭის ზღაპარი გიამბო?" — მკითხა პატარამ. მინდა-მეთქი, ვუთხარი და იმანაც მიამბო, როგორ უყვარდათ შეყვარებულებს ერთმანეთი, როგორ უშლიდნენ მშობლები ხელს და როგორ გადაწყვიტეს მტკვარში დახრჩობა, ბოლოს კი ჩიტებად იქცნენ და ცაში გაფრინდნენ. მერე ისიც მიამბო, რა ამბები დაატრიალა თბილისში ერთმა ბოროტმა ხანმა, აღა-მაჰმადი რომ ერქვა, როგორ შეღება მტკვარი ათასობით დახოცილი ქრისტიანის სისხლმა. ეჰ, რამდენი რამ ვიცი მტკვარზე, მაგრამ ყველაფერს მე ვერ გიამბობ. ზოგი წიგნებშიც წაიკითხე. თუ კითხვა არ იცი, მაშინ ბაბუას სთხოვე და გიამბობსო — „დამამადლა" ინფორმაციის მოწოდება „ანგელოზმა". მოაჯირს დაყრდნობილი ბაბუა კი ამ დროს გვისმენდა და ისევ იღიმებოდა. როგორც ჩანს, მართლა ბევრი იცით მტკვარზე და თბილისზე. გვიამბეთ, მოგისმენთ-მეთქი, გავბედე მოხუცის საუბარში გამოწვევა და დიალოგიც შედგა.

— რა გიამბოთ. 80 წელს გადაცილებული კაცი ვარ — ძველი თბილისის ნოსტალგიით დაავადებული. გული მტკივა, მტკვარს რომ ვუყურებ: რამდენ შხამსა და ბოლმას ინახავს ეს საწყალი, რას უძლებს. მტკვარში დაჭერილი თევზით ქეიფს არაფერი სჯობდა წინათ. ახლა კი კანალიზაციის ჭად ქცეული მდინარის თევზს კაცი კი არა ღორი არ შეჭამს. აი, ამას ვასწავლი, რომ გაიზრდება, ვის და რას ებრძოლოს. ლუკა, მტკვარში ნაგავს რომ გადაყრის, იმ კაცს რა ეკუთვნის?

ლუკა — სასჯელი, დაბინძურებულ მტკვარში უნდა აყურყუმელავო, მერე კი ბოდიში უნდა მოიხადოს სახალხოდ თავისუფლების მოედანზე.

**— გატყობთ, ბაბუა და შვილიშვილი თბილისის წესრიგის დამრღვევთა დასასჯელად ახალი სამართლის კოდექსზე მუშაობთ.**

— მაშ, რა ვქნათ? აღა-მაჰმად ხანის ორდენებს რომ აწესებენ, აბა, ეგ არის სასჯელი? მაგ ორდენებითაც თავი მოაქვთ და გაიძახიან — კაი რეკლამააო. დაჭრეს, დაჩეხეს, შეჭამეს თბილისი. თითები უნდა დააჭრა მაგნე არქიტექტორებს. ვერის ხიდის რეკონსტრუქციის გამო ხეები უნდა დაეჭრათ თურმე, დიდი ხნის წინანდელ ამბავს ვყვები. გალაკტიონს რომ გაუგია, მხატვრისთვის უთხოვია, — ვიდრე მოჭრიდნენ, მდინარის პირას აღმართული ლამაზი ხეები დამიხატეო. ერთი ნამცეცი გალაკტიონი და გრიშაშვილი არ უზით ამ თბილისის ამაოხრებლებს გულში, რომ ჯიგარი დაეწვათ.

**— მალე ალბათ ომი დაიწყება თბილისელებსა და დედაქალაქის თანამედროვე ამაოხრებლებს შორის.**

— ომი არა, ისა. სადღა არიან თბილისელები, მე თბილისელი ბიჭი ვარ — გულზე მჯიღს რომ იკრავენ ასაკოვანი ბიჭები, გული მერევა. მაგათ დაკაცებას არ დაადგა საშველი, ისწავლონ, სიტყვით კი არა, საქმით გამოაჩინონ თბილისელობა. ტელეეკრანზე რომ ვუსმენ მაგნაირებს, ერთი სული მაქვს, ახლოს ვნახო და ვუთხრა, წადი შე ქვეშაფსია-მეთქი.

**— ნავსაყუდელს სად პოულობთ, მტკვრის პირას თუ არის სხვა ადგილები, სადაც ისეთ ქრის ძველი სიო.**

— ძველი სიო? ან ეგ სადღაა, შვილო, სიოს ადგილი უნდა, ხეები, ფოთლები უნდა, ჩახუთულ თბილისში სიო ვეღარ შემოდის. ერთმა სომეხმა მითხრა ლეგენდა: ბაბილონის გოდოლი რომ დაანგრია ღმერთმა, მორწმუნენი თავისთან იხმო თურმე და უთხრა — ვისაც ისევ ერთ ენაზე მეტყველება გსურთ, თქვენთვის გზა თბილისისაკენ გამიხსნიაო, ჰოდა, სანამ ის ხალხი თბილისს მიაღწევდა, მანამ ვახტანგ გორგასალს დაავალა თურმე უფალმა ქალაქის აშენება. იმ დღიდან მოყოლებული მიდიოდა და მიდიოდა ხალხი თბილისში, უფრთხილდებოდნენ სათაყვანებელ ალაგს. ახლა კი... „ლაღიძის წყლები" ჩვენი დროის კაი ბიჭების პოდიუმი იყო, კაცობა, ვაჟკაცობა გამოჰქონდათ საჩვენებლად. ახლა „ლაღიძის წყლების" წინ „ბირჟავიკები" პირიდან ნაგავს ყრიან და გულიდან სიძულვილს, ავკაცობა გამოაქვთ პოდიუმზე. დიდი ტრადიციის მქონე კაფედან კი აჭარული ხაჭაპურის და დიდებული წყლის სურნელის ნაცვლად, გაურკვეველი უსიამო სუნი ამოდის. გული აგერევა კაცს. აი. ისე, ინფარქტის წინ რომ იცის. ამოყრი ყველაფერს და მერე ბახ, გულიც სკდება.



**— შვილიშვილი სად დაგყავთ ხოლმე, ალბათ ცირკში, ზოოპარკში თუ ხალისობთ ერთად, თორემ სულ ასე ნოსტალგიაზე თუ იფიქრეთ, მართლა გასკდება გული.**

— მთელი თბილისი ცირკი არ არის? უამრავი გიჟი დადის ქუჩაში, აი, ერთი ცირკიც პარლამენტის შენობის წინ იმართება ყოველდღიურად. ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტები უცემიათ იქო — ახლობელმა მითხრა. რა გასაკვირია... ნამდვილი ცირკი ბიზნესმენ პატარკაციშვილს უყიდია. ეგეც არის, რა! ქორწინებისა და რიტუალების სასახლე იყიდა. ახლა ცირკს ყიდულობს, ნეტავ რად უნდა, ეგ ერთი რამ დარჩათ ბავშვებს და მაგასაცართმევენ?

**— ბავშვს ასეთ რამეზე ხშირად ესაუბრებით?**

— აბა, რაზე ვესაუბრო? მე და ლუკა ვიყავით სახლში. მეზობლებმა დამიტოვეს 4 წლის თორნიკე ერისთავი. გაზეთს ვკითხულობდი და თან გულისყური ამათკენ მქონდა. თორნიკე ეუბნება ლუკას — შეყვარებული გყავს? მე მყავს, სახლში მივიყვან, კალგოტკას გავხდი და მოვეფერები. მერე ცოლად მოვიყვან, მაგრამ სხვა „ნაშებშიც" ვივლიო. კინაღამ გულმა დამარტყა. ვინ გასწავლა-მეთქი — ვკითხე თორნიკეს, მამამ და ბაბუამო. ვაი, მაგათ პატრონსმეთქი. იმის მერე თორნიკეს უფრო ხშირად ვიტოვებ ჩემთან და კაცურად აზროვნებას ვასწავლი. თორნიკეს ბაბუა ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა და დიდ „განმანათლებელს" მეძახის. დამცინის, გესმის? მეძახოს რა. როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, ლუკაში და თორნიკეში დარჩება ის, რაც მერე სხვებს გაანათლებს და ბოლოს და ბოლოს ეს ქალაქიც განათდება ისევ. აი, ლუკამ იცის, ეს როგორ მოხდება. აბა თქვი, ბაბუ.

ლუკა — ქალაქში შემოვლენ მოჩვენებები, კეთილი მოჩვენებები და ერთ ღამეში ყველაფერს ლამაზად შეღებავენ. დილით ეზოებში აღარ იქნება „გარაჟები", იქნება უამრავი საქანელა და მოედნები ბურთებით აჭრელდება. ბაბუა გამოიხედავს ფანჯრიდან, პირჯვარს გადაისახავს, იტყვის: „სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ!" და ეზოში გაქცევის უფლებას მომცემს.

***ეკა ლომიძე***



# ხურცილავას 3-4 წელში შინ გაშვებას შეჰპირდნენ?!



## „რა აზრი აქვს ჩემს მონაწილეობას ამ სპექტაკლში?..“

გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის განხილვა თბილისის ყველაზე მივარდნილ ადგილზე მდებარე გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში დაიწყო. აქაურობა იმდენად მიუვალია, რომ თბილისში მომრავლებული სამარშრუტო ტაქსებიც კი კანტიკუნტად დადიან, რომ აღარაფერი ვთქვათ ხალხის სიმცირეზე.

მართალია, პროცესი დაზარალებული მხარის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო, მაგრამ გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულის, გრიგოლ ხურცილავას მხიარულმა განწყობილებამ ყველას აშკარად დაანახვა, რომ „მავანის“ მიერ შეკვეთილი სცენარი დღემდე არაჩვეულებრივად მუშაობს.

„გრიცკო“, იგივე გრიგოლ ხურცილავა, სასამართლო პროცესზე საკმაოდ გულმშვიდად გამოიყურებოდა. უფრო მეტიც, დარბაზში მყოფ უამრავ ჟურნალისტს ირონიული მზერა მოავლო და საბრალდებო სკამზე არხეინად დაჯდა.

რაოდენ გულსატკენიც უნდა იყოს, საზოგადოების დიდი ნაწილი დღეს უკვე დარწმუნებულია, რომ სანაია ხურცილავამ ურთიერთშელაპარაკების გამო მოკლა და მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა აქ არაფერ შუაშია. მკვლელობის შემდეგ ამტყდარი აჟიოტაჟი, პანკისური კასეტის თაობაზე, დღეს უკვე ჩრდილშია მოქცეული და საამისოდ გამოძიებას ელენე თევდორაძის დაკითხვის გარდა, არაფერი გაუკეთებია. შესაბამისად, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საბრალდებო დასკვნაში და საერთოდ, ათტომიან საქმეში ამის ირგვლივ რაიმე მინიშნებაც კი არ არის.

გრიგოლ ხურცილავას, დაპატიმრების მეორე დღესვე, ომბუდსმენი ნანა დევდარიანი შეხვდა. ხურცილავამ ერთი შეხედვით, დეტალურად უამბო ყველაფერი: „იმ ღამეს ნასვამი ვიყავი. გიორგი ქუჩაში, „ცირკის“ ტერიტორიაზე შემხვდა. „ფანტას“ ყიდულობდა! ვთხოვე, რომ ჩემთვის ლუდი აეღო. ფხიზელი რომ ვყოფილიყავი, ლუდის ყიდვას ნამდვილად არ ვთხოვდი... მერე მანქანით ერთად წამოვედით(?). მანქანაში ჩაჯდომისას მან პანამა მოიხადა. ვკითხე, — სანაია არა ხარ-მეთქი? მიპასუხა, — არა, მამსგავსებენო. შემდეგ თავისთან დამპატიჟა. მითხრა, მარტო ვარ და ქალები ავიყვანოთო. ბინაში არაყი დავლიე. ქალებთან დარეკვაც დავაპირე. შელაპარაკება მოგვივიდა და ველარ მოვითმინე...“

დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ ხურცილავა ამ ჩვენებას იმით შეცვლის, რომ გასროლა შემთხვევით მოხდა. უფრო ზუსტად კი, მაშინ, როცა უკვე წამოსვლას აპირებდა და მაგიდაზე დადებულ იარაღს ჯიბეში იდებდა, დაზიანებული სასხლეტის გამო ტყვია შემთხვევით გავარდა.

გიორგი სანაიას მეუღლის, ხათუნა ჩხაიძის განცხადებით, ამასთან დაკავშირებით უშიშროების სამინისტრომ იარაღზე ექსპერტიზა დანიშნა და საქმეში დასკვნაც ჩაიდო. დასკვნის თანახმად, იარაღი დაზიანებული აღმოჩნდა და შესაძლებელი იყო, გასროლა თვითნებურად მომხდარიყო.

ეს ყველაფერი კი ნიშნავს იმას, რომ არ არის გამორიცხული, საქმეს გაუფრთხილებლობით მომხდარი დანაშაულის კვალიფიკაცია მიეცეს. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით კი, გაუფრთხილებლობით მომხდარი მკვლელობა 3-4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ასე რომ, როგორც ჩანს, ხურცილავას სამ-ოთხ წელიწადში შინ გაშვებას შეჰპირდნენ და მისი სასამართლოზე არხეინი განწყობილებაც ალბათ ამით უნდა აიხსნას.

თავის დროზე „ეფ-ბი-აი“-ში გაგზავნილ მასალებზე სკანდალური ინფორმაცია ჩამოდის, რასაც, რა თქმა უნდა, გამოძიება არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებს, საქმეს დასრულებულად აცხადებს და სასამართლოში გზავნის; მაგრამ ვფიქრობთ, ეს ამბავი საზოგადოებისთვის ყურადსაღები უნდა იყოს.

ხათუნა ჩხაიძემ „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში თავის დროზე ასეთი რამ დააფიქსირა: „დნმ-ით და მიკრონაწილაკებით თუ ვიმსჯელებთ, ხურცილავას თითის ანაბეჭდი ბინაში ნაპოვნ ლუდის ბოთლზეა აღმოჩენილი. თუმცა უცნაური ის არის, რომ ამავე ბოთლზე დარჩენილი ნერწყვი რომელიღაც სხვა პიროვნების დნმ-ია; იგი არ ეკუთვნის არც ხურცილავას, არც გიოს და არც გელაშვილს, რომელიც ადრე გიორგის მკვლელობასთან დაკავშირებით დააპატიმრეს“.

შესაბამისად, ამერიკელებმა საქართველოს პროკურატურას შესთავაზეს, თუ გამოჩნდა სხვა ეჭვმიტანილი, მოგვაწოდეთ მისი ნიმუშები, რათა ის გაურკვეველი პიროვნების დნმ-ს შევადაროთო.

რა თქმა უნდა, ეს „სხვა ეჭვმიტანილი“ არ გამოჩენილა და ალბათ არც გამოჩნდება.

ზემოთ მოყვანილი ეს ორი დეტალი უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ ის „მავანი“, გიორგი სანაიას მკვლელობის დღიდანვე უზადოდ მუშაობს, ყველაფერი მიდის იქით, რომ მკვლელობას ყოფითი შეფერილობა მიეცეს და ბრალდებული გრიგოლ ხურცილავაც, რაც შეიძლება მსუბუქად დაისაჯოს. ისე კი, საქმეში თავიდანვე გაჩენილი უამრავი კითხვა — რატომ ჩაისვამდა მანქანაში შუაღამისას გიორგი სანაია უცნობ, უგონოდ მთვრალ პიროვნებას, ან რატომ აიყვანდა ასეთ დროს საკუთარ ბინაში? თუ მკვლელობა შელაპარაკების ნიადაგზე, ნერვული აფექტის შედეგად მოხდა, როგორ მოახერხა, მისივე თქმით, უგონოდ მთვრალმა ეჭვმიტანილმა ერთი გასროლით სანაიას მოკვლა? რად დასჭირდა ეჭვმიტანილს აფექტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის შემდეგ გასაღების და ბინიდან წამოღებული ტყვიის მასრის დამალვა, ან, მით უმეტეს, მისი გადაგდება მეგობრის ეზოში და არა, დავუშვათ, მტკვარში? ოთხი თვის გარეთ გდებისთვის მეტისმეტად კარგ მდგომარეობაში რატომ გამოიყურებოდა პოლიციის მიერ ნაპოვნი გასაღები და კიდევ მრავალი კითხვა კვლავ უპასუხოდ რჩება.



სხვათა შორის, ლაპარაკია იმაზეც, რომ საქმის მასალებში ისეთ დეტალებზეა საუბარი, რომელზეც ხურცილავას დაცვისა და დაზარალებულის მხარე არაფერს ამბობს. ისიც კი ითქვა, რომ არ არის გამორიცხული, სასამართლო პროცესი დაიხუროს. რა თქმა უნდა, ისევ გრიგოლ ხურცილავას სასარგებლოდ.

„კვირის პალიტრამ“ ხათუნა ჩხაიძეს რამდენიმე კითხვით მიმართა.

**— ხათუნა, თავის დროზე მკვლელობის მოტივად პანკისური ვიდეოკასეტა დასახელდა. რა არის ამ ვერსიის შესახებ საქმეში ნათქვამი და საერთოდ, გამოიძიეს თუ არა ეს ვერსია?**

— ამ კასეტასთან დაკავშირებით მოწმის სახით ელენე თევდორაძე დაიკითხა. ის ამბობს, რომ 24 ივლისს, საღამოს, გიორგის პარლამენტის შენობაში შეხვდა და გადასცა ვიდეოკასეტა, რომელიც შავ პარკში იყო ჩადებული. ქ-ნი ელენე აღწერს კასეტას — მას ცალი კუთხე მოტეხილი ჰქონდაო. იგი ელენე თევდორაძისთვის ვეფხია მარგოშვილს მიუცია. ქ-ნმა ელენემ იცოდა, რომ კასეტაზე ჩაწერილი იყო საუბარი ხელისუფლებაში მყოფ ნარკობარონებსა და კრიმინალურ კლანებზე.

**— გამოძიებამ ამ ვერსიას რაიმე მნიშვნელობა მიანიჭა?**

— არა. გამოძიებამ ელენე თევდორაძე მხოლოდ ვეფხია მარგოშვილის აფეთქების შემდეგ დაკითხა. ეს კასეტა სად არის დღესდღეობით, არავინ იცის. ვვარაუდობ, რომ თუ ეს კასეტა ჰქონდა გიორგის, იგი წაიღო მკვლელმა, რომელიც შევიდა ბინაში გიორგის შინ მისვლამდე და ჩაუსაფრდა მას.

**— ხურცილავა დღეს უკვე აცხადებს, რომ შემთხვევით გაუვარდა იარაღი. როგორც ვიცი, უშიშროებამ ამაზე ექსპერტიზა დანიშნა. რა დაადგინა?**

— ეს იყო უშიშროებისა და შს სამინისტროს ერთობლივი ექსპერტიზა და ადასტურებენ, ტყვია ისეთი ტრაექტორიით იყო ნასროლი, რომ შესაძლებელი იყო, გასროლა მართლაც შემთხვევითი ყოფილიყოო.

**— რატომ არ გამოცხადდით სასამართლო პროცესზე და აპირებთ თუ არა 4 თებერვლის პროცესზე მისვლას?**

— შეტყობინება არ მიმიღია. არ ვიცოდი, რომელ საათზე იყო პროცესი დანიშნული. მეორეც, რა აზრი აქვს ჩემს მონაწილეობას ამ სპექტაკლში? არც მინდა, რომ ამ დადგმის მონაწილე ვიყო. ჩვენება წინასწარი გამოძიებისას მივეცი და შეუძლიათ წაიკითხონ. მე უზენაეს სასამართლოში საჩივარი მაქვს შეტანილი. ვითხოვ მათი პასუხისმგებლობის დაყენებას, ვისაც ევალებოდა და არ გამოიძია საქმე. ესენი არიან საგამოძიებო ჯგუფის წევრები და გენერალური პროკურატურა.

**— სხვათა შორის, ხურცილავას ადვოკატმა განაცხადა, რომ შეიძლება ეს საქმე ძიებას დაუბრუნდეს. როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში ძიება სწორად წარიმართება?**

— რომც დაბრუნდეს, არა მგონია, რაიმე შედეგი მოჰყვეს. ისე კი, უმჯობესია, ასე მოხდეს.

**— კულუარებში ისიც თქვეს, რომ შეიძლება პროცესი დაიხუროს...**

— ეს ისეთი კატეგორიის საქმეა, რომლის განხილვაც, კანონის თანახმად, ღიაა.

***გვერდი მოამზადა მარინა მამისაშვილმა***

# საკონსტიტუციო სასამართლომ პოლიციას ცემა-ტყეპის შანსი წაართვა

*გასულ კვირას საკონსტიტუციო სასამართლომ ომბუდსმენის საჩივარი დააკმაყოფილა და, შეიძლება ითქვას, პოლიცია ჩიხში მოაქცია. ისინი ველარ შეძლებენ პოლიციის განყოფილებებში ადვოკატის გარეშე დაჰკითხონ დაკავებული. გასულ კვირას მათ უკვე ოფიციალურად ჩამოერთვათ 12 საათის განმავლობაში მოქალაქის უადვოკატოდ დაკავების უფლება. შესაბამისად, ამ გადაწყვეტილების შემდეგ პოლიციაში ველარ შეძლებენ უმოწყალო ცემა-ტყეპით სასურველი ჩვენების მიღწევას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია და რამდენად ზედმიწევნით შეასრულებენ კანონს სამართალდამცველები, ამას თვით საჩივრის ავტორი ნანა დევდარიანიც კი ეჭვის თვალით უყურებს. „კვირის პალიტრა“* ***ნანა დევდარიანს*** *ესაუბრა:*

**— ქალბატონო ნანა, რამდენად არის გარანტია, რომ პოლიცია კანონს არ დაარღვევს და ადვოკატის გარეშე დაკავებულებს კვლავაც არ აყურყუტებს, კვლავაც არ ექნება ცემა-წამების ფაქტებს ადგილი?**

— ამის გარანტიას ვერავინ ვერ მოგვცემს. მე არ მაქვს ილუზია, რომ ასეთი ფაქტები ხვალიდან აღარ იქნება. უბრალოდ, აღარ იარსებებს კანონი, რომელიც აძლევდათ საშუალებას, რომ ოფიციალურად დაერღვიათ ადამიანის უფლებები; ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აქამდე, როდესაც დარღვევაზე მივუთითებდით, თავს იმით იმართლებდნენ, რომ დაკავებული ეჭვმიტანილად არ არის ცნობილი და ამიტომ შეგვიძლია ადვოკატს არ დავუძახოთო. სწორედ ეს თავისუფლება წაერთვათ მათ.

**— ყურადღება გამახვილდა მაინცდამაინც ამ 12 საათიანი ვადის გაუქმებაზე. არადა, ვიცი, რომ სხვა მოთხოვნებიც გქონდათ.**

— კი. სხვათა შორის, სხვა მნიშვნელოვანი მოთხოვნებიც დაკმაყოფილდა. უბრალოდ, ყურადღება ამ საკითხზე იმიტომ გამახვილდა, რომ ყველაზე მეტი დარღვევა ხდება პირველ თორმეტ საათში, როცა დაკავებულს არ ჰყავს ადვოკატი. გარდა ამისა, ასევე დაკმაყოფილდა მოთხოვნაც, რომ მოხსნილიყო აქამდე არსებული შეზღუდვა, — დაკავებულ პირს ადვოკატთან ურთიერთობა მხოლოდ ერთი საათი შეეძლო.

**— გარდა ამისა, ამბობენ, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ყველა თქვენი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. რაზე გითხრათ უარი?**

— საუბარია წინასწარი პატიმრობის 9-თვიან ვადაზე. ჩვენი სურვილი იყო ამ ვადაში მოსწრებულიყო მთელი პროცედურა სასამართლო განაჩენის დადგომამდე. ამაზე გვითხრეს უარი. არადა, ამ ცხრა თვეს ითვისებს მთლიანად გამოძიება და ამის მერე იწყება საქმის გაცნობის გაუთავებელი პროცესი, რომელიც ზოგჯერ ორ წლამდე ჭიანურდება. თუმცა ამ საკითხს კვლავ განიხილავენ პირველ კოლეგიაზე და ვფიქრობთ, რომ ჩვენს თვალსაზრისს გაიზიარებენ. ასევე გასაჩივრებული გვქონდა ისიც, რომ დაკავებულს არ შეიძლება ჰყავდეს სამზე მეტი ადვოკატი. ეს საჩივარი სასამართლომ არ დააკმაყოფილა. თუმცა ამაზე დიდად არ მინაღვლია, რადგან დღეს ჩვენს მოსახლეობას ისე უჭირს, რომ სამის კი არა, ერთი ადვოკატის აყვანის საშუალებაც არა აქვს.

**— შეიძლება ითქვას, რომ გასულ წლებში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც წინასწარი დაკავების საკნებში ჩვენების გამოძალვის მიზნით დაუნდობლად სცემდნენ და აწამებდნენ დაკავებულებს. ამ მხრივ, დღევანდელი მონაცემებით, როგორი მდგომარეობაა?**

— ვერ გეტყვით, რომ ამგვარი ფაქტები აღარ არის. დღე არ გავა ისე, რომ ჩვენთან ასეთი დარღვევა არ შემოვიდეს, მაგრამ ბოლო ერთი-ორი წლის მონაცემებით ამ შემთხვევებმა თბილისში იკლო. იცით, აქ უფრო კარგად კონტროლდება სიტუაცია. მთელი დამოუკიდებელი მედია აქ არის, არასამთავრობოები აქ არიან, მაგრამ რეგიონებში უმძიმესი მდგომარეობაა. ამიტომ ჩვენ სწრაფი რეაგირების ჯგუფი გადაგვყავს რეგიონებში და მდგომარეობას თანდათან იქაც დავარეგულირებთ.



# სამეგრელოს მთავრებს თავიანთი სააგარაკო სასახლე რომ ანახვათ, საფლავში გადაბრუნდებიან...



**გორდის სასახლე XX საუკუნის 10-იან წლებში**



**სასახლის დღევანდელ მდომარეობას კომენტარი არ სჭირდება**

ქალაქ ხონიდან სოფელ გორდამდე „უაზ“-ის მარკის ავტომობილით ორსაათიანი ჯანჯღარის შემდეგ, როგორც იქნა, დადიანთა საგაზაფხულო რეზიდენციას მივადექით. მძღოლმა მანქანა დენდროპარკის ტერიტორიაზე შეიყვანა და გააჩერა — მე და სოფელ გორდის გამგებელს რეზიდენციამდე მისვლა ფეხით გვირჩია, რადგან პატარა ღელეზე გადებული სანახევროდ ჩანგრეული ქვითკირის ხიდის ნდობა არ შეიძლებოდა. გზა ფეხით განვაგრძეთ და გუნებაც ნელნელა მიფუჭდებოდა. ერთ დროს ულამაზესსა და უნიკალურ უზარმაზარ ბაღს გაპარტახებისა და მოუვლელობის მძიმე კვალი ემჩნეოდა. რამდენიმე ასეული მეტრი რომ გავიარეთ, ერთ დიდ შენობას მივადექით, რომელსაც სახურავი ჩანგრეოდა და შენობის კედლებიც დაბზარვოდა. ვიფიქრე, ალბათ ეს შენობა სამეგრელოს მთავრების რეზიდენციის დამხმარე სამეურნეო ნაგებობა იქნებოდა-მეთქი, მაგრამ, როცა შენობასთან სოფლის გამგებელი გაჩერდა და მითხრა, ეს სასახლე დადიანების გორდის საზაფხულო რეზიდენცია იყოო, ჯერ იყო და არ დავიჯერე, მერე კი გავბრაზდი და შემრცხვა. მერწმუნეთ, ბევრი რამ მინახავს ჩვენს ქვეყანაში გაპარტახებულ-გაძარცული, მაგრამ გორდში ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. თუმცა, მოდით, ყველაფერს თანამიმდევრობით მივყვეთ.

სამეგრელოს მთავრების — დადიანების ძეგლთა დაცვის კავშირის თავმჯდომარემ გიორგი კალანდიამ რამდენიმე თვის წინ მიამბო დადიანების გორდის სააგარაკო რეზიდენციისა და მისი უნიკალური ტყე-პარკის შესახებ. მაშინ კალანდიას სიტყვა მივეცი, რომ როგორც კი ხონში მოვხვდებოდი, აუცილებლად ვეწვეოდი გორდსაც. გასულ კვირას მეგობრის შვილის ნათლობაზე მიმიწვიეს იმერეთში. მეორე დღეს, ნინოობას, თბილისში გამომგზავრების თადარიგს ის იყო შევუდექი, რომ მოულოდნელად ჩემი დაპირება გამახსენდა და გორდში წასვლა გადავწყვიტე. მანამდე კი ხონის რაიონის გამგეობას მივაკითხე.

გამგებლის პირველი მოადგილე **გიორგი კაკაბაძე:** „დადიანების გორდის რეზიდენციაცა და პარკიც დანგრეული და გაძარცულია. გორდელები უნიკალურ, ეგზოტიკურ ხეებს შეშად და სამასალედ ჭრიან. პარკს მორღვეული აქვს ღობე და იქაურობა ნახირის საძოვრადაა ქცეული...“

ამასობაში ხონის რაიონის გამგებელმა ოთარ ქაშიბაძემ თანამშრომლებთან თათბირი დაამთავრა და კაბინეტში მიგვიწვია.

**ოთარ ქაშიბაძე:** — გორდში მართლაც მძიმე მდგომარეობაა. ადრე სასახლესაც და პარკსაც უვლიდნენ — ერთხანს იქ განათლების სამინისტროზე დაქვემდებარებული ზოოვეტერინარული ტექნიკუმი მუშაობდა, მერე ტექნიკუმი სამტრედიაში გადაიტანეს და მის ადგილას ასთმით დაავადებული ბავშვებისთვის სკოლა-ინტერნატი გახსნეს. 1992 წელს ინტერნატიც გაუქმდა და პარკიც და სასახლეც გავერანდა. დოკუმენტებით განათლების სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა, მაგრამ სინამდვილეში არავინ პატრონობდა. არც სოფელს შეეძლო რამე გაეკეთებინა. მოგვიანებით, „პეტროხოლოდის“ გენერალურმა დირექტორმა ბადრი კაკაბაძემ შეისყიდა იქაურობა — სასახლე და პარკი უნდა აღედგინა, მაგრამ ჯერ საამისოდ ვერ მოიცალა, გააქციეს აქედან (მიზეზის დასახელებისგან თავს ივავებენ, მაგრამ „კვირის პალიტრა“ მომდევნო ნომერში შეეცდება გაარკვიოს, ვინ და რატომ „გააქცია“ კაკაბაძე გორდიდან. — ზ.ჩ.).

— **როგორც გავიგე, გორდელებსა და კაკაბაძეს შორის განხეთქილება ჩამოვარდნილა და მასაც განზრახვაზე ხელი აუღია.**

— დიახ, იყო რაღაც ამდაგვარი...

— **რას აკეთებდა ადგილობრივი ხელისუფლება, სასახლე და პარკი რომ არ გავერანებულიყო.**

— ჩვენი მწირი ბიუჯეტით რას გავხდებოდით? ამასთან, როგორც გითხარით, რეზიდენცია ჩვენს ბალანსზე არ ირიცხებოდა — მასზე განათლების სამინისტროს უნდა ეზრუნა. რაც შეეხება მის გაყიდვას, როგორც ვიცი, კანონის სრული დაცვით მოხდა.

— **საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტმა გორდის ბაღი საპარკო ხელოვნების სახელმწიფო მნიშვნელობის ძეგლად გამოაცხადა. თუ აიღეთ დეპარტამენტიდან მისი გაყიდვის შესაბამისი ნებართვა?**

— ვერ გეტყვით. ამ კითხვით უმჯობესია ქონების მართვის ხონის განყოფილების უფროსს, ილია ყუფარაძეს მიმართოთ...

**ილია ყუფარაძე:** — 2001 წლის 30 იანვარს მოხდა სასახლის პრივატიზაცია, ოღონდ გასაყიდი ობიექტების ნუსხაში იგი განათლების სამინისტროს მოთხოვნით შეიტანეს, თანაც არა როგორც სასახლე, არამედ, როგორც სასწავლო და საძინებელი კორპუსი. მოგეხსენებათ, ადრე სასახლეში სკოლა-ინტერნატი იყო განთავსებული. ბადრი კაკაბაძემ (რომელიც სხვათა შორის, გრაფის ტიტულსაც ატარებს, რაც მიანიჭა რუსეთის სათავადაზნაურო კომიტეტმა. — ზ. ჩ.) 9.620 აშშ დოლარი გადაიხადა. პარკის 15 ჰექტარი მიწა კი იჯარით გაიცა. მას იჯარის საფასურად ყოველწლიურად 7.500 ლარი უნდა გადაეხადა. რაც შეეხება სხვა დოკუმენტებს, ყველაფერს ქონების მართვის სამინისტროში ნახავთ.

ორიოდე წლის წინ სასახლის ცენტრალურ ნაწილს უზარმაზარი ნაძვის ხე დაეცა და ძლიერ დააზიანა. აზრადაც არავის მოსვლია მისი შეკეთება. ცენტრალური ნაწილი, რომელიც იტალიიდან ჩამოტანილი ვარდისფერი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, ახლა აღარ არსებობს. ვინ მიიტაცა და სად წაიღეს, ღმერთმა იცის. წლების მანძილზე შენობა კიდევ უფრო გავერანდა და დღეს სასახლეში შესვლაც კი სახიფათოა.

— **თქვენ ხომ იცოდით, რომ საძინებელი კორპუსი კი არა, სინამდვილეში ისტორიული ღირებულების მქონე სასახლე იყიდებოდა, ასეთი ობიექტების გაყიდვა ხომ კანონით დაუშვებელია?**

— ბატონო, სტატუსი სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსისა ჰქონდა და მე ვინ მეკითხებოდა, განათლების სამინისტრომ ასე ჩაწერა...

სანამ გორდში გავემგზავრებოდით. ხონის გამგებელმა სოფელ გორდის გამგებელი ზურაბ ქობალია გამაცნო და ჩემი მეგზურობა სთხოვა.

ხონიდან გორდამდე 20 კილომეტრია, მაგრამ ტაქსი ამ გზაზე არ მოძრაობს. მხოლოდ „უაზ“-ის მარკის ავტომობილის მძღოლი დავითანხმეთ იქ წასვლაზე. ოღროჩოღრო გზაზე მანქანა ისე ხტოდა, ძლივს ვახერხებდი ხონის გამგებლისგან ნაჩუქარი წიგნის „გორდის“ წაკითხვას. წიგნი ბადრი კაკაბაძის ხელშეწყობით დაბეჭდილა შარშან და მისი ავტორი, მეცნიერი ავთანდილ ფაილოძე გახლავთ. სწორედ ამ წიგნში ამოვიკითხე გორდის დადიანების სააგარაკო რეზიდენციის ისტორია და იქიდან რამდენიმე ნაწყვეტს მოვიყვანთ: „ალექსანდრე ჭავჭავაძის რჩევით დავით დადიანმა გორდში დიდი მშენებლობები წამოიწყო. 1841 წელს სახელოვანი სიმამრის თანდასწრებით საფუძველი ჩაეყარა გორდის სასახლეს. მისი არქიტექტორი ვასილეევი გახლდათ. გორდის სასახლე ევროპული ტიპის, დიდი გემოვნებით აგებული შენობა იყო. იგი ძვირი დაჯდა, რადგან რუსეთიდან და ევროპიდან ჩამოტანილი პარკეტით მოაწყვეს. ყველა ოთახი ძვირფასი ავეჯითა და შპალერით იყო გაწყობილი... მთავარი და მისი სტუმრები აღმოსავლეთის კარიბჭედან მიადგებოდნენ ფაიტონებით და ცხენებით სასახლეს. სამხრეთისკენ დახრილობის გამო ეს მხარე სამმეტრიან პოსტამენტზე იდგა, ხოლო კიბე ორი მხრიდან პატარა ყვავილნარით აივანზე ადიოდა... მეორე სართულს ხის ფართო აივანი და რიკულებიანი მოაჯირი ევლებოდა. პირველ სართულს ათი დიდი ოთახი ჰქონდა სადარბაზოების გარდა. პირველი სართულის ერთ მხარეს ოთხი ბუხარი იყო, მეორე მხარეს კი სამი, რაც მეორე სართულზედაც ამდენი ბუხრით ბოლოვდებოდა...“ აი, ასეთი ყოფილა დადიანების სააგარაკო სასახლე. სამწუხაროდ, კომუნისტური ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკებმა უმეთვალყურეოდ დატოვეს იგი, ოღონდ მანამდე საფუძვლიანად გაძარცვეს, მაგრამ სასახლეში მაინც დარჩა უამრავი ძვირფასი ნივთი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბიბლიოთეკა, რომელშიც იშვიათი და უძვირფასესი გამოცემები ინახებოდა. დროთა განმავლობაში წიგნებიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ორიოდე წლის წინ სასახლის ცენტრალურ ნაწილს უზარმაზარი ნაძვის ხე დაეცა და ძლიერ დააზიანა. აზრადაც არავის მოსვლია მისი შეკეთება. ცენტრალური ნაწილი, რომელიც იტალიიდან ჩამოტანილი ვარდისფერი მარმარილოთი იყო მოპირკეთებული, ახლა აღარ არსებობს. ვინ მიიტაცა და სად წაიღეს, ღმერთმა იცის. წლების მანძილზე შენობა კიდევ უფრო გავერანდა და დღეს სასახლეში შესვლაც კი სახიფათოა. მიუხედავად ამისა, გორდის გამგებელთან ერთად სასახლის მეორე სართულზე ავედი გარედან მიდგმული კიბით (პირველი სართული ჩამონგრეული სამშენებლო ნაგვით არის სავსე და იქ შესვლა შეუძლებელია). ზურაბ ქობალიამ ერთ-ერთ კარზე მორიდებით დააკაკუნა. გამიკვირდა, აქ ვინ უნდა იყოს-მეთქი. კარი გაიღო და ოთახიდან ტანმორჩილი მამაკაცი გამოვიდა — როგორც გაირკვა, სასახლისთვის თავი ხეცურიანების ოჯახს შეუფარებია.

ზურაბ ქობალია მიბოდიშებს, ამ ოჯახს გარეთ ხომ არ დავტოვებდით. იძულებული გავხდით, სასახლეში შემოგვესახლებინაო. ლტოლვილსა და ქობალიასთან ერთად ვათვალიერებ სასახლის დიდ ოთახებს. ყველგან ანტისანიტარიული მდგომარეობაა. სარკეებიანი დარბაზი ხეცურიანების ოჯახს სასიმინდედ უქცევია. სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ბუდუარი საკუჭნაოდ გადაუკეთებიათ. ბუხრებიდან მარმარილოს ფილები ამძვრალი და დაკარგულია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში სასახლეში უამრავი ძვირფასი ნივთი იყო, დღეს კი ფასიანი და ღირებული ვერაფერი ვნახეთ. ყველაფერი კარგა ხნის დატაცებული ყოფილა.

— **რით ირჩენთ თავს?** — ვეკითხები სასახლის ბინადარს.

— პარკში სიმინდს და ლობიოს ვთესავ. კარტოფილიც მომყავს. ორი ძროხა და ამდენივე ღორი გავიჩინე. აგერ, სასახლის ეზოში საძროხე და საღორე შევაკოწიწე და როგორღაც თავი გაგვაქვს.



**კარის ეკლესია უპატრონოდ და უსახურავოდაა დარჩენილი**

მართლაც, სასახლიდან ორიოდ მეტრში საღორე დავინახე. მას ადრეც მივაქციე ყურადღება, მაგრამ ვიფიქრე, ადრე ალბათ დამხმარე სათავსი იქნებოდა-მეთქი. რას წარმოვიდგენდი, სამეგრელოს მთავრების რეზიდენციას ვინმე ასეთი რამის აგებას აკადრებდა, მაგრამ ნათქვამია, უპატრონო ეკლესიასო...

სამწუხაროდ, გორდის სააგარაკო სასახლის ამსახველი ფოტოები არ შემონახულა. მხოლოდ გასული საუკუნის ათიან წლებში გადაღებული ერთადერთი ფოტოსურათი მოიძევება მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

„მთავარმა თავისი ოჯახის ქალბატონებს და სტუმრებს სასახლის ეზოს ჩრდილო-დასავლეთით გაუკეთა ელიფსისებრი ფორმის პატარა წყალსაცავი, რომელშიც გედები ჩასხეს; ხოლო ბაღის სამხრეთით შემოსასვლელი გზის პირას ხის ეკლესიის ადგილას ქვის საყდარი ააგო, რომელშიც ერთხანს ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატი იყო დასვენებული“, — ვკითხულობთ ისტორიულ წყაროებში. ორიოდ სიტყვით ვლაქერნის ხატის შესახებ. ეს ხატი მზითვად მოჰყოლია ბაგრატ V-ის ცოლს, დედოფალ ელენეს. ხატი შემკული იყო სამასზე მეტი პატიოსანი თვალით: ღვთისმშობლის შარავანდედს 329 მარგალიტი და 82 მსხვილი ბრილიანტი ამკობდა, ქვედა ოქროს ქათიბში 79 ლალი, 210 საფირონი, 9 ბრილიანტი და 93 ზურმუხტი ბრწყინავდა. სხვა ძვირფასი ხატებიცა და საეკლესიო ჭურჭელიც ინახებოდა სააგარაკო სასახლის კარის ეკლესიაში.

ამჟამად იგი გავერანებულია — სახურავი აღარ აქვს და კედლებსაც სასწრაფო შეკეთება სჭირდება. სასახლის უზარმაზარი პარკის დათვალიერებისას ვეღარც ფანჩატურების ნაშთსა და ვერც ხელოვნური წყალსაცავების კვალს ნახავთ. მხოლოდ ეკლესიის ახლოს შევნიშნეთ ოდესღაც თვალწარმტაცი, ახლა კი ყელგამშრალი და მონგრეული „დედოფლის წყარო“. ის ეკატერინე ჭავჭავაძეს აუგია და გაუმშვენიერებია თურმე.

გორდის სასახლეს ამჟამად 50 ჰექტარი უკავია. დავით დადიანმა და ეკატერინე ჭავჭავაძემ სასახლის ტყე-პარკის მოსაწყობად ავსტრიიდან მოიწვიეს დეკორატორი ჟოზეფი, რომელმაც დაგეგმა გორდის ბაღი. მისი განაშენიანების პროექტი სასახლიდან მიმავალ დიაგონალურ ხეივნებსა და მათ შორის დარგულ ყვავილნარს, აუზებს, ბზა-ბუჩქნარსა და ხელოვნურ პატარა-პატარა წყაროებს ითვალისწინებდა. ავსტრიელი დეკორატორის დაწყებული საქმე იტალიიდან მოწვეულ მის კოლეგას, გაეტანო ზამბერლენტის დაუსრულებია. ბაღი სავსე იყო ეგზოტიკური მცენარეებით, მაგრამ ახლა თითქმის გაჩეხილია რცხილისა და ფიჭვის ულამაზესი და უგრძესი ხეივნები. პარკის დაახლოებით 5 ჰექტარი გორდელებმა მიიტაცეს და დაუნდობლად ჩეხენ პარკს. სხვათა შორის, 1951 წლის შემდეგ არავის ჩაუტარებია გორდის პარკის დენდროლოგიური აღწერა, რაც ისევ და ისევ ჩვენს გულგრილობასა და უყურადღებობას მოწმობს...



**ეკატერინე ჭავჭავაძის ბუდუარის ერთი კუთხე**

გორდიდან თბილისში ჩამოსულებმა ვცადეთ, გაგვერკვია — რამდენად კანონიერად გაიყიდა გორდის სააგარაკო სასახლე და გაიცა იჯარით პარკის 15 ჰექტარი მიწა. ქონების მართვის სამინისტროში დიდხანს ეძებეს სასახლის გაყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სანამ სკოლა-ინტერნატი არ ვუხსენე, სამინისტროს ინსპექტორებმა ვერაფერი მონახეს. გამოდის, სამინისტრომ არც კი იცოდა, ან არ უნდოდა სცოდნოდა, რის პრივატიზებას ახდენდა. წარმოდგენილ საბუთებს საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტისგან სასახლის გაყიდვაზე გაცემული ნებართვა არ ახლდა.

ძეგლთა ინსპექციის სამმართველოს უფროსი **ბაადურ კუპრეიშვილი:** „საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 21 აგვისტოს 490-ე დადგენილების თანახმად, გორდის საბაღე-საპარკო განაშენიანება აღიარებულია სახელმწიფო მნიშვნელობის კულტურულ ძეგლად და იგი დაცულია სახელმწიფოს მიერ. ასე რომ, მოქმედი კანონმდებლობით ძეგლის პრივატიზება არ შეიძლება და იგი სტატუსის ხელოვნურად დამახინჯებით გაყიდეს. სხვათა შორის, 2000 წლის 27 ნოემბერს ჩვენმა დეპარტამენტმა ქონების მართვის სამინისტროს მისწერა წერილი (№02/374), სადაც პარკის იჯარით გაცემის ან აღდგენის და არა გაყიდვის ნება დართო. სასახლის აღდგენა ჩვენთან შეთანხმებული პროექტით უნდა მომხდარიყო. სამწუხაროდ, არც ერთი გაკეთდა და არც მეორე.“

*P.S. მეფის რუსეთის წარმომადგენელი სამეგრელოს სამთავროში ვინმე კ. ბოროზდინი დადიანების სააგარაკო რეზიდენციის სილამაზითა და ადგილმდებარეობით მოხიბლული წერდა: „შვეიცარიაში ასეთი რამ რომ გამოჩნდება, უმალვე სანატორიუმები აიგება ტურისტების ფულებით, კავკასია კი ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავს თავის მშვენიერებას“. ეს სიტყვები XX საუკუნეში დაიწერა. დღეს, XX საუკუნეში ქართველები კვლავ ისეთივე გულგრილნი არიან, როგორებიც ორი საუკუნის წინ იყვნენ.*

**ზვიად ჩაკვეტაძე**

CMYK



# ყმის პოზიცია ქართველებისთვის მიუღებელია

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის წელიწადია პარლამენტმა დსთ-ის სამშვიდობოების გაყვანა მოითხოვა, გაერო და ჩვენი სხვა მეგობრებიც რუსეთს უგორებენ კოჭს და გვიყვავებენ, — რუსები აფხაზეთში დატოვეთო. ჩვენმა კეთილმოსურნე გაერომ არც გაეროს შენობის წინ მომიტინგე ორი ათასი ქართველის გულისტკივილი გაიზიარა და არც საქართველოს ელჩის მოსმენა ისურვა — ერაყთან ომის წინ რუსეთის განაწყენებას მოერიდა და თავისი კეთილი რჩევა ამჯერად რეზოლუციით განამტკიცა — რუსი სამშვიდობოები აფხაზეთში დატოვა.

ქართველ პოლიტიკოსთა უმეტესობა გაეროს უუნარობასა და აფხაზეთის საკითხისადმი გულგრილობას აბრალებს, ხოლო „ნაციონალები“ ჩვეულ რადიკალურობას არ ღალატობენ და კულუარული ინფორმაციით, პარლამენტის უახლოეს სხდომაზე საქართველოს გაეროდან გამოსვლის საკითხის დასმას აპირებენ...

როგორ განვითარდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და რას უნდა ველოდოთ — ამ საკითხზე პარლამენტის თავმჯდომარე ქალბატონი **ნინო ბურჯანაძე** გვესაუბრება.

— **დღემდე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მძლავრობდა პრინციპი: „დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი“. მომავალშიც ასე იქნება?**

— სანამ ასე სუსტები ვიქნებით, სანამ ჩამოყალიბებული პოზიცია არ გვექნება და ჩვენს შინაპრობლემებს თვითონვე არ გადავჭრით, მუდმივად გვექნება ეს პრობლემა. საქართველო თუ ფეხზე დადგება, ნაკლებად დაჩაგრავს ვინმე. „დიდი კაცისა“ და „პატარა კაცის“ იგავი რომ არ განმეორდეს, ამისთვის გვყავს მეგობრები, საერთაშორისო თანამეგობრობა. ახლა კი ვიჩაგრებით, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ყმისა და ბატონის ურთიერთობა მიუღებელია ქართული ბუნებისთვის. ამიტომაც იყო, რუსეთის იმპერიის დროსაც და საბჭოთა პერიოდშიც ქართველებს განსაკუთრებული მდგომარეობა გვქონდა და ვინმეს მბრძანებლობას, მით უმეტეს ახლა, აღარ მოვითმენთ. მერწმუნეთ, ჩვენს დელეგაციას რუსეთში თავი უხერხულად ოდნავად არ უგრძნია — პირიქით, ჩვენი ოპონენტები იცავდნენ თავს — არაფერი ვიცოდით მატარებელზე, პასპორტებს კი არ გავცემთ, რაღაც შტამპებს ურტყამენ აფხაზებსო. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე კიდეც ვთქვი — რა ხდება ამ ქვეყანაში, არავინ არაფერი იცის-მეთქი? დავუშვათ, დავუჯერეთ. ახლა ხომ იციან, რაც აფხაზეთში ხდება? ახლა იმოქმედონ შესაბამისად.

ვერ ვიტყვი, რომ კიევში პრეზიდენტების შეხვედრის შედეგებით აღფრთოვანებული ვარ. თუმცა იქ ითქვა, — ლტოლვილთა დაბრუნების პარალელურად უნდა ამოქმედდეს რკინიგზაო. სამიტის შემდეგ რუსეთის ელჩთან ვისაუბრე. ჩხიკვიშვილმა მითხრა, პუტინის განკარგულებით პასპორტების და რკინიგზის საკითხის გასარკვევად ვმუშაობთო. რუსეთ-საქართველოს პრობლემების შესასწავლად საგანგებო კომისიის შექმნაა დაგეგმილი. ვნახოთ, რა ნაყოფს გამოიღებს ეს. თუ პრობლემის გადაწყვეტის გზა არ მოიძებნა, საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართავთ.

— **მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები მძაფრი განცხადებების გაკეთებას ერიდებიან. მაგალითისთვის 31 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაც იკმარებს, რომელმაც აფხაზეთი ისევ რუს სამხედროებს „დაუტოვა“.**

— მანდატის გაგრძელებას გაეროს გარდა, მეგობარი ქვეყნებიც ემხრობიან, რადგან მართლაც არსებობს აფხაზეთში საფრთხე.

— **რომელ საფრთხეს გულისხმობთ?**

— სამშვიდობოების გასვლის შემთხვევაში რუსეთში აღმოჩნდებიან ძალები, რომელთა პროვოკაციას ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკება მოჰყვება. შეიძლება რაღაც გაუთვალისწინებელიც მოხდეს და ქართველებს დაგვაბრალონ. რუსეთი არც მალავს საკუთარ ზრახვებს, — თუ სამშვიდობოები აფხაზეთიდან გავლენ, იქ სისხლიან ფაფას მოვუდუღებთ ქართველებსო. სამშვიდობოების გაყვანის საკითხს კარგად უნდა აწონ-დაწონა. არიან კი მზად ჩვენი ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები ამისთვის? პარლამენტმა 1 წლის წინ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამშვიდობოები საქართველოდან უნდა გასულიყვნენ. რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე? როგორ შეიძლება მზად არასოდეს ვიყოთ? არ ვართ მზად სამშვიდობოების გასაყვანად, არ ვართ მზად მშვიდობის შესანარჩუნებლად — ოდესღაც ხომ უნდა ვიყოთ მზად რაღაც კონკრეტული ნაბიჯისთვის. რად უნდა ლაპარაკი, რომ არ ვართ მზად რუსეთის პროვოცირების თავიდან აცილებისთვის. ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ორი უბედურებიდან ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ და დღეს იმაზე ვფიქრობთ და ვიმტვრევთ თავს, რომელია „ნაკლები“ უბედურება. პარლამენტმა გასულ კვირას მთავრობას სთხოვა, ერთ კვირაში წარმოადგინოს კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის გეგმა. იმედი მაქვს, გეგმა ვიღაცას სეიფშიც უდევს და თუ არა, მით უარესი ჩვენი ხელისუფლებისთვის.

— **ანუ შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი კვირის შემდეგ საქართველო ისევ გაუგრძელებს რუს სამშვიდობოებს მანდატს, მიუხედავად ჩვენი პრეზიდენტის განცხადებისა — პასპორტების და რკინიგზის საკითხის მოგვარებამდე, მანდატის გაცემაზე თავს შევიკავებთო.**

— პრეზიდენტმა უნდა აწონ-დაწონოს ის არგუმენტები, რომლებიც ჩამოვთვალე. რაც მოქალაქეობის და რკინიგზის პრობლემა წამოიჭრა, პრეზიდენტი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, არის პარლამენტის გადაწყვეტილება (დსთ-ის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ), მეორე მხრივ კი გასათვალისწინებელია პროგნოზები, რომელსაც გაერო, მეგობარი ქვეყნები და რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები აკეთებენ... მაგრამ ხომ არსებობს თავმოყვარეობაც... რუსეთის ხელისუფლებამ უნდა დაგვანახვოს, რომ მზად არის კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. უნდა გადაწყდეს მოქალაქეობის და პასპორტების პრობლემა და შემდეგ განვიხილოთ სხვა საკითხები. თორემ უპირობოდ სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელება რთული მისაღები იქნება.

— **რუსული პრესა საქართველოს მომავალ პრეზიდენტად გსახავთ. რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

— ჯერ ადრეა საქართველოში ვინმეს პრეზიდენტობაზე ლაპარაკი. 2005 წლამდე ბევრი რამ არის ქვეყანაში გასაკეთებელი. რა იქნება ამ ხნის განმავლობაში, როგორ დალაგდება პოლიტიკური სპექტრი, ვის რა შესაძლებლობები ექნება, ეს იქნება გადამწყვეტი. 2005 წელს შესაძლოა ყველაზე მაღალი რეიტინგი იმ ადამიანს ჰქონდეს, რომელიც დღეს საერთოდ არ ჩანს პოლიტიკურ არენაზე. იმას კი, რომელიც დღეს პოპულარულია, იმ დროისთვის არავითარი შანსი აღარ ჰქონდეს. ეს პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა. პრეზიდენტობაზე ფიქრი კი არა, ვისაც რა შეგვიძლია, ის გავაკეთოთ ქვეყნისთვის, თორემ შესაძლოა ისეთი რამ დატრიალდეს, აღარც ქვეყანა გვქონდეს და პრეზიდენტობაც გვერდზე დარჩეს ყველას.

— **წელს საპარლამენტო არჩევნები გველის, რომელ პოლიტიკურ ძალებს აღიქვამთ მეტ-ნაკლებად სერიოზულად?**

— მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბერში არჩევნები ჩატარდება, ჯერ კიდევ არ არის დალაგებული პოლიტიკური სპექტრი. გაზაფხულისთვის ალბათ ყველაფერი გამოიკვეთება. სასურველია არ იყოს მომავალში ისეთი პარლამენტი, როგორიც დღეს გვაქვს. ძნელია კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და გატანა. ხშირად ყოფილა, მცოდნია, რომელი გადაწყვეტილება იქნება ქვეყნისთვის უკეთესი, მაგრამ პარლამენტი საპირისპიროს უჭერს მხარს. ცუდია, რომ მე, პარლამენტის თავმჯდომარეს, არ მყავს გუნდი, რომელზე დაყრდნობითაც გავიტანდი ჩემთვის მისაღებ გადაწყვეტილებას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მარტო ერთი პარტია მოვიდეს პარლამენტში, მაგრამ პოლიტიკური სპექტრი ისე უნდა დალაგდეს, რომ იყოს გამოკვეთილი უმრავლესობა, გამოკვეთილი ოპოზიცია და ეს უმრავლესობაც ისეთი უნდა იყოს, ერთმნიშვნელოვნად ვერ იღებდეს გადაწყვეტილებას.

— **რაკი ბრძანეთ, პარლამენტის თავმჯდომარეს თავისი პოლიტიკური გუნდი უნდა ჰყავდესო, ალბათ, ფიქრობთ კიდეც ვინ არის თქვენთვის შედარებით მისაღები და ვინ არა... დღევანდელი პოლიტიკური სპექტრიდან, რომელ ძალას არჩევდით?**

— ვნახოთ... არის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთანაც, მათივე შეხედულებებიდან გამომდინარე, ვერ ვხედავ თანამშრომლობის შესაძლებლობას. არის ძალები, რომლებთანაც მეტი საერთო მაქვს. ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დალაგდება პოლიტიკური სპექტრი, როგორ პოლიტიკურ შეხედულებებსა და მეთოდებს აირჩევენ და ა.შ.

— **კულუარებში ითქვა, თითქოს ერთიანი ოპოზიციის სიაში გაქვთ ერთ-ერთი საპატიო ადგილი, მეორე ვერსიით — „ახალი მემარჯვენეებისკენ“ იხრებით.**

— მე სხვა ვერსიებიც ვიცი. ზოგჯერ ისეთ პარტიასთან მაიგივებენ, რომელთა წარმომადგენელსაც არ ვიცნობ. ვერსიების სიმრავლე მეტყველებს, რომ არც ერთი არ არის სწორი. მაგალითად, „ახლებთან“ ჩემი კავშირის შესახებ გიგი წერეთლისგან გავიგე. გადაწყვეტილებების მიღებისას ჩემი შეხედულებისამებრ ვმოქმედებ. არ ვითვალისწინებ პოლიტიკურ კონიუნქტურას. ამიტომ ჩემი პოზიცია ხან ოპოზიციის აზრს ემთხვევა, ხანაც სამთავრობო ფრაქციებისას. ვიცი, ჩემს რეიტინგს უფრო მკვეთრი ოპოზიციური განცხადებები წაადგება, მაგრამ არ შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარის თვითმიზანი იყოს პოლიტიკური რეიტინგის ამაღლება. თუ ვხედავ, რომ ჩემი გაჩუმება საზიანოა ქვეყნისთვის, ხმამაღლა ვამბობ სათქმელს. თუ თქმას ართქმა სჯობს, მაშინ ვჩუმდები.

— **ბოლოს უნდა გკითხოთ მოსკოვის ვიზიტის ერთი დეტალის შესახებ. ეს პრესიდან შევიტყვეთ — თითქოს გენადი სელეზნიოვმა თქვენთან შეხვედრაზე 15 წუთით დაიგვიანა და ბოდიშიც არ მოიხადა ამის გამო.**

— სტატიის ავტორმა, რომელიც ეტყობა, ვითარებაში ვერ გაერკვა, ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა დაძაბულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რომ ჩვენ ყველაფერს ეჭვით ვუყურებთ და რუსებისგან ცუდს ველით. სინამდვილეში ქართულ დელეგაციას დააგვიანდა. ჩვენ დიდი კორტეჟი და პოლიციის მანქანა გვაცილებდა. მაგრამ მანქანა, რომელშიც დელეგაციის წევრები ისხდნენ, ჩამორჩა. კორტეჟის დაცვამ მსვლელობა არ შეაჩერა, ამიტომ ჩვენ დროულად მივედით შეხვედრაზე, ჩამორჩენილი მანქანა კი გვიან. პროტოკოლის სამსახურმა სელეზნიოვის თანაშემწეს აცნობა ამის შესახებ. მე, რამდენიმე დელეგატი და ჟურნალისტები მისაღებ ოთახში აღმოვჩნდით. როცა რუსებმა მკითხეს, როგორ მოვიქცეთო, დიალოგი დავიწყოთ-მეთქი და ნახევარ წუთში მიგვიღო კიდეც სელეზნიოვმა. უპატივცემულობა არ მიგრძნია, პირიქით, რუსები ხაზგასმული თავაზიანობით და პატივით გვეპყრობოდნენ. ღმერთმა ქნას, ასეთივე კორექტულები დასახული გეგმების განხორციელებაში იყვნენ. ნორმალური რუსეთისთვის გაცილებით ხელსაყრელია საქართველო ძლიერი და მის მიმართ კეთილგანწყობილი იყოს და მჯერა, ამას რუსეთშიც მალე მიხვდებიან.

# რუსული ფული აჭარაში...

## „ასლან აბაშიძე იძულებულია თავდაცვის ნებისმიერი საშუალება მოძებნოს“..



როგორც ჩანს, აჭარის ხელისუფლებას რუსეთის ბოლოდროინდელი გამოხდომების შემდეგ პრორუსობა არ ერცხვინება და ბათუმის რუსულ ბაზას ცივ ნიავს არ აკარებს. მოსკოვის მერს სარფი-ბათუმის მართლაც სარფიანი მონაკვეთი ჩაუგდია ხელთ და იქ ტურისტული კომპლექსის აშენებას აპირებს. აბაშიძე პოზიციის გამყარებას რუსების ფულით ცდილობს. „აღორძინების“ ლიდერის, **ჯემალ გოგიტიძის** პოზიცია კი შეიძლება პუტინის განცხადებების გამოძახილად აღვიქვათ:

— **ბატონო ჯემალ, ამბობენ, იური ლუჟკოვს ასლან აბაშიძემ ზღაპრულად უმასპინძლა და აჭარის სანაპიროს ყველაზე შემოსავლიანი მონაკვეთი დაუთმოო.**

— უკეთესი ის იქნებოდა, აჭარის სანაპირო დაგვენგრია და რუსები გველანძღა? ეს იქნებოდა პატრიოტიზმის გამოხატულება? დღეს, რაც საქართველოში ხდება, ისევ ქართველების ხელით კეთდება. დღეს აღარ ვდაობთ, რომ სამაჩაბლო და აფხაზეთი დავკარგეთ, პანკისის ცხელი წერტილი კი დაკონსერვებული პრობლემაა — ამაში დამნაშავე საქართველოს ხელისუფლება გახლავთ. დღეს, როცა საქართველოდან ხალხი გარბის, რუსეთმა 1 მლნ ჩვენი თანამემამულე შეიფარა, მოსკოვის მერიაში კი ერთ-ერთი უმთავრესი თანამდებობა ქართველს, სოსო ორჯონიკიძეს უჭირავს. რაკი რუსები ასე ცუდები არიან, მაშინ დავუძახოთ მილიონ ქართველს და დავტუქსოთ, — თქვე სამშობლოს მოღალატეებო, რუსეთში დოვლათს რატომ ქმნითო... რატომ გაუხდათ ქართველ კაცებს საქმე ისე, რომ რუსეთში წასულიყვნენ, ცოლები კი თურქეთში გაეშვათ?! ამაში დამნაშავე შევარდნაძის გარდა, ვინ არის?!

საქართველოს მტრობა არ არის, რომ თბილისში რუსეთს აგინებ, მოსკოვში ჩასულს კი მზე ჩრდილოეთიდან ამოგდის? ასლან აბაშიძეს არასდროს უკადრებია ასეთი რამ. არასოდეს უგინებია რუსები, რათა თურქებისა და ამერიკისთვის მეგობრობა დაემტკიცებინა.

როცა ლუჟკოვმა თბილისში პირველი გიმნაზიაააშენა, მაშინ რატომ არ გაუჩნდათ პატრიოტ ქართველებს პროტესტის გრძნობა? რატომ მიიღეს რუსებისგან ეს საჩუქარი, როცა თბილისში გაჰკიოდნენ, საქართველოს ხელისუფლება რუსებმა დაამხესო. რუსეთს თავისი მიზანი აქვს და იბრძვის მის განსახორციელებლად, საქართველოს ხელისუფლებას კი ერთი რამ აინტერესებს — ყველა მეთოდით დაიცვას თავისი სკამი.

— **ფაქტია, რომ ასლან აბაშიძე რუსულ ბაზას ვერ ელევა. არადა, რუსული ბაზებისგან არაერთი „სიკეთე“ გვახსოვს.**

— რუსული ბაზები მაშინ ყველგან იყო. იმ ბაზებიდან გატანილი იარაღით დაერივნენ ერთმანეთს ქართველები. ბათუმის ბაზიდან კი იარაღი არ გასულა. პრეზიდენტმა აფხაზეთის საკითხის მოგვარება ასლან აბაშიძეს ანდო, პარალელურად კი ყველას დაავალა, ჩაეშალათ შეხვედრები ბ-ნ ასლანსა და რუსეთის ხელისუფლებას შორის. საქმეში ჩაერთვნენ ვაჟა ლორთქიფანიძე, საქართველოს ელჩი ზურაბ აბაშიძე, ბადრი პატარკაციშვილი — ეს ხომ ქვეყნის მტრობისა და მოყვასის სიძულვილის უნიკალური მაგალითებია.

— **ეტყობა, „გაღმა შეედავეს“ პრინციპი ქართულ პოლიტიკაში მოდაშია. თქვენ აბრალებთ შევარდნაძეს, — სკამის ნებისმიერი მეთოდით შენარჩუნებას ცდილობსო, რუსების საშუალებით აბაშიძეც ხომ ინარჩუნებს ხელისუფლებას?**

— არ ვმალავთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არაერთხელ მოუმზადა ტერორისტული აქტი ბ-ნ ასლანს. ასლან აბაშიძე საქართველოს ხელისუფლებას ყელში ეჩხირება. ამიტომ იძულებულია, თავდაცვის ნებისმიერი საშუალება მოძებნოს. ამ შემთხვევაში, თუ რუსეთის ბაზა იცავს ბ-ნ ასლანს, მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ ამ კაცს ქართული საქმის კეთების საშუალებას აძლევენ. დღეს იმ ბაზაში 60% ადგილობრივი მკვიდრი მსახურობს.

— **მაგრამ ის მაინც რუსული ბაზაა?**

— თუ ვინმე ფიქრობს, რომ ბათუმიდან რუსული ბაზა უნდა გავიდეს და სხვა ქვეყნის შემოვიდეს, არასწორია. ჩექმა რომელი მოგხვდება, რა მნიშვნელობა აქვს?

— **ამბობენ, აჭარაში რუსული ფული იკიდებს ფეხს, რუსები ბათუმის სანაპიროზე ტერიტორიებს ყიდულობენო.**

— ძალიან კარგია, თუ რუსები აჭარაში დააბანდებენ ინვესტიციებს, ჩადოს საქართველოს ხელისუფლებამაც ინვესტიცია და არავინ დაუშლის. ჩვენ აშენებული ქალაქი გვინდა. საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა აჭარაში ტურიზმი განვითარდეს და შემოსავლები გაიზარდოს.

— **ითქვა, ასლან აბაშიძე რუსული ფულით აპირებს გაძლიერებას და პოლიტიკურ ოპონენტებთან დაპირისპირებასო.**

— დიახ, ასეა... როცა ბათუმი აშენდება, საქართველოს მოსახლეობა ეტყვის ჟვანიას, სააკაშვილს და სხვა მოლაქლაქე პოლიტიკოსებს, — მიუხედავად წნეხისა, აბაშიძემ შეძლო ამის აღმშენებლობა. თქვენ ინტრიგების ქსელში გახვიეთ საქართველო, ამიტომ ჩვენთვის უფრო მისაღები საქმის გამკეთებელი კაციაო.

— **მაპატიეთ, მაგრამ ასეთი განცხადება უფრო წინასაარჩევნოდ გამიზნული მგონია. სახელმწიფოებრივი ინტერესის გამო ასლან აბაშიძე არაერთხელ დამდგარა პრეზიდენტის გვერდით. ვარაუდობენ, რომ „მოქალაქეები“ და „აღორძინება“ არჩევნებში ერთიანი სიით გახვალთ.**

— ეს „აღორძინების“ წინააღმდეგ დაგეგმილი პიარია. თუ ვინმეს ჩვენგან წასვლა უნდა, მიბრძანდეს. „მოქალაქეებთან“ საერთო სიას ვერ ეღირსებიან. მაინტერესებს, როგორ შემიყვანენ „მოქალაქეების“ სიაში, „ბუქსირს“ ხომ არ ჩამაბამენ?!

ორი წლის წინანდელ მიტინგებს თუ გულისხმობთ, რომელზეც ხალხი შევარდნაძის გადადგომას ითხოვდა, გეთანხმებით, მაშინ შევარდნაძე ბათუმში ჩავიდა და გადარჩა. ჩვენ ვიმუშავეთ, მაგრამ შევარდნაძისთვის კი არა, იმისთვის, რომ სამოქალაქო ომი არ დაწყებულიყო და თბილისი ისევ არ დანგრეულიყო. ჩვენ ვიცოდით, რომ მაშინ შევარდნაძეს გამზადებული ჰყავდა პოლიცია, ჯარი და თვითმფრინავები... ქვეყანაში ომი იწყებოდა და ეს ომი 90-იანი წლების სამოქალაქო ომზე გაცილებით მძიმე იქნებოდა.

დღეს ჩვენ გული გვისკდება, პუტინმა ურცხვად უარყო შევარდნაძის ბრალდებებიო. პუტინი არ გასცემს შევარდნაძეს პასუხს, იმიტომ, რომ ღირსად არ მიაჩნია. პრეზიდენტმა თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში. ის აქ ჩვენთან ყელყელაობს და იწონებს თავს, თორემ რუსებთან ძალიან თვინიერი ხდება. მან არაერთხელ გაუგრძელა რუსების სამშვიდობოებს მანდატი და ისევ გაუგრძელებს.

თავის დროზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ არძინბას ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ახლობლებს პასპორტები მისცა. ამისთვის ჰამლეტ ჭიპაშვილი საკონსულო დეპარტამენტის ხელმძღვანელობიდან მოხსნეს. უპასპორტო აფხაზები იძულებულნი გახდნენ, მიმოსვლის საშუალება მოენახათ და რუსული პასპორტები აიღეს. რატომ ედავებიან ამ ხალხს?!

***მოამზადა***
***იზო რიკაძემ***

CMYK

# ამერიკელები არ გვღალატობენ და აგრძელებენ ახალი ქართული არმიის ეტალონის შექმნას

ძნელია იმასთან შეგუება, რომ შენი ქვეყნის ძლიერების გამომხატველი არმიის შექმნაზე გადამთიელები, უფრო სწორად, ოკეანისგაღმელები ზრუნავენ.

ქართველებს ამერიკელების დაუხმარებლადაც შეგვეძლო შეგვექმნა ნამდვილად ბრძოლისუნარიანი არმია, მით უმეტეს, რომ რეალური საბრძოლო მოქმედებების მონაწილეთა სიმცირეს არ განვიცდით.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, პირველ რიგში სწორედ ოკეანისგაღმელთა დამსახურება უფროა, რომ ჩვენთან „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა ხორციელდება. 1-ელ თებერვალს ამ პროგრამის მესამე „ბ“ ფაზა დაიწყო, ანუ თავდაცვის სამინისტროს „კომანდო“-ს ბატალიონის შემდეგ საველე წვრთნებში ეროვნული გვარდიის მე-16 სპეცდანიშნულების (სამთო) ბატალიონი ჩაერთო. უაღრესად საინტერესოა, რომ მუდმივი უწყებრივი კინკლაობის მიუხედავად, წვრთნას გვარდიელებთან ერთად 45 მესაზღვრე და შინაგანი ჯარების 35 სამხედრო მოსამსახურე შეუდგება („კომანდო“-ს ბატალიონთან ერთად შარშან მომზადება 36-მა მესაზღვრემ და შინაგანი ჯარების 39-მა მებრძოლმა გაიარა).

როგორც „კომანდო“-ს ბატალიონში, ისე ეროვნული გვარდიის მე-16 სპეცდანიშნულების ბატალიონში, სპეციალურ წვრთნას 400 მებრძოლი გაივლის, თუმცა ბატალიონის მთელი პირადი შემადგენლობა 552 კაცია, რომელშიც შედიან შტაბის და მართვის ოფიცრები და დამხმარე სპეციალობის მოსამსახურეებიც, ისინი კონტრაქტით მსახურობენ. სავარაუდოა, კონტრაქტით მომსახურეთა საერთო რიცხვი წლის ბოლომდე 3.440 კაცამდე მიაღწევს და ხუთი ბატალიონი მაინც მომზადდება. ანაზღაურების სახით ხელფასზე (დღემდე ამ ელიტარული ბატალიონის რიგითები სხვა ჯარისკაცებისგან განსხვავებით 32 ლარს იღებდნენ) ჯარისკაცს 380 ლარი დაემატება, ხოლო ბატალიონის მეთაურის ხელფასს (41.20 ლარი) კი 600 ლარი.


ოჯახის უფროსს პროფესიონალურ ქართულ არმიაში სიხარულით აცილებენ

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ მედალს ორი მხარე აქვს. იმავე თავდაცვის სამინისტროში უკვე შესამჩნევად იზრდება უკმაყოფილება, განსაკუთრებით უფროსი ოფიცრებისა (რომლებიც არ მონაწილეობენ ამერიკულ პროგრამაში) — როგორ, გუშინ მოსული ჯარისკაცი 400 ლარს იღებდეს და მე 150-170 ლარს მიხდიდნენო?

ეს ჯერაც ბოლომდე ჩამოუყალიბებელ ქართულ არმიას გახლეჩას უქადის, რადგან უკმაყოფილოთა რიცხვი ბევრად აღემატება „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობას. თუმცა თავდაცვის სამინისტროს ერთმა (შეიძლება ითქვას, თავისი საქმის კარგმა მცოდნემ) კადრის პოლკოვნიკმა საუბარში ასეთი რამეც გვითხრა, — რა თქმა უნდა, მწყინს, რომ ამ პროგრამის ჯარისკაცი ჩემზე მეტ ანაზღაურებას იღებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ერთადერთი სწორი გზაა ქართული არმიის პროფესიონალებით დასაკომპლექტებლად. არმიაში მხოლოდ პროფესიონალებმა უნდა იმსახურონ. ვისაც სურს, შეუერთდეს ამერიკულ პროგრამას, კეთილი ინებოს და მოემზადოს, დანარჩენები კი დაუბრუნდნენ სამოქალაქო საქმიანობასო.

მკითხველმა არ იფიქროს, რომ „წვრთნისა და აღჭურვის“ ამერიკულ-ქართული პროგრამა ქართული არმიის აღმშენებლობის პანაცეა იქნება. სამწუხაროდ, ამ პროგრამის პარალელურად, კიდევ გრძელდება კორუფციის საშინელი ტალღა თავდაცვის სამინისტროს (ისევე, როგორც სამხედრო ძალების სხვა სტრუქტურებში) მაღალ ეშელონებში. ამჟამად კორუფციონერი სამხედროები ყველაზე მეტად ითბობენ ხელს ყოფილი საბჭოთა სამხედრო ქალაქების „შიგნეულობის“ გაყიდვით. მართალია, სამიოდე წლის წინ თავდაცვის სამინისტრომ მიიღო ზედმეტი და არასაჭირო სამხედრო საკუთრების, ქონების მართვის სამინისტროს საშუალებით გაყიდვის უფლება, მაგრამ ქონების დიდი ნაწილის გაყიდვიდან შემოსული თანხა გენერალიტეტის ჯიბეში ხვდება. დღესდღეობით მათთვის ძალზე მომგებიანია ამ სამხედრო ქალაქების შენობების საშენ მასალებად გაყიდვა და ჯერ კიდევ გამოსადეგი რკინის ნაკეთობების (მათ შორის ცისტერნების, საქვაბეების, მილების და ა.შ.) ჯართში ჩაბარება. როგორც ამბობენ, მოგება ელიავას ბაზრობასთან არსებული ყოფილი კავშირგაბმულობის ბატალიონისა და მახათას მთაზე საჰაერო თავდაცვის ყოფილი ნაწილის (მერე კიდევ იტყვიან, რატომ ვერ ვიცავთ საქართველოს ცასო!) აგურებად დაშლით და ცისტერნების ჯართში ჩაბარებით, თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი წარმომადგენელი კარგ მოგებას ნახულობს.

სამწუხაროდ, ამას ის ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორებიც ყოველდღე ხედავენ, ვისაც ზოგიერთ ქართველ გენერალთან მუდმივი და ზოგჯერ მათთვის არასასურველი კავშირი უწევთ. მათ მშვენივრად იციან, რა ხდება ქართულ არმიაში, მაგრამ მაინც აგრძელებენ დახმარების პროგრამას, თუნდაც იმიტომ, რომ ამერიკას თავისი გლობალური ინტერესები გააჩნია კავკასიის რეგიონში.

# მეჩექმე ტერორისტის აღსარება

## მისი პატიმრობის ვადა... ერთი საუკუნით განისაზღვრა

გასულ კვირას ბოსტონის საოლქო სასამართლომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა 29 წლის რიჩარდ რეიდს, რომელიც ცდილობდა 11 სექტემბრის კამიკაძე-ტერორისტებისთვის მიებაძა.

2001 წლის 22 დეკემბერს პარიზიდან მაიამიში მიფრინავდა ლაინერი, რომელშიც 197 მგზავრი იჯდა. მოულოდნელად სალონში შეხლა-შემოხლა მოხდა... რამდენიმე მგზავრმა და ეკიპაჟის წევრმა საბედნიეროდ, დროულად გაკოჭეს ერთი პიროვნება, რომელიც თავისი თავის და, შესაბამისად, თვითმფრინავის აფეთქებას აპირებდა. მას ასაფეთქებელი მოწყობილობა ფეხსაცმელების სქელ ლანჩებში ჰქონდა ჩამონტაჟებული და ფითილის მოკიდებას აპირებდა, როდესაც ხელები გაუკავეს.


კამიკაძის ფეხსაცმელს სწორედ ასე შეიძლებოდა აეფეთქებინა სამგზავრო ლაინერი, ოღონდ ჰაერში, რაც საშინელ ტრაგედიას გამოიწვევდა

სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ ამერიკის აეროპორტებში თითქმის ყველა მგზავრს, რეგისტრაციის გავლისას, ფეხსაცმელებს ახდევინებენ, შიგ სპეციალურ ხსნარში ამოვლებულ ბამბას უსვამენ. თუ რეაქცია მოხდა, ეს ნიშნავს, რომ ფეხსაცმელების პატრონს რაღაც კავშირი აქვს ტრინიტროტოლუოლთან, ანუ ტროტილთან და მას დაკავება არ ასცდება.

ექვმიტანილმა რიჩარდ რეიდმა სასამართლოზე სრულად აღიარა დანაშაული და ღიმილით დაამატა, — მე მსოფლიოს პირველი ტერორისტის, უსამა ბინ ლადენის მიმდევარი ვარო.

ავიალაინერში ფეხსაცმელებში დამალული ბომბის შეტანა საკმაოდ არაორდინარულად მოჩანს და ანალოგი არ მოეპოვება. თუმცა „კვირის პალიტრა“ ГРУ-ს დივერსანტების მოსამზადებელი სახელმძღვანელოების ქექვისას ერთ საინტერესო ამბავს წააწყდა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ГРУ-ს ტექნიკურმა სამმართველომ ტერაქტებისა და დივერსიების ორიგინალური მეთოდი დაამუშავა. ფეხსაცმლის ან ჩექმის ქუსლში ჩამონტაჟებული იყო მიმართული აფეთქების ნაღმი, რომელიც საბჭოთა МОН-50 ან ამერიკული „კლეიმორის“ პრინციპით მოქმედებდა. ქუსლის ქვედა ნაწილში იდო МОН-50-იდან ამოღებული რკინის ბურთულების ორი შრე, ხოლო ქუსლის ზედა მხარეს კი პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერება. ქუსლში ჩამონტაჟებული ამფეთქიდან გამოსული კაპრონის წვრილი თასმა ფეხსაცმლის შესაკრავში იყო შენიღბული.


ფეხსაცმლის ქუსლში ჩამონტაჟებული მიმართული აფეთქების ნაღმებით ГРУ არასასურველი პირების ლიკვიდაციას აპირებდა

პოტენციურ მსხვერპლთან შეხვედრისას ГРУ-ს აგენტი მას იწვევდა სასაუბროდ. ისინი ერთმანეთის პირისპირ სხდებოდნენ. შუა საუბრისას დივერსანტი დანაღმულფეხსაცმლიან ფეხს, ვითომდა თასმის შესაკრავად, მაღლა სწევდა და ქუსლს მოსაუბრეს უმიზნებდა. კაპრონის თოკის გამოწევისთანავე ამოქმედდებოდა მინიატურული მექანიკური ამფეთქი, სახელწოდებით Карандаш-ი, რომელიც ნაღმს აფეთქებდა.


ხელმოცარული ტერორისტი-კამიკაძის რიჩარდ რეიდის დანაღმული ფეხსაცმელი პოლიგონზე გაიტანეს და იქ ააფეთქეს

მიმართული აფეთქებისას ასობით რკინის ბურთულა მოსაუბრეს სახეში და სხეულზე ხვდებოდა და კლავდა. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ბედი თავად დივერსანტსაც ელოდა: აფეთქების ტალღას ტერორისტი-კამიკაძის წვივის ძვალი თვალის დახამხამებაში „შეჰყავდა“ მკერდში, ზუსტად გულის ქვეშ.

ეს ფაქტიც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ დღეს ასე მომრავლებული საერთაშორისო ტერორისტები ძალზე ბევრს სწავლობდნენ და ახლაც სწავლობენ სპეცსამსახურებისგან. თავის დროზე ამერიკულმა და საბჭოთა სპეცსამსახურებმა ათასობით დივერსანტი მოამზადეს, რომლებმაც უსამა ბინ ლადენის ბანაკში გადაინაცვლეს.


# ფრთხილად! იმპოტენციას ერთი ნაბიჯი გაშორებთ!

ძლიერი სქესის წარმომადგენელთათვის კარგადაა ცნობილი დაავადება, რომელიც არა მარტო ფიზიოლოგიური უსიამოვნებების მიზეზი შეიძლება გახდეს, არამედ უხეშად ჩაერიოს ოჯახურ ან პირად ცხოვრებაში და თქვენი ბედნიერება სათუო გახადოს.

პროსტატიტი-მტერი! რომელიც ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მამაკაცს ემუქრება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიმდინარე წლის მონაცემთა მიხედვით, ყოველ მეხუთე მამაკაცს, 20-დან 60 წლამდე, წინამდებარე ჯირკვლის ანთების სიმპტომები აღმოაჩნდა. პროსტატიტის გამომწვევი ფაქტორები მრავალგვარია: მათ შორისაა გაცივება, ინფექცია, იმუნიტეტის დაქვეითება და სხვ. სამწუხაროდ წინამდებარე ჯირკვლის ანთება, პირველ დღეებში, ხშირად კი თვეებში არავითარ გარეგან გამოვლინებას არ იწვევს, ამიტომ ავადმყოფმა უბრალოდ არ იცის, რომ ავადაა. სწორედ ეს ხდება პროსტატიტის ქრონიკული ფორმის მიზეზი, რომელიც, როგორც ცნობილია ძალზე ძნელად ექვემდებარება მკურნალობას. დაავადების პირველი საშიში სიმპტომია პოტენციის უმნიშვნელო დაქვეითება, რაც ექიმთან პირველი ვიზიტის მიზეზი ხდება.

პროსტატიტის ქრონიკული ფორმის ყველაზე მძიმე შედეგია კეთილთვისებიანი სიმსივნის, ე.წ. წინამდებარე ჯირკვლის ადენომის წარმოქმნა, რამაც დროის განმავლობაში, შეიძლება ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა წარმოშვას.

არასწორად, ან არასრულად ნამკურნალევი პროსტატიტი ზემოთ ჩამოთვლილი გართულებების წინაპირობაა, რისგანაც თავის დაზღვევა დღეს რეალური და აუცილებელია.

სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ დანერგილია მკურნალობის კომპლექსური მეთოდიკა. ამგვარი პრობლემების მქონე პაციენტებისათვის ტარდება გამოკვლევა ქლამიდიოზზე, ექოსკოპია, ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, სისხლის მიმოქცევის შესწავლა და სხვ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ზუსტი დიაგნოზის დაფიქსირებისათვის, შეიძლება ჩატარდეს სპეციფიკური გამოკვლევა. ამის შემდგომ, პაციენტისათვის იქმნება მკურნალობის ინდივიდუალური სქემა, სადაც თანამედროვე სამკურნალო მეთოდებთან ერთად, გამოიყენება მკვდარი ზღვის უნიკალური ბიოორგანომინერალური პრეპარატები, რაც მკურნალობის ეფექტურობას მნიშვნელოვნად ზრდის. სწორედ ამიტომ, სამედიცინო ცენტრში „ექიმი გილი“ პროსტატიტის მკურნალობის დადებითი შედეგები 95%-ს აღწევს.

დროული მკურნალობა აგაცილებთ თავიდან მნიშვნელოვან გართულებებს, რომლებიც უფრო მძიმე დაავადებებს იწვევენ და მკურნალობის ხანგრძლივობას ზრდიან.

მათ, ვისაც დღეს პროსტატიტი უმნიშვნელოდ გაწუხებთ და იოლად უყურებთ ამ პრობლემას, გახსოვდეთ, რომ ტრაგედიას, რომელსაც იმპოტენცია ჰქვია, თქვენ მხოლოდ ერთი ნაბიჯი გაშორებთ.

სამედიცინო ცენტრი

„ექიმი გილი“

ტ: 29-05-25 25-27-09

ზ. ფალიაშვილის ქ. 44/5

R

# თავს არ მოიკლავს ქართველი ...

## რჩევა ავტომატთან თამაშის დაწყების წინ

ახალი წლის დაწყებას ახალი ტრაგედია მოჰყვა საქართველოს სამხედრო ძალებში. 26 იანვარს, საქართველოს შსს-ს შინაგანი ჯარების მუხროვანის სპეცდანიშნულების ბრიგადის რიგითი ჯონი არჩვაძე ტრაგიკულად დაიღუპა.

გამოძიების წინასწარი მონაცემებით, განწესში მდგარ ჯარისკაცს ავტომატი გაუვარდა და ტყვიები თავის არეში მოხვდა.

წყალტუბოს რაიონის სოფელ ტყაჩირში მცხოვრები ჯონი არჩვაძის ახლობლებისთვის ისევე, როგორც მისი თანამებრძოლებისთვის, ეს დიდი ტრაგედია იყო.

თვითმკვლელობით და იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად საქართველოს სამხედრო ძალებში ყოველწლიურად ათობით ჯარისკაცი იღუპება.



ჯარისკაცებს ოფიცრები ცეცხლსასროლ იარაღთან მოპყრობის წესებს ცუდად ასწავლიან

**ჩვენი დოსიე: მთავარი სამხედრო პროკურატურის მონაცემებით, 1997-2002 წლებში საქართველოს სამხედრო ძალებში რეგისტრირებულია თვითმკვლელობის 54 ფაქტი. მათგან 13 ოფიცერია და 41 — ჯარისკაცი. 38 ჩადენილია ცეცხლსასროლი იარაღით, 13-მა თავი ჩამოიხრჩო, 2-მა საწამლავი მიიღო, ხოლო 1 — სიმაღლიდან გადმოხტა. თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე აღძრულია 5 სისხლის სამართლის საქმე.**

რა თქმა უნდა, თვითმკვლელობები 1997 წლამდეც ხდებოდა, განსაკუთრებით კი აფხაზეთის ომის შემდეგ, რაშიც ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობდა „წაგებული ომის" სინდრომიც, მაგრამ თვითმკვლელობად შეფასებული ტრაგიკული შემთხვევების გარკვეული ნაწილი სწორედ იარაღის არასწორი ხმარების გამო მოხვდა გამოძიების ნუსხაში. გამომძიებელს ზოგჯერ მართლაც ტიტანური შრომა სჭირდება, რათა ბალისტიკური გამოკვლევებისა და ფაქტების ანალიზით საბოლოოდ დაადგინოს, რას ჰქონდა ადგილი — თვითმკვლელობას თუ იარაღთან არასწორ მოპყრობას.

თეთრი პლასტმასის ფუჭ ტყვიებს არაერთი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეძლო შეენარჩუნებინა



რიგითი არჩვაძე, ეტყობა, იარაღთან გაუფრთხილებელი მოპყრობის გამო დაიღუპა. ამაში დამნაშავე, უპირველესად, ის მეთაურები არიან, რომლებმაც ჯარისკაცს სათანადოდ ვერ შეასწავლეს ავტომატის ხმარება.

იარაღთან გაუფრთხილებლად მოპყრობის შედეგად ჯარისკაცები არა მარტო ქართულ ჯარში იღუპებიან, არამედ სხვა ქვეყნების არმიებშიც. თუმცა ასეთი ტრაგიკული ფაქტების რიცხვი მკვეთრად იკლებს იმ დანაყოფებში, სადაც დისციპლინა საჭირო დონეზე დგას.

**ჩვენი დოსიე: რიგითი არჩვაძის დაღუპვა შინაგანი ჯარებისთვის, სამწუხაროდ, პირველი ფაქტი არ ყოფილა. 1999 წლის 23 მაისს შინაგანი ჯარების რიგითმა მანუჩარ ქომეთიანმა მასზე რიცხული ავტომატით სოფიკო სამათაშია მოკლა და ერთი კვირის შემდეგ თავი მოიკლა. ცხრა დღე გავიდა და მუხროვანის ბრიგადის რიგითმა გიორგი შოშიაშვილმა გულში იკრა ტყვია. იმავე წლის 23 ივნისს, იმავე მუხროვანის სპეცდანიშნულების ბრიგადაში ნანახი იქნა ვლადიმირ მიახკოვის გვამი, რომელსაც მკერდის არეში ჰქონდა ნასროლი. 2000 წლის 9 აპრილს თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიის საგუშაგოზე ავტომატის გასროლით სასიკვდილო ჭრილობა მიიღო განწესში მყოფმა შინაგანი ჯარების რიგითმა ვუსად ალიევმა. მანამდე ორი დღით ადრე დაიღუპა ასევე შინაგანი ჯარების რიგითი შამილ ჰუსეინოვი. 29 მაისს კი შინაგანი ჯარების პირველი ოპერატიული ბრიგადის ჯარისკაცმა შახინ ანვარ ოღლი ზამანოვმა თვითმკვლელობის მიზნით დალია ფოსფორგენული ტოქსიკური ნივთიერება და გარდაიცვალა. 2001 წლის 11 ივლისს მუხროვანის ბრიგადის რიგითმა ტარიელ სამხარაძემ მასზე გაპიროვნებული ავტომატით დაიჭრა თავი და მიღებული ჭრილობისგან გარდაიცვალა. 9 სექტემბერს სასაწყობო მეურნეობის ტერიტორიის დაცვის პერიმეტრზე აღმოჩენილ იქნა რიგითი გოდერძი ჩალათაშვილის გვამი. 2002 წლის 16 მაისს, ახმეტაში მყოფმა შინაგანი ჯარების ოფიცერმა, მაიორმა მალხაზ ჩანადირმა „მაკაროვის" ტაბელური იარაღით მოიკლა თავი.**

ასეთია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შინაგან ჯარებში მომხდარ თვითმკვლელობათა სია, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ტრაგედიების რიცხვი არანაკლებია თავდაცვის სამინისტროსა თუ სასაზღვრო ძალებში.

ყველა ამ საშინელი შემთხვევის მარტო თვითმკვლელობად შეფასება არ იქნებოდა სწორი, რადგან გარკვეული წილი სწორედ იარაღთან გაუფრთხილებელ მოპყრობას მოჰყვება.

არადა რიგითი ჯარისკაცის ტაბელური იარაღი ხომ მხოლოდ „კალაშნიკოვის" სისტემის ავტომატია (გარდა იმ მცირე გამონაკლისისა, ვისაც სნაიპერული შაშხანა, ტყვიამფრქვევი თუ ყუმბარსატყორცნი ეძლევა); მასთან უსაფრთხო მოპყრობის წესების ათვისებას ნამდვილად არ უნდა სჭირდებოდეს ჯარში სამსახურის მთელი პერიოდი.

### რჩევა

ამ სტატიის ავტორს გააჩნია გარკვეული მოსაზრება, თუ როგორ უნდა შემცირდეს მშვიდობიან პერიოდში უცაბედი გასროლების შედეგად ჯარისკაცების მსხვერპლი.

ჩვენდა სამწუხაროდ, იარაღთან თამაში ბევრს უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალზე სახიფათოა. ამიტომაც, იქნებ, საგუშაგოზე გასული სამხედროს ავტომატში პირველი ვაზნა საბრძოლო კი არა, ფუჭი ჩაგვედო. ამით, რა თქმა უნდა, იკლებს საბრძოლო მზადყოფნა, მით უმეტეს, თუკი საგუშაგოზე თავდამსხმელმაც იცის, რომ გუშაგ ჯარისკაცს პირველი ვაზნა ფუჭი აქვს და მას ვერაფერს დააკლებს, მაგრამ, მეორე მხრივ, საყარაულო წესდების თანახმად, სიტყვიერი გაფრთხილების შემდეგ გუშაგმა პირველად მაინც ჰაერში უნდა გაისროლოს და მხოლოდ ამის შემდეგ მიბრუნდეს თავდამსხმელისკენ. თუკი ავტომატის მჭიდში პირველი ვაზნა ფუჭი ჩაიდება და ეს კანონი ყველა გუშაგზე გავრცელდება, მაშინ იარაღის გაუფრთხილებელი მოპყრობით დაღუპულთა რიცხვი მკვეთრად შემცირდება. ფუჭი ვაზნის ხმა მაინც დააფრთხობს თავდამსხმელს, ხოლო მისი შემთხვევითი გასროლის და მოხვედრისას ჯარისკაცს რჩება შანსი, რომ ცოცხალი გადარჩეს (მიუხედავად იმისა, რომ ფუჭი ვაზნის გასროლისას, ლულიდან პლასტმასის ტყვია გამოისროლება, რომელიც ჰაერში მალევე იშლება, ავტომატის ლულის თავზე ან ტანზე მიბრჯენისას თვით ფუჭმა ტყვიამაც შეიძლება სასიკვდილო ჭრილობა მიაყენოს ადამიანს).

ამასთან, ერთი ფუჭი ტყვიის გასროლის შემდეგ ავტომატი ხელახლა არ გადაიტენება, რაც გამორიცხავს ავტომატური ჯერის შემთხვევით გასროლას და თავის დაზიანებას. ამ შემთხვევაში საჭიროა ავტომატის ხელახალი დატენა (სამხედრო „პოკაზუხების" დროს ფუჭი ტყვიების ჯერს ისვრიან, რადგან ავტომატს ლულის ბოლოში სპეციალურ სამაგრს უყენებენ), რამაც შეიძლება საგუშაგოზე თავდამსხმელს დამატებით ერთი წამი მისცეს, მაგრამ სრულიად გამორიცხავს, რომ საგუშაგოზე მოწყენილმა ჯარისკაცმა „კალაშნიკოვით" თამაშისას ავტომატური ჯერით შემთხვევით მოიკლას თავი (თვითმკვლელებს, სამწუხაროდ, ვერც ეს მეთოდი უშველის, რადგან ისინი ფუჭ ტყვიას გადააგდებენ).

ჩვენი წინადადება ბოლო დროს იმიტომაც ხდება ძალზე აქტუალური და სასიცოცხლო (პირდაპირი გაგებით), რომ ძალით გაწვეულ ახალგაზრდათა უმრავლესობა ცუდად ერკვევა არათუ ტანკის ხელსაწყოებში, არამედ ნახევარსაუკუნოვანი „კალაშნიკოვის" მარტივ კონსტრუქციაშიც.

# მრავალდანიშნულების „იარაღი", რომელიც მუდამ ხელთ უნდა „გქონდეს"

საბჭოთა ხელისუფლების დროს თითქმის ყველაფერს ჩქმალავდნენ. საბჭოთა არმიას ორი ყველაზე დიდი საიდუმლო ჰქონდა, რომლებსაც რატომღაც, თითქმის ერთნაირი დაშიფვრა გააჩნდა და დოკუმენტებში ასე მოიხსენიებოდნენ — Изделие 2 და Изделие №2 . დიდი წვალებისა და მცდელობის შედეგად პირველი გავშიფრეთ. თურმე „ნაკეთობა 2"-ის ქვეშ თავისი დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული საბჭოთა გამანადგურებელი თვითმფრინავი — МиГ-23 „იმალებოდა". „ნაკეთობა №2" კი... პრეზერვატივს ერქვა!

თითქოს რა უნდა ჰქონდეს „ნაკეთობა №2"-ს საერთო სამხედრო საქმესთან, მაგრამ ნურას უკაცრავად, სპეცდანიშნულების დივერსიული რაზმები მას თურმე ძალზე ინტენსიურად იყენებენ და თანაც არატრადიციული დანიშნულებით.

ეს ქართველმა მებრძოლებმა თავადაც ისწავლეს აფხაზეთის ომში. ჩვენს სადაზვერვო ასეულს ГРУ-ს თადარიგის რუსმა პოლკოვნიკმა (მის გვარს ჯერ არ ვასახელებთ) პრაქტიკულად უჩვენა „ნაკეთობა №2"-ის გამოყენების ხერხი მდ. გუმისთაზე გამავალი ფრონტის ხაზის გადაკვეთისას.

მზვერავები, ბუნებრივია, მდინარეების გადალახვისას ხიდებით არ სარგებლობენ და წყალში ფონს ეძებენ. ამ დროს წყალმა შეიძლება დაასველოს და დააზიანოს როგორც იარაღი, ისე ტყვია-წამალი და მოწინააღმდეგის ნაპირზე გადასული მზვერავი, ფაქტობრივად, ხელცარიელი დატოვოს.

სწორედ ასეთ შემთხვევაში „ნაკეთობა №2"-ის არატრადიციული გამოყენების პირველი მეთოდი „ამუშავდება" — წყალში შესვლამდე მზვერავები პისტოლეტსა და ავტომატს „ნაკეთობა №2"-ს წამოაცვამენ და ბოლოს გაუნასკვავენ. იარაღი ჰერმეტულადაა დაცული და წყლის აღარ ეშინია. ოღონდ აუცილებელია საუკეთესო და დიდგაბარიტიანი „ნაკეთობა №2"-ის შერჩევა, რადგან იგი „მაკაროვის" პისტოლეტს იოლად ერგება, „კალაშნიკოვის" მოკლელულიან ავტომატს კი ფრთხილად უნდა გაუკეთდეს, რომ არ გაიხეს.

არატრადიციული გამოყენების მეორე მეთოდი ითვალისწინებს მასში ვაზნებიანი მჭიდების ან კოლოფების ჩაწყობას. ამ შემთხვევაშიც ჰერმეტულობა გარანტირებულია.

მესამე და არანაკლებ საჭირო მეთოდი ამგვარია: აირწინაღის ნაჭრის ჩანთაში ათავსებენ „ნაკეთობა №2"-ს და მას სასმელი წყლით ან სპირტით ავსებენ. „ნაკეთობა №2"-ის კონკრეტული მოდელის მიხედვით მასში რამდენიმე ლ წყალი ეტევა, რომელიც ჯარისკაცს უდაბნოში ბრძოლების დროს გამოადგება.

მეოთხე მეთოდი უშუალოდ უკავშირდება მებრძოლის სიცოცხლეს. თუკი ბრძოლისას ჯარისკაცი დაიჭრა და მას თან არა აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების პაკეტი, შეიძლება „ნაკეთობა №2"-ის რეზინის რგოლი ერთგვარ „ჟგუტად" გამოიყენოს და სისხლდენა შეიჩეროს.

„ნაკეთობა №2"-ის გამოყენების ამ არატრადიციულ მეთოდებს ხშირად მიმართავენ სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლები, რომელთა სიცოცხლე არაერთხელ გადაურჩენია.

„ნაკეთობა №2"-ს არანაკლები როლი ენიჭება ინდივიდუალური თავდაცვის სხვა საშუალებათა, თუნდაც ჯავშანჟილეტთან და მუზარადთან შედარებით.

1944 წელს საბჭოთა არმიამ უკრაინიდან და ბელორუსიიდან გერმანელებს უკან დაახევინა. სტალინს მოახსენეს, საბჭოთა დივიზიების პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა ბრძოლის უნარი დაკარგაო. ეს გერმანელთა დაზვერვამაც შეიტყო. ჰიტლერი უკვე კონტრიერიშზე გადმოსვლას აპირებდა, როდესაც ლავრენტი ბერიას გამომძიებლებმა „პრობლემის" სათავეს მიაგნეს — ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი ქალები მხსნელ საბჭოთა ჯარისკაცებს უარს არაფერზე ეუბნებოდნენ, არადა მანამდე იმავეს, ოღონდ შეიძლება ხან ძალით, ხანაც ერთი ქილა კონსერვის საფასურად აკეთებდნენ ვერმახტის ჯარისკაცებთანაც, რომელთაგან ბევრი საფრანგეთში მდგარი გერმანული ნაწილებიდან იყო გადმოსროლილი.

ვენერიული დაავადებებით დასნებოვნებულ საბჭოთა ჯარისკაცებს ჰოსპიტლებში სასწრაფო სპეციალური მკურნალობის კურსი ჩაუტარეს, ხოლო დანარჩენების დასაცავად საბჭოთა კავშირმა ამერიკიდან „ლენდლიზით", ტანკებთან და თვითმფრინავებთან ერთად, „ნაკეთობა №2"-ის დიდი პარტია შემოიტანა და შეტევაზე გადასულ საბჭოთა არმიის მეომრებს დაურიგა — გერმანია ჯერ კიდევ ასაღები იყო.

# „მფრინავი ძროხის" ჩამომგდებები დაიჭირეს?



ეს რუსული Ми-26 ჩეჩნების ნასროლი Игла-ს მოხვედრის შედეგად მიწას 10 წამში დაენარცხება და ორ წუთში რუსეთის არმია მთელ ასეულს დაკარგავს.

მკითხველს შევახსენებთ, რომ 2002 წლის 19 აგვისტოს გროზნოსთან, ხანკალის აეროდრომზე (სადაც ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ძალების მთავარი შტაბია განთავსებული) დაშვებისას ჩეჩენმა მეზენიტემ ერთი რაკეტით ჩამოაგდო მსოფლიოში უდიდესი სერიული სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი Ми-26. ამ დივერსიულ აქტს 118-124 რუსი სამხედრო შეეწირა (დაღუპულთა ზუსტი ციფრი იმიტომაც არ არსებობს, რომ შვეულმფრენის მგზავრთა აღრიცხვა არ მიმდინარეობდა).

საინტერესოა, რომ ჩეჩენმა დივერსანტებმა ვიდეოკამერით გადაიღეს „მფრინავი ძროხის" (ასე ეძახიან „მოფერებით" Ми-26-ს) ჩამოგდების პროცესი, რათა ფირი უფროსებისთვის წარედგინათ და მნიშვნელოვანი საზღაურიც მიეღოთ.

ჩეჩენმა საველე მეთაურებმა კი ეს კადრები მსოფლიოს ტელეარხებს გადასცეს, რითაც მეორე კურდღელიც დაიჭირეს — მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენეს კრემლს საინფორმაციო ომის ფრონტზე.

ერთ წუთში მთელი ასეულის დაღუპვით განრისხებული პუტინის ბრძანებით მოხსნეს სახმელეთო ჯარების ავიაციის სარდალი გენერალი პავლოვი, ხოლო ეს სტრუქტურა სამხედრო-საჰაერო ძალებს შეუერთეს. სხვათა შორის, ამ ნაჩქარევი გადაწყვეტილებით რუსეთის სამხედრო ავიაციამ შეიძლება ბევრად უფრო მეტი დაკარგოს მომავალში, ვიდრე იმ ერთი შვეულმფრენის ჩამოგდებით, რადგან სახმელეთო ჯარები საჭირო საავიაციო მხარდაჭერის გარეშე რჩებიან.

თუმცა ეს რუსი გენერლების თავში სახლელია, მათმა ФСБ-ელმა და ГРУ-ელმა „საიდუმლო" კოლეგებმა კი გასულ კვირას ოთხი ჩეჩენი „გასკვანჩეს", რომლებსაც უშუალოდ ბრალდებათ რუსული „მფრინავი ძროხის" ჩამოგდება.

შურისძიებით გამსჭვალულმა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა თავის ქვეშევრდომებს დაავალა, სასწრაფოდ გაეგოთ, როგორ შეიძლებოდა მოხვედრილიყო ეს საზენიტო რაკეტა ჩეჩნების ხელში. როგორც რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, გამოძიებამ გასროლის ადგილზე აღმოჩენილი ცარიელი გასაშვები მილის მარკირებით დაადგინა, რომ ამ გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის ИГЛА-ს რაკეტა ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში იყო გამოშვებული და ამ პარტიის რაკეტები შეიარაღებაში ჰქონდათ როგორც ამიერკავკასიის, ისე კარპატისპირეთის სამხედრო ოლქებს.

ძნელი სათქმელია, როგორ მოხვდა ჩეჩნების ხელში Игла, მაგრამ ერთი რამ ნათელია, ის რუსი სამხედროების გაყიდულია და სავარაუდოა, ЗакВО-ს „შვილობილი" ГРВЗ-ს ერთ-ერთი სამხედრო საწყობიდან.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

*მაინც მოახერხა ორიდან ერთმა დამ და ბანდიტებს დაუძვრა. ისე მარჯვედ გააღო სახლის უკანა ეზოში გამავალი კარი და ისეთი სისწრაფით გაქანდა სიმინდის ყანისკენ, რომლის მეორე ბოლო ბიძაშვილის სახლთან მთავრდებოდა, რომ ორმა საერთოდ ვერ გაიგო რა მოხდა. მესამე კი აი, ის, რაღაც უცნაური რევოლვერით რომ იმუქრებოდა, უმალ მოეგო გონს და გაქცეულს გამოუდგა. ქალის შემზარავი კივილი, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველმა სწორედ ბიძაშვილის ჯალაბობამ შეიტყო და ვიდრე მდევარი მისწვდებოდა გაქცეულს, ომარმა სანადირო თოფიც ჩამოხსნა და უმწეო ნათესავის მისაშველებლად გავარდა.*

*გულამოვარდნილ ქალს კვალში ჩასდგომოდა ბანდიტი და ახლა ორივენი სიმინდის ყანაში გარბოდნენ.*

*— შეჩერდი, თორემ გესვრი! — ტყვიასავით ცივი იყო ზურგიდან დადევნებული ხმა. სამაგიეროდ, რა შვების მომგვრელია ყანის ბოლოდან შეძახილი — არ გაბედო, თორემ მოგკლავ! ეს ომარი იყო, ქალის საშველად რომ გამორბოდა. წამიც და ყურს თითქმის ერთდროულად მისწვდა რევოლვერისა და თოფის გასროლის ხმა. ქალი მოცელილივით გაერთხა მიწას. მომხდარით შეცბუნებული ბანდიტი უკან, იმ სახლისკენ გაიქცა, სადაც მისი ორი თანამოსაქმე მოკლულის დას დაუთოებით ემუქრებოდა, თუ ფულის სამალავს არ გვაჩვენებო. სახლში შესულმა, ბრაზისაგან ერთიანად აცახცახებულმა ნაგანის ტყვია იქვე მდგარ ყვავილის ქოთანს დაახალა და მჭახე ხმით გასძახა თავისიანებს — შემომაკვდა ის შობელძაღლი, ახლავე უნდა გავეცალოთ აქაურობას, თორემ ცოტა ხანში მთელი სოფელი დადგება ფეხზე.*

*სექტემბრის დილა ნელ-ნელა იკრებდა ძალას. ქვეყანა ეროვნულ ძალთა აზვირთების მოლოდინში გარინდულიყო.*

მილიციაში მხოლოდ მორიგე დაუხვდა მერაბს. ყველანი მკვლელობის ადგილზე გაკრეფილიყვნენ.

— ბედი არ გინდა, პირველივე სამუშაო დღეს მკვლელობა ბანდიტიზმით. ვერაფერს იტყვი. არაა სახარბიელო დასაწყისი — გაიფიქრა თავისთვის და თვითონაც იქით გასწია. მხოლოდ ადგილობრივი მილიცია კი არა, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თითქმის ნახევარი იქ იყო.

— გამოვცხადდი, ბატონო ანზორ. როგორც იცით, სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით ჯგუფის ხელმძღვანელად დამნიშნეს, — მოახსენა მილიციის უფროსს.

ანზორ წოწონავამ საკაცეზე დასვენებულ ქალის გვამს გახედა და მერაბს მიუბრუნდა.

— გაგრელი კოლეგები მეტისმეტად გაქებდნენ. არადა, ცუდი ფეხი გქონია. თუმცა, შენ რა შუაში ხარ, არ გეწყინოს, უბრალოდ წამომცდა.

— ჰო, მაგრამ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ეს ტრაგედია მე მოვიყოლე და რაკი ასე ვფიქრობ, პირობას გაძლევთ, ამ მკვლელობას გავხსნი და თანაც ძალიან მალე.

— შენს პირს შაქარი, მაგრამ ჯერ აქაურობას არ იცნობ. ამას დრო დასჭირდება.

— დამიჯერე, ანზორ, რაკი თქვა, გააკეთებს კიდეც და თანაც ბევრად უფრო ადრე, ვიდრე აქაურობას გაიცნობდეს, — დარწმუნებით უთხრა ანზორს მინისტრის მოადგილემ ნარმანიამ და მერაბს თვალი ჩაუკრა, ანიშნა, — აბა, შენ იცი, არ გამაწბილოო.

ყველანი სახლში შევიდნენ, სადაც ის იყო მოესულიერებინათ გადარჩენილი მეორე და, რომელიც ცხელი უთოსაგან ტყუპისცალის სიკვდილმა იხსნა. მერაბი კი სიმინდის ყანაში დარჩა ერთ ადგილობრივ მილიციელთან ერთად.

— გამთენიისას დასხმიან თავს. სახლში ორი ხანდაზმული შინაბერა და ცხოვრობდა. სომხები არიან. ვიცით, ბევრი ფული გაქვთ და მოგვეცითო, მაგრამ ესენი გაჯიუტებულან და როცა იმათ უთო ჩაურთავთ გამოსატეხად, ერთ-ერთი გაქცეულა, ბანდიტებს კი უსვრიათ და მოუკლავთ. საცოდავს ბიძაშვილი წამოშველებია თოფით, იმასაც უსვრია, მაგრამ ამათ გაქცევა მოუსწრიათ.

— რამდენნი იყვნენ, თუ იცით?

— მგონი, სამნი. რა იმხელა ფული უნდა ჰქონოდათ, მასწავლებლები იყვნენ, საქმოსნები ხომ არა, — ჰყვებოდა მილიციელი.

ამასობაში კი მერაბმა რაღაც იყნოსა და მილიციელს ჩაჰკითხა, — მაშ, შენ ამბობ, რომ ქალს ამ ადგილზე ესროლეს?

— აგერ, აქ ეგდო გვამი, ესე იგი, აქ ესროლეს.

უკვე გამხმარ, ასაღებად გამზადებულ სიმინდის ღეროებს რამდენიმე ადგილას ნასროლი კარტეჩის კვალი ეტყობოდა.

— სად არის ახლა ის ბიძაშვილი, მოკლულის დასაცავად რომ მოიჩქაროდა? — კვლავ ჰკითხა მილიციელს.

— სახლშია და გარეთ არ გამოდის, — ეს რა დამემართა, ნათესავი თვალწინ მომიკლეს და ვერაფერი ვუშველე, ხალხში თავი არ გამომეყოფაო.

— მივიდეთ აბა და სამძიმარი ვუთხრათ, — შესთავაზა მერაბმა.

— მკვლელი გამექცა, მკვლელი, — მოთქვამდა ომარი და თავში იშენდა ხელებს, — რაღა კაცი ვარ დღეიდან, სად გავამხილო, რომ ბიძაშვილის მკვლელი ცოცხალი გავუშვი.

— ომარ, — მხარზე ხელი დაადო მერაბმა, — ჯერჯერობით, ჩვენ ორმა ვიცით ვინცაა მკვლელი, მაგრამ დამიჯერე, შენ ამაზე პასუხს არ აგებ, კანონი ამას ითვალისწინებს. წამოდი ახლა ჩემთან და ყველაფერი ისე დაწერე, როგორც იყო. დამიჯერე ასე სჯობია, თორემ მთელი სიცოცხლე დაიტანჯები. ნუ გეშინია, შენ იმის მოკვლა არ გინდოდა, ამას ყველა დაიჯერებს.

გაოგნებული ომარი ნელ-ნელა გამოერკვა, მერე აცახცახებული მარჯვენა ხელით მერაბს მოეხვია და კიდევ უფრო სულისშემძვრელად აქვითინდა. პირდაღებული მილიციელი კი ხან ერთს შეჰყურებდა, ხან — მეორეს. მას ჯერაც ვერ გაერკვია, რას ნიშნავდა ყველაფერი ეს.

ნარმანია და წოწონავა კვლავაც გადარჩენილი ქალის გამოკითხვით იყვნენ დაკავებული.

— თქვენ გარკვევით გაიგონეთ რევოლვერიანის სიტყვები?

— კი, ბატონო. სახლში რომ შემოიჭრა, ხმამაღლა შეიგინა, — ქალი შემომაკვდაო და აი, იმ საყვავილეს დაახალა ტყვია.

— მაშასადამე, ვიცით, რომ მკვლელი ერთ-ერთი იმათგანია, მაგრამ ვინ არიან ისინი?! როცა დავიჭერთ, ბანდიტობაც და მკვლელობაც ერთად გაიხსნება... — თავისთვის ჩაილაპარაკა წოწონავამ.

— მკვლელობა უკვე გახსნილია, ბატონო ანზორ, ბანდიტებიღა გვრჩება ჯერჯერობით, მაგრამ მაგათაც ვიპოვით, — ჯიქურ შეხედა მერაბმა თვალებში თავის ახალ უფროსს.

# შენდობას ფულით ვერ იყიდი, ის უნდა გიბოძონ...

— როგორ თუ გახსნილია, ვერაფერი გავიგე.

— ბანდიტის ტყვიას არ მოუკლავს ის ქალბატონი, მისი ბიძაშვილისგან თავდამსხმელის შესაშინებლად ნასროლმა კარტეჩმა შეიწირა საბრალო და იმედი მაქვს, ექსპერტიზაც იმავეს დაადასტურებს, — თქვა მერაბმა და მინისტრის მოადგილეს გადახედა.

ახლა საშური იყო, თვითონ ბანდიტების კვალში ჩადგომა. მაგრამ დაღუპული ქალის დაკრძალვის დღემდე საქმე ადგილიდან არ დაძრულა. დაკრძალვის წინა დღეს გარდაცვლილის მესამე, გათხოვილი და ჩამოვიდა მოსკოვიდან თავის სიძესთან, ქალიშვილის ქმართან ერთად და ყინულიც ოდნავ დაიძრა.

— ბიჭოს! ეს ხომ ვოვა აკოპოვია. ქურდი და მამაძაღლი, არ გახსოვთ, ძლივს მოვიშორეთ, მერე მოსკოვში გადაიხვეწა და ნარკოტიკზე დაჯდა. თუ ამათი ნათესავია, დარწმუნებული ვარ, ეს საქმე მაგისი გაყიდულია, თქვა ნუგზარ ქობალავამ.

— ისეთი გარეწარია, ყველაფერს იკადრებს. მაგრამ ასე ჰაიჰარად არ ივარგებს ბრალის დადება. უნდა დაველაპარაკოთ, მანამდე კი უნდა ვუთვალთვალოთ. ვნახოთ, ვის შეხვდება, რა მიზანი აქვს. მეეჭვება, აქ მხოლოდ მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად ჩამოსულიყოს. მერაბ რაფავას მიენდეთ, გამოცდილი მაძებარია და იღბალიც არასდროს ღალატობს, — თავისიანებს გადაულაპარაკა ქარდავამ და იქაურობას გაერიდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, იმავე საღამოს აწრიალდა აკოპოვი.



— აბა, ბიჭებო, ნარკოტიკი შემოელია და ეძებს, ოღონდ მანამდე არ უნდა ვახლოთ ხელი, ვიდრე არ იშოვის. მერე კი დაკავების საფუძველიც გვექნება და ყურსაც ავუწევთ, — თქვა მერაბმა.

ვოვა აკოპოვმა იმდენი ისუნსულა, როგორც იქნა, ბარიგას მიაგნო და ის იყო, წამალიც ჯიბეში დაიგულა, რომ მოულოდნელად სამი კუნთმაგარი მილიციელი დაადგა თავს და ბარიგასთან ერთად მილიციაში მიაბრძანეს.

— ვოვა, შენ აქ მარტო იმისთვის არ ჩამოსულხარ, ქალის დასაფლავებას რომ დასწრებოდი. შენისთანებს ასეთ დროს ჩვეულებრივ ორ კურდღელზე ნადირობენ ხოლმე. თუ არ გაგვაწვალებ და ყველაფერს გვიამბობ, ჩვენც უეჭველად შეგეშველებით, არადა, შენს დასაჭერად ისიც კმარა, ჯიბეში რომ ნარკოტიკი გიდევს, აჯობებს კაცურად ვილაპარაკოთ.

— ბიჭებო, ოღონდ არ მცემოთ და ყველაფერს გეტყვით, მაგრამ უნდა დამიჯეროთ. ვინმემ რომ ხელი დამარტყას, აქვე მოვკვდები. ჩემი ღვიძლი ისეთ დღეშია, კაცმა არ იცის, დღეს გასკდება თუ ხვალ.

— არავინ აპირებს შენს ცემას. ცემა რად გინდა, ისედაც გეტყობა, ძლივს გიდგას სული, მაგრამ იცოდე, თუ სიმართლეს არ იტყვი, ჩვენს მოქმედებაზე პასუხს არ ვაგებთ, — მომენტით ისარგებლა მერაბმა და აკოპოვის აღსარების მოსასმენად მოემზადა.

— სიმართლეს ვამბობ. ამ საქმის მონაწილე არ ვარ, მაგრამ ნაკოლი კი მივეცი ორ ბიჭს. ერთი მათგანი სომეხია სოფელ განახლებიდან და აეროპორტში მებარგულად მუშაობს. მეორეს არ ვიცნობ. იმ ჩემი ნაცნობი სომხის ძმაკაცია და მგონი, დრანდაში უნდა ცხოვრობდეს. ვუთხარი, ოქროული რომ ჰქონდათ შინაბერებს, მაგრამ კატეგორიულად გავაფრთხილე, რომც არ გამოაჩინონ, არ მოკლათ-მეთქი. როგორც კი ჩამოვედი, ორივე ვნახე და საქმეც გავურჩიე — რატომ მოკალით-მეთქი, მაგრამ დამარწმუნეს, ვიღაცამ დაგვასწრო და ამ საქმიდან არაფერი გვიხეირიაო.

იმ ღამით მერაბი და ნუგზარი განახლებელი სომხის სახლის მეორე სართულზე კიბით აძვრნენ და შუაღამე იქნებოდა, ავეტიკ მკრტიჩიანს რომ დაადგნენ თავზე. მკრტიჩიანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ღმერთი, რჯული, გაძარცვას კი ვუპირებდით, მაგრამ ვიღაცამ დაგვასწრო და კიდევ კარგი, ასე რომ მოხდაო.



დრანდელიც ნახეს და მანაც იგივე გაიმეორა.

— ორი კაცი ვერ გაბედავდით ამ საქმეზე წასვლას. უეჭველია, კიდევ ვიღაცების იმედი გქონდათ, — თვალი თვალში გაუყარა გამომძიებელმა ავეტიკს.

— ორი რათა, ხუთი კაცი ვგეგმავდით ამ საქმეს, მაგრამ გეუბნებით, ვიღაცამ დაგვასწრო-მეთქი. გინდა დამკალი, სიმართლე ესაა და სხვა რა ვქნა, არ ვიცი. დამიჯერე, ცოდო ვარ, ჩემი სახლიდან წამოღებული იმ გადაჭრილი სანადირო თოფისთვის რომ დამიჭიროთ. კიდევ რა გინდა, იქნებ რაღაცას ვერ ვხვდები? მკითხე და გიპასუხებ.

— აბა, კარგად დაფიქრდი. როგორ გგონია, ავეტიკ, ამდენი ხანია ის შინაბერები სოფელში ცხოვრობენ და აქამდე არავის მოსვლია აზრად იმათი გაძარცვა. ახლა კი ერთბაშად ორი ჯგუფი გეგმავს ამ საქმეს. ცოტა უცნაურად არ გეჩვენება?

— ჰო, მაგრამ ეგრე გამოვიდა და რა ვქნა. მერაბჯან, ღმერთო, ეს რა შარი ავიკიდე. პირდაპირ მითხარი, რას გულისხმობ, თორემ გავთავდი კაცი.

— რას და იქნებ იმ თქვენი ხუთეულიდან ვიღაცამ გადაგაგდოთ. დავიჯერო, ხუთივე ისეთი ჩესტნები ხართ, რომ ერთმანეთს არ მოატყუებდით?

მკრტიჩიანმა წამით მოწკურა ხვლიკისფერი თვალები, მერე სახეზე მოისვა ხელი და თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, წაილუღლუღა:

— თუ ასეა, ბუილღიანი იზამდა მაგას, ის გოთვერანი. გამოდის, ნაგანიც მაგ საქმისთვის იშოვა.

— როგორ თუ ნაგანი იშოვა?

— როგორ და ჩვენ, ხუთივენი, ჩემი გადაჭრილი სანადირო თოფის იმედად ვიყავით. გუშინწინ კი გავიგე, რომ ბუილღიანს ამ დღეებში რაღაც უცნაური ნაგანი ჰქონია ჯიბეში. ჰოდა, ახლა საკუთარ თავს ვეკითხები, თუ ნაგანი ჰქონდა, ჩემი გადაჭრილი თოფი რისთვისღა გვჭირდებოდა?! ეგ დამპალი ეგა, წამიყვანეთ, პირზე დავადგები მაგ ვირთხაჭამიას, ჩემი ხელით გამოვუფატრავ მუცელს. მაშ, გადამაგდო, არა? ჰოდა, ხეხოს ახლა ციხის ნარები.

**— ეს იარაღი, შვილებო, ლავრენტი ბერიამ მაშინ მომცა, როცა სტალინი სოხუმში ისვენებდა. ათი კაცი ვიცავდით მას, ენკავედეს თანამშრომლები. ათივეს ასეთი იარაღი დაგვირიგეს და როცა ბელადი უკან გავისტუმრეთ, სახსოვრად დაგვიტოვეს. ახლა ეს რომ წაიღოთ, ჩათვალეთ, რომ წარსული წამართვით და უწარსულოდ რაღად ვეღირები ამ ხნის კაცი.**

სამი დღე-ღამე „უყურეს“ ბუილღიანს „ოპერებმა“ და ნაბანდიტარის ვერაფერი შეატყვეს. არც კაფეში შეუხვევია და არც რესტორანში. ის კი არა, სანდო ხალხისგან შეიტყვეს, წამლის ფულიც არა აქვს და დღეში რამდენჯერმე „ლომბარდში“ ვარდებაო. ასე რომ, სამხილი არ იყო საიმისოდ, რომ ეფიქრათ, შინაბერების სახლიდან წამოღებული ფულით ნავარდობსო.

— არადა, დანაშაული მოხდა, სახლი ერთიანად გადაქოთებულია, ძვირფასეულობა გამქრალი. ბოლოს და ბოლოს, ბეჭედი ხომ მაინც ექნებოდათ ქალებს. იმასაც ამბობენ, არც მთლად ასე გამოფხეკილები იყვნენო შინაბერები. მაშ, რაშია საქმე?

— ექსპერტიზის დასკვნა მივიღეთ. ქალის გარდაცვალების მიზეზი ნამდვილად მისი ბიძაშვილის ნასროლი კარტეჩია. ეს არის და ეს, — უთხრა სამორიგეოდან გამოსულმა ქარდავამ თავისი ოთახისკენ მიმავალ რაფავას.

— ჰო, მაგრამ ნაგანის ტყვიაზე რას გვეუბნებიან, საყვავილეს რომ დაახალა ერთ-ერთმა ბანდიტმა?

— ტყვია? მართალი ხარ. თუმცა, ის ტყვია ხომ არ ამოგვიღია და მგონი ახლაც საყვავილეში იქნება, თუ თვითონ საყვავილე არავინ გააყოლა ხელს.

— როგორ? დაგავიწყდათ, გადარჩენილი ქალი რომ ერთსა და იმავეს იმეორებდა — ჩემი დის მკვლელმა ბანდიტმა საყვავილეს დაახალაო ტყვია. ახლა ჩვენ რომ ის იარაღი ვნახოთ, რომლითაც ბანდიტებმა ისარგებლეს, რით დავუმტკიცებთ, იმ დილით რომ ჩაიდინეს დანაშაული?

— კარგი, კარგი. ყველას გამოგვრჩა. არა მგონია, ის საყვავილე ვინმეს მოსვლოდა თვალში.

საყვავილე ისევ იმ ადგილზე, ოთახის კუთხეში იდგა, შიგ ნეკის სიმსხო კაქტუსი ჩარჩენილიყო. მერაბმა და მისმა კოლეგებმა მეზობლებს დაუძახეს და საყვავილე იატაკზე წამოაპირქვავეს. ტყვიაზე ადრე რაღაცამ უცნაურად გაკვესა მზის შუქზე. მერე ეს ათინათი ნელ-ნელა გამრავლდა და მნახველთა თვალწინ გადმოცვივდა ოქრო და ბრილიანტი, ზურმუხტი, ლალი — ძირითადად, სამკაულები, რომლებიც მართალია ბევრი არ იყო, მაგრამ არც ცოტა ეთქმოდა. რომელიღაც მეზობელმა სრულიად ბუნებრივად დაასკვნა:

— აი, რისთვისაც მოკლეს ის საბრალო ქალი.

— გამოდის, ბანდიტებს არაფერიც არ წაუღიათ. მაშასადამე, ერთ-ერთი მათგანი შესაძლოა ბუილღიანიც იყოს. მით უმეტეს, როგორც ავეტიკამ გვითხრა, მას იმ დღეებში რაღაც უცნაური ნაგანი ჰქონია ხელთ. აი, აქაც უცნაური ტყვიაა მიწაში გაჩხერილი. კარგად გადარჩენილა, მთლიანად შენარჩუნებული აქვს გარეგნული ფორმა. თუმცა მეეჭვება, ჩვენთვის ნაცნობ რომელიმე მარკის რევოლვერს მოერგოს, — გაუზიარა მერაბმა თავისი ნაფიქრალი მილიციის უფროსსაც.

— როგორც მახსოვს, ამას წინათ თქვენ მარუხიდან ჩამოიტანეთ ომის დროინდელი საბრძოლო ვაზნების დიდი პარტია. შეადარეთ, იქნებ გერმანული მარკის იარაღთან გვაქვს საქმე...

დიდხანს უკირკიტეს მასრების არქივს, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს და ეს საქმე იმ დროისთვის გადადეს, როცა იმ ყბადაღებულ ნაგანს მიაკვლევდნენ. მანამდე კი ბუილღიანი უნდა დაეკითხათ.

ბანდიტობა არ უხსენებიათ, პირდაპირ მიახალეს, ის ნაგანი გვაინტერესებს, ამას წინათ რომ გქონდაო და გაოცდნენ, როცა ბუილღიანმა არც აცია, არც აცხელა და ერთბაშად აჭიკჭიკდა: ნაგანი სოხუმელმა, სინოპის უკან მცხოვრებმა რამაზ ოკუჯავამ მათხოვა, უცნაური მეჩვენა, თან მომეწონა და მეგობრებში თავის მოწონება მომინდაო.

— ვერაფერი გამიგია. გამოდის, ბუილღიანს ძარცვაში მონაწილეობა არ მიუღია?

— მეც ეგ მაკვირვებს, ნუგზარ, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი გაცურება უნდა. ჩვენ ხომ მისთვის ძარცვაზე არაფერი გვიკითხავს, ჰოდა, თაღლითობს, ამ მარტივი „გულახდილობით“ უნდა ჩამოგვიშოროს...

ბუილღიანი პირზე დაადგა ოკუჯავას, — იარაღი ხომ შენგან ვინათხოვრე რამდენიმე დღითო. ამ უკანასკნელსაც აღარაფერი დარჩენოდა და გამომყევით, იარაღი შინ მიდევს. ოღონდ ბაბუაჩემის გარეშე ვერ გაჩვენებთო, — უთხრა მაძებრებს და წინ გაუძღვა.

— გიჟი ხომ არაა ეს შობელძაღლი. როდის იყო, ამნაირი ნაძირალა ბაბუას ეკითხებოდა, საყაჩაღო იარაღი ავიღო თუ არაო, — ნუგზარმა მერაბს გადახედა და წინ მიმავალს მიჰყვა.

ეზოში შემოსულების დანახვაზე სამზადიდან მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი სანდომიანი სახის მოხუცი გამოვიდა და თავაზიანად მიიპატიჟა მოსულები. როცა გაიგო, რასაც ეძებდნენ, სახეზე მიწისფერმა გადაჰკრა, მერე სახლიდან მართლა უცნაური, გრძელლულიანი ნაგანი გამოიტანა და მერაბს უთხრა:

— ეს იარაღი, შვილებო, ლავრენტი ბერიამ მაშინ მომცა, როცა სტალინი სოხუმში ისვენებდა. ათი კაცი ვიცავდით მას, ენკავედეს თანამშრომლები. ათივეს ასეთი იარაღი დაგვირიგეს და როცა ბელადი უკან გავისტუმრეთ, სახსოვრად დაგვიტოვეს. ახლა ეს რომ წაიღოთ, ჩათვალეთ, რომ წარსული წამართვით და უწარსულოდ რაღად ვეღირები ამ ხნის კაცი. ეს ჩემი შვილიშვილი კი ისეთი გარეწარია, შეღავათს არ იმსახურებს. წაიყვანეთ და რაც გინდათ, ის უყავით. მე მაგის დედ-მამასაც ავუკრძალავ თქვენთან მოსვლას. კაცი ვარ და დამიჯერეთ, მაგისთანების ადგილი მხოლოდ ციხეშია, სხვაგან არსად.

P.S. უცნაურ ნაგანს ზუსტად მოერგო ის უცნაური ტყვია, საყვავილიდან რომ ამოიღეს. ბუილღიანმაც ჯერ ხელები ასწია, ყაჩაღობაც მე ჩავიდინე და ის საბრალოც მე მოვკალიო, მაგრამ შვებით ამოისუნთქა, როცა გაიგო, ბიძაშვილისგან ჩემთვის ნასროლ კარტეჩს ემსხვერპლაო ქალი. მერე მილიციაში პასპორტის შესაცვლელად მისულ ილორის წმინდა გიორგის მოძღვარს დაეღრიჯა — შენდობა მითხარი, ფულს მოგცემო. მამა დემეტრემ ისე, რომ წარბიც არ შეიხრია, მიუგო გარეწარს:

— შენდობას ფულით ვერ იყიდი, შვილო ჩემო, ის უნდა გიბოძონ...

**ვაჟა გავაშელი**

# «მოიკითხეთ თქვენი ბელადები და შეაფურთხეთ»

## როგორ იყიდეს აფხაზებმა ქართველების საიტი ინტერნეტში



*რამდენიმე წლის წინ ერთმა ქართველმა მათემატიკოსმა აფხაზეთის დასაბრუნებლად საინფორმაციო ომის მნიშვნელობაზე აგიტაცია წამოიწყო. მაშინ მას ჩინოვნიკებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. დღეს აშკარაა, რომ იმ დროს მათ თავის გამოჩენის ცდუნებას ვერ გაუძლეს და ამ პატრიოტული მიზნის გარშემო ერთიანობის ნაცვლად, საქმე საბოლოოდ გააფუჭეს. დღეს კი ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პირველი ინტერნეტ-გვერდი „abkhazeti.com", რომელმაც მსოფლიო ინტერნეტ-სივრცეში აფხაზებს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია, ქართველმა მფლობელებმა დაკარგეს. ყველაზე უარესი ის არის, რომ ეს მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყარო ხელში აფხაზებმა ჩაიგდეს და პორნოგრაფიული სურათების თანხლებით საქართველოს ამასხარავებენ. ვფიქრობთ, ამ საიტის ისტორია წარმოდგენას შეგიქმნით ან შეგახსენებთ, თუ როგორი „ერთიანობა" გამოიჩინა ქვეყანამ სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად. სრული სურათისათვის ზემოთ ხსენებული ინტერნეტ-გვერდის ყოფილ სამეცნიერო ხელმძღვანელთან,* **ზადიმან ხელაძესთან** *ინტერვიუს გთავაზობთ:*

— საქართველო აფხაზეთის საკითხში ჯერ კიდევ მაშინ დამარცხდა, როდესაც აფხაზეთის ომამდე საინფორმაციო ომი წააგო. მაშინ აფხაზებს „სლავიანსკი დომი" ეხმარებოდა კონფერენციების მოწყობაში, ლიტერატურის გამოცემასა და მათ საზღვარგარეთ გავრცელებაში. რუსეთზე რომ არაფერი ვთქვათ, მსოფლიოს დიდი ნაწილის აზრიც ჩვენს წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩვენ კი წავიკითხავდით ცილისწამებას უცხოურ პრესაში და ქართულში ვუპასუხებდით. ერთი სიტყვით, გულს ვიოხებდით. როგორ გგონიათ, არძინბა რითია დღემდე ძლიერი? იმით, რომ მან საინფორმაციო ომი მოგვიგო.

სამი წლის წინ არძინბამ ინტერნეტში დაარეგისტრირა საიტი „აბხაზია", რომლის მეშვეობითაც მსოფლიოს თავისთვის ხელსაყრელ ტენდენციურ ინფორმაციებს აწვდის. „აბხაზიაში" ოპერატიულად ჩნდება ახალი ინფორმაციები, ძვირფასი დიზაინი აქვთ. როგორც გავიგეთ, ამ ორგანიზაციის სულისჩამდგმელი იყო ალან კაზანი, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს. ის აფხაზური, არძინბასეული ორიენტაციის გახლდათ და, პრაქტიკულად, არძინბას არაოფიციალური წარმომადგენელი იყო აშშ-ში.

**— ეს ის კაზანი ხომ არ არის, ახლახან თბილისში რომ ჩამოვიდა და შევარდნაძეს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში შუამავლობა სთხოვა?**

— დიახ, ის არის... ამბობენ, რომ ორიენტაცია შეიცვალა და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მომრიგებლის ფუნქციაც კი ითხოვა. შეიძლება ეს ტაქტიკაა და კვლავ აფხაზურ საქმეს აკეთებს, მაგრამ საამისო საბუთი არ გვაქვს.

მათ მიერ წამოწყებულმა საინფორმაციო ომმა, პრაქტიკულად, ხელ-ფეხი შეგვიკრა. მას შემდეგ ვერ დავაჯერეთ მსოფლიო, რომ აფხაზებმა მოგვიწყვეს გენოციდი და არა — პირიქით. ამის გამო, აფხაზების უფლებები დღემდე დაცულია და რაც უნდათ, იმას აკეთებენ. გახსოვთ, ალბათ, აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმაც კი გაიმეორა აფხაზების შეფასება და საქართველოს „პატარა იმპერია" უწოდა.

**— ალბათ ეს საინფორმაციო ბაზა დაეხმარა აფხაზების ინგლისელ სიძეს ჰიუიტს უცხოეთში ანტიქართული კამპანიის გაჩაღებაში.**

— რა თქმა უნდა. ეს არის ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ როგორ გაუიოლა საინფორმაციო ფონდმა აფხაზებს წარმატების მიღწევა. ჩვენ უცხოელს ვერ მოვთხოვთ ქართული ორიენტაციის იყოს. მოგვწონს ეს თუ არა, ის კაცი მეცნიერია, რაც წაიკითხა რუსულ წყაროებში, იმის საწინააღმდეგო კრიტიკა და რევიზია ვერ მოიძია, დაიჯერა და კამპანიისთვის გამოიყენა კიდეც, მთელ მსოფლიოს მოსდო თავისი შრომებითა და წიგნებით, რომ ქართველები აფხაზებს ვჩაგრავთ. 1993 წელს ჩვენი სამხედრო ჩარევა დამარცხებისთვის წინასწარ იყო განწირული. საინფორმაციო ომის უპირველესი შედეგი თვითონ ტერიტორიის სახელწოდებაა. უცხოელები დღეს აფხაზეთს „აბხაზიას" უწოდებენ. როცა არძინბას საიტში საშინელი, ცილისმწამებლური ინფორმაციები წავიკითხეთ მე და ზურაბ წერეთელმა (მხატვარი წერეთელი არ გეგონოთ), საიტის გახსნა გადავწყვიტეთ. ჩვენ ინტერნეტში შევიტანეთ რუსეთში გამოცემული მეთვრამეტე საუკუნის რუკა, სადაც რუსები ამ რეგიონს, ჯერ კიდევ მაშინ, აფხაზეთს უწოდებენ. „აბხაზია" მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დროს დაარქვეს. შეძლებისდაგვარად შევიტანეთ ინფორმაციები საქართველოს ისტორიაზე, ტერიტორიაზე, მოსახლეობაზე, რელიგიაზე, რა მოხდა სინამდვილეში 1991-92 წლებში, რას აკეთებდნენ აფხაზები, რა ჩაიდინეს ქართველების წინააღმდეგ... რატომ არ უნდა იცოდეს მსოფლიომ, რომ ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული, სვიმონ კანანელი, აფხაზეთის ტერიტორიაზეა დასაფლავებული და აქ ქრისტიანობა პირველივე საუკუნეში იქადაგეს მან და ანდრია პირველწოდებულმა? შევიტანეთ საიდუმლო მასალები, რომლებიც რუსებისა და აფხაზების ფარულ გარიგებებს ააშკარავებდა. მასალები ზოგი ჩვენ მოვიძიეთ, ზოგიც პარტიზანებმა ამოიღეს აფხაზებისგან და ჩვენ მოგვაწოდეს.

საჭირო იყო ინფორმაციის აქტიურად გატანა ქართული თემების რუსულ და უცხოურ წყაროებში. ერთადერთი ადამიანი, ვინც რუსული, ამავე დროს, ობიექტური წყარო შექმნა აფხაზეთში რეალურად მიმდინარე პროცესებსა და გენოციდზე, იყო სვეტლანა ჩერვონაია. ეს ქალბატონი ეროვნებით ჩეჩენია დ იგი მოსკოვში იმ ინსტიტუტში მუშაობდა, სადაც მზადდებოდა პროვოკაციული, რუსეთისთვის საჭირო ინფორმაციები ჩვენს წინააღმდეგ. სვეტლანა ჩერვონაია არძინბამ მოიწვია სოხუმში, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე აფხაზების სასარგებლო მონოგრაფიის დასაწერად. სოხუმში მას ესკორტით დახვდნენ, თან გადაჰყვნენ, დიდი პატივი სცეს, მაგრამ საბოლოოდ მან დაწერა სრულიად სხვა, ობიექტური წიგნი აფხაზურ-ქართულ კონფლიქტზე. აღწერა საბჭოთა იმპერიის გავლენა და პროვოკაციების მთელი სერიები საქართველოს წინააღმდეგ. როგორ ავიწროებდნენ, ხოცავდნენ ქართველებს ომის პერიოდში. როგორ თამაშობდნენ გაგრის სტადიონზე ფეხბურთს ქართველების მოკვეთილი თავებით. ჩერვონაიას სხვადასხვა ლიტერატურა აქვს გამოყენებული რუსული, ქართული და აფხაზური წყაროებიდან. მან წიგნი 1993 წლის 1-ელ აგვისტოს დაასრულა. პირადად სოლიკო ხაბეიშვილისგან ვიცი, რომ ჩერვონაიას წიგნი მოსკოვში არც ერთმა გამომცემლობამ არ მიიღო. ხაბეიშვილი მაშინ შევარდნაძის ფონდის პრეზიდენტი იყო. სწორედ მან გადაიხადა დასასტამბავი თანხა და 10 ათასი ცალი წიგნი ერთ დღეში დაიბეჭდა. რუსულმა სპეცსამსახურებმა აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ მეორე დღესვე თბილისში ჩამოიტანეს. შემდეგ სასწრაფოდ ითარგმნა ქართულად და ინგლისურად. გამოიცა ინგლისშიც.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)







აქსისი AXIS

◆ 2 ოთახიანი 75 $м^2$
◆ 3 ოთახიანი 110 და 130 $м^2$
◆ 4 ოთახიანი 150-დან 220 $м^2$-მდე
◆ დუპლექსის ტიპის ბინები ტერასებით და ბუხრებით
◆ ჭერის სიმაღლე 3.24მ
◆ ერთი წლის განმავლობაში დაცვის სამსახურის და მომსახურე პერსონალის ხელ-ფასს უზრუნველყოფს კომპანია აქსისი.

მშენებარე სახლი თამარაშვილის ქუჩაზე - (იპოდრომთან)

◆ აქსისი საშუალებას გაძლევთ იცხოვროთ კომფორტულ სახლში თამარაშვილის ქუჩაზე, სადაც თქვენ მშვიდად და უსაფრთხოდ იგრძნობთ თავს.
◆ ინფრასტრუქტურა: საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, სილამაზის სალონი, დაცვის, ტექნიკური და სანიტარული მომსახურება, მარკეტი, მიწისქვეშა სადგომი.
◆ შენობას სამი მხრიდან ესაზღვრება იპოდრომის ტერიტორია. ეძნება 1000 კვ.მ. კეთილმოწყობილი ეზო და საბავშვო მოედანი.

არაყიშვილის ქ. №14

ტელ: 25 34 34
91 25 34
91 25 33

e-mail: axis@axisbuilding.com

## საერო მოღვაწეთა სასულიერო პოეზია

**8 თებერვალს** საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს.



მრავალი მეფე ჰყოლია საქართველოს, მაგრამ მემატიანის სიტყვით: „ვერვინ ძუელთა და ახალთა მეფეთა ემსგავსაო". მართლმადიდებლური სარწმუნოების ურყევ ზღუდესა და ერის მოჭირნახულე ხელისუფალს ერმა ღირსებით უბოძა ზედწოდებად „აღმაშენებელი".

ღვთის მოყვარულსა და მსასოებელ მეფეს თვით უფალი იცავდა ყოველივე განსაცდელისაგან — კარვის პირას მდგომი, მისთვის ნასროლი ისრისგან მთავარანგელოზის ხატს უხსნია, რომელიც გულზე ეკიდა დავითს.

დიდგორის ძლევამოსილი ომის დროს ზეციური ძალები შეეწეოდნენ ქართველთა ლაშქარს: წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად წინაუძღოდა მეფის მხედრიონს და თვით ურჯულო მტერიცა და ურწმუნონიც ხედავდნენ და აღიარებდნენ მთავარმოწამე გიორგის მიერ ქმნილ ხილულ სასწაულს.

თავმდაბალი მეფე საკუთარ თავს „უსწავლელ" და „მხედრობათა შინა აღზრდილ" კაცად მიიჩნევდა, არადა იყო ღრმად განსწავლული და უებრო მჭევრმეტყველი, რაც ქართველთა და სომეხთა საეკლესიო კამათის დროსაც დადასტურდა: როდესაც მოკამათენი ჩიხში მოექცნენ, მხოლოდ დავითის სეფესიტყვამ მოჰფინა ნათელი ჭეშმარიტებას და მართლმადიდებლობის სასარგებლოდ გადაწყვიტა დავა. მეფე დღემუდამ სალვთისმეტყველო ლიტერატურას კითხულობდა. ერთხელ „სამოციქულოს" კითხვას ისე გაუტაცია, მხლებელთ ჩამოსცილებია; ამ დროს თურქთა ასკაციანი რაზმი გადაჰყრია. მეფე მარტოაო და მისი შეპყრობა გადაუწყვეტიათ. მაგრამ დავითი მარტო შეჰბმია და გამკლავებია მტერს!

სიცოცხლის მიწურულს დავით მეფემ დაწერა „გალობანი სინანულისანი" — აღსარება მშობელი ერის წინაშე, რომლის სულისშემძვრელმა სიტყვებმა და მეფის ანდერძმა — ყოველ მოკვდავს ფეხი დაებიჯებინა მის საფლავზე, ჩვენს თანამედროვე პოეტს ათქმევინა: *„ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტევები? ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს, რაი გადარდებს? გასწიე იგი „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე"... თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო, რაღა ჰქნან ცოდვილთ..."*

„ცოდვილთ" — დავით მეფემ სამშობლოს მოვლა-პატრონობა დაუბარა!

## გალობანი სინანულისანი

### IX გალობა – ნაწყვეტი

ქამი რა□ წულილთა და □მელთა
აღმოფშ□ნვათა□ წარმოდგეს,
ზარი მეფობისა□ წარ□დეს და
დიდება□ დაშრტეს.
შუებანი უქმ იქმნნენ,
ყუავილოვნება□ დაჭნეს,
სხუამან მიიღოს სკიპტრა□,
სხუასა შეუდგენ სპანი,
მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

გან-რა□-ღლოს წიგნი დღესა შინა
სასჯელისასა
და მე ქედდადრეკილი წარმოგიდგე
განკითხვად
მსაჯული მართლ სჯიდე,
მსახურთა რისხვა□ ქროდის,
მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!



## რას გვეტყვი, მამაო?

**— გთხოვთ აგვიხსნათ, რომელ რელიგიურ დღესასწაულზე არ შეიძლება მიწის დამუშავება და მოსავლის აღება და რატომ?**

— მიწაზე მუშაობა არც ერთ საუფლო, რელიგიურ დღესასწაულზე და უქმე დღეებში არ შეიძლება. უფალმა სამუშაოდ ექვსი დღე, ხოლო მეშვიდე უქმედ, უფლის დღედ დააწესა. ამ დღეს ადამიანმა უნდა დაუტევოს სხვა საზრუნავი და წირვა-ლოცვისთვის განემზადოს. სასურველია, მთელი დღე უფლისთვის სათნო საქმიანობას დაუთმოს.

ამასთან, ამ განაწესს საფუძვლად ისევ ადამიანის სიყვარული უდევს. უფალს არ სურს, ადამიანმა გამუდმებით იშრომოს, შეელახოს ჯანმრთელობა და არ იცოდეს დასვენებისას საკუთარი ნაშრომით დატკბობის ფასი. ეს დასვენება ისევ თქვენი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისთვის ხდება.

თუკი უქმე დღეებში თქვენი დასვენებით მთელი წლის მოსავალი არ იღუპება, დაისვენეთ. მიბრძანდით ტაძარში, ილოცეთ, შესთხოვეთ უფალს, დაიფაროს თქვენი ნაშრომ-ნაღვაწი. განადიდეთ იგი, რომელმაც ყველაფერი მოგცათ და რომლის გარეშეც არაფერი არ იქნებოდა.

**— როგორ მოვიქცეთ, თუ დილით ბავშვს ეზარება ეკლესიაში წირვაზე წასვლა?**

— როდესაც ბავშვი რაიმეს ცუდად აკეთებს, სწორი რეაგირებისთვის უნდა მივაკვლიოთ მსგავსი საქციელის მიზეზებს; ბავშვი არ მიდის ეკლესიაში... რატომ?

თუ გამოუძინებელია, რეჟიმი ისე უნდა დავუწესოთ, რომ გამოიძინოს. თუ იმიტომ არ მიდის, რომ ცუდად გრძნობს თავს და იღლება დგომით, მის ჯანმრთელობას მივხედოთ. შეიძლება ეს კაპრიზი იყოს, ამიტომაც, მიზეზების მიხედვით გადავწყვიტოთ, როგორ მოვექცეთ მას.

## საქრისტიანო მოამბე

### არიან თუ არა მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენლები აფხაზეთში?

შეკითხვას, რომლის მსგავსიც უხვადაა ჩვენი გაზეთის სარედაქციო ფოსტაში, პასუხობს საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი, დეკანოზი **დავით შარაშენიძე:**

უკანასკნელ ხანებში, პატრიარქ ალექსი -ის მხრიდან, როცა ის ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში, იყო შემოთავაზება — დროებით, ვიდრე საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია არ ვრცელდება აფხაზეთში, საქართველოს ეკლესიასთან შეთანხმებით, მისცემოდათ მათ ამ მხარეში მღვდელმსახურთა გაგზავნის უფლება, რათა მზრუნველობა აღმოეჩინათ იქ დარჩენილი მართლმადიდებელი მრევლისათვის.

ამგვარ წინადადებაზე ალექსი II-მ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისაგან მიიღო კატეგორიული უარი. მიუხედავად ამისა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, იქ დღეისათვის მოქმედებენ წვრილ-წვრილი სქიზმატური დაჯგუფებანი, რომელთაც, თუ თვით მოსკოვის საპატრიარქოს რწმუნებას დავუჯერებთ, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მხრიდან არა აქვთ მიღებული სათანადო უფლებამოსილებანი.

მაგრამ ჩვენს გაკვირვებას იწვევს ერთი აღმაშფოთებელი ფაქტი, სახელდობრ, როდესაც კანონიკურ ეკლესიასთან განხეთქილებაში მყოფი აფხაზი „მღვდელი" ბესარიონ ფილია მოსკოვის საპატრიარქოსაგან იღებს საპატიო ჯილდოს სასულიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებით!

ბესარიონ ფილია გახლავთ ოდიოზური პიროვნება, რომელიც თავს აცხადებს ეპარქიის მმართველად და ამ დროს კი ის იმყოფება ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ დანიელთან განხეთქილებაში — მას არა აქვს ევქარისტიული კავშირი მმართველ ეპისკოპოსთან და იგი არ ითვლება მღვდელმსახურად.

დაჯილდოებასთან დაკავშირებით, საქართველოს ეკლესიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, მიტროპოლიტმა აბრაამმა (გარმელია), არაოფიციალური წერილი გაუგზავნა რუსეთის ეკლესიის საგარეო უწყების ხელმძღვანელს, მიტროპოლიტ კირილე გუნდიაევს, რომელშიც უკმაყოფილება გამოთქვა აღნიშნული ფაქტის გამო და შეახსენა, რომ მსგავსი ფაქტები ხელს უშლის ორ მოძმე ეკლესიას შორის არსებულ ერთმორწმუნეობრივი კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას.

## სათნომყოფელი

### ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების კვალდაკვალ

პროფესორ ილია ტაბაღუას გამოკვლევა, „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში" (თბ. 1986), შეიცავს საინტერესო ინფორმაციას ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების ადგილსამყოფლის შესახებ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში. 1625 წლის 4 იანვარს კათოლიკე ბერებმა მალულად მოიპოვეს ეს უდიდესი სიწმინდე სპარსეთში და მისიონის მეოხებით, გაანაწილეს სხვადასხვა სავანეში. ხსენებული წიგნის ავტორი გვამცნობს, რომ ქეთევან დედოფლის ნეშტის რელიკვიების სხვადასხვა ადგილებში გაგზავნის შესახებ ლაპარაკია ამბროსიო დუშ ანჟეშის „ნამდვილ ცნობებში". ამ ცნობების მიხედვით, ქეთევან დედოფლის მკლავის ძვალი და მარჯვენა ხელის მტევანი გოაში (ინდოეთი) გაგზავნეს და იქ პორტუგალიელ ავგუსტინელ მისიონერთა მონასტერში, და-გრასში, შავი ქვის კუბოთი საკურთხევლის უკან დაასვენეს. მთლიანად კი, მსოფლიოს მასშტაბით, ქეთევან დედოფლის ნეშტის ნაწილები იყო საქართველოში, ისპაანში, გოაში, რომში, ინგლისში, რუსეთში, პორტუგალიაში და ნამიურში (ბელგიაში). ისპაანსა და გოაში ზემოხსენებული მონასტრები უკვე დიდი ხანია, აღარ არსებობს. გოაში მონასტრის ნანგრევებიღა დარჩა.

კვლევა-ძიებამ გოას და-გრასის მონასტრიდან ევროპის ოთხ ქალაქამდე მიგვიყვანა. კერძოდ, გვაქვს გადაუმოწმებელი ინფორმაცია ლისაბონ-



შუშის ჭურჭელი (ქეთევან დედოფლის სავარაუდო საძვალე)

ში წმინდანის საფლავის (უდავოდ, მისი ნეშტის ნაწილებია) არსებობის შესახებ და დანამდვილებით ვიცით, რომ წმინდა ნაწილები ინახება ლონდონისა და ვატიკანის მუზეუმებში. გვაქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა. ასევე, არის ცნობები, რომ წმინდანის ნაწილები დაცულია ბელგიის ქ. ნამიურის წმ. ობენის ეკლესიასთან არსებულ საეპარქიო მუზეუმში. ამ უკანასკნელი ცნობის ნამდვილობის შესახებ ჩვენც გაგვაჩნია მრავალი სარწმუნო წყარო: 1. 1857 წლის ჟურნალ „ცისკარში" არის ცნობა იმის შესახებ, რომ თეიმურაზთან მივიდნენ ლათინები და მოწამის ნაწილები მიართვეს. პატარა ნაწილი კი ჩაასვენეს ბელგიის ქალაქ ნამიურში, სადაც დღემდეა დაცული; 2. 1893 წელს ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში" დაიბეჭდა სტატია „ალავერდის ტაძარი და ქეთევან წამებული", რომელშიც აღნიშნულია, რომ ლათინებმა ზოგიერთი ნაწილი მისი წმ. გვამისა — მარჯვენა ხელი და შედედებული სისხლი მიართვეს მეფე თეიმურაზს, რომელიც იმ დროს გორში იყო, ნაწილი კი გაგზავნეს ევროპაში. ეს ნაწილები ახლაც ბელგიაშია დაცული; 3. გაზ. „სახალხო ფურცელი" 1914 წელს წერდა, რომ ნამიურის ციხე-სიმაგრიანი ქალაქის ერთ-ერთ კათოლიკურ ეკლესიაში, კერძოდ, ობენის საკათედრო ტაძარში დასვენებულია წმ. ქეთევანის ნეშტის ნაწილები.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ „სახალხო ფურცელში" გამოქვეყნებულ მასალას თან ერთვოდა ფოტოსურათი, რომელიც გვაუწყებდა ქეთევან წამებულის საძვალის არსებობას ნამიურში. ცხადია, ამ ფოტოს ბელგიელი არ გამოგზავნიდა და არ ჩამოიტანდა თბილისში. მას მხოლოდ ბელგიიდან დაბრუნებული ქართველი თუ ჩამოიტანდა; ის, ვისთვისაც ძვირფასი იყო ქეთევან დედოფალი, ჩვენი ცნობით, გახლდათ ბარბარე ნიკოლოზის ასული ყიფიანი, დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი. მისთვის ბელგია მეორე სამშობლოდ შეიქმნა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 2001 წლის სექტემბერში ვიმყოფებოდით ბელგიაში, კერძოდ, ქ. ნამიურში, რასაც, რა თქმა უნდა, წინ უძღოდა ინტენსიური მოსამზადებელი პერიოდი. ნამიურში ჩასვლისას შევხვდით კათოლიკე მღვდლებსა და კულტურის მაღალი წრეების წარმომადგენლებს. მათ შორის მინდა გამოვყო კათოლიკე მღვდელი ჟაკი, არქივის დირექტორი. ის თავიდან სკეპტიკურად შეგვხვდა. გამოიკითხა ჩვენი ვიზიტის მიზეზი და გვთხოვა, გვეამბნა ქეთევანის შესახებ. მან თავიდან ისე დაიჭირა თავი, თითქოს არაფერი იცოდა წმინდა დედოფალზე. დაწვრილებით მოვუყევით ყველაფერი და ინდოეთში ჩვენი ვიზიტის ამსახველი ფოტოებიც ვაჩვენეთ. მან ვერ დაფარა აღფრთოვანება და გვთხოვა, დამელოდეთო. ჩემდა გასაოცრად, ცოტა ხანში გამოიტანა საარქივო მასალა ქეთევანის ცხოვრებაზე და მისი გადაღების უფლებაც მოგვცა. შემდეგ გვირჩია, ბრიუსელში შევხვედროდით ბოლუნდისტებს, რომლებიც მთელ ევროპაში აგროვებდნენ მასალებს წმინდანთა ცხოვრების შესახებ. ობენის საეპარქიო მუზეუმში ვნახეთ და გადავიღეთ ერთი კუთხე, სადაც მართლმადიდებლური სიწმინდეებია დაცული და ასეთი წარწერა აქვს: „XVII საუკუნის მართლმადიდებლური წმ. რელიკვიები". ჩემი აზრით, ერთ-ერთი მათგანი არის წმ. ქეთევან დედოფლისა. ამას გარდა, მინდა აღვნიშნო ერთი ყურადსაღები ფაქტი: ბრიუსელის არქივში მუშაობისას წავაწყდით სამ წყაროს. ერთი მათგანი არის ფრანგული, ორი — რუსული, მარტინოვისა და მურავიოვისა, რომლებსაც უნახავთ წმ. ნაწილები. ეს საარქივო მასალა ჩამოვიტანეთ საქართველოში.

მკითხველი ალბათ იკითხავს, როგორ აღმოჩნდა ბელგიაში ქართველთა სათაყვანებელი ქეთევან დედოფლის ნაწილებიო. ამ კითხვაზე პასუხი, რამდენიმე კვირის წინ აღმოვაჩინეთ ერთ-ერთ საარქივო მასალაში.

აი, რას ამბობს იგი: წმ. ქეთევანის წამებიდან 15 წლის შემდეგ, 1640 წელს, ვატიკანში წარდგენილ მოხსენებაში, მამა ამბროზიო ნეშტის ამოღების მონაწილეთაგან ასახელებს საკუთარ თავსა და კიდევ ორ პიროვნებას (იხ. Alonso, Misiones, op. გვ. 271). მათგან ერთ-ერთია ამბროზიოს მსახური — ძმა პედრო დუშ სანტუში (რომელმაც ამბროზიოსთან ერთად წამებიდან ორი თვის შემდეგ ამოასვენა წმ. ნაწილები). სწორედ ეს პედრო დუშ სანტუში წარმოშობით იყო ბელგიიდან, კერძოდ ნამიურის პროვინციიდან!



ობენის საკათედრო ტაძარი

შეიძლება ითქვას, რომ ბელგიაში მუშაობის პირველი ეტაპი, ინფორმაციული წყაროების გაცნობის მხრივ, ნაყოფიერი იყო, ახლა საქმე გადამწყვეტ ფაზაში უნდა შევიდეს და სამწუხაროა, რომ მას გარკვეული წინააღმდეგობები ხვდება. ალბათ იმიტომ, რომ ქართველებს ასეთი სენი გვჭირს: იოლად ვივიწყებთ წარსულს, არ ვიცით დღემდე სასწაულებრივად შემორჩენილი საუნჯის ფასი. ეს საუნჯე წმ. დედოფალ ქეთევანის წმ. ნაწილებია, რომლებიც, ჩვენდა სამარცხვინოდ, თვალს მიეფარა. ქართველებს, ყველას, უკლებლივ, ბოდიში გვაქვს მოსახდელი წმინდა დედოფლის წინაშე, რომ მისი ღირსების დასაცავად დღეს საქართველოში სასამართლოები გვჭირდება. არ ვიშურებთ არანაირ ცილისწამებას დიდებული სახელის შესაბღალავად და უტიფრად ვწამებთ ცილს, თითქოს სიცოცხლის მიწურულს კათოლიკობა მიიღო. ამიტომაც მიგვეფარა თვალთაგან ეს უდიდესი სიწმინდე. ალბათ მაშინ თუ ინებებს წმ. დედოფალი სამშობლოში დაბრუნებას, როცა ერი პატიებას ითხოვს მისგან და სწორად შეაფასებს მის ღვაწლს ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

აქვე, მსურს მოგახსენოთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II ძალიან არის დაინტერესებული ამ საკითხით. სწორედ მისი ლოცვა-კურთხევა გვაძლევს უდიდეს ძალას და იმედით გვავსებს, რომ ჩვენ მიერ წამოწყებული საქმე წარმატებით დაგვირგვინდება. აღსანიშნავია ბელგიაში საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომლის, ბატონ ვახტანგ ჩხეიძის დიდი თანადგომაც, რომელმაც თავისი და ბატონ კონსტანტინე ზალდასტანიშვილის სახელით, მიგვიწვია ბელგიაში სამუშაოდ.

მინდა ერთ გარემოებასაც გავუსვა ხაზი: ღმერთმა არ ქნას, რომ ვერ ვეწიოთ საწადელს, მაშინ წმინდა ნაწილების გადმოუსვენებლობის შემთხვევაში, იქნებ იმას მაინც მივაღწიოთ, რომ ბელგიაში გაიხსნას წმინდა ქეთევან დედოფლის სახელობის ქართული ეკლესია და მისი ნაწილები იქ მაინც იქნეს დასვენებული!

*ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიის წინამძღვარი მღვდელი* **გიორგი რაზმაძე**

**ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის" ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.**



***გვერდი მოამზადა ზურაბ ქართველიშვილმა***

# ლესელიძე — ცანდრიში, განთიადი — ჩაგრიში...

## ბერკეტი რუსული პროვოკაციის შესასრულებლად

საქართველოს პოლიტიკაში წყლის ნაყვა გრძელდება. რუსეთმა „მეგობარი ქვეყანა“ კვლავ ანკესზე წამოაგო, — ცდილობს რკინიგზის გახსნისა და პასპორტიზაციის საკითხებზე დებატებში გამოიწვიოს, სინამდვილეში კი ჩეჩნეთზე, რუსეთის ბაზებსა და საერთოდ, ორიენტაციაზე ევაჭრება.

რუსეთი დამპყრობლური მადის დასაკმაყოფილებლად ყველაფერზე წავა, მაგრამ შეეცდება მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე პირნათელი იყოს. ერთი სიტყვით, უკანონო ნაბიჯებს თვითონ კი არ გადადგამს, ჩვენ გვაიძულებს, შეგვაცდენს ან დიპლომატიურად დაგვცინცლავს მისთვის აუცილებელ ქმედებას. ამ მხრივ საინტერესოა აფხაზეთისთვის ბლოკადის მოხსნა-არმოხსნის საკითხი. ეს თემა 1993 წლიდან დღემდე არაერთხელ ამოტივტივდა, ქართველმა ჩინოსნებმა და ბიზნესმენებმა აფხაზებთან კომპრომისებზე წასვლაც კი დაუშვეს და 1996 წელს მაშინდელმა სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა თემურ ჭყონიასთან ერთად სოხუმში „პეპსი-კოლას“ ქარხნის აღდგენა-ამუშავებაც კი დააპირა. ამ ფაქტს მაშინ ქართველ საზოგადოებაში ნეგატიური რეზონანსი მოჰყვა. საქართველომ ოფიციალურად შეწყვიტა აფხაზეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებზე საუბარი. სამაგიეროდ, კონტრაბანდულმა საქმიანობამ და ურთიერთობებმა გაშალა ფრთები. აფხაზებს, კონტრაბანდული ტვირთებით ამარაგებდნენ თურქები, ბერძნები, სომხები, რუსები... ერთი სიტყვით, პროცესები, რომელთა მიმართ ქართველი საზოგადოება პროტესტს გამოთქვამდა, მაინც მიმდინარეობდა ფარულად.

თუმცა ეს საკმარისი არ იყო, რკინიგზის 80 კმ-იანი მაგისტრალის ამოქმედებას ოფიციალურ თანხმობასთან ერთად საზოგადოებრივი აზრის მომზადება და უსაფრთხოების გარანტიებიც სჭირდებოდა. ამ საკითხებზე მუშაობა რუსეთმა თავიდანვე დაიწყო. ამის დასტურად ერთ დოკუმენტს წარმოგიდგენთ. ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა 1995 წელს რუსეთის გზათა და მიმოსვლის მინისტრის გ. მ. ფადეევის ოფიციალური წერილი არძინბასადმი, სადაც იგი წერს:

*„პატივცემულო ვლადიმირ გრიგორის ძევ!*

*რუსეთის ფედერაციის გზათა და მიმოსვლის სამინისტრომ ყურადღებით განიხილა თქვენი თხოვნა აფხაზეთსა და რუსეთს შორის სარკინიგზო მგზავრობის აღდგენის თაობაზე და არ გააჩნია ტექნიკური ხასიათის წინააღმდეგობა ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად. თუმცა, როგორც თქვენთვის ცნობილია, ამჟამად რუსეთის ფედერაციის მთავრობის დადგენილებით შემოღებულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთაზე დროებითი შეზღუდვა და 1994 წლის 21 დეკემბრიდან შეწყვეტილია სატვირთო და სამგზავრო მიმოსვლა.*

*შეზღუდვათა გაუქმების შემდეგ გზათა და მიმოსვლის სამინისტრო მზად არის განიხილოს აფხაზეთსა და რუსეთს შორის მიმოსვლის ორგანიზების საკითხი.“*


ООО "СОЧИНСКАЯ
ТРАНСПОРТНАЯ КОМПАНИЯ"
ПРОЕЗДНОЙ БИЛЕТ
=20.00
ИТОГ =20.00
#1450 26-01-03 08:14 К01
ИНН 002317034820
ККМ С ФП 00003755

ბილეთი სოხუმი-ადლერი


СПРАВКА № 31[illegible]067[illegible]
Настоящим подтверждается, что от
(отчество)
20.09.1961
(дата рождения)
Грузия, АРесп. Абхазия, г. Сухуми
(место рождения)
приняты документы на оформление
гражданства Российской Федерации
Дата выдачи: 29.06.2002
Подпись
М.П.

აი, ასეთი ბლანკი უხსნის კარს აფხაზებს რუსეთის მოქალაქეობისაკენ

როგორც ირკვევა, ზემოთ ხსენებულ სამინისტროს არძინბამ კიდევ არაერთი წერილი გაუგზავნა. რუსეთს, რომელიც ამ მაგისტრალის უმოქმედობით წლების მანძილზე მილიონებს კარგავდა, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაში საქართველოდან ოფიციალური თანხმობის არქონა უშლიდა ხელს. ამიტომ საჭირო იყო ხელის შემშლელი ფაქტორები საქართველოშივე მოეხსნა. ამ რთული ამოცანის შესასრულებლად კი რამდენიმე პირდაპირი და ირიბი ბერკეტი აამოქმედა. რუსულ პროვოკაციებს ქართველი ჩინოსნები, ბიზნესმენები და უბრალო ადამიანებიც აჰყვნენ. ზოგიერთ მათგანზე ლუსტრაციის შიშმა იმოქმედა, ზოგზე ფინანსურმა ფაქტორმა, ზოგი კი გულუბრყვილოდ აჰყვა შემოგდებულ იდეებს.

შეგახსენებთ რამდენიმე მოვლენას, რომელიც უკავშირდება აფხაზეთისთვის ბლოკადის მოხსნის თემას:

2001 წლის თებერვალში თბილისში, აეროპორტის დასახლებაში ჩასახლებულ დევნილებთან მისული ყოფილი ზვიადისტი ზაურ ბედია, თანამოაზრე ნინიძესთან ერთად აგროვებს ხელმოწერებს სოხუმის აეროპორტის ხელმძღვანელ სლავიკ ეშბასთან შეხვედრის მოთხოვნით. ამ საქმის ინიციატორები წარამარა ახსენებდნენ თანამოაზრეებს, რომ ამ საკითხზე პარლამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას თანხმობა აქვთ (ჟვანიას განცხადებით, მას მსგავსი თანხმობა არ მიუცია. — რ.ხ.). ამ პერიოდში ადლერის აეროპორტს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, სოხუმის აეროპორტში კი „ილ-76“ ტიპის თვითმფრინავების საკონტროლო ფრენები ჩაატარეს. ეს იყო პირველი კონკრეტული ნაბიჯი საჰაერო სივრცის გახსნაზე ქართველთა დასაყოლიებლად.

რამდენიმე თვეში ქართულ პოლიტიკაში ჩნდება ახალი პოლიტიკური წარმონაქმნი — „აფხაზეთის თანხმობის, ერთობისა და აღორძინების კავშირი“. ეს საკმაოდ ჭრელი შემადგენლობის ორგანიზაცია პრესკონფერენციას მართავს და აცხადებს, რომ აფხაზეთს ორ თვეში დაიბრუნებს, თუ დევნილთა ნდობის 70%-იან მანდატს მიიღებს. პრესკონფერენციას მართავდნენ ლორიკ მარშანია, ელგუჯა გულედანი (დევნილთა ლიგა), ვასილ კადენეცი (საქართველოს კაზაკთა კავშირის ატამანი), ზაურ ბედია („ავიატორები აფხაზეთის ულრუბლო ცისთვის“), მურმან ომანიძე (გამსახურდიას მთავრობის ვიცე-სპიკერი და საგარეო საქმეთა ექსმინისტრი), ავთანდილ მარგიანი (საქართველოს დემოკრატთა კავშირი), შოთა ბიჭიკაშვილი (აფხაზეთის ჟურნალისტთა ფონდის პრეზიდენტი). ჟურნალისტების მიერ დასმული მაკომპრომეტირებელი კითხვების შემდეგ ორგანიზატორებმა პრესკონფერენცია დატოვეს. შეხვედრაზე ახალი კავშირის წევრები აფხაზებთან ეკონომიკური ურთიერთობების, რკინიგზის, აეროპორტისა და სხვა სასიცოცხლო კვანძების გახსნის აუცილებლობაზე ლაპარაკობდნენ. ეს ცდა ჩაიშალა.

ცოტა ხანში რუსეთი ხათრიანი ქართველების ნამუსზე შეგდებას შემოვლითი გზით, მეზობლის ხელითაც შეეცადა. შარშან, თბილისში სტუმრად ჩამოსული სომხეთის პარლამენტის სპიკერი ხაჩატრიანი საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს, აამოქმედოს ადლერიდან გალის ჩათვლით 80 კმ-იანი ცენტრალური სარკინიგზო მაგისტრალი და მოუხსნას მეზობელ აფხაზ ხალხს(?!) ბლოკადა. საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტში კი უკვე აღსადგენი მონაკვეთების გადათვალიერებასა და მუშახელის დასაქმებაზე ალაპარაკდნენ. ამ პერიოდს ემთხვევა საქართველოს რკინიგზელთა ხელფასების 30%-ით გაზრდა.

2001 წლის 10 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „დევნილთა სახალხო პარტიის“ ლიდერი ბორის კაკუბავა ყრილობას მართავს და დევნილთა ნდობის მანდატს ასლან აბაშიძეს გადაულოცავს. აბაშიძე დევნილებს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებას ჰპირდება.

2001 წლის ნოემბერში, როდესაც შევარდნაძის გადაყენების მოთხოვნით პოლიტიკური პარტიები და სტუდენტები რუსთაველზე გრანდიოზულ მიტინგებს აწყობდნენ, შევარდნაძემ აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის მართვის სადავეები რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსს, ასლან აბაშიძეს გადაულოცა. ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ საჭიროა აფხაზეთისთვის ბლოკადის მოხსნა, სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლება და რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის გარკვევა.

დღეს უკვე რუსული მხარე საქართველოსთან ფარულ შეთანხმებებზეც ალაპარაკდა — რკინიგზა თქვენი ნებართვის გარეშე როგორ გაიხსნებოდაო. და მაინც, ვის შეეძლო გაეცა, თუნდაც ფარულად ნებართვა რკინიგზის აღდგენაზე? კომპეტენტური პირების თქმით, ეს უფლებამოსილება აქვს პრეზიდენტს. მხოლოდ მისი თანხმობით შეუძლია იმავეს გაკეთება სხვა სახელმწიფო დარგობრივ სტრუქტურას. როგორც ამბობენ, თანხმობის გაცემა აფხაზეთის საკითხებში პრეზიდენტის რწმუნებულსაც, ასლან აბაშიძესაც შეეძლო. თეორიულად აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებასაც აქვს მსგავსი უფლებამოსილება, მაგრამ პრაქტიკულად ეს შეუძლებელია, რადგან ამ სტრუქტურას არც რუსული და არც აფხაზური ხელისუფლება არ ცნობს.

ზემოთ ხსენებულით არც რაიმეს ვამტკიცებთ და არც კონკრეტულ პირებზე მივანიშნებთ, უბრალოდ, ფაქტებს მივყვებით. ისე, ჯერ კიდევ გასარკვევია, პოლიტიკურად ისეთ გაურკვეველ სიტუაციაში, როგორშიც საქართველოა, რა სჯობია და როგორ სჯობია მანამდე კი მატარებელი ადლერი-სოხუმი-ადლერი შეუფერხებლად მოძრაობს. აფხაზებმა პუნქტებს სახელებიც შეუცვალეს: გაჩერება ლესელიძეს — ცანდრიში ჰქვია, განთიადს კი — ჩაგრიში. ბილეთები უპრობლემოდ იყიდება. აფხაზები სოხუმში შევსებულ ბლანკებს საბჭოურ პასპორტებში რუსული შტამპების ჩასარტყმელად სოჭში მიარბენინებენ და სათანადო შტამპის ჩარტყმის შემდეგ დიდი რუსეთის სივრცეს ერწყმიან.

**რუსუდან ხუბულავა**

MBG ემბიჯი
MICROFINANCE BANK OF GEORGIA
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი

გთავაზობთ სიურპრიზს!
ყოველი 21-ე, ვინც გახსნის დეპოზიტს
საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში
მიიღებს შესანიშნავ საჩუქარს,
დეპოზიტის მინიმალური თანხა შეადგენს 40 ლარს.

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
თბილისი 380012
[illegible]
ტელ.: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 25-05-80
e-mail: mbg@mbg.com.ge

ვაკის განყოფილება
თბილისი 380079
[illegible]
ტელ.: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
e-mail: vake@vake.mbg.com.ge

ქობულეთის განყოფილება
ქობულეთი 384410
[illegible]
ტელ./ფაქსი: (8 236) 66-439
e-mail: kobuleti@batumi.mbg.com.ge

მარნეულის განყოფილება
მარნეული 383130, [illegible]
ტელ.: (8 257)-2-16-00 8 (257)-2-16-50
ფაქსი: (822) 94-31-36
e-mail: info@marneuli.mbg.com.ge

დიღმის განყოფილება
თბილისი 380015
[illegible] 112
ტელ.: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
e-mail: mbgi@access.sanet.ge

ქუთაისის ფილიალი
ქუთაისი 384000
[illegible] 85
ტელ./ფაქსი: (8 231) 4-14-14; 4-51-64
e-mail: mbgk@mbg.com.ge

გორის ფილიალი
გორი, 383500, [illegible] 10
ტელ.: (8 293) 2-30-64, 2-73-05, 33-46-57
ფაქსი: (8 22) 33-46-58
e-mail: info@gori.mbg.com.ge

ბათუმის ფილიალი
ბათუმი 384500 [illegible] 18
ტელ.: (8 88 222) 7-24-20
ფაქსი: (8 88 222) 7-19-54
e-mail: info@batumi.mbg.com.ge

გლდანის ფილიალი
თბილისი 380067
[illegible]
ტელ.: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
e-mail: gldani@gldani.mbg.com.ge

ვარკეთილის ფილიალი
თბილისი 380052
[illegible]
ტელ.: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
e-mail: varketili@mbg.com.ge

ფოთის ფილიალი
ფოთი 384690
[illegible] 23
ტელ.: (8 293) 28-28-5, 28-28-3
ფაქსი: (8 293) 28-28-3, 28-28-4
e-mail: mbgp@internet.ge

ზესტაფონის განყოფილება
ზესტაფონი 384900
[illegible] 9
ტელ.: (8 292) 510-22; 554-58
ფაქსი: (8 22) 33 36 69
e-mail: mbgz@kutaisi.mbg.com.ge



# ნატიურმორტი პუტინისგან

ნაყოფიერი გამოდგა დსთ-ის ქვეყნების ლიდერთა არაოფიციალურ სამიტზე რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა.

პუტინმა ქართველ კოლეგას დაბადების დღე მიულოცა და საჩუქრად ცნობილი რუსი მხატვრის ნატიურმორტი გადასცა, ეტყობა გაახსენდა, რომ თავის 50 წლის იუბილეზე შევარდნაძემაც სურათი აჩუქა. შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა საჩუქრისთვის და გაზის მიწოდებაში ექსტრემალური დახმარებისთვის. ამის შემდეგ საუბარი დახურულ კარს მიღმა გაგრძელდა, მაგრამ ჟურნალისტებმა მაინც მოახერხეს საუბრის შინაარსის გაგება. აფხაზეთში რუსეთის მშვიდობისმყოფელთა მანდატის გაგრძელების საკითხზე მსჯელობისას შევარდნაძეს უთქვამს: „არ ვიცი, რა მოხდება, თუ ხვალ მშვიდობისმყოფელები გავლენ, მაგრამ მეორე მხრივ, არასწორი გადაწყვეტილებებიც არის მიღებული, მაგალითად, მატარებლის მოძრაობის აღდგენა“, რაზედაც პუტინს უპასუხია, ეს პრობლემა საქართველოში ლტოლვილთა დაბრუნების საკითხთან ერთად უნდა განვიხილოთო. რფ-ის პრეზიდენტი გულისხმობდა სამხრეთ ოსეთიდან დევნილებს და სამცხელ თურქებს. ორი ქვეყნის პრეზიდენტი მივიდა დასკვნამდე, რომ სოჭი-სოხუმის მატარებელი რეგულარულად უნდა მოძრაობდეს, მაგრამ შევარდნაძემ მტკიცე გარანტიები მოითხოვა ლტოლვილებთან დაკავშირებით.

***რუსული პრესის მიხედვით***

# არძინბას ავადმყოფობა ხელს არ უშლის

კარგა ხნის დუმილის შემდეგ აფხაზეთის აუღიარებელი რესპუბლიკის თავკაცი ვლადისლავ არძინბა ჟურნალისტებს შეხვდა:

— *აფხაზეთში დამთავრდა მოსახლეობის აღწერა. მოსახლეობის 80% ორი სახელმწიფოს მოქალაქეა, აფხაზეთისა და რუსეთისა. რა პოლიტიკურ ნაბიჯებს აპირებს აფხაზეთის ხელმძღვანელობა?*

— მოსახლეობის სურვილი, ორმაგი მოქალაქეობისა, ჩვენ ეროვნულ ინტერესებს ემთხვევა. ჩვენ რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობა გვინდა, რაც უსაფრთხოების და ეკონომიკური აყვავების გარანტიას მოგვცემს. რუსეთის ხელმძღვანელობამ ეს მშვენივრად იცის.

— *აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას პასპორტებში რუსეთის ოფიციალური შტამპი აქვს ჩარტყმული, რომელიც მათ რუსეთის მოქალაქეებად აღიარებს.*

— ახლა აფხაზეთის მოქალაქეებს უფლება აქვთ, მიიღონ რუსეთის სამოქალაქო საზღვარგარეთული პასპორტები. მათი გაცემა წმინდა ტექნიკური პრობლემაა.

— *რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც თქვენ პუტინს აფხაზეთის ასოცირებული წევრობის სტატუსი სთხოვეთ?*

— რუსეთის ოფიციალური პოზიცია არ შეცვლილა, ის კვლავ ცნობს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ რუსეთის და სხვა წამყვანი სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების ასეთი მიდგომა სამართლებლივ საფუძველსაა მოკლებული. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და თავი 1918-1921 წლების დემოკრატიული საქართველოს სამართალმემკვიდრედ აღიარა. ამის შემდეგ საქართველოს სსრ-მ, რომელთანაც აფხაზეთს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კავშირი ჰქონდა, არსებობა შეწყვიტა. მის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი სახელმწიფო — საქართველო, რომელმაც დამოუკიდებლობა აღიარა და აფხაზეთი, რომელიც სსრკ-ის სუბიექტად დარჩა. ის, რომ აფხაზეთსა და საქართველოს შორის არ არსებობს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები, ჯერ კიდევ 1994 წელს დაფიქსირდა. ასე რომ, აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა არა მარტო დე ფაქტო, არამედ დე იურე.

— *რატომ რეაგირებს ასე მწვავედ საქართველოს მთავრობა სოხუმი-სოჭის რკინიგზის აღდგენაზე?*

— საქართველოს მთელი პოლიტიკა აფხაზეთის მოსახრჩობადაა მიმართული. ის ნამდვილ ტერორისტულ ომს ეწევა აფხაზეთის წინააღმდეგ. გაეროსა და რუსეთს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ტერორისტებს უწყობს ხელს. მაგრამ საქართველო მაინც სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკას ატარებს. რაც შეეხება რკინიგზას, ის შეესატყვისება არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ სომხეთის და საქართველოს უბრალო მოქალაქეების ინტერესებსაც.

— *ამბობენ, რომ ჯანმრთელობის გამო აფხაზეთს ნომინალურადღა აკონტროლებთ...*

— ექიმების წყალობით ვაგვარებ ჯანმრთელობის პრობლემებს, თუმცა ეს ხელს არ მიშლის მოვალეობის შესრულებაში.

***ნეზავისიმაია №16***

# ტრანზიტი — საქართველოს ავლით

— მაღალი სატრანსპორტო გადასახადი და ხარკის აშკარა შეწერა საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ სომხეთის საქონელს აძვირებს და არაკონკურენტუნარიანს ხდის რუსეთის ბაზარზე, — განაცხადა სომხეთში ჩასულმა მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა. მისი აზრით, საჭიროა ირან-კასპიის მარშრუტის ათვისება სომხეთიდან, რომელიც იქნება არა მარტო სომხეთისა და რუსეთის დამაკავშირებელი გზა, არამედ იმოქმედებს საქართველოს სატარიფო პოლიტიკაზეც. „დარწმუნებული ვარ, საქართველოს საქმიანი წრეები რეაგირებას სწრაფად მოახდენენ — სატრანსპორტო ტარიფებს შეამცირებენ და ტრანზიტის ორგანიზებასაც გააუმჯობესებენ“ — დასძინა მან.

***ნეფტეგაზ.რუ***

# „აფხაზეთში გეტოს ვერავინ მოაწყობს“, — ვლადიმირ პუტინი

„ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსეთი მშვიდობისმყოფლებს იმ შემთხვევაში გაიყვანს, თუ დსთ-ის ქვეყნები მისი მანდატის გაგრძელებას არ გადაწყვეტენ, ასევე საჭიროა ამაზე ქართული მხარის თანხმობა, — განაცხადა ვლადიმირ პუტინმა და დასძინა, — მანდატის გაგრძელების საკითხი მოკლე ხანში გადაწყდებაო. პუტინმა ხაზგასმით აღნიშნა, რუსეთი იქ ძალით არავის დააკავებს, მაგრამ მშვიდობისმყოფლების გაყვანამ შეიძლება რეგიონში სიტუაცია გაამწვავოს, ეს კი სახიფათოაო. გარდა ამისა, პუტინმა თქვა, რომ რუსეთი გეტოებისა და ანკლავების შექმნის კატეგორიული წინააღმდეგია — ეს არავის არასოდეს გამოსვლია და არც აფხაზეთის მიმართ გამოუვაო.

რფ-ის პრეზიდენტმა განაცხადა: „მოსკოვი აფხაზეთში პასპორტებს მასობრივად არ გასცემს; სოხუმში, რუსეთის საკონსულოს, იქაურებმა თხოვნით მიმართეს რუსეთის მოქალაქეობის მიღების თაობაზე, ჩვენ კი უარის თქმის უფლება არ გვაქვს“. თანაც პუტინმა ყველას შეახსენა, რუსეთში 1993 წლიდან 1 მლნ ქართველი ჩამოვიდა, მათგან 650 ათასი ამ ქვეყნის მოქალაქე გახდა. თუ ქართველებისთვის შეიძლება ეს, აფხაზებმა რა დააშავესო. მისივე აზრით, საქართველოს ინტერესებშია მიმოსვლის გაფართოება სომხეთისაკენ. ამით ის სატრანზიტო ქვეყანა გახდება და ეკონომიკურ მოგებასაც ნახავსო. პუტინმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს საკითხი საქართველოს ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს. „რუსეთისათვის სოჭი-სოხუმის მატარებელი ანტიკორუფციული საშუალებაა, რადგან იქნება თუ არა სარკინიგზო კავშირი, სოჭში მაინც ჩამოდიან აფხაზეთიდან სავაჭროდ. სჯობს, ისინი ლეგალურად ჩამოვიდნენ და ბაჟი გადაიხადონ, რადგან ამ რეგიონში საზღვარი არც არის და არც არასოდეს ყოფილა“, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

***ასოშიეიტედ პრესი***

# როდემდე?!

პუტინის აზრი აფხაზეთ-საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, ორი კურდღლის დაჭერის მცდელობას ჰგავს. ერთი მხრივ, მოსკოვი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და ეჭვქვეშაც არ აყენებს, რომ აფხაზეთი მისი განუყოფელი ნაწილია. მეორე მხრივ, დიდი ხანია აფხაზეთთან ურთიერთობას უთბილისოდაც ახერხებს. ხოლო ყბადაღებული რკინიგზა რუსეთის მიერ სუვერენული საქართველოს მიმართ ჩადენილი დიდი თუ პატარა ცოდვების ერთი ეპიზოდია. პუტინი სოჭი-სოხუმის მატარებელს „ანტიკორუფციულ საშუალებად“ მიიჩნევს და ჩვეულებისამებრ, სერიოზულ პრობლემას სახუმაროდ აქცევს. მატარებელი აფხაზეთის მოსახლეობას უსათუოდ სჭირდება, მაგრამ საერთაშორისო ნორმების დაცვაც ხომ აუცილებელია! სხვის ოჯახში შესვლის უფლება მასპინძელს ხომ უნდა სთხოვო? მაგრამ რუსეთს აფხაზეთის მთავრობა რესპუბლიკის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად მიაჩნია, რომელსაც უფლება აქვს, თბილისს მიაფურთხოს. იგივე სიტუაციაა პასპორტებთან დაკავშირებით. პუტინს უკვირს, რატომ შეიძლება ქართველი იყოს რფ-ის მოქალაქე და აფხაზი — არაო. იმიტომ, რომ ქართველები რუსეთის მოქალაქეობას რუსეთში ჩასვლისას იღებენ. აფხაზეთის მოქალაქეთა სურვილი, რფ-ის მოქალაქეობის მიღებისა კი სულაც არ გულისხმობს მათ მასობრივ გადასახლებას ახალ სამშობლოში.

2002 წლის 1-ელი ივლისიდან ძალაში შესული კანონი, „რფ-ის მოქალაქეობის შესახებ“, ითვალისწინებს, რომ რუსეთის მოქალაქეობის მსურველმა უწყვეტლივ სულ მცირე, 5 წელი მაინც უნდა იცხოვროს რფ-ის ტერიტორიაზე. მაგრამ




ამ დებულებამაც ვერ შეაჩერა სოხუმის საკონსულოს თანამშრომლები — განცხადებების მიღება მხოლოდ ახლახან შეწყდა. რატომ იღებენ განცხადებებს, თუ წინასწარ იციან, რომ თხოვნას ვერ დააკმაყოფილებენ. პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: თბილისზე პოლიტიკური ზეწოლის გამო. დაბოლოს, პუტინმა შეუძლებელია, არ იცოდეს, რომ საქართველო არ ცნობს სოხუმში რუსეთის საკონსულოების ლეგიტიმურობას, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტი ამ ფაქტსაც სრულიად უარყოფს...

***გრანი რუ***

# აბაშიძე და ლუჟკოვი საერთო სახლს აშენებენ



აჭარას ასლან აბაშიძის დიდი მეგობარი, მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი ეწვია. მან მოინახულა ბათუმში განლაგებული რუსეთის მე-12 სამხედრო ბაზა, ბათუმის საზღვაო-სავაჭრო პორტი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო თეატრი. სტუმარს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს.

საქმიანი მოლაპარაკების და ბათუმის სანაპირო ზოლზე საცხოვრებელი კვარტალის აშენების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, აბაშიძე და ლუჟკოვი ახალი სახლის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიას დაესწრნენ. ადგილობრივი ანალიტიკოსები ლუჟკოვს აღიქვამენ როგორც ინვესტორს, რომელიც აჭარაში მშენებლობასა და ეკონომიკურ პროექტებს აფინანსებს.

***გაზეტა სნგ***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# ღია წერილი ქართველ ერს



*2003 წლის 25 იანვარს, შაბათს, საფრანგეთის ქალაქ ლევილის მუნიციპალიტეტში და ქართულ სასაფლაოზე გაიმართა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას გარდაცვალების 50-ე წლისთავის აღსანიშნავი ცერემონია. ლევილის მერმა, ბატონმა დანიელ ესპრანმა აღნიშნა, 2001 წელს საქართველოში მოგზაურობა დამეხმარა შემეცნო ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ბობოქარი სული და შეუპოვარი ხასიათიო და შეახსენა დამსწრეთ, რომ 2002 წლიდან ლევილის მუნიციპალიტეტის თავზე, ფრანგულ დროშასთან ერთად, საქართველოს დროშაც არის აღმართული.*

*გთავაზობთ ნოე ჟორდანიას ვაჟის, ბატონ* ***რეჯებ ჟორდანიას*** *მიმართვას ქართველი ერის მიმართ:*

პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას გარდაცვალების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, მსურს ყველას, განსაკუთრებით საქართველოს მთავრობას, შევახსენო, თუ რა დიდი დამსახურება აქვს ნოე ჟორდანიას და მის კოლეგებს სამშობლოს წინაშე და რამდენად არის დავალებული საქართველო მათ მიმართ.

რუსეთის ცარისტულ იმპერიაში სოციალ-დემოკრატები ათეული წლების მანძილზე იბრძოდნენ საქართველოში ეროვნული თვითშეგნების ასაღორძინებლად, რაც 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინდა. მსურს ყველას შევახსენო, რომ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, რომელსაც ნოე ჟორდანია ხელმძღვანელობდა, მხურვალედ უჭერდა მხარს პრაქტიკულად ყველა ქართველი, განურჩევლად სოციალ-ურ-კლასობრივი წარმომავლობისა. ყოველივე ამის შედეგი, 1990 წლისგან განსხვავებით, იყო ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას არ მოჰყოლია დამანგრეველი სამოქალაქო ომი, არ გაღვივებულა რეგიონალური სეპარატიზმი, საქართველომ შეინარჩუნა ერთიანობა და ძლიერება. რამდენად განსხვავდება ყოველივე ეს პოსტსაბჭოური ხანისაგან, როდესაც არჩეული პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, დედაქალაქიდან სამოქალაქო ომით გააძევეს, დაინგრა თბილისის ცენტრი, ათასობით ქართველი დაიღუპა ძმათამკვლელ ომებში, რასაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა მოჰყვა.

დასავლელი მკვლევარები ერთსულოვნად აღიარებენ იმ მაღალ დემოკრატიულ და პროგრესულ პრინციპებს, რითაც ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული მთავრობა ნოე ჟორდანიას ლიდერობის დროს. სწორედ ამ პრინციპების წარმატებისა და ძლიერების დასტურია ის ფაქტი, რომ მხოლოდ წითელი არმიის მეოხებით მოხერხდა მთავრობის დამხობა და საქართველოს ძალისმიერად გაწევრება საბჭოთა იმპერიაში.

საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ საფრანგეთს შეაფარა თავი, რათა იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლა. სწორედ საფრანგეთში, ემიგრაციიდან 30 წლის შემდეგ, დასრულდა პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას ცხოვრება და მასთან ერთად მისი ბრძოლა დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოსთვის.

12 წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა. ძალზე სამწუხაროა და გაუგებარი ის, რომ ამ ხნის მანძილზე საქართველოს ხელისუფლებამ პრაქტიკულად არაფერი გააკეთა, რათა სახალხოდ ეღიარებინა ის დიდი ღვაწლი, რაც ყველა პოლიტიკურ პარტიასა თუ მოძრაობას მიუძღვის ქართული ეროვნული თვითშეგნების აღორძინებასა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებაში. სწორედ მათი თავგანწირვისა და მამულიშვილობის ხარჯზე, პირველად, საუკუნეთა მანძილზე, 1918 წელს, საქართველო გახდა ერთიანი და დამოუკიდებელი. სამწუხაროდ, არაფერი გაკეთებულა და არც კეთდება ამ ხალხის დასაფასებლად. საფიქრელია, რომ ბოლშევიკურმა პროპაგანდამ, რომლის გავლენითაც საქართველოს რამდენიმე თაობა აღიზარდა, სავალალო შედეგი გამოიღო.

დასასრულს, მსურს წარმოგიდგინოთ მცირე სტატია, რომელიც „ნიუ იორკ ტაიმსში“ დაიბეჭდა მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ.

***პატივისცემით,***
***რეჯებ ჟორდანია***

## ქართველის გარდაცვალება

**დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა ჯარების მიერ დამხობისა და მისი მთავრობის გაძევებიდან თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია. 1918-1921 წლებში ბატონი ჟორდანია და მისი კოლეგები შეეცადნენ, შეექმნათ დემოკრატიული რესპუბლიკა პროგრესული მმართველობით, რომლისთვისაც მათ მოდელად ამერიკის შეერთებული შტატები და მისი კონსტიტუცია გამოიყენეს.**

**ერთი შეხედვით, ბატონ ჟორდანიასა და მისი თანამებრძოლების მცდელობა, შესაძლოა, წარუმატებლად ჩაითვალოს. მაგრამ ფაქტია, რომ მათ შექმნეს ქვეყნის მოწყობის ისტორიული მოდელი, რომელიც არ არის დავიწყებული და შესაძლოა მომავალში გამოყენებულ იქნას საბჭოთა ხალხების თანაცხოვრების საფუძვლად, როდესაც საბჭოთა ტირანია ისტორიას ჩაჰბარდება.**

***ნიუ იორკ ტაიმსი***
***15.1.1953***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძენობენ

***

**3 წლის სოფო გუგაშვილი** მეზობლისგან დაბრუნდა, ხელში დიდი ატამი ეჭირა და ჭამდა. ბებომ ჰკითხა:

— მადლობა უთხარი?

— ჩემით ავიღე და მადლობა რატომ უნდა მეთქვა? — გაიკვირვა სოფომ.

***

**4 წლის ნინუცა ხუციშვილი** ხშირად მონაწილეობს გადაცემა „ორატორში". ერთხელ ჩანერაზე მისულ დედა-შვილს ტელევიზიის თანამშრომელმა უთხრა:

— ოპერატორს ეჩქარებოდა და წავიდაო.

გზაში ნინუცა ეკითხება დედას:

— დედიკო, იმპერატორს სად ეჩქარებოდა (ვერ გაიხსენა ოპერატორი)?

***

**2 წლის თამარ ძაგანია** ბებო უკითხავდა ლექსს „წითელი ვაშლი გაგორდა".

— ალა, ბებო, წითელი ალა, ატონოვკა.

***

**4 წლის თამთა არევაძე** ეკითხება მამას:

— მამიკო, მითხარი, სვანი გოგოა თუ ბიჭი?

***

— შვილო, რომელ საათზე აპირებ დაძინებას? — ეკითხება თამაშით გართულ **6 წლის მარიამ კილასონია**ს დედა.

— საათზე როგორ დავიძინებ, დედიკო, — უკვირს პატარას.

## ძვირფასო მშობლებო!

იქმნება თანამედროვე საბავშვო პერსონაჟი ბუთქუნა. თქვენი შვილი შეიძლება ბუთქუნასა და მისი მეგობრების პროტოტიპი აღმოჩნდეს. ასე რომ, „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნეთ ბავშვების ფოტოები, სადაც ისინი დაახლოებით 4 წლისანი არიან და დაელოდეთ ბუთქუნს!




იპოვე ორი ერთნაირი პრიზი




გამოიცანი, რომელი ნივთები ეკუთვნის პოლიციელს

## II ანა, გამოიცანი

**1) ამათგან, რომელი არ არის მაიმუნი?**

ა) გორილა; ბ) შიმპანზე; გ) მაკაკა; დ) დინგო.

**2) რა ასრულებს მუხრუჭის როლს გემისთვის?**

ა) ღუზა; ბ) პალო; გ) თოკი; დ) ბორკილები.

**3) რომელია მოსაბეზრებელი საუბარი?**

ა) ბაასი; ბ) მასლაათი; გ) ყბედობა; დ) მუსაიფი.

**4 რომელ ციურ სხეულს აქვს ლაქები?**

ა) მთვარეს; ბ) მეტეორებს; გ) მზეს; დ) ვარსკვლავებს.

**5 რომელი ქართველი მწერლის მშობლიური სოფელია ტანძია?**

ა) ილიას; ბ) ვაჟას; გ) სულხან-საბა ორბელიანის; დ) ნიკოლოზ ბარათაშვილის.

**6) რომელი ნაწარმოები არ ეკუთვნის ჟიულ ვერნს?**

ა) „საიდუმლო კუნძული"; ბ) „კაპიტან გრანტის შვილები"; გ) „80 000 კილომეტრი წყალქვეშ"; დ) „გრაფი მონტე-კრისტო".

**7) სად ინახება წმინდა ნინოს ჯვარი?**

ა) სვეტიცხოველში; ბ) სამების ტაძარში; გ) ანჩისხატში; დ) სიონის საკათედრო ტაძარში.

## III რებუსი



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ მუხლუხებიანი საბრძოლო მანქანის სახელს.




## ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ 14 ᲬᲘᲒᲜᲘ-ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ!

ᲛᲐᲚᲔ ᲖᲦᲐᲞᲠᲔᲑᲨᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲡ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲔᲜᲗ

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში




ᲔᲠᲗᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ-ᲖᲦᲐᲞᲐᲠᲘ 1 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ 20 ᲗᲔᲗᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ



ისრის მიხედვით გაიყვანე ჩიტი ლაბირინთიდან




V იპოვე სურათზე გამოტოვებული ნაწილი ქვემოთ მოცემული ფრაგმენტებიდან




ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალდო-სალაღო"

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲘᲮᲘᲚᲔᲗ 31-Ე ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

გვერდი მოამზადა მაკა ხუციშვილმა

ხუთჯვრიანი დროშის გამოჩენამ ისევ მითქმა-მოთქმა და აჟიოტაჟი გამოიწვია. ზოგი მას წმინდა ქართულ, გორგასლიან-დავითიან დროშად ნათლავს, ზოგიც მის ხელში დაჭერას მკრეხელობად მიიჩნევს: კათოლიკურად, ან სულაც მასონების ნაქარგავ-ნახატად თვლის. ამ წერილში მკითხველი ვერ იპოვის ვერც ერთ ახალ მასალას თუ ფაქტს, ვერც ისტორიკოსთა გამონათქვამების შეჯერება-გაანალიზების ცდას წააწყდება. ამის მიზეზი საკითხის ირგვლივ არსებული საარგუმენტაციო მასალის სიმწირე გახლავთ და ისიც, რომ ჩემ მიერ მოხმობილი ავტორიტეტები მავანისთვის შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს ასეთი. ამიტომ, ამჯერად, მკითხველის ყურადღებას ერთ, ჩემთვის ლოგიკურ ჯაჭვად აწყობილ ამბავს მივაქცევ და თვითონ გადაწყვეტს — ლოგიკურია ის თუ — არა.

მე-11 საუკუნის შუა ხანებში (1054 წ.) ქრისტიანობაში მეტად მძიმე სქიზმა (განხეთქილება) მოხდა: მაცხოვარ იესოზე მლოცველი სამყარო ორად გაიყო. ცივილიზაციის (ამ სიტყვას მისი საუკეთესო გაგებით არ ვამბობ) გზას დამდგარმა ევროპამ კათოლიციზმის გზით სიარული ამჯობინა. სქიზმა შედგა, მაგრამ სრულ გამიჯვნამდე ჯერ კიდევ შორი გზაა. სამაგალითო ქრისტიანები კიდევ ცდილობენ შემობრუნებას, შერიგებას, საერთო ენის მონახვას. ამავე პერიოდში ხდება კიდევ ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: 1071 წელს მანასკერტის ბრძოლაში თურქები იმარჯვებენ. ქრისტიანები დადრკნენ. ბიზანტია პირველად იხევს უკან. ანატოლიაში, მთელ მცირე აზიაში, ოფიციალურად იკიდებს ფეხს ახალი სარწმუნოება. საშიშროება ევროპისა და მთელი საქრისტიანოსთვის აშკარა იყო და წესით, ამას კიდევაც უნდა გაეერთიანებინა ისინი. არაბებისაგან თავდახსნილი საქართველო კი ამ პერიოდში დიდ წარმატებებს აღწევს. ბაგრატიონთა დინასტია მძლავრობს და თავისი დროშის ქვეშ აერთიანებს ქართველურ თუ არაქართველურ ტომებს.

მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიის დედოფლად მარიამ მართაყოფილია, გიორგი -ის დაი და მომავალი დავით V აღმაშენებლის მამიდა. ამ სულითა და ხორცით მშვენიერი ქალბატონის გავლენა მთელ იმპერიაში მეტად დიდია. იმავდროულად გრიგოლ და აბას ბაკურიანისძეები უაღრესად დიდ და მნიშვნელოვან სამხედრო და პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენდნენ. სწორედ დიდი გავლენისა და ძლიერების დადასტურებაა მათი ქტიტორობით პეტრიწონის ქართული სავანეების აგება.

თურქების გამოჩენა მოსალოდნელზე მეტ პრობლემას უქმნის ქართველებს. მათი წინსვლა ჩერდება. თურქები ცდილობენ ჯერ ქართველებთან მოითაონ საქმე და ბიზანტიაზე გენერალურ შეტევას მერმისისთვის გეგმავენ. ქართველებს თავდაპირველად უჭირთ თურქებთან ბრძოლა: გიორგი II დათმობებზე მიდის. ამ დროს, მოულოდნელად (ჩვენთვის, რასაკვირველია) სრულიად ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე გიორგი ბაგრატის ძე თავისი ხელით ადგამს გვირგვინს 16 წლის, ერთი შეხედვით, გამოუცდელ ჭაბუკს, ქართველთა მომავალ მზენათს დავით IV-ს. საფიქრებელია, რომ საამისოდ რაღაც სერიოზული მიზეზი არსებობდა და არა რაღაც, ტრივიალური გადატრიალების მსგავსი. ასეთი რამ, წესით და რიგით, იმ დროს არ უნდა მომხდარიყო. არც სიტუაციიდან და არც პოლი-



# ისევ ხუთჯვრიანი დროშის შესახებ, ანუ ამბად, — არგუმენტების გარეშე

ტიკური თეატრის მოქმედი პირების პორტრეტული შესწავლიდან გამომდინარე. რაღაც ახალი იჭრება ქართულ დიპლომატიასა და მსოფლშეგრძნებაში. რაღაც ახალი იდეა იპყრობს ქართულ სამეფო კარს. ეს იდეა, სავარაუდოდ, ჭყონდიდელთანაა დაკავშირებული და ევროპულ სარაინდო სისტემასთან კავშირის დამყარებაშია საძებნელი. თურქობის მომძლავრების პროგნოზს მაინცდამაინც დიდი ჭკუა და გამჭრიახობა არ სჭირდებოდა. თურქობასთან ერთად ხომ მთელი მუსლიმანური სამყარო ახალ სისხლს ისხამდა და „მობერებულ“ არაბებთან ერთად, უაღრესად საშიშ ძალად ყალიბდება.

ახალგაზრდა ქართველი მეფე მჭიდროდ უკავშირდება ევროპელ რაინდებს და მათ შორის მეტად დიდ სახელს დაიგდებს: „იოანე ხუცად“ წოდებული დავითი თანამოაზრეებთან ერთად ცდილობს საქრისტიანოს ერთიანი მტრის წინააღმდეგ გაერთიანებაში დაიდოს წილი. მოგვიანებით დავით აღმაშენებლის საფლავზე ეპიტაფია გაჩნდება:

*„ვის ნაჭარმაგევს მეფენი*
*თორმეტნი პურად დამესხნეს,*
*თურქნი, სპარსნი და არაბნი*
*საზღუართა გარე გამესხნეს,*
*თევზნი ამერთა წყალთაგან*
*იმერთა წყალთა შთამესხნეს,*
*აწე ამათსა მოქმედსა*
*გულსზედა ხელნი დამესხნეს“.*

ეპიტაფიის ავტორი, როგორც ჩანს, მისივე მოძღვარი — არსენ იყალთოელია. აქ ორი — პირველი და მესამე სტროფი იქცევს ჩემს ყურადღებას. რომელ თორმეტ მეფეზე ლაპარაკობს „მეფე ხუცესი“? ამდენი მეფე საქართველოს ერთბაშად არასოდეს ჰყოლია! ევროპულ სახელმწიფოთა მეთაურებზე ან მათ წარმომადგენლებზე ხომ არ ლაპარაკობს ეპიტაფია? საიდუმლოდ შეუყრია ისინი საქართველოს საჭეთმპყრობელს. რაოდენობაც ევროპული სარაინდო ეპოსებისთვის აგრერიგად ნაცნობია — თორმეტი. რომელ ლაშქრობას გეგმავდნენ, რა ჰქონდათ გულში? ვინ იცის?!

ამერთა წყალთაგან იმერთა წყალში თევზის შთასხმისას კი დავითი თავის ქვეყანას არ უნდა გულისხმობდეს. იმ დროის საქართველოში, თევზი უფრო იმერთა წყალთაგან შთაისხა ამერთა წყალში. დავითი ევროპელი რაინდების ჭეშმარიტ აღმოსავლურ კულტურასა და მართლმადიდებლობასთან ზიარებას გულისხმობს, ევროპული სულიერების ამ გზის ამაღლებაზე მიუთითებს, ალბათ.

თევზი ხომ ღვთიური არსებაა.

თავის დამსახურებად მიითვლის მეფე-ხუცესი ყოველივეს.

პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა უნდა ყოფილიყო საკუთარ ძალებში დარწმუნება, რომ ერთი აზრით გაერთიანებულ კეთილშობილ, მართლმორწმუნე და მამაც მეომრებს ყველაფერი ძალუძდათ. მთავარი იყო ის, რომ მათში მისტერიული ძალა ბობოქრობდა. საქართველომ, რომელიც მარტო იყო დარჩენილი მუსლიმანური ოკეანის წინაშე, არაერთხელ დაამტკიცა, რომ რწმენის, თავდადებისა და საღი გონების წინაშე ყველანაირი ძალა იმსხვრეოდა.

მაშ, უფლის საფლავის გამოხსნა შესაძლებელი ჩანდა. ევროპაში მომზადებული იყო საფუძველი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის: რაინდთა კოდექსი სწორედ რომ ზედგამოჭრილ თარგად ედებოდა ამ იდეას. იმდროინდელი ორდენები, უაღრესად კეთილშობილური მიზნებით იყო შექმნილი. კათოლიციზმის მიერ დაშვებულმა განხეთქილების შესაძლებლობამ არისტოკრატიულ წრეებში უკურეაქცია გამოიწვია და ქრისტიანობისთვის უანგარო მსახურების იდეა წარმოშვა. ეს, უაღრესად დადებითი მოვლენა იყო და იმდროინდელი ევროპის საღ მორალზე მიუთითებს. მოგვიანებით, საუკუნეების მანძილზე ომის „გამოცდილებამიღებული“ და „ცხოვრებანანახი“ რაინდები დანდობილად გადაეშვებიან ცხოვრებისეული მანკიერებებით დახუნძლულ სამყაროში და ქვეყნიერებას მოუვლენენ ათასნაირ ლოჟებსა და ორდენებს, რომელთაც უკვე ღვთიურობასა და კეთილშობილებასთან აღარაფერი აქვთ საერთო. მანამდე კი რაინდების გულწრფელობასა და რწმენაში ეჭვის შეტანის არავითარი საბაბი არ არსებობს.

მათ მართლა სურთ ქრისტეს საფლავის განთავისუფლება.

მათ მართლა სურთ, რომ ქვეყანაზე სიკეთე და თანასწორობა სუფევდეს.

ამ მიზნის აღსრულება მხოლოდ ერთიანი ძალით აღმოსავლეთზე ლაშქრობით შეიძლება. ესაა დავითისა და გიორგი ჭყონდიდელის იდეოლოგიაც. ესაა ერთადერთი გზა საქართველოს, როგორც მენაპირე ქრისტიანული ქვეყნის გადარჩენისა და კონსტანტინოპოლის, მართლმადიდებლობის ცენტრის, დაღუპვის ოთხი საუკუნით მხოლოდ გადავადებისა. ყველა მზადაა გაემგზავროს შორეულ პალესტინას, რათა მაცხოვრის საფლავი გამოიხსნას. აღარაფერი აფერხებს მათ, შეიარაღება, ფინანსები, ხალხი, — ყველაფერი საკმარისადაა.

დიდი სახელმწიფოების გულზვიად მპყრობელებს მხოლოდ ერთი რამ ვერ გადაუწყვეტიათ: რომელი დროშა წაუძღვეს ლაშქარს? ინგლისელი ფრანგის დროშით არ წავა იერუსალიმის ასაღებად, არც ფრანგი დადგება ესპანეთის დროშის ქვეშ, არც ტევტონი... ვერც სახელდახელოდ შექმნილ დროშაზე შეთანხმდებიან: ნებისმიერი მოკირკიტე ზომაზე მეტ მსგავსებას აღმოაჩენს მისთვის მიუღებელ დროშასთან. ასეთი დროშით საომრად წასვლა არ შეიძლება: უძალო და უმადლოა.

ნამდვილი, ძლევამოსილი, მადლმოსილი, სისხლში განბანილი დროშა სჭირდებათ ევროპელ რაინდებს. ისეთი, რომელიც არც ეჭვს გამოიწვევს და არც შურლს.

ამ დროს, არსებობს ქვეყნად ერთი ძლიერი ქრისტიანული ქვეყანა, რომელიც განზე დგას ევროპული ტერიტორიული ინტრიგებისაგან, მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის მრევლია და ბიზანტიასაც არ ჰგავს, რომელსაც ევროპის ძალთა თანაფარდობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და ახალმოვლენილ კათოლიკეებთანაც არცთუ თბილი დამოკიდებულება აქვს.

გარდა ამისა, საქართველოს (იგულისხმეთ — კავკასია) გზაჯვარედინი უპყრია: აქ არის აღმოსავლეთ-დასავლეთის საქარავნე გზები და ჩრდილოეთ-სამხრეთის კარის გასაღებიც.

დროშაზე დიდი ჯვარი ხომ ჯვარცმასთან ერთად ამ გზაშესაყარის აღმნიშვნელიცაა, ხოლო პატარა ჯვრები მაცხოვრის სამსჭვალებთან ერთად, ქრისტიანობის ოთხმხრივ გავრცელების მიმანიშნებელია.

და მთავარი მაინც სხვაა:

ქართველებს შეუძლიათ იერუსალიმში ამხედრებული, იარაღით, გაშლილი დროშებით და ბაჟის გადაუხდელად შესვლა.

მაშ, ვინღა უნდა იყოს ჯვაროსნული ლაშქრობის მეწინავე?

ვისი დროშა უნდა მიფრიალებდეს ჯვაროსანთა უძლეველი ლაშქრის წინ?

აქ ასარჩევიც აღარაფერია.

ქართველები უნდა გაუძღვნენ გაერთიანებულ ლაშქარს ქართული დროშით...

ამით არავის თავმოყვარეობა არ შეილახება...

1096-98 წელს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა შედგა და იერუსალიმის ქრისტიანული სახელმწიფო შეიქმნა (დავითის გამეფებიდან 7-8 წლის შემდეგ, მისი სრული სიმწიფის ასაკში).

მუსლიმანური სამყარო კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა და სულაც არ არის გასაკვირი, რომ მან 1121 წელს სწორედ საქართველოს შეუტია: ჯვაროსანთა მეწინავეს, გაერთიანებული საქრისტიანოს დროშათმპყრობელს, მისტიკურ დვრიტას...

დიდგორში „იოანე ხუცს“ — დავით აღმაშენებელს 800 (ზოგი წყაროთი — 200) ევროპელი რაინდი ედგა გვერდში. იმიტომ, რომ ეს მარტო საქართველოს ომი არ იყო, — მთელი ქრისტიანული სამყაროს ბედიც წყდებოდა. არავინ იცის, როდის გაჩნდა და რატომ, ჯვრები ევროპელი რაინდების ტანსაცმელზე. მე მგონი, ევროპიდან წამოსულები სხვაგვარად იყვნენ ჩაცმულნი, დაბრუნდნენ კი, — ერთიანად ჯვაროსნულად გამოწყობილები. ე.წ. „გაჭედილი ჯვრის“ იდეაც ევროპული სახელმწიფოების დროშებზე მერე გამოჩნდა. ქართული ხუთჯვრიანი დროშაც, როგორც ბევრი სხვა აღმოსავლური რამ, თავდაპირველ კეთილშობილ რაინდთა გამდიდრებულ-გაზულუქებულმა შთამომავლებმა მიითვისეს და სხვადასხვა ანტიქრისტიანულ ორდენთა ჰერალდიკაში ჩართეს. არადა, ხუთჯვრიანი დროშა ვერაფრით ვერ იქნება კათოლიკური. მარტო იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი აღიარებენ მხოლოდ სამ სამსჭვალს და არა ოთხს. ამის დასტურია კათოლიკურ ჯვარცმათა დღესაც ფართოდ გავრცელებული ტიპი: გადაჯვარედინებული ფეხის ტერფები ერთი სამსჭვალითაა მილურსმული. მართლმადიდებლურში კი მაცხოვრის ტერფები ორი ცალ-ცალკე სამსჭვალით... ხუთჯვრიანი დროშა ვერ იქნება კათოლიკური!

უზნეო ომებმა დაასრულეს კეთილშობილ იდეათა წყება. ჩვენ კი თავსატეხი დაგვიტოვეს: რა ვუყოთ ჩვენს ხუთჯვრიან ქართულ დროშას, ისევ აღვმართოთ?

**პროფესორი რამაზ შენგელია**

# „ბოროტსა სძლია კეთილმან...“

გვინდა მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანოთ ერთიანი საქართველოს სახელმწიფო დროშის ესკიზი, რომლის დედააზრია — „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია...“

ამჟამად არ შევუდგებით ვრცელ ახსნა-განმარტებას სახელმწიფო დროშის ფუნქციისა და მნიშვნელობის შესახებ, რაც საყოველთაოდ ცნობილია. ისიც ცხადზე უცხადესია, რომ დროშა სიმბოლურად უნდა გამოხატავდეს ერის სახეს, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული დროშის ესკიზზე გამოხატულია ბოროტისა და კეთილის მუდმივი ურთიერთბრძოლა, სადაც კეთილი სძლევს ბოროტს. ესკიზზე შავი ფერის წრე დაყოფილია ნაწილებად თეთრი ჯვრით, რომლის ბოლოები, ძოწისფერ-შინდისფერში მკვეთრი გადასვლით აგრძელებს ჯვრის ფორმას დროშის თეთრ ფონზე.

ძველი ქართული მსოფლმხედველობით, სამყარო დაყოფილი იყო სამ ტოლ ნაწილად, რომელთაც შესაფერისი ფერი ჰქონდა.

პირველი — ზესკნელი, უმაღლესი, თეთრი, მარადნათელი, ღვთაებრივი.

მეორე — სკნელი, ძოწისფერ-შინდისფერი, ე. ი. ბრძოლის, სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი.

მესამე — ქვესკნელი, შავი, ბოროტ არსთა სამყოფელი.

დროშის ესკიზზე, თეთრი ქართული ჯვარი შავ წრეში ნიშნავს სიბნელის ნათლით დამარცხებას, ზესკნელის გამარჯვებას ქვესკნელზე, ანუ „ბოროტსა სძლია კეთილმან“ და არის აბსტრაგირებული ხატი საქართველოს მფარველი წმინდა მხედარი გიორგისა და ეს წრე მთლიანობაში დროშის ესკიზზე იკითხება, როგორც ფარი. ძოწისფერ-შინდისფერი ჯვარი, რომლის საწყისი თეთრი ჯვარია (და თეთრი გრძელდება უსასრულობაში) ნიშნავს „არსება მისი გრძელია“ და არის სიმბოლო უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

წარმოდგენილი დროშის ესკიზი, ღრმა ფესვებით რომ უკავშირდება ძველ ქართულ სახელმწიფო დროშებს, ისტორიული წყაროებიდან და მეცნიერთა ნაშრომებიდანაც ჩანს:

„გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფო დროშა თეთრი ფერისა იყო, რომელზეც ჯვრის გამოსახულება შემდგომ გაჩნდა“ (ს. ბარნაველი, „ქართული დროშები“).

„სრულიად დასაშვებია, რომ ეს დავით აღმაშენებლის დროს მომხდარიყო, როცა საქართველომ ჯვაროსანთა მსგავსად წმინდა გიორგის მფარველობა მიიღო (ს. გამსახურდიას სტატია, გაზ. „თბილისი“, 1989 წ. № 113). იქვე ვკითხულობთ: „ისიც გავიხსენოთ, რომ იერუსალიმის სამეფო დროშაც თეთრი ფერისა იყო. შუაში მას ყვითელი ჯვარი გასდევდა ოთხკუთხედებში ჩახატული პატარა ჯვრებით“. ს. გამსახურდიას თავის ნაშრომში მოყვანილი აქვს აგრეთვე ციტატა ს. ბარნაველის დასახელებული წიგნიდან: „საინტერესოა შავი ფონის დროშა, სიგრძე-სიგანეზე თეთრი ჯვრის გამოსახულებით. დროშის ქვემოთ მიწერილია: „კოლკოს-გორინჩო“ („კოლკოს-გურჯი“), ე. ი. კოლხიდის მხარის საქართველო“.



2002 წლის 9-15 დეკემბრის გაზეთ „კვირის პალიტრაში“ ჟურნალისტის შეკითხვას: „როგორი იყო ქართული დროშა ისტორიულად?“, პროფესორმა გურამ შარაძემ ასეთი პასუხი გასცა:

„ქართულ, სომხურ, არაბულ და ევროპულ ისტორიულ წყაროებში დადასტურებულია, რომ ქართული დროშა იყო თეთრი, რომელზეც გამოსახული იყო ჩვენი მფარველი წმინდა მხედარი გიორგი“. ვფიქრობ, აღნიშნული ნათლად არის გაცხადებული ჩვენ მიერ წარმოდგენილი დროშის ესკიზზე (თეთრ ჯვარს აღვიქვამთ წმინდა გიორგის სიმბოლოდ), რის შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ. ამ დროშის (რომელიც ღრმა ფესვებით უკავშირდება ძველ ქართულ დროშებს, ხოლო შინაარსით ზოგადსაკაცობრიოა) მიზანია ბოროტის ძლევა, რაზეც სიმბოლურად მიგვანიშნებს თავად დროშაზე გაცხადებული თემატიკა.

**თეიმურაზ ფაშტიანი, მხატვარი-არქიტექტორი**

C M Y K

**დრო გადის, ეპოქები იცვლება, უცვლელი რჩება სევდა, რომელიც წარსულში გაჩნდა: „ვაჰ, დრონი, ვაჰ, ზნეობანი!“ (მარკუს ტულიუსი). არ იფიქროთ, მორიგი დიდაქტიკური ქადაგება უნდა შემოგთავაზოთ... უბრალოდ, ეს სიტყვები ყველაზე მეტად აერთიანებთ მათ, ვისზეც ქვემოთ უნდა გესაუბროთ...**

**მათი სახელები დღევანდელ საზოგადოებას ნაკლებად ახსოვს.**



ელენე ახვლედიანი. ჩანახატი „ნიუ“, პარიზის აკადემია

**გასაკვირი არც არის. კომპიუტერული თამაშებითა და სერიალებით გაბრუებულ, ხელისუფლებისგან გაბიაბრუებულ ხალხს იქნებ არც კი აინტერესებდეს ეს... მაგრამ თუნდაც ძალის მოსაკრებად, თუნდაც გულის კუნჭულში დარჩენილი იმედის აღმოსაჩენად არ უნდა დაგვავიწყდეს ისინი... ჩვენი ვაჟკაცები.**

**ჩეფხან დადეშქელიანი** ელენე ახვლედიანის დეიდაშვილი იყო, ბაბილინა ერისთავისა და ალექსანდრე დადეშქელიანის ვაჟი. ადრეულ ბავშვობაში წითელა შეხვედრია, „ბატონები“ განრისხებია და მას შემდეგ თვალადი და გულადი ჩეფხანი ყრუ-მუნჯად დარჩენილა. ამბობენ, ძნელი იყო მისი გამორჩეული გარეგნობა თვალში არ მოხვედროდაო ვინმეს. ოჯახშიც განსაკუთრებულად უყვარდათ. ჩეფხანი სათნო ბუნებისა ყოფილა.

1974 წელს ქართული თეატრის გასტროლები იყო პარიზში. ჩასულებს გარს შემოეხვივნენ ქართველი ემიგრანტები. ერთ-ერთ მათგანს, გვარად შანშიაშვილს, საფრანგეთის დედაქალაქში სეირნობისას ჩვენი მსახიობებისთვის მოუყოლია ჩეფხანის ამბავი: — საფრანგეთში დახვეწილი, წარმოსადეგი ქართველი, გვარად დადეშქელიანი ვნახეთ. ერთხელ, ერთ-ერთ კაფეში, კორსიკელებთან მოუვიდა ჩხუბი. მას შემდეგ, რაც მიფანტ-მოფანტა თავდამსხმელები, პოლიციაც მოვიდა. გამოიყვანეს ხელბორკილდადებული ვაჟკაცი ქუჩაში... მან კი ერთი გაჰკრა ხელი და ჯაჭვი გაწყვიტა. წარმოიდგინეთ ფრანგების გაკვირვება და ქართველების სიამაყე!

იმასაც ამბობენ, პოლიციაში საკითხი დააყენეს, ხელბორკილის საეჭვო გამძლეობის შესახებო...

სხვათა შორის, ჩეფხან დადეშქელიანი ერთ-ერთი პერსონაჟია რაჟდენ გვეტაძის რომანისა „ლაშაური საღამოები“.

სამწუხაროა, რომ სრულიად ახალგაზრდა ჩეფხან დადეშქელიანი მოკლეს იმ კლუბში, რომელიც დღევანდელი გრიბოედოვის სახელობის თეატრის ადგილას იდგა.

მავანი ოფიცერი მახარაძე უდიერად ექცეოდა მანდილოსანს. ჩეფხანი აღუშფოთებია ქართველის არარაინდულ საქციელს, ვერ მოუთმენია, გამოსარჩლებია და ემსხვერპლა კიდეც.

მაშინ სულ 21 წლისა ყოფილა...

ქალის ხელყოფა უდიდესი შეურაცხყოფა იყო მამაკაცის ღირსებისა. ცნობილია, როგორ აწამებდნენ პოლიტიკურ ტყვეებს, მამაკაცებსაც და ქალებსაც... იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც სიკვდილი არჩიეს სხვის წამებას.

თურმე, შინსახკომის თანამშრომელს, **ლევან აბაშიძეს** დაავალეს, მათრახით ქალები ეცემა. შემდეგ ტუსაღებს უთქვამთ, — ვითომ გვცემდა, მათრახს ხმაურიანად ატყლაშუნებდაო... მიუხედავად ამისა, ამ ძალდატანებითა და იძულებით შეურაცხყოფილი შევიდა კაბინეტში და თავი მოიკლა.

თბილისელი ფეხბურთელი იყო, გვარად **ასლამაზოვი**. მასაც დაავალეს შინსახკომელებმა ქალების წამება. უარი თქვა. ამის გამო აითვალწუნეს. დააპატიმრეს. სასამართლოზე უკან დაიხია, თვალის დახამხამებაში ფანჯრის რაფაზე ახტა, მინა ჩაამსხვრია და... გადმოფრინდა.

ქართველი ვაჟკაცი ქალს გზაზეც კი არ გაუსწრებდა ცხენით, რომ მანდილოსანს მტვერი არ ჩაეყლაპა: „ჩორთით მივდიოდით — მამას, მეტად თავაზიან ადამიანს, დაუშვებლად მიაჩნდა ქალებისთვის გაესწრო და გზაზე მტვრის ბოლი დაეყენებინა, მით უმეტეს, როცა საქმე დედას, დებს, ცოლსა და ბავშვებს ეხებოდა. ამიტომ ურმები წინ მიდიოდნენ. საათნახევრის შემდეგ მივედით სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძართან“, — იხსენებდა **ნიკო ბაგრატიონ-მუხრანელი,** ნიკო ბური... კაცი, რომელმაც თავისი აღზრდითა და მრწამსით გააკვირვა თითქმის მთელი მსოფლიო.

ქართულ ჩოხაში გამოწყობილ ამ ორმეტრიან გოლიათს, როგორც ამბობენ, შეეძლო ორი გაქანებული ცხენის ხელით მოთოკვა. ბეჭედი, რომელსაც ხელიდან არ იშორებდა, იმ ტყვიისგან იყო დამზადებული, რომელმაც მისი ერთგული ყმა — შაქრო განგმირა. ხუთი წლიდან დააქროლებდა ცხენს, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებს.

ბევრ დარდს ატარებდა. განსაკუთრებით სამშობლოში რუსეთის განუკითხავი თარეში უკლავდა გულს. ამიტომაც იყო, ერთ-ერთი მოგზაურობისას რომ გაიგო, ინგლისმა აფრიკაში მცხოვრებ პატარა ხალხს — ბურებს ომი გამოუცხადაო, დაუყოვნებლივ მათ ჯარში ჩაეწერა. „ეს იყო უბრალოდ, ცინიკური სურვილი, მოესპოთ პატარა, მაგრამ მდიდარი სულის პატრონი ხალხი“ — ამბობდა სხვის ომში წასული ქართველი დიდგვაროვანი.

იბრძოდა და ჯიბით დედის სურათს დაატარებდა. დედა და სამშობლო ერთი იყო მისთვის და როცა საქართველო მოენატრებოდა, ამ სურათს დაჰყურებდა.

...ინგლისელებმა ბურები ტყვედ ჩაიგდეს და დასახვრეტად გაიყვანეს. მათ შორის იყო ნიკო ბაგრატიონიც. ნიკო უკანასკნელად დასცქეროდა დედის ფოტოს. ეს უცნაური მომენტი არ გამოჰპარვია ინგლისელ ოფიცერს. მივიდა და სურათი გამოართვა. უცნაურად მოეჩვენა ძველებურ ქართულ ყურთმაჯებიან კაბასა და ჩიხტიკოპში გამოწყობილი ქალი. იკითხა, ვინ არისო? დედაჩემიაო, — უპასუხა ნიკო ბურმა. როცა გაირკვა, რომ ინგლისელი ოფიცრის წინ ქართველი ბაგრატიონი იდგა, დასახვრეტთა რიგებიდან გამოიძახეს... როცა ინგლისელები დაინტერესდნენ, ჩვენს წინააღმდეგ რატომ იბრძოდიო, ნიკო ბურმა უპასუხა: „აფრიკაში მე მოვედი, როგორც მოგზაური. ჩემი ჩამოსვლა დაემთხვა ომის გამოცხ-



ადების ამბავს. მაშინვე გადავწყვიტე ჩავმდგარიყავი ბურების რიგში, რადგან ბურების ბრძოლა მე მიმაჩნია საერთოდ თავისუფლებისათვის ადამიანების ბრძოლად“...

ასე გადაარჩინა დედის სურათმა... საქართველოში დაბრუნებული უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. პენსიაც კი არ ჰქონია... მაინც ამაყად დადიოდა ქუჩებში გაუტეხელი და მოხდენილი, ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული ღირსების შეგრძნებით.

XX საუკუნის დასაწყისში ყველა კარგად იცნობდა **ირაკლი ერისთავს** — მოხდენილ, წარმოსადეგ თავადიშვილს, კაცს, რომელსაც სწრაფად მიმავალი მატარებლის სახურავიდან შეეძლო გადმოხტომა და ცხენის ზურგზე მოქცევა (მსგავსი ილეთები ალბათ ხშირად გინახავთ კინოში). უშიშარი მოჯირითე, მანდილოსანთა ტრფიალი, განთქმული მომღერალი და მოცეკვავე — ასეთი იყო ირაკლი ერისთავი... 1921 წელს, სხვა ქართველ წარჩინებულებთან ერთად, ემიგრაციაში წავიდა, კონსტანტინოპოლამდე ჩავიდა და... ვეღარ აიტანა სამშობლოსთან განშორება, უკან დაბრუნდა. საბჭოთა წლებში კინოსტუდიაში იყო სტატისტად. როცა ნიკოლოზ შენგელაიამ „ელისო“ გადაიღო და ქართული ცეკვა დასჭირდა, უმალ მოუხმო ირაკლი ერისთავს. ამ ისტორიულ ფილმში შემორჩენილია მისი მოხდენილი ცეკვა...

ყმაწვილკაცობაში თურმე პაემანზე წასვლა დაჰგვიანებია, ამის გამო შეურაცხყოფილად უგრძნია თავი და იარაღიც კი ამოუღია, რომ თავი მოეკლა: ეს როგორ დამემართა, ქალი მელოდება და მე კი ვაგვიანებო. საბედნიეროდ, ძმას აუკრავს ხელი და გადაურჩენია. უსაზღვროდ უყვარდა მეუღლე, რომელიც პირველივე მშობიარობას გადაჰყოლია. მას შემდეგ ნაბადში გახვეულს არაერთი ღამე გაუტარებია საფლავზე და ადრე უბადლო მიჯნურს, ქალისაკენ აღარც გაუხედავს. ერთადერთ ქალიშვილს ზეინაბი დაარქვა. მოგეხსენებათ, იმ წლებში არაფრის გამო ადამიანის სიკვდილით დასჯა ჩვეულებრივი ამბავი იყო. სულ ახალგაზრდა ირაკლი ერისთავს



სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. დედამისმა სტალინს მისწერა წერილი, შვილის შეწყალება ითხოვა, მით უმეტეს, რომ ირაკლის შინ ჩვილი გოგონა ჰყავდა. მოვიდა შეწყალებაზე თანხმობა, მაგრამ ციხის უფროსმა განაცხადა: გვიანია, ერისთავი უკვე დავხვრიტეთო.

გავიდა წლები. მისი ობოლი გოგონა გაიზარდა და ცოლად გაჰყვა ოპერისა და ბალეტის თეატრის მოცეკვავეს. ერთხელ თეატრში ახალი მეხანძრე მიიღეს. მოხუცმა გაიცნო მოცეკვავეები. რომ გაიგო, ერთი ერისთავების სიძე იყო, მას ასეთი ამბავი უამბო: იცი, ერისთავები რა ხალხი იყო?! მე შინსახკომში ვმუშაობდი, როცა ერთი ერისთავი დასახვრეტად გავიყვანე. ახლა იქ წყნეთის ქუჩაა, ადრე მდინარე ვერე ჩამოდიოდა... მივდიოდით, გზაზე ტლაპო იდგა. ერისთავს ჩექმები გაესვარა. ამოიღო ქათქათა ცხვირსახოცი და გაიწმინდა. აი, ასეთები იყვნენ ერისთავებიო.

მეხანძრე სწორედ იმ ერისთავის სიძეს ელაპარაკებოდა!..

**...ივანე რატიშვილი** ზამთრის სასახლის კომენდანტი იყო რევოლუციამდე... მან გადაარჩინა ზამთრის სასახლის სიმდიდრე დატაცებასა და დაკარგვას... დღეს რომ პეტერბურგში მუზეუმის ექსპონატებია, არც ერთი არ იქნებოდა, ყველას პროლეტარები დაინაწილებდნენ, რომ არა ივანე რატიშვილი... და ეს ადამიანი ყველასგან მივიწყებული, თითქმის სარდაფში ცხოვრობდა და გარდაიცვალა თბილისში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე. მიუხედავად ამისა, ყოველთვის ღირსეულად დუმდა თავისი გაჭირვების შესახებ.

მერაბ კოკოჩაშვილი იხსენებს: როცა პატარა ვიყავი, დედას ხშირად დავყავდი სტუმრად რატიშვილებთან. მეხსიერებაში ჩამრჩა სავარძელში მოკალათებული მოხუცი თავადი, ყოველთვის სუფთად გაპარსული, ზედმიწევნით ფაქიზად ჩაცმული. თავის დარდსა და მწუხარებას იოლად არავის უზიარებდა, ერთხელაც არ წამოსცდენია, ყველას დავავიწყდიო...

არ ვიცი, რა სიტყვა შეეფერება მამაკაცის მომხიბვლელ გარეგნობას. ლამაზი და მშვენიერი ის სიტყვები არ არის, რომლებიც დასახასიათებლად გამოდგება... უნდა გენახათ, როგორი იყო **პეტრე წერეთელი** — საჩხერელი თავადი. ქალბატონმა ნინო ბაგრატიონმა გაიხსენა: ერთხელ ოთახში შევიხედე, თამარ წერეთელი (ტიციანის მუზა) პიანინოს უკრავდა, პეტრე იქვე იდგა. ეს ორი ადამიანი ერთ ნახვად ღირდაო. განუკითხაობის წლებში მთელი საჩხერის წერეთლები მოაგროვეს და დასახვრეტად წაიყვანეს. რუს ჯარისკაცსაც კი თვალში მოხვდა პეტრე წერეთელი. ხელი გაუწოდა მატარებლის ვაგონში მყოფს: თქვენ ჩამოდითო. პეტრე წერეთელმა იუარა: არა ბატონო, სადაც სხვები, მეც იქო! ისიც, სხვებთან ერთად დახვრიტეს. დიდხანს დადიოდა მითქმა-მოთქმა პროლეტარებში: ხედავ, თავადის ქედმაღლობას, სიცოცხლე არ იჩუქაო.

**დავით ბაგრატიონი** იმერეთის მეფის — ალექსანდრეს ვაჟი იყო. 1921 წელს, როცა ყველა წარჩინებული ოჯახის შვილი ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იმყოფებოდა და ბევრი მათგანი ხსნას ემიგრაციაში პოულობდა, მასაც სთხოვეს: იქნებ წახვიდეთ საზღვარგარეთო. დავით ბატონიშვილმა კატეგორიული უარი განაცხადა: ჩემს სამშობლოს ვერ მოვშორდები, ავად თუ კარგად, ისევ აქ ცხოვრება მირჩევნიაო.

1937 წელს დაიჭირეს, საშინლად აწამეს. სულ 41 წლისა იყო, ჯანმრთელი. გული ისევ უმუშავებდა, როცა სხეული თითქმის გვამად ჰქონდა ქცეული. მის საკანში მჯდომი სომეხი ტუსაღი გაოცებული იყო მისი გამძლეობით. გადარჩენილმა მოგონებების წიგნიც კი დაწერა, სადაც დავით ბაგრატიონზეც მოგვითხრობს. არაფერი მოხდებოდა, საზღვარგარეთ რომ წასულიყო. იცხოვრებდა მშვიდად, ხანგრძლივადო...

ზემოთ მოთხრობილი თითქმის ყველა ამ-



ბავი ტრაგიკულად მთავრდება. ისინი ეწირებოდნენ. იკითხავთ: ამ თავგანწირვით ბევრი არაფერი შეცვლილა მაინც და, რაღა აზრი ჰქონდა ამ მშვენიერი სიცოცხლეების ჩაფერფვლასო? ამ კითხვაზე ძალიან ადრე უპასუხა ხალხურმა მთქმელმა: „ბრძოლას ყოველთვისა აქვს აზრი, დედფალ...“ ისინი კი ძალიან მნიშვნელოვანი ღირებულებების გადასარჩენად იბრძოდნენ.

***ლელა ჯიყაშვილი***



ივანე რატიშვილი ოჯახით

# „მიმონოსავით მზერა რომ ვიგრძნო, თვალებს დავხრი...“



ახლა „გაცისფერების“ ისეთი ტენდენციაა, ლამის ვიყვირო...

*დიდი ხანია, რაც „ფორტე“, „ფესვები“, სახელმწიფო უნივერსიტეტის ანსამბლი ახალგაზრდა კომპოზიტორის ლილიკო ნემსაძის ჰიტად ქცეულ სიმღერებს მღერიან. უკვე იმდენი ითქვა და დაიწერა მის შესახებ, რომ ჩვეულებრივი ინტერვიუს შემოთავაზება უინტერესოც კი მოგვეჩვენა ორივეს. რადგან ლილიკოს უზომოდ უყვარს პოეზია და მისით ცოცხლობს, გადავწყვიტეთ კითხვების ნაცვლად ლექსების პწკარედები გამოგვეყენებინა. პოეტური ნიმუშებიც შევარჩიეთ — მურმან ლებანიძის ლექსები და ქართული ხალხური ფოლკლორი.*

**— „სხვისას მშვენიერს უგუნური შეჰყურებს წყენით!“**

— ხელოვანი იცით, რა მტკივნეულად გრძნობს და როგორ განიცდის ამას? მას სხვისი შემოქმედება ავსებს, სტიმულს აძლევს, ახალისებს. იგი აღიარებს სხვის ნიჭიერებას, გენიას. თვითონაც სიამოვნებით იღებს აღიარებას სხვათაგან. უგუნური კი ასე არ იქცევა, ალბათ იმიტომ, რომ მან არ იცის მშვენიერების ფასი. ხომ იცით, ნათქვამია, ჭკვიანს მხოლოდ ჭკვიანი ამჩნევს, ბრიყვს ჭკუა თავისთვის არა აქვს და სხვისას როგორ შეამჩნევსო, ასეა უგუნურიც, მეცოდება.

**— „მე იმ დღეს ვნატრობ...“**

— მე, სიყვარულით აღსავსე, რომელსაც გვერდით შესანიშნავი მეუღლე მყავს, სულ იმ დღეს ვნატრობ, როცა პირველად ვიგრძენი სიყვარული. მისი გიჟური ცეცხლი — შემოქმედებისათვის საჭირო და აუცილებელი რამ. ეს იცის ჩემმა მეუღლემაც და ორივენი ვცდილობთ, ყოველი დღე თუ არა, ჩვენი ცხოვრების უმეტესი ნაწილი იმ პირველ დღეს ჰგავდეს, რათა შევძლო უფრო მეტად გადმოვღვარო მუსიკა სულიდან.

**— „ცოტა სიყვარული კმარა...“**

— ეს მურმანმა თქვა? არა, ცოტა სიყვარული არ კმარა. იმდენის მომცველია ეს გრძნობა, რომ შეუძლებელია ცოტა კმაროდეს. გამახსენდა, მურმანი რას ამბობს „ცოტა სიყვარული კმარა ქალის“... მერე კიდევ ამის და ამისო, სიყვარული ოკეანესავით უნდა იყოს — უსაზღვრო და უძირო.

**— „ბედნიერება იყო ჩემთვის, იყო და არის სიცილი...“**

— სიცილი გულის, ისე იშვიათად იცინის გული და ისე ძვირფასია ეს სიცილი... გულმა რომ გაიცინოს, გულიანი სიტყვის მოსმენაა საჭირო გულისყურით.

**— „პაწია, მოწყენილ ქალაქს რა სჯობია! — აქ ყველა გიცნობს და ყველა ნაცნობია“.**

— მახსენდება სიმღერა რომელიღაც ძველი კინოფილმიდან. სიმღერაც არ მახსოვს ვისია — რევაზ ლაღიძის თუ გოგი ცაბაძის. მოკლედ, ფილმი იწყება და ჩანს გაჩახჩახებული ღამის ქალაქი. თბილისი, — ძველი და ძვირფასი, ქუჩაში მისეირნობს წყვილი და არავის და არაფრის ეშინიათ. ასეთ თბილისს მართლაც რა სჯობია!

**— „კარგია, როცა უცხოდ ხარ და არავინ გიცნობს“...**

— ხელოვანისთვის ეს ზოგჯერ აუცილებელიც კია. როცა უცხოდ ხარ, მარტოვდები, გარემოს, სამყაროს შეცნობას უკეთ ახერხებ. როცა ირგვლივ ყველა ნაცნობია, მარტო საკუთარ თავთან ვერ დარჩები, ეგოისტი ხომ არა ხარ, ამიტომ. ნაცნობი ქალაქი კარგია, მაგრამ ზოგჯერ უცხო ქალაქიც ძალიან ძვირფასი ხდება.

**— „რაა წარსული ჩემთვის, კერძოდ ქართველისათვის?“**

— საქართველოს ისტორიაა ჩემი სიამაყე. სვეტიცხოვლის და გელათის ეზოში რაც მიგრძნია, ეს არის ჩემთვის წარსული, სიამაყე, სიმდიდრე, დავითის საფლავთან მდგარს მიხაროდა, რომ ასეთი კაცი ამქვეყნად დაიბადა და ჩვენს მიწაში განისვენებს. რაც დაგვიტოვა, იმით კი დღემდე მოგვაქვს თავი. ძალიან პატრიოტული გრძნობები მიჩნდება გელათსა და სვეტიცხოველში.

**— „წუთია წუთის ქვეყანა, წუთის წუთობით იწვება...“**

— ეგ რომ მესმის, უმალ მახსენდება: „წუთისოფელი რა არის, აგორებული ქვა არის, რა წამსვე დავიბადებით, თითქოს საფლავი მზა არის“. ხშირად ვფიქრობ, რას ნიშნავს განკითხვის ჟამის მოლოდინი, ფრთხილად უნდა ვიყოთ, არ ვიცით, როდის დააკაკუნებენ, დაიბადები თუ არა, სამსჯავროზე წარდგომისთვის უნდა ემზადო. მაშინ ალბათ გაგიიოლდება კაცურად ცხოვრება.

**— „საით მიდიხარ, თეთრო თამბი?“**

— ეგ რა წაიკითხე, ვეფხისა და მოყმის შესახებ ხალხური ლექსი? გენიალურია, ქართველების ხასიათი ჩანს მაგ ლექსში. „ნეტავი შენ არ მომეკალიო“ — მომაკვდავი თამბი ვეფხვს დასტირის, მხეცის ვაჟკაცობით და ბრძოლის ხერხებით აღტაცებული. ქართველებმა ვაჟკაცობის ფასი იცოდნენ, იმიტომ, რომ ვაჟკაცები იყვნენ თავადაც. მოკლედ, მაგ ლექსში შედარებებია ისეთი, რომ სულ მინდა ავამუსიკო, ნახეთ, რა მაგარია, „ვეფხვის ზმორება სასიკვდილო, მდინარეს ჰგავდა ადიდებულსა“.

**— „ვერცხლისამც თასად მაქცია...“**

— ეს ლექსი ამუსიკებული მაქვს, „სატრფიალო“ ეწოდება, დათო კიკაბიძე მღერის. ასეთ ლექსს რომ ხელი მოვკიდე და სიმღერის წერა დავიწყე, შევკრთი. მე მგონი, იოლი არ არის შედევრს შეეხო და არ შეაწუხო. უსიტყვო, დიდებული განცდით ვიყავი სავსე.

**— „თვალი მიჭირავს შენზედა, როგორც მიმინოს მწყერზედა“.**

— მორცხვი ვარ, მიმინოსავით მზერა რომ ვიგრძნო, თვალებს დავხრი, კაცს თვალი თვალში არ უნდა გააყრევინო. მე ქართული წესი, ჩვეულება მიყვარს. გნოლივით შეიძლება გავიტრუნო, მაგრამ... „ქალო, ჰგევხარ ალვის ხესა, დილით რომ ნამი იყაროს...“ ასეთ შედარებას, ასეთ ეპითეტებს უძღვნიდნენ კაცები ქალებს წინათ, დღეს კი გული გაგისკდება, ქართველი ბიჭები ტელეეკრანიდან მღერიან: „ტერორისტო-მაზოხისტო ვარდო, რატომ არ ხმარობდი ამდენ ხან განდ...ს?“ გახსენებაც არ მინდა.

**— „იავ ნანა, ვარდო ნანა...“**

— „იავნანა“ მრავლისმეტყველია ქართველისთვის, იქნებ ამიტომაც იყო „იავნანით“ გაზრდილი ქართველი სხვანაირი, მაღალი ღირებულებები ჰქონდა, ფასი იცოდა ყველაფრის, დედის... როგორ შეიგინებოდა საკუთარ დედას, სამშობლოს, აკვანს, რომელშიც იზრდებოდა და ა.შ.

**— „კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, რა გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს...“**

— მაინც ენატრება სხვისა. ეგრეა. ქართველების დამახასიათებელია ეგეც. ბიძაჩემმა იცის თქმა — ვაჟკაცი თუ ხარ, სტუმრად ოჯახში შესვლისთანავე უნდა დაივიწყო სქესი. ქალს მკერდი რომ გამოუჩნდეს, თვალს თუ ვერ აარიდებ, წამხდარი ხარო. ვეთანხმები ბიძაჩემს, მაგრამ ახლა „გაცისფერების“ ისეთი ტენდენციაა, ლამის ვიყვირო, კაცებო, კაცებად დარჩით და საითაც გინდათ, იქით გააპარეთ თვალი-მეთქი. „მარეკები შლიდნენ ბანაკს, ქარი ჩამიჩუმით ქროდა...“ მურმანმა დაწერა, რა გრძნობა ჰქონდა ქალის... ახლა რა მოსდით, მიკვირს... თანაც სულ მგონია, რომ სადაც საწინააღმდეგო სქესის ლამაზი, რომანტიკული აღქმა არ არის, იქ არც ხელოვნება იბადება.

*ეკა ლომიძე*

## კვირა 9 თებერვალი

## შაბათი 8 თებერვალი

## პარასკევი 7 თებერვალი

## ხუთშაბათი 6 თებერვალი

## ოთხშაბათი 5 თებერვალი

## სამშაბათი 4 თებერვალი

## ორშაბათი 3 თებერვალი



# საქართველოში პოლიტიკოსობას ვერ დავიწყებ — გერმანიის მოქალაქე ვარ...



მოგეხსენებათ, ერთი წლის წინ **სერგი გვარჯალაძე** თავის „კომუნიკატორთან“ ერთად სახურავიდან დაეშვა და „რუსთავი-2“-ის სტუდიაში დაიდო ბინა. ამჯერად სერგი „რუსთავი-2“-დანაც გაუჩინარდა, რის გამოც მის შესახებ უამრავი ჭორ-მართალი ისმის. სერგიმ ტელევიზიაზე გული აიცრუაო, სერგი პოლიტიკოსობას აპირებსო, სერგიმ ახალი ბიზნესი წამოიწყო „აჭარა მიუზიკ-ჰოლშიო“ და ა.შ. მოკლედ, სიმართლის გასარკვევად თავად სერგის დავუკავშირდით და მანაც „კვირის პალიტრას“ სიამოვნებით გაანდო ამბები თავისი ახალი ადგილსამყოფლის შესახებ.

— კონტრაქტით გათვალისწინებული ერთი წელი ამოიწურა და, მიუხედავად იმისა, რომ პროექტის გაგრძელება გვინდოდა, „რუსთავი-2“-მა ფინანსების უქონლობის გამო თავი შეიკავა.

**— სხვა ტელევიზიაში ხომ არ ფიქრობ პროექტის გაგრძელებას?**

— იყო საუბრები სხვადასხვა ტელეარხთან, „კომუნიკატორის“ გარდა, სხვა პროექტებიც გვაქვს, მაგრამ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ.

**— „ტელეშესვენების“ დროს „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ დაკავებულხარ, ისევ საყვარელ საქმეს, მუსიკალურ ხელოვნებას ემსახურები?**

— ეს არის მართლაც სასიამოვნო საქმე, რომელიც ემსახურება პროფესიული, კარგი მუსიკის პოპულარიზაციას. „აჭარა მიუზიკ-ჰოლში“ ალბათ მნიშვნელოვან მუსიკალურ ფესტივალებსაც ვუმასპინძლებთ. ამჯერად აქტიურად ვიღვწით, რომ ქართველ მსმენელს მუსიკალური ოაზისი შევუქმნათ.

**— კლუბში, ძირითადად, უცხოელი მუსიკოსები ჩამოგყავთ. არ გიჭირთ მათი მოწვევა? როგორც ამბობენ, უცხოელი მუსიკოსები თავს იკავებენ საქართველოში ჩამოსვლისაგან.**

— ძალიან კარგი სამსახური გაგვიწიეს ინგლისელმა სტუმრებმა, რომლებსაც აქ შესანიშნავი პირობები დახვდათ. ფაქტობრივად, მათ უცხოელ კოლეგებთანაც მწვანე შუქი აგვინთეს. თანაც ყველას იზიდავს საქართველო, როგორც მათთვის სრულიად უცხო, ეგზოტიკური ქვეყანა, სადაც აღმოაჩინეს მაღალი დონის კულტურა და მსმენელი. იციან, რომ აქ, სასტუმროში, შეიძლება ერთი-ორჯერ შუქიც ჩაქრეს, მაგრამ მერე რა, ერთი-ორჯერ არა უშავს. ესეც ხომ ეგზოტიკაა (იცინის). მთავარია, დარბაზში არ ჩაქრეს შუქი. თუმცა, მომსახურე პერსონალი ამისთვისაც მზად არის.

**— ქართველი მუსიკოსებიდან ვინ იქნება თქვენი პირველი სტუმარი?**

— უკვე გვქონდა ჯგუფ „მწვანე ოთახის“ კონცერტი. რა თქმა უნდა, ცოცხალი შესრულებით და, რა თქმა უნდა, სრულიად ახალი პროგრამით. მგონი, ყველა კმაყოფილი დარჩა.

**— „კომუნიკატორში“ საინტერესო მიმართულება გქონდათ — სოციალური პრობლემების მოგვარებაში თქვენი წვლილის შეტანა. რა გამოგივიდათ მცდელობიდან?**

— „კომუნიკატორის“ შეწყვეტის შემდეგ ეს პროცესიც შეწყდა. ამჯერად „ევროპის სახლის“ საქმიანობაზე ვარ გადართული.

**— ეს ის ორგანიზაციაა, რომლის გამოც ჭორები გავრცელდა, რომ სერგი პოლიტიკაში მიდისო?**

— პოლიტიკასთან არავითარი შეხება არა მაქვს. ეს არის ორგანიზაცია, რომლის აქტიური წევრიც ვარ. ჩვენი მიზანია, რომ საქართველო მოვამზადოთ ევროკავშირში გასაწევრებლად. პოლიტიკურ მოღვაწეობას კი საქართველოში თუნდაც იმიტომ ვერ დავიწყებ, რომ დიდი ხანია გერმანიის მოქალაქე ვარ.

**— გამოტყდი, ახლა, რომელი ქვეყნის ჯაშუში ხარ, გერმანიის თუ საქართველოსი?**

— რას ამბობ, რა ჯაშუში, ისე, მაგარი იდეაა. გერმანიის მოქალაქეობა თავის დროზე განაპირობა კონკრეტულმა ფაქტორმა, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მიმართ პასუხისმგებლობა არ გამაჩნია. ისევ აქ ვცხოვრობ მეც, ჩემი მეუღლეც. ლამისაა, დავეხმაროთ, სწორად გაიგოს, თუ რას ნიშნავს ევროპელობა, რომ სულაც არ უნდა მივბაძოთ ყველაფერში ევროპელებს, რომ პირდაპირ არ უნდა გადმოვიღოთ მაინცდამაინც ბოიფრენდისა და გერლფრენდის ინსტიტუტი და ა.შ. ევროპელობა უზარმაზარი პასუხისმგებლობა და ვალდებულებებია კანონისა და წესრიგის წინაშე.

**— რადგან ასე აქტიურად ხართ ჩაბმული საქართველოს ევროკავშირში გაწევრების მოძრაობაში, ალბათ პროგნოზიც გექნებათ, რამდენ ხანში შეიძლება გაიზარდოს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე და შეგვიძლია თუ არა, საერთოდ, დავეწიოთ ევროპის სხვა ქვეყნებს...**

— თურქეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითზე შეიძლება ვიმსჯელოთ, რა შეიძლება მოჰყვეს ერისა და ხელისუფლების ნებას, გავხდეთ ევროპული ქვეყანა. ყველაფერს აკეთებენ მიზნის მისაღწევად, ჩვენთან კი, სახელმწიფო პოლიტიკა თითქოს მთლიანად გაევროპელებისკენ არის მიმართული, სინამდვილეში მიზნისთვის არაფერი კეთდება. მე არა მაქვს შეგრძნება, რომ ჩვენი ხელისუფალნი, ტელეეკრანზე თითქმის რომ ჭამენ ერთმანეთს, ქვეყნის ინტერესებისათვის იბრძვიან. ეს მერკანტილურ დონეზე გათვლილი უნიჭო თამაშია. სანამ პარლამენტსა და ხელისუფლებაში არ გამოჩნდებიან ადამიანები (ამჯერად ისინი ძალიან ცოტანი არიან), რომელთაც ექნებათ შეგრძნება, რომ საქართველო მათი სამშობლოა, მანამდე საქმე არასახარბიელოდ კი არა, ცუდად იქნება.

*ეკა ლომიძე*

ქართული და უცხოური
ჟურნალ-გაზეთების
გამოწერა
თბილისის მაცხოვრებელთათვის
და ორგანიზაციებისთვის
ტელ: 33-26-73

სახლიდან
გაუსვლელად



# «ქართული ხმები» აღარ მღერის...

## იმასთან უნდა იმღერო, ვისთანაც გიხარია. მე ვისთანაც მიხარია, იმასთან ველარ ვმღერი

*საქართველოში მწერლობით ან ხელოვნებით ვის გააკვირვებთ, მაგრამ როცა ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნებული ქართველი იტყვის, თბილისში ამა და ამ მომღერალმა, ესა და ეს წიგნი გამოსცა, იმ წიგნიდან ერთი მოთხრობის ხელნაწერი ამერიკაში, ასმა ქართველმა წავიკითხეთ და ასივემ ფიცი დავდეთ, რომ სამშობლოში დავბრუნდებითო, — რასაკვირველია, გაიკვირვებ, — მაინც რა უნდა იყოს ისეთი, გადახვეწილ ხალხზე ამგვარი შთაბეჭდილება რომ მოახდინაო.*

*ქართველებს ახალი „ვეფხისტყაოსანი" რომ არ დაგვიწერია, ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ჩანს, დაგროვილი ტკივილი და გასაჭირი აქა-იქ ისე ამოხეთქავს და იმგვარ რამეს დააწერინებს კაცს, რაც ზემოთ მოხსენებულ შედეგს გვაძლევს. ამ მოთხრობის ავტორი „ქართულ ხმებში" დიდხანს უმღეროდა საქართველოს. სამწუხაროდ, აღარც „ქართული ხმები" მღერის და აღარც* ***თემურ ჭკუასელი****. მის ემოციებს ახლა მისი წიგნები გამოხატავენ.*

— **ბატონო თემურ, „კვირის პალიტრასაც" სწერდნენ თქვენი წიგნების შესახებ. სიმღერის ყველა ემოცია წიგნებში გადაიტანეთ, არა?**

— სულ ორი კრებული გამოვეცი: „წინ, წინაპრებისაკენ!" და „კვამლის სინდრომი", ერთიც — მოთხრობა „სეიკო" (ამ სახელმა არ გაგაკვირვოთ: „სეიკო" საქართველოში ჩამოყვანილ მამალს ჰქვია, იაპონური დროით ყივის). სხვათა შორის, ადრეც ვწერდი, ოღონდ იშვიათად...

თუ ნებას მომცემთ, ცოტას წავიტრაბახებ: 1985 წელს გაზეთ „კომუნისტში" „სეზამ, გაიღე" დავბეჭდე. გაგრძელებებით დაიბეჭდა. ჩემს მეზობელ საგაზეთო ჯიხურთან რიგი იდგა ხოლმე. იმ დღეებში, როცა „სეზამ, გაიღე" არ იბეჭდებოდა, მესმოდა ლანძღვა-გინება, — რატომ არ ბეჭდავენო?.. მერე ერთი მოთხრობაც დავწერე და შევჩერდი.

— **დიდი პაუზა გქონიათ...**

— რომ დავაზუსტოთ, მწერლობის პრეტენზია არ მქონდა, არც დღეს მაქვს, უბრალოდ, ვერ ვიტან, როცა ჩაიღიმებენ და მეტყვიან: კაი რა, შენ ამის გამკეთებელი არ ხარო. ასე მითხრა ჩემმა შვილმა, როცა რაღაც უცხოური მოთხრობა წაიკითხა. ის მოთხრობა მეც მქონდა წაკითხული. მკითხა, — მამა, კარგიაო? ვუთხარი: — მე უკეთესად დავწერდი-მეთქი. გაეცინა, — დაიწყო ახლა ტრაბახიო. ასე არ უნდა-მეთქი, დავჯექი და ძალიან მცირე ხანში დავწერე „წინ, წინაპრებისაკენ!".

— **როგორ ატყობთ, რას განიცდის ასე მკითხველი თქვენს წიგნებში?**

— არ ვიცი. სახელს ვერ ვარქმევ. ერთმა ქართველმა კონსულმა მითხრა უცხოეთში: ჩემი პატარა და დამცირებული ქვეყნის გამო ელჩებთან აწურული შევდიოდი. თქვენი წიგნი



რომ წავიკითხე, მიღებაზე მხრებში გაშლილი წავედიო.

— **ბატონო თემურ, თქვენ რომ ლამაზ „კრიმანჭულს" მღეროდით, გურიაში ისწავლეთ?**

— სუფთა გურული კი ვარ — მამა საჭამიასერიდან მყავდა, დედა ჩიბათიდან, დარჩიას ქალი, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, „კრიმანჭული" ბავშვობაში სულაც არ მიმღერია. მხოლოდ ბაბუის ძველ პატეფონზე ძველ ფირფიტებს ვუსმენდი და ვამჩნევდი, რომ მსიამოვნებდა იმ სიმღერების მოსმენა, რაც ჩემს ტოლ ბიჭებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ. აი, გურულმა სისხლმა როდის იყივლა, იცით? — როდესაც ბიჭები უნივერსიტეტის დარბაზში შეგვკრიბეს და უნივერსიტეტის გუნდში რომელი იმღერებთო, გვკითხეს, — მეთქი, ვთქვი. თემურ ქევხიშვილმა სმენა გამისინჯა და მერე ბარიტონებში ჩამსვეს.

— **გურულ კაცს სმენის შემოწმება როგორ გაკადრეს?**

— მაკადრეს და რა ვქნა (იცინის)?.. მერე აღმოჩნდა, რომ „კრიმანჭული" შემძლებია. გავსინჯე და, შევყევი და შევყევი. შევედი იმ საყვარელ სამყაროში, რომელსაც სიმღერა ჰქვია, მაგრამ დღესაც არ შემიძლია ვთქვა, რომ სიმღერა ვიცი.

— **წერა ხომ შეგიძლიათ?**

— კი, მაგრამ არც მანდ ვარ დიდი გენიოსი.

— **თქვენი წიგნები კარგად იყიდება?**

— სასაცილო რაოდენობით, მაგრამ მაინც ამბობენ, რომ კარგად იყიდება. „მერანში" მაგალითად, 70 ცალი გაიყიდა. თვლიან, ეს კარგი შედეგია.

— **ვფიქრობ, რომ წიგნების შემოსავლით ვერ იცხოვრებთ. თან აღარც მღერით. აბა, რით ცხოვრობთ?**

— ხანდახან ჩვენს მინისტრებს ეკითხებიან, ფული როგორ იშოვეთო. პასუხობენ, მეგობრები მეხმარებიანო და ტყუიან... მეც ასე, მინისტრებივით გეუბნებით: — მეგობრები მეხმარებიან და... არ ვტყუი! თანაც, ჩვენი ანსამბლის სიმღერების ჩანაწერები დიდი რაოდენობით იყიდება და კარგი შემოსავალი გვაქვს. ამის გარდა, ჟურნალისტი ვარ და სტატიებს მიკვეთენ ჟურნალ-გაზეთები. ტელევიზიაშიც მიმყავს პატარა რუბრიკა — „ერთი ქართული სიმღერა".

— **ბატონო თემურ, „ქართული ხმები" აღარ მღერისო, რომ ამბობთ, სინდისი არ გქენჯნით? როგორ მოხდა, რომ ასეთი ანსამბლი დაიშალა. როგორ წაართვით ასეთი კარგი რამ ქვეყანას?!**

— ეგ საყვედური მარტო მე არ მეკუთვნის. ქართველებს გვაქვს ასეთი ბუნება — ჩვენი თავყრილობები დაშლა-დანაწევრებით მთავრდება. მერე განვიცდით, მაგრამ რაღას შველის? ახლა აღარავის მოსწონს, რაც მოხდა, მაგრამ რაღა დროს?! მაგ კითხვით, — ეს რა ჰქენითო, შინაც უამრავი ადამიანი მირეკავს.

— **არ შემიძლია ამ თემაზე საუბარი არ გავაგრძელო... საქმე იმაშია, რომ ქართველებს ბრწყინვალე ვოკალური ანსამბლები გვყავს, მაგრამ ვერც ერთი ვერ ახერხებს ისე სიმღერას, თითქოს სცენაზე კი არა, შენთვის, შენს ოჯახში, შენთან ერთად, მღეროდნენ. ამას „ქართული ხმები" ახერხებდა...**

— მეც ბევრი მიფიქრია მაგაზე... იმავეს სხვებიც მეუბნებოდნენ. ერთხელ ფილარმონიაში რამდენიმე სიმღერა ვიმღერე და კულისებში გამოვედი. გავიხედე სადღაც, მარტო დგას რეზო ესაძე და თავისთვის ფიქრობს. მანაც იგივე მკითხა: — ასე ლაღად როგორ მღერითო?! მე ასე ვხსნი ამ მომენტს: ქართველი კაცი იმდენად ლაღი და არტისტულია, რომ ამ სილაღის მთლიანად გადატანა სიმღერაში ჭირს, ასე ადვილად არ ხდება. სიმღერას თავისი კანონები აქვს და მომღერლები ემორჩილებიან ამ კანონებს. ჩვენ არ ვემორჩილებოდით. ჩვენი სიმღერის დროს საქმე იქამდე მიდიოდა, რომ მაგალითად, გოგი დოლიძე ხან ერთ ადგილზე დადგებოდა, ხან მეორეზე... ჩვენ თავისუფალი სტილი გვქონდა და თანაც, როცა ათი კაციდან ათივე კარგი მომღერალია, რასაკვირველია, სიმღერა დიდებული იქნება... არის კიდევ ერთი ფაქტი: ჩვეულებრივ, როცა ადამიანი ერთხელ, ორჯერ და სამჯერ გამოდის სცენაზე, მეოთხეჯერ თავის როლს უკვე დაღლილი, ემოციადაკარგული ასრულებს. ჩვენ ასეთი რამ არ გვემართებოდა. გოგი დოლიძე ამბობდა — გული უნდა დადოო და ჩვენც გულს ვდებდით სცენაზე. ათჯერ რომ გვემღერა, პირველის განცდით ვმღეროდით... ზემოთაც გითხარით, ამ ამბავს ჩვენც განვიცდით და ალბათ ისინიც განიცდიან, ვინც ჩვენთან აღარ არის. ერთ-ერთ ჩვენგანს გოგი დაესიზმრა და უსაყვედურა: ბიჭო, რას შვრებით, ასე როგორ შეიძლებაო?! ხვალ შეიძლება მე გამომეცხადოს და იგივე მითხრას.



— **მაშ, სანუგეშოს ვერაფერს მეტყვით?**

— გეტყვით. ჩვენ მაგივრად ახლა უნივერსიტეტის ანსამბლში ჩვენი შვილები მღერიან. ისეთი ხალხია, იქნებ უფალმაც ინება, გზა დაგვეთმო. ამას წინათ ავსტრიელი სტუმარი მყავდა და ამ ბიჭებთან ერთად კახეთში წავიყვანე. როცა იმღერეს, ავსტრიელს რა დაემართა, იმაზე აღარ ვილაპარაკებ, მე რა დამემართა, იმას გეტყვით: გავოგნდი! რამდენიმე თვე არ მომესმინა და ისე გაზრდილან, ხმის ამოღება ვერ მოვახერხე. ეგენი ჩვენზე მაგრები იქნებიან. თანაც იმ სიმაღლიდან იწყებენ, სადაც ჩვენ გავჩერდით. ის გზა, რომელიც ამ სიმაღლემდე უნდა გაევლოთ, ჩვენ გავუკვალეთ, ჩვენს სიმღერებზე იზრდებოდნენ...

— **იქნებ „ქართული ხმებიც" აღგედგინათ?**

— შეიძლება ალბათ. მაგრამ ვერ გამოჩნდა მოთავე. ეს ანსამბლი ჩემი შექმნილი იყო, სახელიც მე დავარქვი, მაგრამ მეც დავიღალე. ზოგის ცხოვრება დროს ტარებაში გადის, ასეთ კაცს არაფერი დაემართება. იღლება ის, ვისი იმედიც აქვთ, ვისაც ოჯახი, ქვეყანა შესცქერის და ღალატის უფლება არ აქვს. ჩვენ თითოეულს ქვეყანა შემოგვცქეროდა. ამას ისიც დაუმატე, რომ ისეთ ქვეყანაში არ ვცხოვრობთ, სადაც იმუშავებ, ხელფასს აიღებ, დალევ შამპანურს და შენს სიბერეზე სახელმწიფო იზრუნებს. ვიღლებით... ერთი მეგობარი მყავს პარიზში, ალექსი კომახიძე. გოგი რომ გარდაიცვალა, ჩამოვიდა. თავგასა რომ გარდაიცვალა, დამირეკა და მკითხა, როდის მორჩებით თვითგანადგურებასო?.. მართლა ასეთი რამ გვჭირს, — გულებს ვიხეთქავთ.

— **თქვენ გაწუხებთ გული?**

— ახლა აღარ მაწუხებს. ოპერაცია გავიკეთე ავსტრიაში, მანამდე მტკიოდა.

— **თქვენ ხომ არ ატკინეთ ვინმეს გული?..**

— ისეთი კაცი არ არსებობს, ვინმე ნაწყენი არ ჰყავდეს. ერთხელ ერთმა მეგობარმა მითხრა. შენზე ცუდის მთქმელი კაცი ვერ ვნახეო. მე ორი პიროვნება დავუსახელე, — აბა, იმათთან მიდი, რას გეტყვიან-მეთქი... მართლა დაელაპარაკა ერთს და გაოგნებულმა მითხრა, ეს სად გამაგზავნე, ფესვებიანად მოგთხარესო!.. კი, ასეა...

— **ახლა სად მღერით?**

— არსად...

— **როგორ? — კაცი, რომელმაც ამდენი ხანი იმღერა, ჩუმადაა?**

— ყური დამიგდე და ერთ ამბავს მოგიყვები: გურიაში იყო დიდი მომღერალი ვლადიმერ ბერძენიშვილი. გამოსაჩენი ხელოვანი იყო და თბილისში წამოიყვანეს (ეს ის ცნობილი ვლადიმერია, 1936 წელს სტალინთან რომ იმღერა). ჩოხატაურში ცხოვრობდა ასევე კარგი მომღერალი ერმალო სიხარულიძე. ამ სიხარულიძემ მიატოვა სახლ-კარი, ჩამოვიდა თბილისში და ერთი სახლის დაქირავებულ სხვენზე ცხოვრობდა. სხვენს იმდენად დამრეცი იატაკი ჰქონია, თურმე საწოლი ჯაჭვით იყო კედელზე მიბმული. ჩამოსულან შვილები, შვილიშვილები და უთხოვიათ ერმალოსთვის: წამოდი სახლში. ამ უბედურებაში ყოფნას შენი სახლკარი არ გირჩევნიაო? ერმალოს უპასუხია: — მე მიყვარს სიმღერა, მაგრამ ისეთს, როგორიც მე მიყვარს, მარტო ვალოდია ბერძენიშვილი მღერის, ამიტომ, სანამ ცოცხალია, მასთან მინდა ვიყო, როცა ის აღარ იქნება, შინ მაშინ დავბრუნდებიო. გარდაიცვალა ვალოდია და ერმალო დაბრუნდა სოფელში, მაგრამ ისე მოკვდა, აღარ უმღერია. აი, ეს არის ჩემი პასუხიც: სიმღერა ყველასთან არ შეიძლება. იმასთან უნდა იმღერო, ვისთანაც გიხარია. მე ვისთანაც მიხარია, იმასთან ველარ ვმღერი. ამიტომ ჯობია, არ ვიმღერო.

— **როგორ ფიქრობთ, ქართველებს რა გვამღერებს?**

— ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, თუ ქართველები ერთად თავს მოიყრიან, რაც უნდა შეჭირვებულები იყვნენ, ლხინს მიეცემიანო. უარესი პერიოდიც გვქონდა, მაგრამ ქართველები ვმღეროდით. სიმღერა ცხოვრებას არ ემორჩილება. შეიძლება, ერთ დილას ადგე, მზის ამოსვლა მოგეწონოს და ამღერდე.

***ეთერ ერაძე***



# მე მისთვის დაქალი უფრო ვარ, ვიდრე ცოლი...

ხშირად უთქვამთ (განსაკუთრებით კი, შეზარხოშებულ მამაკაცებს), სიყვარული სიკვდილამდე მრავალჯერ მოდისო. სუფრასთან კი განსხვავებული სასმისით შეუსვამთ პირველი (ჭაბუკური) და უკანასკნელი (დადუღებული) გრძნობების სადღეგრძელო...

ერთი საინტერესო ქალბატონი გავიცანი. იგი დღეს ცნობილი კაცის ცოლია, მაგრამ არ სურს თავისი სახელის გამხელა. სიცილით მითხრა: სანამ შეგხვდებოდით, დავემუქრე, არ გამაბრაზო, თორემ ჟურნალისტთან ყველაფერს დავფქვავ, რაც კი შენ გამო თავს გადამხდენია-მეთქი. მანაც ხუმრობით მიპასუხა: ნამეტანი ნუ გამაშავებ, ხალხი პატივს მცემსო... არც „გავაშავებ" და არც სახელს შევულახავ, მაგრამ ყველა ქალის ცხოვრებაში დგება წუთი, როცა ბოლომდე გინდა თქვა ყველაფერი. ბევრი ჩუმი ცრემლიც ჩამიყლაპავს, მინაღვლია, მითამაშია კიდეც, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს მაინც არაფერს ვნანობ, რადგან მიყვარდა და მიყვარს. თავიდან რომ ვიწყებდე ცხოვრებას, მაინც არაფერს შევცვლიდი.

— **ქალბატონო ნათელა, როგორც ვიცი, თქვენი ურთიერთობა ბავშვობიდან მოდის.**

— დიახ. ჩვენ კლასელები ვიყავით, ვცხოვრობდით იმერეთის ერთ სოფელში. ის ძალიან ნიჭიერი იყო, მაგრამ ზარმაცი. მე კი — პირიქით. რატომღაც მიზნად დავისახე, სწავლაში დავხმარებოდი, ის კი აბეზარი ბიჭებისგან მიცავდა. მეათე კლასში მივხვდით, რომ დიდი მეგობრები ვიყავით. მის გარეშე არსად წასვლა არ მინდოდა, იქ ვხალისობდი, სადაც ის იყო. სკოლის დამთავრების მერე, ის თბილისში წავიდა სასწავლებლად, მე კი რაიონულ ცენტრში გადავინაცვლე. სამი წლის მანძილზე, მხოლოდ ზაფხულობით, ისიც ერთი თვით ვნახულობდით ერთმანეთს. ჩვენი შეხვედრები ძალიან ჰგავდა მონატრებული ადამიანების შეხვედრას.

ერთხელ, როგორც იმერეთში იტყვიან, კაი საბედო, ცეცხლივით ბიჭი გამოჩნდა. ყველა გაკვირვებული დარჩა, უარი რომ ვთქვი. ცოტა ხნის მერე ჩემმა მეგობარმა დამიმარტოხელა და გაოცებულმა მკითხა, რა გჭირსო? დავჯექი და მოვუყევი, რაც „მჭირდა". კინაღამ გაგიჟდა, შე შტერო, ბავშვობის მეგობარი შეგყვარებია და ვერ გაგიგიაო. მთავარი კი ის იყო, რომ მასთან ამაზე კრინტს ვერ დავძრავდი, თავად მას რომ არ ემარჯვა. ერთ მშვენიერ ზაფხულს, როცა კვლავაც ესტუმრა მშობლიურ სოფელს, მეც მომინახულა და მითხრა, — ძალიან მიჭირს უშენობა. უფრთო ჩიტივით ვარო... აი, ასე შემომთავაზა გული, არც უთქვამს მიყვარხარო. ბევრი არ მიფიქრია, გავყევი.

თბილისში ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდით. გვიჭირდა, მაგრამ რახან მის გვერდით ვიყავი, არაფერს დავეძებდი. პირველი გოგონა შეგვეძინა. როცა ქმარს სესიები დაეწყებოდა, ბავშვი მეზობელთან გამყავდა ხოლმე, რომ ტირილით და ხმაურით ხელი არ შეეშალა. ღამეებს ვათენებდი და დაღლილ-დაქანცული კონსპექტებს ვუწერდი. გამოცდიდან მოვიდოდა გახარებული და მეტყოდა: შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდაო. მე კი ამით უზომოდ კმაყოფილი ვიყავი... ბოლო კურსზე იყო, ამბავი



რომ მომიტანეს: შენ შინ ხარ გამოკეტილი, შენი ქმარი კი თანაკურსელ გოგოს დასდევსო. მემცხეთა, მაგრამ რას ვიზამდი? ჯერ ვადროვე, მაინტერესებდა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე. ერთხელ, ღამე შინ არ მოვიდა, მეორე დღეს, ნაშუადღევს დაბრუნდა და მომიბოდიშა. ქეიფს შევყევით ჯგუფელები და ისე დაგვათენდა, ვერც გავიგეთო. არაფერი მითქვამს. ეტყობა, იფიქრა, რაღაც იცის და აჯობებს, მე ვუთხრაო. მართლაც, დამსვა და მელაპარაკა: ხომ იცი, შენ გარდა ჩემს გულში არავინაა, ხელოვანი კაცი ვარ და ხანდახან გახალისება მჭირდება, ის მუზაა ჩემი, შენ კი რეალობა, თანაც აუცილებელიო.

— **გაუგეთ და დიდსულოვნად აპატიეთ?**

— რახან სიმართლე მითხრა... მალე მეორე შვილი გაგვიჩნდა, სამი წლის მერე — მესამე. მე ჩვეულებრივი ქართველი ქალის ცხოვრება გავაგრძელე — ბოლომდე ჩავყვინთე ოჯახურ ორომტრიალში... ჩემმა მეუღლემ მალევე მოიპოვა წარმატებები და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ჩემთან თუ ჩემ გარეშე, ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მისი პოპულარობა ჩემი დამსახურება იყო. ძალიან ბედნიერი ვიყავი ამით.

— **„მუზების" საქმე როგორ იყო?**

— მშვენივრად... ერთხელ ერთ-ერთ „მუზასთან" შევუსწარი კიდეც (ჩვენსავე სახლში!). სოფელში ვიყავი წასული და იმ დღეს არ მელოდებოდა. დაიბნა...

— **რითი იმართლა თავი?**

— ის ქალი (ანუ „მუზა") მშვიდად გავაცილეთ, მერე მომიბრუნდა: — რა იყო, ხანდახან ჩემნაირ კაცს წაბალახებაც ქე მოუნდებაო.

— **და კვლავ აპატიეთ?**

— აბა, რა მექნა? თითქოს თავიდანვე ვგრძნობდი, რომ მისთვის აუცილებელი „ატრიბუტი" უნდა ვყოფილიყავი. როცა საჭირო იქნებოდა, კარგი ქალობაც გამომეჩინა, ბავშვები გამეზარდა, გამერეცხა კიდეც, საჭმელიც გამეკეთებინა, ხოლო როცა მესაიდუმლე დასჭირდებოდა, მაშინაც გვერდში დავდგომოდი, ყველაფერში გამეგო და თანამეგრძნო (თუნდაც სხვა ქალების მიმართ მისი გატაცებებისთვის). თქვენ წარმოიდგინეთ, თანდათან ისე მივეჩვიე ჩემს როლს, რომ როცა თავის „სიყვარულზე" არ მელაპარაკებოდა, თითქოს რაღაც მაკლდა. მე მისთვის დაქალი უფრო ვიყავი (და ვარ დღემდე), ვიდრე ცოლი, რომელსაც ხანდახან მაინც ხომ ესაჭიროება ყურადღება.

— **მისი „სიყვარულებიდან" მაინც რომელს გამოარჩევდით?**

— ოოო... რამდენიმე წელი დიდი გატაცებით უყვარდა ერთი ახალგაზრდა მსახიობი. რას არ აკეთებდა მისი გულისთვის. მეტსაც გეტყვი — მისი დაბადების დღისთვის უსათუოდ გამომაცხობინებდა ხოლმე ტორტს.

— **ნუთუ შეურაცხყოფილად არასოდეს გიგრძნიათ თავი?**

— კი. ერთხელ, მართლაც ტირილამდე მივედი, როცა გავიგე, რომ ჩემმა ქმარმა თავის ერთ-ერთ „მუზას" რესტორან „მეტეხში" გადაუხადა დღეობა, ჩემთვის კი ყვავილიც არ მოუტანია (თუმცა შინ დაბადების დღეებს მეც მიხდიდა ხოლმე). ამ ამბავს ისეთი ახსნა მოაყოლა, იძულებული გავხდი, კვლავაც გამეგო.

თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილზე?

— **ახლა მე უნდა გავხდე თქვენი რესპონდენტი?**

— თუნდაც რამდენიმე წუთით. ოღონდ, გულახდილად მიპასუხეთ.

— **ამ მხრივ მე არ ვარ თქვენსავით გულისხმიერი და დიდსულოვანი. ალბათ ვერ ვაპატიებდი. ისე, ქალის ბუნება მრავალფეროვანია და პატიებაც ინდივიდუალური თვისებაა.**

— სხვათა შორის, ჩემს მეუღლეს თქვენთვის (და სხვა ქალებისთვის) მიუღებელი და ჩემთვის შესისხლხორცებული თვისებების გამო ბევრჯერ უთქვამს, ვაჟკაცური ქალი მყავს შინ, ცოლის ნამდვილი ეტალონიაო.

— **და ეს ნათქვამი იმ შეურაცხმყოფელ გრძნობას (რასაც მოღალატე კაცის ცოლები განიცდიან) გიბათილებდათ?**

— კი, იმიტომ, რომ ყოველთვის ძალიან მიყვარდა. ის ნიჭიერი კაცია და ფართო გასაქანი ესაჭიროება, ხოლო ხელოვანისთვის „ოჯახის მუჭუჭობა" და საერთოდ, ხელსაქმე უცხო ხილია. სხვანაირი ქალი რომ შეხვედროდა, ამდენს ვერ მიაღწევდა, რადგან ბუნებით ემოციურია და ვერ აიტანდა ოჯახის არევ-დარევას.

— **ახლა, ამ ინტერვიუს რომ წაიკითხავს, ხომ არ გაბრაზდება. თუ ისიც დიდსულოვნად გაპატიებთ ამ გულახდილობას?**

— წინდაწინვე შევაგუე, რომ ჟურნალისტთან ბევრ მის ცოდვას გამოვამზეურებდი. ასე რომ, ერთგვარი ინტერესითაც კი ელოდება მომავალ „კვირის პალიტრას".

— **ხომ არაფერი შეგილამაზებიათ ან ყველაფერი ბოლომდე თქვით?**

— ეჰ, ჩემო კარგო, შევეცადე, შემელამაზებინა კიდეც, ან კი მის „ცოდვებს" რა მათქმევინებს ბოლომდე? ნათქვამია: კაცია და გუნებაო. ჩემი მისია ქმრის გაგება, თანადგომა და გულშემატკივრობა გახლავთ და როგორც ამბობენ, ღირსეულად ვართმევ თავს ამ დიდ სირთულეს.

P.S. უცნაურია, გიყვარდეს ქმარი, თავისი „მინუსებით", „ვაჟკაცურად" უგებდე მას ყველაფერში, ამართლებდე მის ყოველ ნაბიჯს და საქციელს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მისაღები და ღირსეული. მართლაც, ამაზე ითქმის: სიყვარულს რას გაუგებო?!

***მარინა ბაბუნაშვილი***

## გამოხმაურება

**გთავაზობთ ერთ საინტერესო წერილს, რომელიც ამას წინათ მივიღეთ:**

*„ჩემო მარინა! მართალია, არ გიცნობ, მაგრამ ასე მგონია, ახლობელი ხარ და ამიტომაც მოგმართავ შენობით... „კვირის პალიტრის" ერთ-ერთ წინა ნომერში დაიბეჭდა შენი ინტერვიუ მოსკოვში მცხოვრებ ქართველ „ავტორიტეტთან". ძალიან განვიცადე იმ კაცის ტკივილი. მეც ვუყვარდი შავი სამყაროს ერთ წარმომადგენელს; მართალი გითხრა, არც მე ვიყავი მისდამი გულგრილი, მაგრამ ვერაფრით დავძლიე შიში. მეშინოდა მისი გამოხედვის, მისი ქცევის და გრძნობისაც კი. ძალიან გვიან, მორიგი სასჯელის მოხდის მერე, როცა მინახულა, ვუთხარი კიდეც ამ შიშის შესახებ. ამხელა კაცი კინაღამ ატირდა: „მე კი მეგონა, არ გიყვარდი და იმიტომაც გამირბოდი. რატომ გეშინოდა ჩემი, მე ხომ შენი გულისთვის ყველაფერზე თანახმა ვიყავი, შენ რომ გეთქვა, იმ „ჩემს საქმიანობაზეც" ხელს ავიღებდიო... მერე ისევ დაიჭირეს და ცოცხალი ველარ დაბრუნდა, ტუბერკულოზი შეხვდა და...*

*ძალიან მინდა შევხვდე შენს რესპონდენტს და გავიცნო. ის ისეთი ამაღლებული ადამიანი ჩანს, იმედია, ცუდად არ გაიგებს ჩემს სურვილს. შენც სწორად გამიგე, მინდა ის ტკივილი, რაც „მისი" სიკვდილის მერე მომეძალა, თამაზთან საუბრით ცოტათი მაინც გავანელო. იქნებ იცნობდა კიდეც... იმედი მაქვს, უყურადღებოდ არ დატოვებ ჩემს თხოვნას. ნელი".*

ნელი, სამწუხაროდ, უნდა გაგაწბილო. ის პიროვნება, რომლის გაცნობაც ასე გინდა, მხოლოდ იანვრის ბოლომდე აპირებდა თბილისში დარჩენას... თუმცა, ისიც მითხრა, სააღდგომოდ ისევ ჩამოვალო. საინტერესო რესპონდენტებთან ურთიერთობას ვაგრძელებ. იმედი მაქვს, თბილისში კვლავ ჩამოსული თამაზი შემეხმიანება და აუცილებლად გადავცემ შენს სურვილს...

აქვე პატარა კურიოზული შემთხვევა გამახსენდა: ამას წინათ რედაქციაში მესტუმრა ხანდაზმული კაცი და მითხრა, თქვენს გასაცნობად საგანგებოდ ჩამოვედი მცხეთიდანო. პარასკევი დღე „მძიმე" დღეა რედაქციაში, ნომრის მასალები ამ დღეს მზადდება. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი, რადგან ინტერვიუსთვის ნამდვილად არ მეცალა იმ წუთებში, მაგრამ აბა, როგორ მეთქვა უარი? მაგრამ... ბატონმა კაკომ (ასე გამეცნო) არც აცია, არც აცხელა, ეგრევე „მაჯახა", ჩემი ძმაკაცისთვის ქალს ვეძებო. დავიბენი, ისღა ვუთხარი: ამ შემთხვევაში მისამართი შეგეშალათ, მიმართეთ „სიტყვა და საქმეს", რუბრიკა „პაემანს". არაო, — მიპასუხა, — თქვენ რომ ქალებზე წერთ, ისეთი ქალები მოსწონს ჩემს მეგობარს, ახალგაზრდაა, გამრჯე და მშრომელი, ადრე დაქვრივდა და ძალიან უჭირს მარტოობაო. სხვა გზა არ იყო, „შესაფერისი კანდიდატურის" გამოჩენისას დახმარება დავპირდი. აბა, რა მექნა? ბოლოს, მეც და მთელ რედაქციას მადლობა გვითხრა წერილებისთვის და დროებით დამემშვიდობა.

ისე, ჟურნალისტობის პარალელურად თანდათან მაჭანკლისა და შუამავლის ფუნქციაც რომ დამაკისრა ჩვენმა მკითხველმა, აშკარაა...

ჩემო კარგებო, ეროსი მანჯგალაძის გმირისა არ იყოს (ფილმიდან „ქვევრი"), მამა ღმერთი კი არ ვარ, სამჭკუაშვილი ვარო, — მეც იგივე მეთქმის. ჟურნალისტს რა შეუძლია, იმის გარდა, რომ ადამიანს მოუსმინოს და მისი ამბავი საგაზეთოდ მოამზადოს?! არა, სხვანაირად არ გამიგოთ, დახმარებისთვის განა უარს ვამბობ, ყველანაირად ვეცდები, დახმარების ხელი გამოგიწოდოთ, მაგრამ გრძნობა ხომ ისეთი სულიერი სფეროა, იმდენად ინტიმური და პირადული, რომ ვერ ეგუება უცხოს „შემოჭრას". ორთა შორის წარმოქმნილი პრობლემა ისევ იმ ორმა უნდა გადაწყვიტოს, ის ცარიელი სივრცე იმ ორმა უნდა ამოავსოს, რომლებსაც ერთად ყოფნა სურთ...

***მარინა ბაბუნაშვილი***

## სასარგებლო რჩევები

— ტყავის ლანჩიანი ახალი ფეხსაცმელი არ ისრიალებს, თუ უმ კარტოფილს გაუსვამთ.

— ძველ ფეხსაცმელს გასაახლებლად ზედაპირზე ფორთოხლის ცედრა წაუსვით. კარგია სკიპიდრისა და რძის ნარევიც.



— რეზინის სათბურა დიდხანს შეინარჩუნებს სითბოს, თუ მასში მარილიან ცხელ წყალს ჩავასხამთ.

— პერანგის ძალიან ჭუჭყიანი საყელო ჭურჭლის სარეცხი პასტით ირეცხება.

— თუ უთოთი დაგეწვათ ქსოვილი, მას უმალ წაუსვით გაჭრილი ხახვი, მერე 1-2 საათით ცივ წყალში ჩაალბეთ და გარეცხეთ.

— ქსოვილიდან ჟანგის ამოყვანა ლიმონის წვენში გაზავებული მარილით შეიძლება. ლაქა ლიმონით დაასველეთ, მოაყარეთ მარილი, ერთი დღე-ღამე გააჩერეთ და მერე წყალში გაავლეთ.

ლიმონის წვენს გამოჰყავს აგრეთვე მელნის, ჩაის, ოფლის ლაქები, ასევე კარგად წმენდს მუქი ფერის ტყავის ხელჩანთას.

— თუ ტანსაცმელი გაგეხათ, ნაპირები გაასწორეთ და ქვემოდან ცხელი უთოთი წებოვანი ქსოვილის ნაჭერი დააკარით.

— ფერდაკარგულ თეთრეულს სიქათქათე დაუბრუნდება, თუ ერთი დღე-ღამით წყალგარეულ მაწონში ჩაალბობთ (5 ლ წყალი და 0,5 ლ უცხიმო მაწონი). შემდეგ ჩვეულებრივად გარეცხეთ.

# ეშმაკის მუგუზალი, ბებია „კაიფში" და ფეხი უნიტაზში

***ყოველთვის თავს ვიწონებ სიგარეტის მწეველთა დაუძინებელი მტრობით. მაგრამ სამწუხაროდ, ჩემნაირი დღეს თითზე ჩამოსათვლელია და ვერაფერს შველის ვერც სიგარეტის კოლოფზე მითითებული ჯანდაცვის სამინისტროს გაფრთხილება და ვერც ათასნაირი ანტინიკოტინური მოძრაობა. ეს კიდევ არაფერი.. უბედურება ისაა, რომ მწეველებს სულაც არ ედარდებათ არამწეველთა ბედი და დაუნდობლად არღვევენ ჩვენს უფლებებს. შემატყვეთ ალბათ, რომ გაცხარებულ გულზე დავიწყე წერა. რა ვქნა, აგერ ახლახან გამოვედი ერთი მეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაციიდან და ქუჩაში გამოსვლისთანავე აშშ-ში ყოფნა ვინატრე. ჩემი კოლეგა დაჩი გრძელიშვილისგან და სხვებისგანაც გამიგია, როგორ სდევნიან ამერიკაში სიგარეტის მწეველებს. ისე, ერთი რამ ვერ გამიგია, რა უბედურებაა, თუ აკრძალვაა, აკრძალვა იყოს და მარტო მოწევას კი ნუ დაუშლიან ხალხს, სიგარეტიც არ გამოუშვან. ამ ცხელ გულზე გადავწყვიტე, სატელეფონო გამოკითხვა სწორედ სიგარეტისთვის მიმეძღვნა. სამწუხაროდ, ჩვენშიც მომრავლდნენ მწეველი ქალები. ჰოდა, გავიგოთ ერთი, რა სიამოვნებას ანიჭებთ სიგარეტის გაბოლება და როგორ დაიწყეს მოწევა.***

**თიკა (22 წლის):** — 15 წლის ვიყავი, პირველად რომ მოვწიე. არ მომეწონა, მაგრამ ჩემი სტაჟიანი მწეველი დაქალების წინაშე თავი არ „გავიბანძე" და მერე მავნე ჩვევად მექცა. დიდხანს ვუმალავდი ოჯახს. დედაჩემი ისე იტყოდა ხოლმე, ჩემმა შვილმა რომ სიგარეტი მოსწიოს, თითებს დავამტვრევ და ტუჩებს დავუწვავო, რომ შიშით ვკანკალებდი. ამიტომ შევიდოდი ტუალეტში, უკაცრავად და, უნიტაზზე შევდგებოდი და საჰაეროსთან ვეწეოდი. ერთხელ ისეთი რამ დამემართა, მტერს არ ვუსურვებ: ჩამემტვრა უნიტაზის ხუფი და ფეხი მეტად უხერხულ ადგილზე გამეჩხირა. ჯერ შიშით ხმა ვერ ამოვიღე — რა მეთქვა, რატომ შევდექი უნიტაზზე-მეთქი? მერე ფეხის ამოღება რომ ველარ მოვახერხე, ღრიალი მოვრთე და... მამაჩემმა მითხრა, — კანალიზაციის მილში გასატანებელი კი ხარ, მაგრამ, რა ვქნა, შენი მომტვრეული ფეხების ყურებით ვერ მოვიკლავ თავს და ჯანდაბას, შენი თავი, მოწიე ეგ ეშმაკის მოგონილი მუგუზალიო. ვეწევი მას მერე თავისუფლად და ვატყობ, რომ თავს ვიკლავ, მაგრამ მოწევას მაინც ვერაფრით გადავეჩვიე.



**ნაზიკო (58 წლის):** — ჩემს ყმაწვილქალობაში სიგარეტის მოწევა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა, მაგრამ მაინც ვცოდავდით. თანაც მაშინ ასეთი ძვირფასი სიგარეტები არ იშოვებოდა. რით ვითუთქავდით ფილტვებს, რომ გამახსენდება, ჟრუანტელი მივლის. ბიჭები და გოგოები ყველა ერთად ვეწეოდით მეზობელი სახლის სარდაფში. ერთხელ თავს წამოგვადგა ერთ-ერთი ჩვენგანის ბებია და იქ ამბავი ატყდა, ენით ვერ აგიწერთ... მოკლედ, ყველანი სამაგალითოდ დავისაჯეთ. სკოლის კომკავშირის კრებაზე გაიტანეს ჩვენი საკითხი, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, კუზიანს სამარე გაასწორებსო...

**ლიკა (38 წლის):** — ჩემს ოჯახში, ბებიაჩემის გარდა, არავინ ეწევა. აზნაურის ქალია. 90 წელს კაი ხანია გადააბიჯა. უნდა ნახოთ, როგორი წელგამართული ზის სკამზე, როგორ სვამს ყავას, როგორ აბოლებს სიგარეტს და ნაფაზს რა ოსტატურად არტყამს. სულ დაგვცინის — თქვე გლეხუჭებოო. ერთხელ ჩემმა ძმამ — მე შენ გაჩვენებ, გლეხუჭა ვინ არისო და ბებიას სიგარეტის ნაცვლად მარიხუანა შეაპარა. უნდა გენახათ ბებია „კაიფში"! სადღა იყო გვაროვანი ქალბატონი! ისე იმხიარულა და გვამხიარულა, რომ ლამის გადავწყვიტეთ, ბებია სულ „კაიფში" გვყოლოდა.

**ნინო (23 წლის):** — მამაჩემი ძალიან წინდახედული კაცია. 13 წლის ვიყავი, დამიძახა და მითხრა: — მოდი, ნინო, სიგარეტის მოწევა უნდა გასწავლოო. მე გავიპრანჭე. აბა, ახლა ბევრს ნუ თვალთმაქცობ, ვიცი, რომ შენი დაქალები ეწევიან, შენც მალე გაგასინჯებენ. რაღა სხვამ, მე უკეთ გასწავლიო.

დედა კინაღამ გაგიჟდა, მაგრამ მამამ ანიშნა, მაცალეო. მოკლედ, დამსვეს, მომცეს სიგარეტი და ბოლომდე მომაწევინეს. იმ დღის შემდეგ მისი სუნი კი არა, დანახვაც კი მძულს.

მშობელს ბევრი რამის შეცვლა შეუძლია შვილის ცხოვრებაში.

ასე რომ, მათი დიდი ყურადღება სჭირდებათ შვილებს და ისინიც მავნე ჩვევებს არ შეიძენენ.

***ეკა ლომიძე***




**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. პარნასი; 2. — დიოდი; 3. — ოდა; 4. — მოდა; 5. — ნიგოზი; 6. — იოდი; 7. — ბილი; 8. — ენოთეკა; 9. — დასი; 10. — კონიაკი; 11. — სინდისი; 12. — საგა; 13. — გაუსი; 14. — ბადრო; 15. — დიაგონზი; 16. — ფი; 17. — ფრაკი; 18. — კონუსი; 19. — აგა; 20. — თონე; 21. — კაბუკი; 22. — ომი; 23. — ბესიკი; 24. — რემ; 25. — ლხინი; 26. — ბეზე; 27. — დეკა; 28. — მზე; 29. — ხუნტა; 30. — პირიმზე; 31. — მოემი; 32. — მათარა; 33. — რაინი; 34. — „მი“; 35. — რეზა; 36. — მგოსანი; 37. — სიო; 38. — ტრავმა; 39. — ცაიში; 40. — ცა; 41. — პადრე; 43. — ფიქრი; 43. — იომენი; 44. — ინი; 45. — ტარანი; 46. — მედეა; 47. — დიადემა; 48. — მორზე; 49. — ემა; 50. — „ბოში“; 51. — ქაჯი; 52. — საბო; 53. — ვეჩე; 54. — ღამე; 55. — სპარტა; 56. — ჩე; 57. — დუბლიკატი; 58. — კონტროლი; 59. — ნალები.

1. მე და დედა ვვარჯიშობთ; 2. კლონი; 3. ჩაკრები; 4. აკუპუნქტურა; 5. დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ. — ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

**შეადგინა რამაზ ალანია**

# მილიონერ დამნაშავეზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული



„მაქს ფაქტორის“ საყოველთაოდ აღიარებულ ფირმას რეკლამა არ სჭირდება. იგი არსებობიდან საუკუნეზე მეტს ითვლის. ამ კოსმეტიკური ფირმის ამჟამინდელი მემკვიდრე, მულტიმილიონერი ენდრიუ ლასტერი მართლმსაჯულებას გაექცა და ახლა მასზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.

2000 წლის ივნისში პოლიციას მიმართა შაუნა დოუმ, რომელმაც განაცხადა, რომ ლასტერმა იგი თავის სახლში შეიტყუა, რაღაც გამაბრუებელი სასმელი დაალევინა და შემდეგ უმწეო ქალი გააუპატიურა. პოლიციელებმა გაჩხრიკეს მილიონერის სახლი სანტა-ბარბარაში და აღმოაჩინეს ე.წ. „პაემანის ნარკოტიკის“ GHB-ს რამდენიმე ბოთლი. მთავარი კი ის გახლდათ, რომ იპოვეს უამრავი ფოტო და ვიდეოფირი, რომელზეც ასახული იყო, თუ როგორ აუპატიურებს ენდრიუ ლასტერი უმწეო მდგომარეობაში მყოფ ქალებს.




ლასტერი დააპატიმრეს. მაგრამ მან ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ ფირზე აღბეჭდილი ყველა ქალი მასთან ნებაყოფლობით ამყარებდა სექსუალურ კავშირს. მისი მტკიცებით, გასაბრუებელ სასმელსაც საკუთარი ნებით სვამდნენ.

გამოძიების მსვლელობისას მაძებრებმა ლასტერის რამდენიმე მსხვერპლს მიაგნეს. ყოველმა მათგანმა დაადასტურა, რომ ლასტერი მათ შინ პატიჟებდა, რაღაც სასმელს ასმევდა და ღონემიხდილს აუპატიურებდა... შემდეგ მათ აღარაფერი ახსოვდათ და ძალადობის ფაქტის აღდგენას ვერ ახერხებდნენ.

გამომძიებლები ფიქრობენ, რომ შესაძლოა, ენდრიუ ლასტერი მდიდარი ფლეიბოების საერთაშორისო კლუბის წევრი იყოს, რომლებიც გასართობად ინტერნეტით ავრცელებდნენ თავიანთი ეროტიკული თავგადასავლების ვიდეოჩანაწერებს.

გამოძიების მასალების მიხედვით, ლასტერს მკაცრი განაჩენი ელის. მაგრამ 10 მილიონ დოლარად თავდებით გამოშვებულმა ლასტერმა სასამართლოს არ დაუცადა და გაიქცა. მასზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული, მაგრამ სასამართლო ლასტერის გარეშეც განაგრძობს საქმის განხილვას.

***ინტერპოლ-ექსპრესი №1***

# ჰუკი — მეფურად

მე-19 საუკუნის მიწურულს კანადას დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე, უელსის პრინცი გეორგი ეწვია. მონრეალში ყოფნის პირველსავე დღეს, პროტოკოლით გათვალისწინებულ ღონისძიებაზე ვისკით საკმაოდ შექიკჭიკებულმა მისმა უდიდებულესობამ გადაწყვიტა, უახლოესი მეგობრების თანხლებით, ქალაქში ინკოგნიტოდ გაესეირნა.

უფლისწული და მისი ორი თანამგზავრი მონრეალის მშვენიერი საღამოთი ტკბებოდნენ და სეირნობა-სეირნობით ქალაქის იმ უბანში აღმოჩნდნენ, სადაც დღისითაც კი საშიში იყო გავლა. უცებ მათ წინ გადაუდგა ექვსკაციანი ჯგუფი და ფული მოსთხოვა.

რა თქმა უნდა, მტკიცე უარი მიიღეს. მონრეალელებმა გადაწყვიტეს, ამ „თავხედი უცხოელებისთვის“ ჭკუა ესწავლებინათ, მაგრამ სტუმრები გუმანს მიუხვდნენ და მიუხედავად იმისა, რომ დამხვდურნი მეტნი იყვნენ, იერიშზე პირველნი გადავიდნენ და მუშტი დაატრიალეს.



ქუჩის ბიჭები მოულოდნელობისგან დაიბნენ.

მოკლედ, სამმა სტუმარმა მაგრად დაჟეჟა მასპინძლები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა პრინცი გეორგი, რომელმაც ჰუკისა და კროსის გამოყენებით ძირს დასცა თავისი ორი კანადელი ქვეშევრდომი, ხოლო შემდეგ მესამე — „აპერკოტზე დაიჭირა“.

ორ დანარჩენს უფლისწულის მეგობრები გაუსწორდნენ, მეექვსე კანადელი კი გაიქცა, პირდაპირ პოლიციის პატრულს ჩაუვარდა ხელში და გულამოვარდნილმა შესჩივლა — ვიღაც თავხედმა უცხოელებმა მეგობრები გამილახეს და ახლა საცემრად მე მომდევენო. პოლიციელებმა თვალის დახამხამებაში დააკავეს „ყოჩები“, ხელბორკილები დაადეს და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს.

მორიგის შეკითხვაზე პრინცმა თავისი სრული ტიტული დაასახელა, მაგრამ პოლიციელმა იფიქრა, ეს ნასვამი ახალგაზრდა დამცინისო და გეორგი, თანამგზავრებითურთ, საკანში დაამწყვდია.

დილით გაირკვა, რომ პრინცს რეზიდენციაში ღამე არ გაუთევია და არც მისი ასავალდასავალი იცოდა ვინმემ. ატყდა განგაში. მონრეალის პოლიცია ფეხზე დადგა. სწორედ იმ დროს პოლიციის კომისარს მოახსენეს, წუხელ ერთ-ერთ განყოფილებაში მოიყვანეს მოჩხუბარი უცხოელები, ერთ-ერთი მათგანი ირწმუნებოდა, უელსის პრინცი ვარო.

თავზარდაცემული კომისარი მაშინვე პოლიციაში გაქანდა და უელსის პრინცს აკანკალებული ხელებით გაუღო საკნის კარი.

უფლისწულს თავისი უნებლიე ბადრაგისთვის არ უსაყვედურია, დიდსულოვნად შეუნდო შეცდომა.

შემდგომში ხშირ-ხშირად ამაყად კითხულობდა ხოლმე პრესაში გამოქვეყნებულ ცნობას, თუ როგორ მოიგერია ხელჩართულ ბრძოლაში რამდენიმე თავდამსხმელი...

***ინტერნეტ-ექსპრესი***

# ჩე გევარა — ფოტოხელოვანი




ცნობილ არგენტინელ რევოლუციონერს, ერნესტო გევარა ლინჩ დე ლა სერნას ფოტოგრაფიის სიყვარული მამისგან დაჰყვა. სიყმაწვილეში გევარა ფოტორეპორტიორობითა და ქუჩის ფოტოგრაფობით ირჩენდა თავს.

მას ფოტოკამერაზე უარი არც ექიმის დიპლომის მიღების შემდეგ უთქვამს, არც მაშინ, როცა ახალგაზრდა კომუნისტი კუბის გასათავისუფლებლად ებრძოდა ბატისტას ხელისუფლებას.

აწ უკვე ჩე გევარად მონათლულს კამერა ხელიდან არც ბატისტას ჩამოგდების შემდეგ, არც კუბის ეროვნული ბანკის პრეზიდენტობისა და მრეწველობის მინისტრობის დროს გაუშვია ხელიდან. იგი იღებდა ქუჩის ბავშვებს, პეიზაჟებს, საწვრთნელ ბაზებს, გამორჩეულ ხუროთმოძღვრულ ნაგებობებს, პორტრეტებს.

ეს მოუცლელი, რევოლუციისა და ხალხის უკეთეს მომავალზე მოფიქრალი და მებრძოლი ადამიანი სულიერებაზე ბევრს ფიქრობდა. მის მიერ აღბეჭდილი ბევრი ძეგლი უკვე აღარ არსებობს, აღარც ის ადამიანები არიან, რომლებსაც ის იღებდა...

მოგვიანებით მის შემოქმედებაში მთავარი ადგილი კუბაში მიმდინარე მოვლენებმა დაიკავა. იგი უკვე აფიქსირებს ბრძოლის ველს, ფაბრიკების მშენებლობას, ტექნიკურ მიღწევებს...

1995 წელს აღმოაჩინეს ჩე გევარას მიერ გადაღებული 160 კადრი, რომლებზეც აღბეჭდილია 1967 წელს ბოლივიაში დახვრეტილი პატრიოტები.

სამართლიანობისთვის მებრძოლი ჩე გევარას სახეს ეს ფოტოები კიდევ ერთი განსხვავებული შტრიხით ამდიდრებს.

***შტერნი №4***

# კრიმინალური ორსულობა... კოლონიაში

უკვე ორი წელია, რაც მექსიკელი პოპ-ვარსკვლავი გლორია ტრევი ბრაზილიის საპყრობილის ქალთა განყოფილებაში ზის, სადაც არც ერთ მამაკაცს არა აქვს შესვლის უფლება. უცებ, სულ ახლახან, ზედამხედველმა ქალმა შეამჩნია, რომ პატიმარს მუცელი წამოეზარდა და წელიც შეუსუქდა. მიუხედავად წინააღმდეგობისა, გლორია ტრევი ექიმებმა გასინჯეს. შედეგი გამაოგნებელი იყო — ქალი 5 თვის ფეხმძიმე აღმოჩნდა!



გლორია ტრევი ქუჩის ჩვეულებრივი გოგონა იყო, მაგრამ შოუბიზნესში ისეთ მწვერვალს მიაღწია, რომ „მექსიკელი მადონა“ შეარქვეს და მთელი ლათინურამერიკელი ახალგაზრდობის კერპად იქცა.

ასეთ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პროდიუსერ სერხიო ანდრადეს. სწორედ მან გამოძერწა პოპვარსკვლავის ისეთი სახე, რომელმაც ძირფესვიანად დაანგრია მოზარდი თაობის ქცევის მიღებული სტანდარტები. გლორიას ძონძები ჩააცვა, აიძულა, თმა გაეზარდა და დაუბანლის, გაბურძგნილის შთაბეჭდილება შეექმნა. ასე ჩაცმული, ნახევრად შიშველი გლორია სცენაზე გამოჩნდა და თავისი ორაზროვანი სიმღერებით მოახერხა სექსუალურად დაუკმაყოფილებელი მოზარდების „აყვანა“. კალენდრებმა, რომლებშიც დაბეჭდილი იყო გლორიას ერთობ თამამი ფოტოები, ლათინურ ამერიკაში ნამდვილი ფურორი მოახდინა. მოკლე ხანში „მექსიკელმა მადონამ“ ხუთი მილიონი კომპაქტ-დისკი გაყიდა, ხოლო მისი სიმღერა „გაშლილი თმა“ ლათინურამერიკელი ახალგაზრდობის ჰიმნად იქცა.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, გლორიას კარიერას არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ უდიდესი სკანდალი გამოიწვია მაღაზიებში გამოჩენილმა წიგნმა „დიდება ჯოჯოხეთში“, რომლის ავტორი გახლდათ სერხიო ანდრადეს ყოფილი ცოლი. იგი წერს, რომ მისმა ქმარმა გლორიასთან ერთად დააარსა ბიურო, რომელიც თითქოსდა სასწავლებლად იწვევდა არასრულწლოვან გოგონებს, ჰპირდებოდნენ, თოფ-მოდელებსა და საესტრადო ვარსკვლავებს გაგხდითო, სინამდვილეში კი იყენებდნენ თავიანთი გაუკუღმართებული სექსუალური საჭიროებისათვის.

სერხიო ანდრადე და გლორია ტრევი მექსიკიდან წიგნის გამოსვლამდე გაიქცნენ და მათ ძებნაში ინტერპოლი ჩაერთო.

მექსიკელ გამომძიებლებს დაზარალებულმა გოგონებმა მოუთხრეს, თუ რის გაკეთებას აიძულებდა მათ სერხიო. ისინი კი, შიშით ვერ ბედავდნენ, ყველაფერი მშობლებისთვის გაემხილათ.

სერხიო და გლორია ორი წლის შემდეგ, 2000 წლის იანვარში რიო-დე-ჟანეიროში დააკავეს. მომღერალმა უარყო ყველა ბრალდება, მათ შორის ისიც, რომ სერხიოსგან გაჩენილი შვილი დაახრჩო. გლორიას უამრავმა თაყვანისმცემელმა, რომელსაც მისი ნათქვამი სჯეროდა, ციხესთან აქციები მოაწყო.

ბრაზილიაში მექსიკის საელჩომ მოითხოვა სერხიოსა და გლორიას ექსტრადიცია, მაგრამ ბრაზილიის მთავრობა არ დათანხმდა.

ყველაფერი შეცვალა გლორიას ორსულობამ. ბრაზილიის კანონით, დაპატიმრებული უცხოელი დამნაშავე, თუკი მას ბრაზილიის ტერიტორიაზე შვილი შეეძინება, არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადასცენ.

გლორია ტრევის ორსულობამ ისეთი სკანდალური სახე მიიღო, რომ საპყრობილის უფროსი თანამდებობიდან გადადგა. ქალის უმამაკაცოდ დაორსულებასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

როგორც ჩანს, გლორია ხელოვნურად განაყოფიერდა. სპერმის დონორებად მოიაზრება ორი ტუსაღი — სერხიო ანდრადე და ბრაზილიელი ნარკოვაჭარი, რომელთანაც გლორიას ადრე ჰქონდა რომანი.

***ინტერპოლ-ექსპრესი №23***



# ინსპექცია და სამარშრუტო ტაქსები

— ყოველდღე ვმგზავრობ სამარშრუტო ტაქსით და ხშირია შემთხვევა, როდესაც საგზაო ინსპექციის თანამშრომლები ხანგრძლივი დროის მანძილზე აჩერებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს. აქვს თუ არა საგზაო ინსპექციას უფლება, გააჩეროს ხალხით სავსე მიკროავტობუსი, თანაც 20-25 წუთის განმავლობაში?

*მერი კახიძე*

კითხვაზე უპასუხებს **ამირან კაჭახიძე**, თბილისის საგზაო ინსპექციის უფროსის მოადგილე.



— თუ სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, მგზავრების გადაყვანისას დაარღვევს მოძრაობის უსაფრთხოების წესებს, საგზაო ინსპექციის თანამშრომელი ვალდებულია ადგილზე გააჩეროს წესის დამრღვევი და შეავსოს ოქმი. ოქმის შევსებისათვის, რაიმე ვადები დაწესებული არ არის, თუმცა ამ პროცედურამ დიდი დრო არ უნდა მოიცვას, — მაქსიმუმი 5-10 წუთი. ზოგიერთი ინსპექტორი ნელა ავსებს ოქმს, ზოგიც კი სწრაფად. სხვა შემთხვევაში საგზაო ინსპექციის თანამშრომლებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების და მგზავრთა დაყოვნების უფლება არა აქვთ. სამწუხაროდ, სამარშრუტო ტაქსები ქალაქის საგზაო ინსპექციისათვის აუღებელი ციხესიმაგრეა, თუმცა არ უარვყოფ, რომ ჩვენი თანამშრომლების მხრიდან დარღვევებსაც ჰქონდეს ადგილი. რეგულარულად ვაწარმოებთ აშკარა თუ ფარულ შემოწმებასა და კონტროლს, რომ აღმოვფხვრათ ჩვენი თანამშრომლების უკანონო ქმედებანი.

# დემოგრაფიული კატასტროფა!

— გთხოვთ, გამოაქვეყნოთ მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები. როგორი დემოგრაფიული მდგომარეობაა საქართველოში?.

*მერი კახიძე*



— სამწუხაროდ, 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები საბოლოოდ არ დამუშავებულა. ეს პროცესი, სავარაუდოდ, მარტის ბოლოსთვის დასრულდება. რაც შეეხება უკანასკნელი წლების დემოგრაფიულ მონაცემებს, შეგვიძლია სტატისტიკის სამმართველოს ოფიციალურ მასალებზე დაყრდნობით გაცნობოთ: საქართველოს მოსახლეობა 1990 წელთან (5464,2 ათასი ადამიანი) შედარებით, 2001 წლისთვის მილიონ ადამიანზე მეტით შემცირდა (4409,8 ათასი) ძირითადად ქვეყნის გარეთ დროებით ან მუდმივად გასულ ადამიანთა ხარჯზე. თუ ქალაქის მაცხოვრებელთა რიცხვი 1990 წელს 3073,0 ათასს ითვლიდა, 2001 წელს ეს რიცხვი 2535,0 ათასამდე შემცირდა (თუმცა ეს მონაცემი ვერ უნდა ასახავდეს რეალურ მდგომარეობას, რადგანაც ცნობილია, რომ მასობრივი უმუშევრობისა და სოციალური პრობლემების გამო სოფლის მოსახლეობა ქალაქებს აფარებს თავს). 1990 წელს ყოველ ათას ადამიანზე შობადობა შეადგენდა 17 ჩვილს, 2001 წლისთვის კი — 9,1-ს. სამწუხაროდ, გაორმაგდა მკვდრადშობადობა: 1990 წ. — 7,2 ჩვილი ყოველ ათას ადამიანზე, 2001 წ. — 15,7. მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1990 წელს შეადგენდა 46869 ადამიანს, 2001 წელს კი — 1077-ს, თუმცა 2000 წელთან შედარებით (-928)(!) ეს რიცხვიც სასიხარულოა. ქორწინებათა რიცხვი 36812-დან 13336-მდე დაეცა... როგორც ხედავთ, საქართველო ძალზედ შემაშფოთებელი რეალობის წინაშე დადგა.

# ინფორმაცია ლუდის მოყვარულთათვის

— როგორც ვიცი, სინათლე ლუდს აფუჭებს და ამიტომ ადრე, კომუნისტების პერიოდში ლუდი მარტო მუქ ყავისფერ ბოთლებში ისხმებოდა. ახლა კი ხშირად მწვანე, ხანაც კი გამჭვირვალე ბოთლებში ასხამენ. არის თუ არა ეს ტექნოლოგიის დარღვევა?

*ომარ ხარატიშვილი*

— კითხვაზე უპასუხებს **ვაჟა გოგიბერიძე**, ლუდის ქარხანა „ყაზბეგის" დირექტორის მოადგილე.



— ღია ფერის ბოთლებში ლუდის ჩამოსხმა ტექნოლოგიის დარღვევა ნამდვილად არ გახლავთ. ბოთლის ფორმა თუ მისი შეფერილობა დიზაინერის გემოვნებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება მუქი ფერის ბოთლს, იგი ჩეხური ლუდის იმპორტს „შემოჰყვა" და კომუნისტებმაც სასწრაფოდ „აითვისეს". აქვე იმასაც დავძენთ, რომ ღია ფერის ბოთლს დადებითი მხარეც აქვს. მომხმარებელი მასში უკეთ შეამჩნევს თუ როგორი გაფილტრულია ლუდი, ხარისხიანია თუ არა იგი და სხვა. ასე რომ, მნიშვნელობა არა აქვს ბოთლის შეფერილობას, მთავარია ლუდის ხარისხი.

*ვინაიდან რედაქციამ „ყაზბეგის" ხელმძღვანელობისგან მიღებული პასუხი არ ჩათვალა ამომწურავად, აღნიშნული კითხვით მივმართეთ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს.*

კითხვაზე უპასუხებს **დოდო ტატულაშვილი**, მინერალური და მტკნარი წყლების სახელმწიფო რეგულირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

— ნებისმიერმა ტექნოლოგმა იცის, ესა თუ ის პროდუქცია როგორი ჭურჭლით მიაწოდოს მომხმარებელს. ამ მხრივ, არც ლუდის ტექნოლოგები უნდა იყვნენ გამონაკლისნი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ტექნოლოგიურად გაუმართლებელია ლუდის თეთრ და გამჭვირვალე ჭურჭელში ჩამოსხმა. სტანდარტის მიხედვით იგი უნდა ჩამოასხან მწვანე, ლურჯ და ყავისფერ ბოთლებში. რაც შეეხება ულტრაიისფერ სხივებს, იგი მართლაც მოქმედებს ლუდის ხარისხზე, უფრო კონკრეტულად კი საფუარზე, რომელსაც შეიცავს ლუდი. მართალია, გაფილტვრის შედეგად პროდუქციაში საფუარის შემცველობა მინიმუმამდეა დაყვანილი, მაგრამ სითბოსა და ულტრაიისფერი სხივების მოქმედების შედეგად ლუდი იწყებს ხელმეორედ დუღილს, გამოყოფს ნალექს და კარგავს პირვანდელ თვისებებს. ამიტომ, მომხმარებელმა არა მარტო ბოთლის ფერს, არამედ ლუდის შენახვის წესსაც უნდა მიაქციოს ყურადღება. ხშირად რეალიზატორები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ გარემოებას, მაგალითად, საქონელი უდევთ თაკარა მზეზე და სხვ.

ლუდის შეძენისას გირჩევთ მიაქციოთ ყურადღება ეტიკეტზე აღნიშნულ შენახვის წესსა და პირობებს.

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე" ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და რაც მთავარია, ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**

# ლიზა ბაგრატიონს მეუღლე სიმღერას არ უკრძალავს

— ერთ-ერთ ინტერვიუში ლიზა ბაგრატიონმა განაცხადა, რომ მისი მეუღლე ძალიან შორს იყო მუსიკალური და საერთოდაც შოუბიზნესის სამყაროდან. მაინტერესებს მისი ამჟამინდელი პოზიცია. საერთოდაც სად გაქრა ლიზა, რას საქმიანობს, მეუღლის წინააღმდეგობის შემთხვევაში აპირებს თუ არა დედობას შეუთავსოს სხვა საქმიანობა?

*თამარ ჩინჩალაძე*

კითხვაზე უპასუხებს **ლიზა ბაგრატიონი**.



— ჩემს მეუღლეს ქორწინების შემდგომ სამწუხაროდ, მუსიკალური სამყაროსადმი ინტერესი დიდად არ მომატებია და ასე ვთქვათ, მყარად დგას თავის პოზიციაზე. მას აქვს საყვარელი პროფესია (ექიმი-მეანი), რომელშიც ბოლომდე იხარჯება და დიდ დროსა და ენერგიას ანდომებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ჩემს საქმიანობაში ხელს მიშლიდეს ანდა სიმღერას მიკრძალავდეს, პირიქით: ყველაფერს გაგებით ეკიდება და პატივს სცემს ჩემს არჩევანსა თუ პროფესიას. უყვარს და მოსწონს ყველაფერი, რასაც ვაკეთებ. ერთადერთი ხელის შემშლელი პირობა იყო ჩემი შვილი (8 თვის ბიჭი), რომელიც უკვე წამოიზარდა და იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე დავუბრუნდები სიმღერას, სცენასა თუ სტუდიას. მაქვს პატარა პროექტები და გეგმები. იმედი მაქვს, უკვე ზაფხულში მსმენელს რამდენიმე ახალ სიმღერას შევთავაზებ. ჯერჯერობით კი, ჩემი შვილის საზოგადოებით ვტკბები და მისი თანხლებით ვგეგმავ ჩემს მუსიკალურ მომავალს.

# ყველაზე მდიდარი ადამიანები მსოფლიოში

— ამბობენ, რომ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი მამაკაცი ბრუნეის სულთანია. მართალია თუ არა ეს? გთხოვთ, მოგვითხროთ ასევე ყველაზე მდიდარ ქალბატონზე.

*მანანა სანაძე*

— 2002 წლის „ფორბსის" რეიტინგის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანების პირველ ათეულში ერთი გერმანელი და ცხრა ამერიკელია. პირველ ადგილზე მისტერ Microsoft-ი, ბილ გეიტსი გახლავთ. მისი ქონება 63-დან 52 მლრდ აშშ დოლარამდე დაეცა, თუმცა ეს თანხა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პირველობა მაინც შეენარჩუნებინა. რაც შეეხება ქალბატონებს, ყველაზე მდიდარი ქალები მსოფლიოში არიან ამერიკელი ალისა და ჰელენ უილტონები, სემ უილტონის მემკვიდრეები (Wal-Mart-ის დამაარსებელი). სემ უილტონმა გარდაცვალების შემდეგ (1992 წელი) დატოვა ქონება 104 მილიარდის ოდენობით. მას ჰქონდა მაღაზიათა ქსელი თითქმის მთელ ამერიკაში. რაც შეეხება მის მეუღლეს ჰელენ უილტონს, მან ქონება სხვა მემკვიდრეებთან ერთად თანაბრად გაინაწილა.

აქვე გთავაზობთ მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ადამიანების ათეულს:

1. ბილ გეიტსი — 52,0 მლრდ $ (Microsoft).
2. უორენ ბაფეტი — 35,0 (Investor).
3. თეო, კარლ ალბერჩი — 26,8 (სოკოს ბიზნესი, მიწათმფლობელი).
4. პოლ ალენი — 25.2 (Microsoft).
5. ლორენს ელისონი 23,2 (Oracle).
6. ჯიმ უილტონი 20,8 (Wal-Mart).
7. ჯონ უილტონი 20.7 (Wal-Mart).
8. რობსონ უილტონი 20.5 (Wal-Mart).
9. ალისა უილტონი 20.5 (Wal-Mart).
10. ჰელენ უილტონი 20.4 (Wal-Mart).


ბილ გეიტსი

რეიტინგი თითქმის ყოველ წელს იცვლება, დღეს თუ ფორტუნა 497 მილიარდერს უღიმის, სრულიად შესაძლებელია, რომ გაისად სურათი საგრძნობლად შეიცვალოს. „ფორბსის" რეიტინგში შესაძლებელია მოხვდეს მხოლოდ იმ ადამიანთა კატეგორია, რომელთა ქონებაც ერთ მილიარდ დოლარს აღემატება.

სამწუხაროდ, ყველაზე მდიდარ ადამიანებს შორის ბრუნეის სულთანი 2000 წლიდან აღარ ფიგურირებს. ორი წლის წინ ჟურნალ „ფორბსის" მონაცემებით, რომელიც ყოველწლიურად აქვეყნებს მსოფლოში ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგს, ბრუნეის სულთანს მე-4 ადგილი ეკავა და მისი ქონება 30 მილიარდ დოლარს შეადგენდა. რაც შეეხება თავად სულთანს, იგი 56 წლისაა. ჰყავს ორი მეუღლე და 10 შვილი. განათლება მიიღო ინგლისში, სამეფო სამხედრო სასწავლებელში, არის ოფიცერი, კადეტი. იგი გახლავთ უძველესი (600-წლიანი) სამეფო დინასტიის შთამომავალი, რიგით 29-ე სულთანი. აქვს მსოფლიოში ყველაზე დიდი სასახლე, რომელშიც 1788 ოთახი, 5 აუზი, 257 ტუალეტი, 44 კიბე და 18 ლიფტია. მარტო სასადილო ოთახი 4000 კაცს იტევს. სასახლის სავარაუდო საწყისი ფასი 400 მილიონი დოლარია. რაც შეეხება სულთანის შემოსავლის წყაროს, იგი არის უამრავი სასტუმროს მფლობელი. ვაჭრობს გაზითა და ნავთობით. თუმცა, ეს მონაცემები უკვე მოძველებულია და სამწუხაროდ, ამ ადამიანის გაუჩინარების თუ „ფორბსის" რეიტინგიდან გაქრობის მიზეზი ჩვენთვის უცნობია.

# «კორუფცია სახლმმართველობაში?!»

— აქვს თუ არა კანონიერი უფლება საბინაო-საექსპლუატაციო სახლმმართველობების ბაზაზე დაფუძნებულ საწარმოებს (კერძოდ, შპს „დელისი-2"), არ გასცეს ფორმა №1 ან სხვა სახის ცნობა კომუნალური დავალიანების მქონე მოსახლეობაზე.

*ა. ოშხერელი*

*ვინაიდან ზემოთ აღნიშნული შპს-ები დაფუძნებულია ქალაქის მერიის მიერ, აღნიშნული საკითხის შესახებ სწორედ მათ მივმართეთ.*

კითხვაზე უპასუხებს **თემურ ჯიჯიაშვილი**, თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი.

— სახლმმართველობის (და შესაბამისად, მის ბაზაზე დაფუძნებული შპს-ის) თანამშრომელთა ამგვარი მოთხოვნა უკანონოა. კომუნალურ დავალიანებასა და საცხოვრებელი ადგილიდან გასაცემ ცნობას შორის საერთო არაფერია. მოსახლეობას უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობა შესაბამისი სამსახურიდან, ყოველგვარი პირობების წაყენების გარეშე. რაც შეეხება სახლმმართველობის თანამშრომლებს, მათ უნდა იცოდნენ, რომ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ურჩი გადამხდელების მიერ წლობით დაგროვილი დავალიანების ამოღების მოთხოვნით. ეს იძულებითი ღონისძიება გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეები უარს აცხადებენ კომუნალური დავალიანების ნებაყოფლობით გადახდაზე. ხოლო სახლმმართველობის თანამშრომელთა მხრიდან ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები გაუმართლებელი და უკანონოა.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

CMYK

# მედიცინა

## თუ ფრჩხილები გიყვითლდებათ...



ლაქის და განსაკუთრებით, მუქი ფერის ლაქის ხშირი ხმარებისგან ფრჩხილები ყვითლდება. ამის გამოსწორება ლიმონის საშუალებით შეგიძლიათ.

გაწურეთ ლიმონის პატარა ნაჭერი და რამდენიმეჯერ გადაისვით ფრჩხილებზე.

*ჟენსკიე დელა №1*

## „გულიანი" – ვიტამინი

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფოლიუმის მჟავა — B ჯგუფის ერთ-ერთი ვიტამინი — მნიშვნელოვნად ამცირებს გულის შეტევის, ინფარქტისა და ვენის თრომბოზის რისკს. ფოლიუმის მჟავა ადამიანის ორგანიზმზე გულ-სისხლძარღვთა დაავადების გამომწვევი ქიმიური კომპონენტის, ჰომოცისტინის დონეს დაბლა სწევს. ამიტომ ვისაც გული აწუხებს, უმჯობესია, რაციონში შეიტანოს მწვანე სალათა, ძირხვენები, სოკო, ხილი და ნიგოზი.

*ოკნა №16*

## შოკოლადი – შვნებელი „წამალი"



რომელსაც კაკაო შეიცავს, აიძულებს ადამიანის ტვინს, გამოიმუშაოს სიამოვნების მომნიჭებელი ჰორმონები, ეხმარება მას ენდორფინის — სიხარულის ჰორმონისა და ფსიქოსტიმულირებელი ფენილის წარმოქმნაში. ამასთან, მთელი ეს „ფეთიაქი", წამლებისგან განსხვავებით, ნატურალური და უვნებელია...

დიდი ხანია ცნობილია, რომ ცხელი შოკოლადი აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას და ტონუსს მაღლებს. მეცნიერული კვლევის შედეგად აღმოჩენილია, რომ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება,

*ლიზა №2*

## ნევროზი ბევრი ძილის შედეგია



ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და შრომისუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებელია დღე-ღამეში 7-8-საათიანი ძილი.

ამერიკელმა მკვლევარებმა გადაწყვიტეს დაედგინათ, საშიში არის თუ არა ჯანმრთელობისათვის გამოუძინებლობა. ექსპერიმენტში ათი წლის მანძილზე დაახლოებით 8.000 მოხალისე მონაწილეობდა. გამოირკვა, რომ ძილის მოყვარულებს 50%-ით მეტი რისკ-ფაქტორი აქვთ ინფარქტით ან ინსულტით დაავადებისა, ვიდრე მათ, ვისაც სძინავს 6 საათზე ნაკლები; ხოლო ვისაც დღისით ძილი უყვარს, არ ასცდება გულ-სისხლძარღვთა დაავადება.

ჯერჯერობით ვერავინ უპოვა მეცნიერული ახსნა ამ მოვლენას. მაგრამ, აშკარაა, რომ ხანგრძლივი ძილის მოთხოვნილება მოწმობს ჯანმრთელობის შელახვას.

ვისაც ზომიერად სძინავს, ის გამოირჩევა ნათელი გონებითა და ჯანმრთელობით. გავიხსენოთ თუნდაც ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე, რომელსაც სულ რაღაც რამდენიმე წუთი ეძინა დღე-ღამეში, თვლიდა ამას ნორმად და საერთოდ არ აწუხებდა ნევროზი.

*მეგაპოლის-ნოვოსტი №2*

**ჩემმა 7 წლის შვილმა უკვე 3-ჯერ გადაიტანა ანგინა. ხომ არ აჯობებდა ნუშურა ჯირკვლების ოპერაციული გზით მოშორება. გთხოვთ გვიამბოთ ნუშურა ჯირკვლების შესახებ.**

*ნ. გაზდელიანი, თბილისი*

ადრე ექიმები მიიჩნევდნენ, რომ „გლანდებს", ანუ ნუშურა ჯირკვლებს ორგანიზმში მნიშვნელოვანი ფუნქცია არ ჰქონდათ და ამიტომაც ნებისმიერი დისკომფორტის დროს მის ოპერაციულ მკურნალობას ურჩევდნენ პაციენტს. უკანასკნელი მონაცემებით, ნუშურა ჯირკვლები — იმუნური სისტემის პირველი კარიბჭეა. ისინი ანეიტრალებენ ინფექციას, რომელიც ორგანიზმში საკვების, ჰაერისა და წყლის საშუალებით ხვდება. მაგრამ თუ ორგანიზმი დასუსტებულია და ნუშურა ჯირკვლები თავის ფუნქციას ვერ ასრულებენ, ვითარდება ანთებითი პროცესი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ბაქტერიით, ასევე ვირუსით გამოწვეული. ნუშურა ჯირკვლებში მიმდინარე ანთებით პროცესს მწვავე ტონზილიტი, ანუ ანგინა ეწოდება. ამ დროს მატულობს სხეულის ტემპერატურა, ვითარდება ყელის ტკივილი. ყლაპვა მტკივნეული და გაძნელებულია.

შეიძლება მწვავე მიმდინარეობა ჩაცხრეს, მოგეჩვენოთ, რომ ანგინამ, ანთებითმა პროცესმა გაიარა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოჩნდება, რომ ბავშვს წამოხველება დასჩემდა, საღამოობით კი ტემპერატურა 37,1-37,3° აქვს. ნუშურა ჯირკვლების დათვალიერებისას კი შეამჩნევთ მასზე თეთრ წერტილებს, ე.წ. საცობებს. ასეთი მდგომარეობა თვეობით გრძელდება. სწორედ ეს არის ქრონიკული ტონზილიტი. ეს პროცესი შესაფერისი მკურნალობის ჩატარების გარეშე ნუშურა ჯირკვლების ამოკვეთის აუცილებლობა გამოიწვევს.

### ქრონიკული ტონზილიტის მკურნალობა

ქრონიკული ტონზილიტის მკურნალობა აუცილებელია. ნუ დაელოდებით, როდის გაივლის ის თავისთავად. ტონზილიტის მკურნალობა ხალხური რეცეპტით დაიწყეთ:

— ყოველი ჭამის შემდეგ უნდა გამოივლოთ გვირილის ან ასკილის ნაყოფის ნაყენი. 1 ს/კ ნაყოფს დაასხით 100 მლ ცხელი წყალი, დააყოვნეთ 10-15 წუთი და თბილ-თბილი გამოივლეთ, ისე რომ, ნუშურა ჯირკვლებს შეეხოს. თუკი ბავშვი ძალზე პატარაა, ამ მიზნით ცხელი ჩაის გამოყენებაც შეიძლება.

— 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, მიეცით ბავშვს 1 ჩაის კოვზი ნატურალური თაფლი. 1-2 წუთით დააყოვნოს პირში და ნელა მოწუწნოს.

— მიეცით ბავშვს ლიმონის ნაჭერი მოსაწუწნად, ოღონდ უშაქროდ. კარგია მაყვლის, ქაცვის მურაბები, ასევე სასარგებლოა ფორთოხალი და მანდარინი.

— დაასხით მდუღარე წყალი ნივრის კბილებს ან დაჭრილ ლიმონის ნაჭრებს და ასუნთქეთ ბავშვს ღია პირით 3-5 წუთი. ასეთი ინჰალაცია დღეში ერთხელაც საკმარისია.

## გავუფრთხილდეთ ნუშურა ჯირკვლებს



— მიეცით ბავშვს რაც შეიძლება მეტი ხილი და ბოსტნეული, განსაკუთრებით, ყვავილოვანი კომბოსტო, სტაფილო, ხახვი, ნიორი, ციტრუსები, ვაშლი.

— ბავშვს კარგად უნდა ეძინოს, ასეირნეთ სუფთა ჰაერზე, სასარგებლოა სპორტი.

ზოგჯერ ოჯახურ პირობებში ჩატარებული ღონისძიებები საკმარისი არ არის ქრონიკული ტონზილიტის მოსარჩენად. ამიტომ საჭირო ხდება დამატებითი პროცედურები — ეფექტიანია ნუშურა ჯირკვლების გამორეცხვა. ექიმი გამორეცხავს ჩირქოვან (თეთრ) საცობებს ანტისეპტიური ნივთიერებით, შემდეგ კი ჯირკვლებს უსვამენ 2%-იან იოდის ხსნარს. არსებობს ქრონიკული ტონზილიტის სამკურნალო ფიზიკური მეთოდებიც. ესენია: მიკროტალღებით მკურნალობა, ულტრაიისფერი დასხივება; იყენებენ ლაზერსაც. შესაძლებელია ელექტროფირების გამოყენებით ჯირკვლებში, ისეთი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შეყვანა, როგორიცაა, ალოე.

ულტრაბგერით პროცედურებს აქვთ უკუჩვენება, ისინი არ არის რეკომენდებული 6-7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, განსაკუთრებით, თუ პატარას მიდრეკილება აქვს სისხლდენისაკენ, აქვს ნევროზი, ცენტრალური ნერვული სისტემის ან ენდოკრინოლოგიური პათოლოგია. პროცედურების ჩატარება ხდება დაავადების გამწვავებიდან 1 თვის შემდეგ.

**ქირურგიული მკურნალობა:** ზოგჯერ აუცილებელი ხდება ნუშურა ჯირკვლების ქირურგიული გზით მოშორება. ჯირკვლები ორგანიზმში უკავშირდება მრავალ ორგანოს და ქრონიკულმა პროცესმა შეიძლება განაპირობოს გულ-სისხლძარღვთა, შარდ-სასქესო სისტემის, ბრონქების პათოლოგია. ის უარყოფით გავლენას ახდენს ნივთიერებათა ცვლისა და ენდოკრინული სისტემის ფუნქციონირებაზე, ასევე, სისხლის შედედების პროცესზე. სწორედ ამიტომ ექიმმა შეიძლება ჯირკვლების ქირურგიული მოცილება შემოგთავაზოთ.

გთავაზობთ სიმპტომებს, რომლის დროსაც ქირურგიული ჩარევა აუცილებელი და საჩქაროა:

— ხშირი თავის ტკივილი.

— კანის სიფერმკრთალე.

— მადის დარღვევა.

— კისრის ლიმფური ჯირკვლების გადიდება, შეხებისას — ტკივილი.

— უსიამოვნო შეგრძნება გულის არეში, სახსრების ტკივილი.

— სწრაფი დაღლა და შრომისუნარიანობის დაქვეითება.

— უსიამოვნო სუნი პირის ღრუდან.

*მაია მუხიგული*






სამედიცინო ტურისტული ფირმა

შპს შემეშ რეფუა

■ სუპერთანამედროვე მეთოდებით მკურნალობა ისრაელის საუკეთესო კლინიკებში;

■ ნეიროქირურგიული, კარდიოქირურგიული, გინეკოლოგიური, უროლოგიური და სხვა უსისხლო ქირურგიული ოპერაციები;

■ ნებისმიერი ორგანოს ტრანსპლანტაცია;

■ ისრაელის წამყვანი სპეციალისტების მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში – მათი საქართველოში მოწვევა;

■ ყბასახის ქირურგია - კბილების იმპლანტაცია ისრაელში და გერმანიაში;

■ ფსორიაზის და კანის სხვა დაავადებების მკურნალობა ისრაელის საუკეთესო კურორტებზე - მკვდარი ზღვა, ეილათი, ტივერია, ხამათ გადერი და სხვა.

■ საინტერესო ტურისტული მოგზაურობა წმინდა მიწაზე - იერუსალიმი, გოლგოთა, ბეთლემი, ჯვრის მონასტერი - პერსონალური ლიმუზინით და პირადი დაცვით.

■ შემეშ რეფუა გთავაზობთ: უცხოეთში გასამგზავრებელი დოკუმენტების შეუფერხებელ და უმოკლეს ვადაში მომზადებას, უცხოეთში გადაყვანას, უმაღლეს დონეზე მომსახურებას და საქართველოში დაბრუნებას.

შემეშ რეფუა

მოგიხსნით ყველა პრობლემას

თბილისი, გ. ახვლედიანის 17

ტელ.: 999 251, 996 027; ფაქსი: 995(32) 999 251.


## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის [illegible] გამოხმაურებისა და თანადგომისა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ახალგაზრდობაში რამდენჯერმე მქონდა ჰონორეა. ახლა 50 წლის ვარ და დამისვეს პროსტატის სიმსივნის დიაგნოზი. არის თუ არა ეს ორი დაავადება ერთმანეთთან კავშირში?**

**ა.ა.**

ეს ორი დაავადება ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში არ გახლავთ, მაგრამ ბოლომდე განუკურნებელი ჰონორეა იწვევს ქრონიკულ პროსტატიტს (წინამდებარე ჯირკვლის ანთებას), ხოლო პროსტატიტის ფონზე სიმსივნის განვითარების რისკი რამდენჯერმე მატულობს. ამიტომ, პროსტატის ნებისმიერი დაავადება დროულად უნდა გამოვლინდეს და სათანადო მკურნალობაც დროულად უნდა იქნას ჩატარებული. უნდა გითხრათ, რომ წინამდებარე ჯირკვლის სიმსივნე ადრეულ სტადიებზე იოლად იკურნება (მათ შორის, ოპერაციითაც).

## ქარაბადინი

**მინდა გაგიზიაროთ გამოცდილება: 3 წლის წინ აღმომაჩნდა კუჭის წყლული მძიმე ფორმით. ვიმკურნალე ერთ-ერთ ცნობილ ექიმთან, მაგრამ არაფერმა მიშველა. ძალიან შეწუხებული ვიყავი, ჩემმა ნათესავმა (რომელმაც ამ რეცეპტით მოირჩინა თავი) მასწავლა მკურნალობის ძალიან იოლი მეთოდი და მართლაც მეშველა. 6 თვის შემდეგ იმავე ექიმთან მივედი და გაოცებული დარჩა. მკითხა, რით განიკურნე და როცა ვუამბე, თავადაც ჩაიწერა ჩემი რეცეპტი: 1 ს/კ კარაქი, 1 ს/კ სპირტი, 1 ს/კ სუფთა თაფლი. დილით უზმოზე, ჭამამდე 20 წუთით ადრე მიიღეთ იმ თანამიმდევრობით, როგორც ჩამოთვლილია. შემდეგ მიირთვით ნებისმიერი საკვები. მე მომარჩინა და სცადეთ თქვენც. მკურნალობის კურსი 1 თვეა.**

**ექიმის კომენტარი** კარაქის გამოყენება ხალხურ მედიცინაში წყლულის დროს დაკავშირებულია მის შემდეგ მოქმედებასთან: იგი ესალბუნება ლორწოვანი გარსის დაზიანებულ ზედაპირს — დეფექტს და იცავს მას დამატებითი გამაღიზიანებელი ფაქტორებისაგან. სპირტი, როგორც ანტისეპტიკი, ანადგურებს მავნე ბაქტერიებს. დღეს უკვე აღარავინ დაობს კუჭის წყლულის ბაქტერიოლოგიურ ეტიოლოგიაზე. რაც შეეხება თაფლს, მის სამკურნალო მოქმედებაზე უკვე არაერთხელ გვისაუბრია. ასე რომ, აღნიშნული რეცეპტი ლოგიკურია და ეფექტიანი უნდა იყოს კუჭის წყლულის შემთხვევაში, მაგრამ მკაცრად უნდა გაგაფრთხილოთ, რომ რეცეპტში მოწოდებულ კომპონენტთა თანამიმდევრობა აუცილებლად უნდა დაიცვათ, რადგან თუ პირველ რიგში სპირტს მიიღებთ, ამან შესაძლოა საგრძნობლად გააუარესოს თქვენი მდგომარეობა. ცხიმი კი იცავს ლორწოვანას ალკოჰოლის ზემოქმედებისაგან.

*მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

*ძვირფასო მკითხველო! იმის გამო, რომ შეკითხვების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ჩვენი რუბრიკა ყოველთვის ვერ იტევს ყველა მათგანს. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ზოგიერთ კითხვაზე პასუხი ჟურნალ „ოჯახის მკურნალის" ფურცლებზე მოგაწოდოთ. ეს ჟურნალი უკვე „კვირის პალიტრის" დამატებას წარმოადგენს და 12 დეკემბრიდან განახლებული სახით გამოდის.*

**ისრაელი**

## არიელ შარონი ერის ერთიანობის სიმბოლოა

ისრაელის საპარლამენტო არჩევნებში ისევ მმართველმა პარტიამ, „ლიკუდმა“ გაიმარჯვა თავისი ლიდერის, ახლანდელი პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის თავკაცობით. ქნესეთში პარტია 120 ადგილიდან 34 ადგილს მიიღებს.

„ლიკუდის“ ტრადიციული მეტოქე — შრომის პარტია, რომელსაც ა. მიცნა მეთაურობს, 19 მანდატს უნდა დასჯერდეს, შინუის ცენტრისტულმა პარტიამ 15 მანდატი მოიპოვა.



ქვეყნის პრეზიდენტმა მოშე კაცავმა არიელ შარონს კოალიციური მთავრობის ფორმირება დაავალა. არჩევნების დამთავრებისთანავე შარონმა განაცხადა, — ისრაელი საფრთხეშია და მას ეროვნული ერთიანობის მთავრობა სჭირდებაო. მან კოალიციაში მიიწვია ყველა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალისტური პარტია. ა. მიცნამ გადაჭრით თქვა უარი ამ წინადადებაზე.

არჩევნებისწინა დღეს ისრაელის ჯარმა ღაზის სექტორში ფართომასშტაბიანი ოპერაცია ჩაატარა, რათა ამომრჩევლები დაერწმუნებინა, არიელ შარონი კვლავაც შეეცდება „ტერორიზმის ინფრასტრუქტურის“ ამოძირკვასო. თავად პრემიერმა განაცხადა, — აშშ-ის, რუსეთის, ევროკავშირის და გაეროს მიერ წარმოდგენილი გეგმა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტს ვერ გადაჭრის. მე მაქვს სხვა გეგმა, რომელიც უახლოეს ხანში მშვიდობას ჩამოაგდებს ახლო აღმოსავლეთშიო.

*ტრუდ-7*

**კოსტა-რიკა**

## მისაბაძი საქციელი

ცენტრალური ამერიკის ერთ-ერთ, არცთუ გაჭირვებულ ქვეყანას, კოსტა-რიკას, მძიმე დრო დაუდგა — ეკონომიკა კრიზისს განიცდის. ამიტომაც რეფორმები ზევიდან დაიწყო. ამ დღეებში კოსტა-რიკის პრემიერმა აბელ პაჩეკომ ტელევიზიით განაცხადა, — ყოველთვიურ ხელფასს 518 დოლარით ნაკლებს ავიღებო (მისი ხელფასი 3,9 ათასი დოლარია). პრეზიდენტი თავის საქციელს ასე ხსნის: როცა ქვეყანას უჭირს, მეც უნდა გავიჭირვოო.

*ნოვაია გაზეტა №7*

**აზერბაიჯანი**

## ჟურნალისტებმა შიმშილობა გამოაცხადეს

აზერბაიჯანში გრძელდება შიმშილობის აქცია, რომელსაც ოპოზიციური გაზეთის „ენი მუსავათის“ დასაცავად ატარებენ ჟურნალისტები. მოშიმშილეთა 30-კაციან ჯგუფს ყოველდღე უერთდებიან ახალი ძალები. ოპოზიციონერი ჟურნალისტების მხარდასაჭერად ერთდღიანი შიმშილობა გამოაცხადეს აზერბაიჯანის ცნობილმა პოლიტიკოსებმა — ნ. იმანოვმა, პ. ჰუსეინოვმა, ელ. ნამაზოვმა, საესტრადო მომღერალმა ფ. ქერიმოვამ და საინფორმაციო საშუალებათა ხელმძღვანელებმა.

ჟურნალისტების ეს აქცია პოპულარულ ოპოზიციურ გაზეთ „ენი მუსავათზე“ უპრეცედენტო ზეწოლის გამო დაიწყო. „ენი მუსავათი“ პარტია „მუსავათის“ ბეჭდვითი ორგანოა. გაზეთი ბეჭდავს სკანდალურ ჟურნალისტურ გამოძიებებს, რომელთა გმირები ხშირად არიან მაღალჩინოსნები. ეს უკანასკნელნი კი ჩივიან ხოლმე შელახული ღირსების დასაცავად. სადღეისოდ 12 ასეთი სარჩელია დაკმაყოფილებული და გაზეთს გადასახდელი აქვს ჯარიმა — კატასტროფული თანხა — 45 მლნ დოლარი. „ენი მუსავათის“ რედაქტორი რაუფ არიფოღლი დარწმუნებულია, რომ სასამართლო განჩინების უკან ხელისუფლება დგას, რომელიც ცდილობს ფინანსური გზით გაზეთის დახრჩობას.

ხელისუფლება ჯერჯერობით უყურადღებოდ ტოვებს შიმშილობის აქციას, მხოლოდ პრეზიდენტ ალიევის აპარატის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა განყოფილებამ განაცხადა, — ეს აქცია პოლიტიკური შოუაო. რაუფ არიფოღლის თქმით, თუ აქციას შედეგი არ მოჰყვა, გაზეთის კოლექტივი პოლიტიკურ თავშესაფარს მოითხოვს დასავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში.

მოშიმშილე ჟურნალისტებს პრეზიდენტის თანადგომის იმედი აქვთ, რომელსაც არაერთხელ უთქვამს, — მხარს ვუჭერ დამოუკიდებელ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსო.

*ნეზავისიმაია №12*

# დსთ-ს ყავლი გაუვიდა!

დსთ-ის კვდომის პროცესი გრძელდება. ეს გაერთიანება, რომელიც სსრკ-ის სანაცვლოდ იყო ჩაფიქრებული, დიდი ხანია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ლიდერების შეხვედრის მიზეზიღაა.

დსთ-ის ფორუმებში მონაწილეობაზე თავიდანვე თქვა უარი თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა, რომელიც ყველანაირად ცდილობდა ხაზი გაესვა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. ნიაზოვი დსთ-ის არაფორმალურ სამიტს მხოლოდ ერთხელ დაესწრო, 2002 წელს, როცა თურქმენეთისთვის მნიშვნელოვანი საკითხი წყდებოდა.

ამჯერად კიევში დსთ-ის ქვეყნების 12 ლიდერიდან მხოლოდ 8 ჩავიდა. თურქმენბაშის გარდა სამიტში მონაწილეობაზე უარი თქვეს ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა, ყირგიზეთის პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა და უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა. ასე რომ, ცენტრალური აზიის ლიდერთაგან კიევში მხოლოდ ტაჯიკეთის პრეზიდენტი ემომალი რახმონოვი ჩავიდა.

პრეზიდენტები სხვადასხვა მიზეზით არ დაესწრნენ კიევის სამიტს. თურქმენბაში ჩასვლას აპირებდა, მაგრამ როცა ორმხრივ შეხვედრაზე პუტინის უარი შეიტყო, გაგულისდა და მხოლოდ დელეგაცია გაგზავნა.

უზბეკეთის პრეზიდენტმა კიევში ჩასვლას ესპანეთში, მეფე ხუანთან სტუმრობა ამჯობინა და უკრაინაში პრემიერ-მინისტრი უ. სულთანოვი გაგზავნა დელეგაციითურთ.

ნურსულთან ნაზარბაევი დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმიდან ახალი დაბრუნებული იყო და ნამგზავრმა კიევში ველარ შეძლო ჩასვლა. ეს არც იყო აუცილებელი, პუტინს ისედაც ხშირად ხვდება, ხოლო დსთ-ის ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლებთან პოლიტიკური თუ ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე მსჯელობა თავისი რანგისთვის შეუფერებლად მიიჩნია. თუმცა დსთ-ის ქვეყნების იმ ლიდერებს, რომლებიც მაინც ჩავიდნენ კიევში, არ დაუმალავთ, თანამეგობრობის მომავალი უიმედოაო...

კიევის სამიტზე ყველაზე მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტ პუტინის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან. მათ მოილაპარაკეს, რომ რუსეთი აფხაზეთთან ურთიერთობას დღევანდელ ეტაპზე გაყინავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მატარებელი სოჭი-სოხუმი კვლავ ივლის. აფხაზეთის მცხოვრებლებს, რომლებსაც რუსეთის მოქალაქეობის მიღების სურვილი გაუჩნდებათ, პასპორტში შტამპს ჩაურტყამენ (რუსეთის პასპორტს არ მისცემენ).

რუსეთის პრეზიდენტისა და კუჩმას მოლაპარაკებას შედეგად ის მოჰყვა, რომ პუტინმა შეძლო მკვდარი წერტილიდან დაეძრა გაზის საერთაშორისო კონსორციუმის შექმნის საკითხი გერმანულ კომპანია „რურგაზის“ მონაწილეობით.

*კომსომოლსკაია პრავდა №19*

# დუდაევის ქვრივს ესტონეთში სურს ცხოვრება?



საიმედო წყაროს ცნობით, ბაქოში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებს — ჯოჰარ დუდაევის დისწულს ადამ ჩეხოევსა და ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ქვრივს ესტონეთში სურთ ცხოვრება.

სხვა ინფორმაციით, ალა დუდაევა, ახლო ნათესავებთან ერთად სტამბოლში, ნაქირავებ სახლში ცხოვრობს და ურიგოდ არ უნდა გრძნობდეს თავს. თუმცა ჩეჩნეთის პრეზიდენტის ქვრივს ბინა ბაქოშიც აქვს და ხშირადაც სტუმრობს აზერბაიჯანის დედაქალაქს. ბაქოში ის კერძო პირის სტატუსით ჩადის და პოლიტიკაში თითქმის არ ერევა. კვლავ გატაცებულია ფერწერითა და პოეზიით, ბევრს მოგზაურობს. იყო საქართველოში, საფრანგეთში, რუსეთში. ესტონეთში ალა დუდაევა 90-იანი წლების დამდეგამდე ცხოვრობდა, სადაც მისი მეუღლე ავიადივიზიას მეთაურობდა.

ესტონეთის ხელისუფლება პატივს სცემს „დამოუკიდებელი იჩქერიის“ პირველი პრეზიდენტის ხსოვნას და მის ქვრივს სიამოვნებით დართავს იქ ცხოვრების ნებას რუსეთის პასპორტითაც კი.

*პოსტიმესი №12*




## პენტაგონის შეფმა ევროპა მარაზმში დაადანაშაულა



საცაა, ერაყთან ომი დაიწყება, აშშ-მა კი ვერაფრით გამონახა საერთო ენა მოკავშირეებთან. ვაშინგტონს, პარიზსა და ბერლინს შორის არსებული სიტყვიერი უთანხმოება უკვე დიპლომატიურ სკანდალს ემსგავსება.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულების 40 წლის თავზე, კანცლერმა შრედერმა კვლავ გაიმეორა — ერაყის წინააღმდეგ ომი შეცდომააო. პენტაგონის თავკაცმა უპასუხა — გერმანია და საფრანგეთი — ძველი ევროპაა, ამიტომაც ნატოს სიმძიმის ცენტრი ახლა აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლებსო. ერთი სიტყვით, ამით უნდოდა ეთქვა, საფრანგეთისა და გერმანიის აზრი რა ანგარიშგასაწევიაო.

მარაზმში დადანაშაულებამ დიდად ალაშფოთა ბერლინი და პარიზი. საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელმა ჟან-ფრანსუა კოპემ რამსფელდს ურჩია, — ჩვენთვის შეურაცხყოფის მოყენებას, გიჯობს, „ბებერ“ ევროპას მიუგდო ყური ერაყის კრიზისიდან გონივრულად გამოსასვლელადო.

*ნიუს.რუ*

## კიმ ჩენ ირს ხაბაროვსკში სთავაზობენ პენსიას

ბოლო დროს კორეელები გაცხარებულნი მსჯელობენ, სად მოუძებნონ უსაფრთხო ადგილი ქვეყნის ლიდერს კიმ ჩენ ირს. ყველაზე ხშირად პოლიტიკურ თავშესაფარს კიმს რუსეთში სთავაზობენ. გაზეთმა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ „ურჩია“ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დამაარსებლის ვაჟს, ხაბაროვსკში იცხოვრეო. „თაიმსის“ კორესპონდენტი ამ ვარიანტის განსახილველად პირადად ეწვია ხაბაროვსკის გუბერნატორს და საუბრისას უთხრა, დანამდვილებით ვიცი, რომ კიმ ჩენ ირს სურს დასახლდეს ხაბაროვსკის მახლობლად, სოფელ ვიატსკოეში, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგაო. კიმ ჩენ ირის მეგობარმა, ვლ. პუტინის წარმომადგენელმა შორეულ აღმოსავლეთში პულიკოვსკიმ კი დასძინა, — ეს სულაც არ არის გამორიცხულიო.

დაძაბულობის გაზრდის მიუხედავად, სეულისა და ფხენიანის წარმომადგენლები მაინც დასხდნენ მოსალაპარაკებლად. მინისტრების შეხვედრის შემდეგ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გამოცხადდა, რომ ორივე კორეა შეეცდება „ბირთვული“ პრობლემის მშვიდობიანი, აქტიური თანამშრომლობის გზით მოგვარებას. ასე რომ, კიმ ჩენ ირმა გადაწყვიტა, არ იჩქაროს ბირთვული ომის დაწყება და აღარც ხაბაროვსკში მიუწევს გული, არც მაინცდამაინც პულიკოვსკის ნახვას ეშურება. ჩანს, თავს ჯერჯერობით ცუდად არ გრძნობს კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

*ინტერფაქსი*

## ელფი დობი და... პუტინი

ელფი დობი, ფილმიდან „ჰარი პოტერი“, შესაძლოა მალე სასამართლოს წინაშე წარდგეს, რადგან ზოგიერთის აზრით, ის ძალიან ჰგავს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს. მათი ვარაუდით, ფილმის შემქმნელებმა დობი შეგნებულად დაამსგავსეს რუსეთის თავკაცს. რუსეთის ერთ-ერთი გაზეთი იტყობინება, რომ იურისტები სარჩელს ამზადებენ სპეცეფექტების ავტორთა წინააღმდეგ, რომლებმაც კომპიუტერული გზით შექმნეს ეს უსახური პერსონაჟი.

*გაზეტა.რუ*



*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

# «მოიკითხეთ თქვენი ბელადები და შეაფურთხეთ»

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

ეს წიგნი ქართველების ხელში სერიოზული იარაღი იყო. როგორც შემდეგ გავიგე, ჩერვონაიას ამის გამო დევნიდნენ, მისი ფიზიკური ლიკვიდაციის მცდელობაც კი ყოფილა. თურმე, ერთხანს ჩეჩნეთშიც იმალებოდა. ქართველებმა ომის წაგებიდან კარგა ხნის შემდეგ მოვიფიქრეთ, ერთი-ორი წიგნი ჩვენც დაგვეწერა. ყველაფერი ეს გაცილებით ადრე უნდა გაგვეკეთებინა.

**— რამდენად ახერხებდით თქვენი საიტით საინფორმაციო ვაკუუმის შევსებას?**

— სრულად, რა თქმა უნდა, ვერა, მაგრამ ნაწილობრივ ვახერხებდით. ჩვენს საიტზე უამრავი შეკითხვა მოდიოდა, სადაც უცხოელი მეცნიერები ითხოვდნენ ობიექტურ მასალას აფხაზეთის პრობლემებზე, ჩვენც ვპასუხობდით. 1998 წლის 12 მაისს პრეზიდენტს წერილი მივწერე, სადაც აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად საინფორმაციო ომის მნიშვნელობაზე, მისი მსოფლიო ანალოგების მიხედვით წარმოებასა და ამ წლების მანძილზე ჩვენი საიტის მიერ გაკეთებულ საქმეზე ვწერდი. მოგვიანებით გაირკვა, რომ წერილს პრეზიდენტმა დადებითი რეზოლუცია დაადო და საკითხი პირად კონტროლზე აიყვანა. პირველ წერილს (№51/12, 365/6) პრეზიდენტმა ასეთი რეზოლუცია დაადო: „საინტერესო წინადადებაა, თედო ისაკაძესთან!“ მეორე წერილი (1999, 31.12, 77/12) კი, სადაც ლაპარაკია აფხაზეთის სახელწოდებაზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაეგზავნა. მას საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ოფიციალურ დონეზე უნდა მიემართა, რათა საქართველოს ეს რეგიონი ყველა ქვეყანაში მოეხსენიებინათ, როგორც „აფხაზეთი“ და არა „აბხაზია“. დღემდე მსოფლიოში ძალაშია უკანასკნელი აფხაზური ვარიანტი, არადა ამ წერილს მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის ასეთი რეზოლუცია ადევს: „საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია. გთხოვთ, მიიღოთ ზომები მის მოსაგვარებლად. თუ საჭიროა ჩვენი დამატებითი ჩარევა, მითხარით, — ვაჟა ლორთქიფანიძე“.

**— არც ამ რეზოლუციების შემდეგ მოგხედათ ვინმემ?**

— როგორ გეკადრებათ. პირიქით, კანცელარიაში ისარგებლეს იმ მომენტით, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ინტერნეტით ომის მნიშვნელობა გათვითცნობიერებული, ინიციატივა ხელში აიღეს და ჩვენ იგნორირება გაგვიკეთეს. არ მინდა ეს ამბავი გავიხსენო. კანცელარიაში ახალი, ერთჯერადი მნიშვნელობის გვერდი გააკეთეს და პრეზენტაციაზე პრეზიდენტიც კი მიიწვიეს. როგორც შემდეგ გავიგე, ამ საქმისთვის პრეზიდენტს სპეცსახსრებიდან 10 ათასი ლარი გამოუყვია. მაშინ ზოგიერთ ჩინოვნიკს სასამართლოშიც ვუჩივლე. ამის შემდეგ დახმარება ნადარეიშვილს ვთხოვეთ. ის და ლონდერ ცაავა მოვიდნენ. საიტი რომ ნახეს, დახმარება აქეთ შემომთავაზეს, მაგრამ მერე აღარ გამოჩენილან. ცოტა ხნის შემდეგ დახმარებისთვის ვახტანგ ყოლბაიას მივმართე, საიტი გავაძლიეროთ, აფხაზები, თავიანთი საიტით „abkhazia.org“-ით, მსოფლიოს ანტიქართულ ინფორმაციას ახვევენ თავს და ეს ოპერატიულად გავაბათილოთ-მეთქი. რამდენიმე თვეში გავიგე, რომ ყოლბაია ახალი ქართული საიტის პრეზენტაციას აწყობდა... მაშინდელი პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და თითქმის მთელი მთავრობა ტაშს უკრავდნენ და აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. ამ შეხვედრაზე არავის დავუპატიჟივარ, მაგრამ იმდენად მაინტერესებდა, რომ თვითონ მივედი. საქმე ის არის, რომ ის გვერდები, რომლებიც ჩვენმა ჩინოვნიკებმა გახსნეს, იყო ლოკალური, ამასთან, ერთჯერადი. აფხაზეთზე ინფორმაციის მისაღებად თუ „აბხაზიას“ დააჭერდი თითს, აფხაზების გვერდი „abkhazia.org“-ი გამოვარდებოდა, თუ „აფხაზეთის“ სახელით მოიძიებდა ვინმე, ჩვენი „abkhazeti.com“-ი. აუცილებელი იყო ამ გვერდის გაძლიერება და სათანადოდ გამოყენება. დღეს მათ თავიანთი ერთჯერადი ნამოქმედარი არც ახსოვთ და აღარც ჩვენი „აფხაზეთი“ არსებობს. ყოლბაიას გვერდმა ნადარეიშვილს ინტერნეტის არსებობა კვლავ შეახსენა. შეგვეხმიანა, მითხარით, რამდენია საჭირო, რომ მაღალი დონის საიტი გავაკეთოთ, მეცნიერები მოვიზიდოთ, კიდევ უფრო ძლიერი და ქმედითი გავხადოთო. თავიდან გაცილებით მეტი თანხები იყო საჭირო, მაგრამ საბოლოოდ 5 ათას ლარზე შევთანხმდით. მან ეს თანხა აფხაზეთის ბიუჯეტშიც კი შეიტანა. ერთი წელიწადი ვდიე, წარამარა ვურეკავდი. ხან მეუბნებოდნენ, ბიუჯეტიდან ფული არ მიგვიღია, ხანაც სეკვესტრი წამოგვეწიაო. იმასაც ვერ მივაღწიე, რომ ვინმე ახალგაზრდა დევნილი გამოეგზავნათ, რომელიც გულიანად იმუშავებდა და ჩემს ერთადერთ თანამშრომელს, ალეკო მარგიშვილს შეცვლიდა. ეს ახალგაზრდა უანგაროდ ასწავლიდა საქმეს ნებისმიერ ახალბედას. ამ წლების მანძილზე მთელი ჩვენი მუშაობა მის კისერზე გადადიოდა. ბრწყინვალედ ფლობდა ინგლისურ ენას, კომპიუტერს, რამდენიმე ფუნქციას ერთდროულად ასრულებდა. მხოლოდ ყოველდღიური მასალების დამატებაღა გვჭირდებოდა, რომელსაც ასევე უანგაროდ გვიგზავნიდა გალიდან და ზუგდიდიდან ჩვენი არაოფიციალური კორესპონდენტი რუსუდან მიქენაია. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ენთუზიაზმით როდემდე უნდა ემუშავათ? ახალგაზრდებმა ბოდიში მომიხადეს და სხვა სამსახურებში წავიდნენ. ერთხანს ისე გაგვიჭირდა, 70 დოლარიც აღარ გვქონდა, რომ საიტი არ დაგვეკარგა. შეტყობინება შეტყობინებაზე მოდიოდა, დაგიხურავთ საიტსო (მოგეხსენებათ, ინტერნეტში საიტის ქონა თანხებს მოითხოვს). ამერიკელი ქართველი მამუკა გომართელი გვთხოვდა, აფხაზეთისთვის ვერაფერი გავაკეთე, მინდა ჩემი წვლილი შევიტანო ამ საქმეში, იქნებ რაიმეში გამოგადგეთო. რა მექნა, გავიწყვიტეთ შუბლის ძარღვი, დავხუჭეთ თვალები და ვთხოვეთ, გვიჭირს და საიტის შენარჩუნებაში იქნებ დაგვეხმაროთ-მეთქი. ზუსტად ერთ საათში, ჩვენი დავალიანება, დაახლოებით 300 დოლარამდე, გადახდილი იყო. მაშინ კი გადავრჩით, მაგრამ ბოლოს მასალებს ვეღარ ვიძიებდი, ამიტომ მუშაობაც შენელდა. ოფიციალური ფოსტაც (შეტყობინება), რომელიც ადრე მოგვდიოდა ხოლმე საიტის დახურვის შესახებ, რატომღაც აღარ მოვიდა. ვერ ვიტყვი, მტერმა იმუშავა და ფოსტაში დაიმალა ეს წერილები-მეთქი, მაგრამ ფაქტია, საიტი გაიყიდა... იცით, გული მწყდება, რომ აფხაზების წინასწარმეტყველება გამართლდა, სამწუხაროდ, ეს დავიმსახურეთ.

**— რომელ წინასწარმეტყველებაზე ლაპარაკობთ?**

— საიტზე საშინელი ლანძღვა-გინების ნიაღვარი მოდიოდა აფხაზებისგან. ბუნებრივია, მათ ჩვენი მუშაობა აფერხებდა და აცოფებდა. ერთ შედარებით „კორექტულ“ წერილს მოკლედ წაგიკითხავთ. ვინმე ალექს ჰეიგენი გვწერს: „როცა საქმის კეთების დრო იყო, თქვენ ყვირილით გარბოდით. ახლა სადღაც ვირთხებივით იმალებით და ძაღლებივით იყეფებით. იბღავლეთ რამდენიც გინდათ, არავინ არასოდეს დაიჯერებს, რომ აბხაზია არ არის დამოუკიდებელი. არავის არ შეუძლია ისტორიის შეცვლა. ნებისმიერმა განათლებულმა, რეგიონის ისტორიასა და კულტურას გაცნობილმა ადამიანმა იცის, რომ აბხაზია ყოველთვის თვითონ წყვეტდა თავის ბედს. ეს სიმართლედ დარჩება, გინდათ ეს თქვენ თუ არა. ერთადერთი შეცდომა, რომელიც ჩვენ დავუშვით, ის არის, რომ უმადურ და თავხედ ერს ჩვენ გვერდით ცხოვრების უფლება მივეცით. აფხაზებს, უბრალოდ, ვერ წარმოედგინათ, რომ მთელი ერი ასეთი უსირცხვილო იქნებოდა. იყო სტუმარი, ჭამდე მასპინძლის ლუკმას და ის სახლიდან გააგდო? იმედი მაქვს, რომ თქვენს საიტს იგივე ბედი ეწევა, რაც ყველა ქართველს, ღორების ჯოგს, რომელსაც ისიც კი არ შეუძლია, რომ გაარჩიოს, რა ხდება მის ირგვლივ... მოიკითხეთ თქვენი შევარდნაძე, ნადარეიშვილი და სხვა ბელადები. მოიკითხეთ და შეაფურთხეთ სახეში ჩვენგან, თავისუფალი აბხაზიისგან და აფხაზი ერისაგან, უთხარით: თუ რაიმე აქვთ სათქმელი, რას იყეფებიან უკანა ეზოში, სოხუმში რატომ არ ჩამოვლენ? ვინ იცის, შეიძლება არძინბა შეხვდეს კიდეც. თუ არ შეხვდება და ჩვენ მივიღებთ თქვენს ვირთხებს ისე, როგორც საჭიროა. ჯოჯოხეთში განახავთ“.

ცოტა ხნის წინ საიტი „აფხაზეთი“ რომ გავხსენი, ლამის გული გამისკდა. ეს საშინელება იყო... ეკრანზე ამაზრზენი პორნოგრაფია გამოჩნდა.

**— თუ იცით, ვინ გააკეთა ეს?**

— რა თქმა უნდა, აფხაზებმა. გადაიხადეს ფული და ჩემი საიტის სახელი მიითვისეს. ახლა ამ გვერდში, რაც მოესურვებათ, იმას ჩაწერენ და დახატავენ. ჩვენი გულშემატკივრები კი მას „აabkhazeti.com“-ის ნაცვლად გახსნიან და პორნოგრაფიული ფოტოების ფონზე საქართველოსა და ქართველებზე სისაძაგლეებს წაიკითხავენ. მრცხვენია და გული მიკვდება, ამას რომ ვუყურებ, მაგრამ სათქმელი არაფერი მაქვს. მეც ერთ-ერთი ქართველთაგანი ვარ. ვის დავაბრალო? რა მიზეზებიც უნდა მოვიყვანო, ფაქტი ერთია — დამნაშავე მეც ვარ — „აფხაზეთი“ მეც დავკარგე.

*რუსუდან ხუბულავა*

# ყველაზე „მეძვირე“ ქალაქები

**„კვირის პალიტრის“ 20 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ცნობა, რომ შედგა 2002 წლის ყველაზე ძვირი ქალაქების სია და ტოკიო აღიარეს მსოფლიოს უძვირეს ქალაქად. ამ ცნობას მკითხველთა შეკითხვები მოჰყვა. მათი ცნობისმოყვარეობა რომ დავაკმაყოფილოთ და ყველა კითხვას საერთო პასუხი გავცეთ, გთავაზობთ უძვირესი ქალაქის გამოვლენის შვეიცარიული საბანკო ჯგუფის, UBS-ის ვარიანტს:**

## რისთვის არის საჭირო გამოკვლევა

მსგავს კვლევებს ატარებენ ის ფინანსური ჯგუფები, რომლებსაც სჭირდებათ ინფორმაცია ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკური განვითარების ტემპის შესახებ და მათი შედარებითი მაჩვენებლები. ამ ინფორმაციას ისინი საკუთარი კომპანიების პერსპექტიული დაგეგმარებისთვის იყენებენ. მაგალითად, თუ ბანკი ფლობს ინფორმაციას რომელიმე ქალაქში (ქვეყანაში ან რეგიონში) ეკონომიკური ზრდის შესახებ, მისთვის მომგებიანი უნდა იყოს ხსენებულ რეგიონში გააქტიურება და პირიქით... ასევე საინტერესოა ეს ინფორმაცია ტურისტული სააგენტოებისთვის, მეწარმეებისთვის და ა.შ. ამ ინფორმაციას ემიგრანტებიც კი იყენებენ. მათ, რა თქმა უნდა, აინტერესებთ, მოცემულ ქალაქებში რა ღირს საცხოვრებელი ფართი, კვება თუ ტრანსპორტი, როგორია ხელფასები და ა.შ.



## რას იკვლევენ

შვეიცარიელი ბანკირების მეთოდი დიდი ორიგინალურობით არ გამოირჩევა. UBS-ის მესვეურებს, ისევე როგორც მათ კლიენტებს, აინტერესებთ, თუ სად შეიძლება გამოიმუშაო მეტი და დახარჯო ნაკლები. ამისათვის ბანკის ექსპერტებმა შეადგინეს 140-საკითხიანი სია, რომელიც მოიცავს ფასებს ფართო მოხმარების სხვადასხვა საგანზე და მომსახურების სფეროს ყველა დარგში. ასევე გაითვალისწინეს შემოსავლის წყაროს მონაცემები, რომელიც მოიპოვეს 12 ყველაზე გავრცელებული პროფესიის წარმომადგენლებისგან და შედგება 96 მაჩვენებლისგან. 111 საგნისა თუ მომსახურების ნაირსახეობის ფასების დათვლით დადგინდა აუცილებელი მინიმუმის ზღვარი. მიღებული სამომხმარებლო კალათა შეიცავს კვების, სატრანსპორტო მომსახურების, გართობის, ჰიგიენური საშუალებების, თამბაქოს, ტანსაცმლის, საკომუნიკაციო მომსახურების საშუალო ფასებს და გათვლილია სამკაციანი საშუალო სტატისტიკური ევროპული ოჯახის ერთთვიან მოთხოვნილებებზე.

## როგორ იკვლევენ

UBS-ელებმა გამოკვლევას „ბიგ-მაკ ინდექსი“ უწოდეს. რატომ აირჩიეს ბანკირებმა სწორედ ცნობილი ბიგ-მაკი? გავრცელებული აზრით, მსოფლიო გლობალიზაციის ეს უთვალსაჩინოესი პროდუქტი დედამიწის ზურგზე ყველგან თითქმის ერთნაირი ხარისხისა იყიდება. ამიტომ ძალიან ადვილია იმის დაანგარიშება, თუ რა დრო სჭირდება ნიუ-იორკელ მშენებელს ბიგ-მაკის ღირებულების გამოსამუშავებლად და ამ მონაცემის მისი ტოკიოელი კოლეგის შედეგთან შედარება. მაგალითად, თითქმის მთელ აშშ-ში დასაქმებულ ადამიანს ბიგ-მაკის „გამომუშავება“ საშუალოდ 12 წუთში შეუძლია; ნაირობიში ამისთვის 178 წუთია საჭირო; ჯაკარტაში — 146 წუთი; ბომბეიში — 105; შანხაიში კი — 55; თუმცა ტოკიომ ყველა რეკორდი მოხსნა და 9-წუთიან ნიშნულზე გაჩერდა.

## რა ხდება მსოფლიოში

ტოკიოში, რომელიც ყველაზე „მეძვირე“ გამოდგა, ზემოთ ნახსენები სამომხმარებლო კალათა დაახლოებით 90%-ით ძვირი ჯდება, ვიდრე ციურიხში (სადაც განთავსებულია UBS-ის სათავო ოფისი). თუმცა იაპონიის დედაქალაქში საშუალო ხელფასიც სარეკორდოა (ეს განაპირობებს კიდეც ქალაქის სიძვირეს). მოსახლეობის მსყიდველუნარიანობით გამოირჩევიან ჟენევა, ბრიუსელი, ჰიუსტონი და ციცქნა ლუქსემბურგი.

ხელფასის მიღება კარგია, მაგრამ საამისოდ რამდენი უნდა იმუშაო? აზიელებისთვის პასუხი არცთუ სასიამოვნოა. აღმოსავლეთის ქალაქებში სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში 2104-ს აღწევს, ევროპაში — 1743-ს, აშშ-ის მთავარ ქალაქებში კი 2000-ს უახლოვდება.

სამუშაო საათებთან ერთად საინტერესოა ანაზღაურებადი შვებულების სიდიდეც. ნიუ-იორკელები ამ მაჩვენებლით უკმაყოფილოები უნდა იყვნენ — მათ მხოლოდ 13.3 დღე აქვთ წელიწადში, მაშინ როცა ევროპის უდიდეს ქალაქებში: ფრანკფურტში, ბარსელონაში, პარიზსა და ამსტერდამში ფასიანი შვებულება 30-დღიანია.

თუ მივლინებაში მოგიხდათ წასვლა, გაითვალისწინეთ, რომ ყველაზე ძვირი სასტუმროები ლონდონში (საშუალოდ $ 450-დღე-ღამე) და ნიუ-იორკშია ($ 430). შედარებით იაფი დაგიჯდებათ ჯაკარტაში ($ 110), მონრეალსა ($ 180) და ბანგკოკში ($ 150) ღამის გათევა.

რესტორანში თუ შეხვალთ — ტოკიოში სადილი, სპირტიანი სასმლის გარეშე, სულზე $ 66 დაგიჯდებათ, მოსკოვში, ნიუ-იორკსა და ჩიკაგოში — $ 48-ადაც იოლად გამოხვალთ, ხოლო ლისაბონსა და ბუდაპეშტში — 17-17 დოლარიც გეყოფათ.

## მერე ჩვენ რა?

აი, ასეთ მონაცემებს აქვეყნებს შვეიცარიელ ბანკირთა ჯგუფი.

ბევრი დაგვეთანხმება, რომ ეს მონაცემები დღევანდელ საქართველოში ფართო მასებს არ გამოადგება, მაგრამ ხალხმა უსათუოდ უნდა იცოდეს, დაახლოებით რამდენს ხარჯავენ ისედაც გახვრეტილ-გატყავებული ბიუჯეტიდან ჩვენი სასიქადულო ხელისუფალნი საზღვარგარეთულ ვოიაჟებში.

*გიორგი ჟორჟოლიანი*

# „კვირის პალიტრა“ თქვენი გაზეთია!

მადლობა იმ 450 მკითხველს, ვინც ჩვენს გამოკითხვას გამოეხმაურა. გვინდა იცოდეთ, რომ თქვენი აზრი ყველაზე ფასეული და მნიშვნელოვანია ჩვენთვის, თქვენი ინტერესები ჩვენი არსებობის საზომი და გამართლებაა.

გამოკითხვის შედეგებმა საინტერესო სურათი დახატა, ერთ ნაწილს აქვე გთავაზობთ. მეორე ნაწილს კი, სადაც უფრო კონკრეტული მოსაზრებებია „კვირის პალიტრის“ შესახებ, გასაგები მიზეზების გამო ვერ გამოვაქვეყნებთ. თუმცა, აუცილებლად გავითვალისწინებთ სარედაქციო საქმიანობისას.

რესპონდენტთა უმრავლესობას — 56,0%-ს მამაკაცები შეადგენენ. რაც შეეხება ასაკობრივ ჯგუფებს, აქ მეტად საგულისხმო შედეგი გვაქვს — ჩვენს გაზეთს ერთნაირად ეცნობიან როგორც სულ ახალგაზრდები — 18 წლამდე მკითხველები (10,4%), ისე 65 წელს გადაცილებული პენსიონერები (10,2%). ყველაზე მრავალრიცხოვანნი კი საშუალო ასაკის მკითხველები (34,9%) გვყავს.

უმრავლესობის — 67,6%-ის განათლება უმაღლესია, მათ შორის 12,3% სამეცნიერო ხარისხის მფლობელია.

მკითხველთა შორის უმუშევარი მხოლოდ 15,4%-ია. დასაქმებულთა 45,2% კერძო სექტორში მუშაობს, 50,0% — სახელმწიფო ორგანიზაციის თანამშრომელია. მკითხველთა 4,8% კი ორ სამუშაო ადგილს ფლობს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში.

რესპონდენტთა 50,1%-ის ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 50-დან 200 ლარამდეა; მხოლოდ 0,5% მიეკუთვნება მაღალშემოსავლიანთა კატეგორიას (1500 ლარზე მეტი).

„კვირის პალიტრის“ ყოველ ნომერს მკითხველთა 86,6% კითხულობს; თითო ეგზემპლარს კი საშუალოდ სამი ადამიანი ეცნობა.

„კვირის პალიტრა“ რესპონდენტებს კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და იმედს იტოვებს, რომ კვლავ მიიღებთ მსგავს გამოკითხვებში მონაწილეობას, რათა თქვენი გაზეთი თქვენთვის უფრო საინტერესო და სასარგებლო გახდეს.

„ტოლბატროსის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

ევროპაში წამყვანი მწარმოებლის UAB „Bilijardai“ ექსკლუზიური წარმომადგენელი
Zeus
ბილიარდის მაგიდები აქსესუარები
Biljardai
1000 მეტი დასახელების
კონსულტაციები, გარანტია, ფასდაკლება, მონტაჟი, რესტავრაცია
1234
Master
საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №2 (ყოფ. კამო)

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1849 |
| ევრო | 2,3643 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,6178 |
| რუსული რუბლი | 0,0687 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,3302 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „ვირების გადასასვლელი"

მიხეილ კიკნაძე, — შორაპნის ელემენტების ქარხნის ყველაზე პოპულარული დირექტორი გახლდათ. საყოველთაოდ იყო ცნობილი მისი გამორჩეული ყურადღება ქარხნის მიმდებარე ტერიტორიის გამშვენიერებისთვის. უფრო მეტიც, ქარხანაში დეკორატორის შტატიც კი შემოიღო.

ერთხელ, დილაადრიან, სამსახურში მოსულ ბატონ მიხეილს საგულდაგულოდ მოვლილი სკვერი და ყვავილნაირი გადაჯეგილი დახვდა. ეტყობოდა, რომელიღაც თანამშრომელმა სპეციალური ბილიკით სარგებლობას პირდაპირ სიარული არჩია და ყვავილნარზე გადაახტა. მართალია, სასწრაფოდ განაახლეს ყვავილნარი, მაგრამ ამგვარი უადგილო გადასვლა-გადმოსვლები გახშირდა.

მაშინ ბატონმა მიშამ კაბინეტში მიხმო და ფანერის ორი მომცრო ნაჭერი გადმომცა, რომელზედაც მიწაში ჩასასობად მომარჯვებული პალოები იყო მიმაგრებული. თან პატარა ფურცელიც მომაწოდა და მითხრა, ამ ფანერებზე ეს ტექსტი საღებავით გადაიტანე და სკვერში იმ ადგილას ჩაარჭე, სადაც ჩვენი უდისციპლინო თანამშრომლები გადადიანო.

ასეც მოვიქეცით.

მას შემდეგ კაციშვილს აღარ უფიქრია „მოკლეზე" გადასვლა. დაპირებდნენ თუ



არა გადასვლას, ფირფიტაზე წარწერას დაინახავდნენ, გაეცინებოდათ და განზრახვაზე ხელს იღებდნენ.

ფანერაზე ეწერა — „ვირების გადასასვლელი"...

## ზომიერად, ანუ სასიკვდილოდ...

ერთ ჩემს ახლო ნათესავს რაღაც უცნაური დაავადება აწუხებდა: ერთსა და იმავე დროს, თითქოს სპეციალურად ელოდებაო, ცუდად ხდებოდა. რას არ იტკივებდა, რას არ გამოიგონებდა, მაგრამ, — როგორც აღმოჩნდა, თურმე ჩვეულებრივი ნევროზი ჰქონდა. ერთხელაც, ამ თავისი ნევროზისა და რუსული ენის არცოდნის „წყალობით" კინაღამ წერილი წაიღო.



ყური მოუკრავს: სოხუმში განთქმული კარდიოლოგი მუშაობსო, მანამდე ხომ შემოვლილი ჰქონდა ყველა ჯურის ექიმი, ექიმბაში თუ ექსტრასენსი... ახლაც აიჩემა, სოხუმში წამყევიო.

ასეც მოვიქეცით და სოხუმელ კარდიოლოგს მივაკითხეთ.

ფოიეში დაველოდე. ექიმის კაბინეტიდან გამოსული, ხელში მოგრძო ლენტას (ანუ კარდიოგრამას) აფრიალებდა და ადამიანის ფერი აღარ ედო:

— მორჩა, ჩემო ძმაო... დაისვენონ ახლა ჩემმა მტრებმა, ალბათ მალე მოვკვდები!..

გამიკვირდა მისი ამგვარი აფორიაქება და მიზეზი რომ ვკითხე, ექიმის დასკვნა მომაჩეჩა:

— აჰა, წაიკითხე, თუ ჩემი არ გჯერა!

არაფერი ისეთი დასკვნაში არ ეწერა... სახეზე რომ სიმშვიდე შემატყო, დიაგნოზში ჩაწერილ ერთ სიტყვას დაადო თითი (დიაგნოზი რუსულ ენაზე იყო დაწერილი).

უცნაური სიცილი ამიტყდა... დიაგნოზში ჩაწერილი „უმერენნო" თურმე „სასიკვდილოდ" გადაუთარგმნია და ნევროზთან ერთად მისი „რუსულიც" ყოფილა აფორიაქების მიზეზი.

არაფრით არ დამიჯერა, რომ „უმერენნო" უბრალოდ, „ზომიერად" წამლის მიღებას ითვალისწინებდა. ჩემი სიმართლე რომ დამემტკიცებინა, ენის სპეციალისტის ჩარევა გახდა აუცილებელი და ჩვენი სკოლის რუსული ენის მასწავლებელს სპეციალურად სახლში მივაკითხეთ.

***დემურ ცერცვაძე, ზესტაფონი***

## როგორი ამინდი იქნება ხვალ? ტესტი

პაროდიის კუთხე



**1. მოულოდნელად, ცაზე ღრუბელი ჩამოწვა, თქვენ:**

ა) გადაიფიქრებთ სასეირნოდ წასვლას (0).

ბ) ჩათვლით, რომ შეიძლება გაწვიმდეს და ჩამოხსნით სარეცხს (5).

გ) ჩათვლით ყველა ჩათვლას და გამოცდას გადაიტანთ მომდევნო სემესტრში (-5).

**2. ზამთარია, მაგრამ გარეთ ძალიან ცხელა, თქვენ:**

ა) გახვალთ გარეთ თხლად ჩაცმული და გაცივდებით (5).

ბ) გახვალთ გარეთ ძალიან თბილად ჩაცმული და მაინც გაცივდებით (0).

გ) დაჯდებით ეზოში ნაბანავები და უარესად გაცივდებით (-5).

**3. თებერვალი დადგაო... გააგრძელეთ:**

ა) ხეში წყალი ჩადგაო (5).

ბ) დიდი რიგი დადგაო (0).

გ) მიშველეთ, რქები მადგასო (-5).

**4. თერმომეტრი აჩვენებს -10 გრადუსს, თქვენ:**

ა) სახლიდან არ გამოხვალთ, მანამ, სანამ არ დათბება (5).

ბ) სახლიდან გამოხვალთ, მაგრამ 5 წუთში შევარდებით უკან გაყინული (0).

გ) გადააგდებთ გაფუჭებულ თერმომეტრს (-5).

**5. სანადიროდ უნდა წასულიყავით და ამ დროს გაწვიმდა, თქვენ:**

ა) მაინც წახვალთ სანადიროდ, რადგან მერე აღარ გეცლებათ (5).

ბ) წახვალთ სათევზაოდ, რადგან წვიმაში უფრო მოდის თევზი (0).

გ) წახვალთ ბაზარში, რადგან წვიმიან ამინდში ცოტა ხალხი იქნება და ადვილად ივაჭრებთ (-5).

**6. ტესტის შევსებისას გახედეთ ცას. თქვენი აზრით:**

ა) ხვალ დარი იქნება, ტემპერატურა დახლოებით 7, 8 გრადუსს მიაღწევს (5).

ბ) ცოტას იწვიმებს, ალბათ სუსტი ქარიც იქნება, ტემპერატურა -5 გრადუსს მიაღწევს (0).

გ) რაღაც ისეთი პირი უჩანს, შეიძლება გათოვდეს კიდეც (-5).

### დაითვალეთ გრადუსები:

**თუ დააგროვეთ 10 გრადუსზე მეტი ტემპერატურა, მაშინ არ გადაიფიქროთ სასეირნოდ წასვლა, ოღონდ ძალიან თხლად ნუ ჩაიცვამთ, არ გაცივდეთ, სად მცალია თქვენს მოსავლელად, ახალი ტესტები მაქვს შესადგენი.**

**თუ -10-დან 10 გრადუსამდე ტემპერატურა დააგროვეთ, მაშინ ერთი-ორი თვეც მოითმინეთ და ზამთარიც გადატანილი იქნება. ისე, მთავარი უკვე გადალახულია, მოიცა, მგონი წვიმას აპირებს, ძალიან გთხოვთ სარეცხი ჩამომახსნევინეთ რა, თორემ სიდედრი დაბრუნდება და რა გაუძლებს მერე მის საყვედურებს...**

**თუ -10 გრადუსზე ნაკლები ტემპერატურა დააგროვეთ, მაშინ არა მგონია თქვენ რუსეთში იყოთ და იქ ავსებდეთ ამ ტესტს. აჰა, ყველაფერი გასაგებია, თქვენი თერმომეტრი ურევს და გადასაგდებია. ისე, როგორ ფიქრობთ, ხვალ როგორი ამინდი იქნება?**

*კარგი ამინდის მოლოდინში*
***ტესტი შეადგინა ზაქრო ინწკირველმა***

## მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



### შავი ანეკდოტი

სვანმა მუზეუმში თავის ქალა მიიტანა ჩასაბარებლად. ვისიაო, ჰკითხეს, დიოგენესიო — უპასუხა. რამდენი გინდათო, შეეკითხნენ. 100 დოლარი მოითხოვა და მისცეს...

გავიდა სამი თვე, კიდევ მიიტანა თავის ქალა, ბევრად უფრო დიდი, ისევ 100 დოლარს ითხოვს. ჰკითხეს ვისიაო. ისევ დიოგენესიო — უპასუხა. ეს როგორო, — გააპროტესტეს: ისიც, ესეც ორივე დიოგენესი საიდანო. ის ბავშვობის იყო, ეს კი დიდობისააო! — დააკონკრეტა სვანმა.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

ფსიქიატრიულში რეკავს ტელეფონი:

— ალო, მეათე პალატაში არის ვინმე?

— არა!

— ზნაჩიტ, გავპარულვარ!..

***ზვიო და კოკა ქუთაისიდან***





ავტობუსში სვანს წინ ახალგაზრდა გოგო დაუჯდა, რომელიც გაბერავს კევს, შეისრუტავს, გაბერავს, შეისრუტავს და ა.შ. ერთ-ერთი მორიგი გაბერვის შემდეგ კევი გასკდება:

— ეგეც შენ, მიდი და ახლა ბერე!... — შესძახა გახარებულმა სვანმა.

***ნ. გ., ხაშური***

*ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.*

*მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.*



## სიცილი ჯანმრთელობაა



როცა ცხოვრება მძიმდება, — სიცილი უფრო გვიხდება...

**გაილიმეთ ჩვენთან ერთად!**



C M Y K

## მილოცვა

**ქეთი ბასიაშვილს და ვალერი სტეფანიშვილს!**

ჩვენო კარგებო, გილოცავთ ოჯახის შექმნას, გისურვებთ ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს, სიკეთეს, ულევ სიხარულს, გამრავლებას. ღმერთმა გაგახაროთ.

*„კვირის პალიტრა"*

**ანი ილურიძეს და გიორგი ჯილაურს!**

ჩვენო საყვარელო ანი და გიორგი, სულითა და გულით გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ მზენათლობას, სიკეთეს, შვილთა სიმრავლეს, ბარაქას, ღმერთმა დალოცოს თქვენი ოჯახი. მრავალჟამიერ!

*თქვენი „კვირის პალიტრა"*



**შოთიკო გელას ძე ჯანანაშვილს!**

ჩემო საყვარელო შვილო! გილოცავ დაბადებიდან 16 წლის შესრულებას. გისურვებ დიდხანს სიცოცხლეს, ულევ სიხარულს. მუდამ მართალს და უანგაროს გევლოს შენი ცხოვრების გზებზე, რომ ყოველთვის მეამაყებოდეს შენი დედობა.

*დედა — ირმა ბეგიაშვილი*



**თინიკო კაჭარავას!**

ჩვენო საყვარელო, ლამაზო, კეთილო თინიკო! გილოცავთ დაბადების დღეს! ღმერთმა გაგზარდოს სიმწიფემდე! გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, შენს მშობლებთან, შვილიშვილებთან ერთად ბედნიერებას. ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები.

*ოჯახი*

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ულოცავთ დაარსებიდან 85 წლისთავს.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვემო ხეთის ერთი ოჯახის სამი თაობის 23 ჩამომავალი (მათ შორის პირველი მე გახლდით) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ჩვენი პირველი და უპირველესი ტაძარი გახლავთ ეს ცოდნის ტაძარი. სიყვარულით ვიხსენებთ ამ ტაძრის ყველა წევრს და გვწამს, რომ უნივერსიტეტი დარჩება ჩვენს ხვედრად.

მუდამ ასე ყოფილიყოს — საქართველოს პირველი უნივერსიტეტი მუდამ პირველობდეს.

*იოსებ კვინიხიძე, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი*

## მადლობა

„კვირის პალიტრის" საშუალებით, ნება მიბოძეთ მადლობა გადავუხადო დუშეთის ფოსტა-ბანკის მმართველს ბატონ **ჟუჟუნ ჯავახიშვილს** და მის ყველა თანამშრომელს, პენსიონერებისადმი გულთბილი დამოკიდებულებისათვის.

მათი საქმიანობა მისაბაძია.

*ნიკოლოზ მამუკაშვილი, ომისა და შრომის ვეტერანი*

## ბინები

სასწრაფოდ იყიდება 2-სართულიანი სახლი მანსარდით კოჯორში. სახლის ფართია 500 კვმ, 1700 კვმ მიწის ნაკვეთით, ავტოფარეხით, ხეხილიანი ბაღით. ფასი $13.000. ტელ: 877 75-02-75

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს ვთავაზობთ გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვჭირდება განათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო საოფისეა, კონტრაქტით. საუკეთესო თანამშრომლებს, წელიწადში 2-ჯერ ეძლევათ შანსი, სტაჟირება გაიარონ მსოფლიოს ქვეყნებში. ანაზღაურება მზარდია — თვეში 300-600 ლარიდან. მიღება — გასაუბრებით. მენეჯერი ბ-ნი მიხეილი. მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 78-14-94 (20 სთ-ის შემდეგ); 899 90-54-78

ყურადღება!!! ახალ, მრავალპროფილიან კორპორაციას ესაჭიროება 27 მენეჯერი ოფისში სამუშაოდ. ანაზღაურება — მაღალი! შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. იფორმაცია უფასოა. ტელ: 52-44-10; 34-67-71; 893 33-18-86

## მომსახურება

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ — 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — $200. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლია გიორგობიანი

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმტკივნეულოდ და უკვალოდ. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მორჩენილი თმა და ჩვენ შემთხვევაში, პირველივე სეანსის შემდეგ მიიღებთ შედეგს! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი სამუდამოდ და უკვალოდ. მიღება ყოველდღე. ტელ: 37-74-22 მანანა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გადმოსახედის გარეშე). 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სახეზე მცენარეული ცვილით (ერთჯერადი), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის ჩათვლით). ეპილაციის კურსები. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფიანი. მის: მ. „300 არაგველი", არაბიძეების სააკადემიო ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

სილამაზის სალონი „სტილი"! ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით; სახის გაწმენდა; დეპილაცია მცენარეული დეპილატორით სახესა და ტანზე; თმის შეჭრა — 5 ლარი; დავარცხნა-გასწორება — 4-5 ლარი; მელირება — 15-20 ლარი. კოსმეტიკისა და საპარიკმახერო კურსები. გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის გამზ. №115, კაბ. №20 (ეზოში). საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი — ირინა ჯანაშია, მეთოდისტ-სტილისტი — ზინა. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა)

ნებისმიერი სახის ავეჯის რესტავრაცია! სამეულებზე, დივნებზე, შალითების გამოცვლა, დარბილება; ნებისმიერი ფორმისა და ზომის ახალი ავეჯის შეკვეთით დამზადება ტელ: 76-01-33. გია

## მკურნალობა

თბილისში — მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, ფსიქოლოგი — თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი-მაძიებელი, ყველა ასაკში, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და აღმდგენი აპარატებით აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას — ენაბორძიკობას, ნევროზს, პარეზს და სხვა დარღვევებს. მიღება წინასწარი სატელეფონო ჩაწერით: 899 55-05-75

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, ანთებების, უშვილობის პრობლემების მოგვარება, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხერხული მასაჟებისა და ნემსების გარეშე — ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით, ანონიმურობის სრული გარანტიით. ტ: 96-62-58; 899 14-64-95

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

ალერგენების დიაგნოსტიკა და ალერგიის მკურნალობა, წნევის (ჰიპერტონიის), მეტყველების დარღვევების (ენაბლუობა-ლოგონევროზი), მკურნალობა გერმანული უახლესი აპარატურით. მის. ვაჟა-ფშაველას №16, მე-13 სართ. (მშენებლობის სამინისტროს შენობა), რეზონანსული თერაპიის ცენტრი. ხელმძღვანელი — ექიმი ზურაბ ხაჩიაშვილი. 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 ბინა

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ეველინა ლოლაძე*. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა — მიმართეთ ეველინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი გთავაზობთ მკურნალობას: ნებისმიერი სახის ნევროზი, ნევრალგიური ტკივილი; ექიმ-სუ ჯოკ სპეციალისტების მომზადებას. კონსულტაციები უფასოა. მის: რესპუბლიკური საავადმყოფო, I სართ. 16-18 სთ. ტელ. 899 107-109; 38-67-56

სუ ჯოკ თერაპიის ცენტრის მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო დონეზე სერტიფიცირებული სპეციალისტები გთავაზობენ მკურნალობას: თავის ტკივილები, უძილობა, ნევროზი, დეპრესია, ქალური დაავადებები, კისტა, ფიბრომატოზული კვანძები, ჩიყვი, წყლულოვანი დაავადებები. კონსულტაციები უფასოა. მის: ელბაქიძის №12ა, II სართ. ტელ: 92-39-44; 99-56-89

ვმკურნალობთ უახლესი მეთოდებით ენაბლუობას (ლოგონევროზი), ენაჩლუნგობას, ალალიას, აფაზიას. რესპუბლიკური რეაბილიტაციის ცენტრი. მის: ვაჟა-ფშაველას 18ა, ლოგოპედიური განყოფილება. ტელ: 39-01-12 (სამს.); 23-12-89 (ბინა). ლომთათიძე ლალი

## მასწავლო

კომპიუტერული სტუდია — „დაჯი" კომპიუტერი, გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №115ა. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს); 96-22-89 (ბინა); 899 90-67-52. ირინა ჯანაშია

## იყიდება

მიწის ნაკვეთი აფრიკაში, ს.ფ. — 1000კვმ, ხეხილიანი ბაღით. ბოსლით, საქათმით. სახლის ფართი — 30კვმ, 3 საკუჭნაოთი. წყალი, დენი — მუდმივად. ტელ: 78-10-43; 74-42-40; 877 43-78-72

ა/მ BMW-525, ახალი ჩამოყვანილი, 1992 წლის, განბაჟებული. ფასი $4.400. ტელ: 53-33-79

თბილისის სააღმსრულებლო ბიუროს მიერ, იძულებით აუქციონზე იყიდება ქინძმარაულის №7-ში მდებარე შპს „სხივის" 50%-იანი წილი, რომელიც შედგება: ავტოტექმომსახურების, სამშენებლო ბლოკის საამქროს, მაღაზიისა და ოფისის შენობისგან. აუქციონი გაიმართება 3 თებერვალს, 12 საათზე, აღმასრულებელ ნ. ეზეიშვილის კაბინეტში. ს.ფ. — 28.000 ლარი. მის: ვაჩნაძის №9 (კოლმეურნეობის მოედანთან). ტელ: 899 27-19-42; 899 98-65-43

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

## შეიძინე

თმა. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ. დასვენება შაბათ-კვირას.

## სხვადასხვა

ძვირფასო მეგობრებო! 3 თებერვლიდან იკითხეთ ყველგან სასიყვარულო პრესის ლიდერი — გაზეთი „სისხლინი სიყვარული". გაზეთის რედაქციაში ფუნქციონირებს „გაცნობისა და დაოჯახების ცენტრი". ჩვენ დაგეხმარებით, შექმნათ ბედნიერი ოჯახი, გაიცნოთ გულითადი მეგობარი, თავი დააღწიოთ მარტოობას და ცხოვრება გაიხალისოთ. ანონიმურობის დაცვა გარანტირებულია. მის: კოსტავას ქ. №14, II სართ, ოთ. №210. (შეს. ჭოველიძის №2-დან). გაზეთი „სიყვარულის სამყარო". ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

# რატომ გაანადგურეს 7 ტონა გაყინული ქათმის ხორცი

ამ დღეებში საზოგადოების ყურადღება სკანდალურმა ფაქტმა მიიპყრო. თბილისის ერთ-ერთი საწყობიდან ამოღებული 7 ტონა გაყინული ქათმის ბარკლების ლაბორატორიული ანალიზის შედეგებით გაირკვა, რომ პროდუქცია საკვებად აბსოლუტურად უვარგისი იყო და არც კი ექვემდებარებოდა ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას. თბილისის ვეტერინარული გაერთიანების ინფორმაციით გაყინული ქათმის ხორცი კომპანია „ტაისონის" მიერ იყო წარმოებული და საქართველოში აშშ-დან იქნა შემოტანილი. შემომტანმა ვერ უზრუნველყო პროდუქციის შენახვის პირობები და იგი საკვებად უვარგისი გახდა. კანონმდებლობის მიხედვით ასეთი პროდუქცია მთლიანად ექვემდებარება განადგურებას. 7 ტონა ფრინველის გაყინული ხორცი რამდენიმე დღის წინ გლდანის ნაგავსაყრელზე იქნა განადგურებული.



ეს კონკრეტული ფაქტი შეიძლება აღნიშვნის ღირსი არც გამხდარიყო, რომ არა მის უკან მდგომი გადაუჭრელი პრობლემა, რომელიც საქართველოს სამომხმარებლო ბაზარს უკავშირდება. სამწუხაროა რომ ქვეყანაში ისე მნიშვნელოვნად გაიზარდა უხარისხო, ფალსიფიცირებული და კონტრაბანდული პროდუქციის რეალიზაციის მასშტაბები, რომ იგი უკვე რეალურ საფრთხეს უქმნის თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობას და ბუნებრივია მთელ საზოგადოებას. თუ მარტო განადგურებული 7 ტონა გაყინული ქათმის ხორცის რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ და ვივარაუდებთ, რომ თითოეული ოჯახი ბაზარზე საშუალოდ 2 კგ. ქათმის ხორცს ყიდულობს, გამოდის რომ 3500-მდე ოჯახი რეალურ მოწამვლას გადაურჩა. თუმცა რისკი მაინც არსებობს, რომელიც რამდენიმე ფაქტორზეა დამყარებული.

პირველი და მთავარი ის არის, რომ გაყინული ქათმის პროდუქციის დიდი ნაწილი ბაზარზე უცხოეთიდან შემოდის და მომხმარებლისთვის როგორც წესი არ არის ცნობილი როგორ პირობებში მოხდა მისი წარმოება, რამდენი ხანი იქნა ის ქარხანაში დასაწყობებული, რა დრო დაიკავა პროდუქციის შემოტანამ საქართველოში და რა პირობებში იქნა ის გადატანილი რეალიზაციამდე, რამდენ ხანს ინახავდნენ ადგილობრივ საწყობში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მალფუჭებადი პროდუქციის შენახვას ძალზე მკაცრი ტემპერატურული რეჟიმი გააჩნია და მისი დაცვა ჩვენს პირობებში საკმაოდ ძნელია. ამავდროულად იმპორტიორებს, როგორც წესი ნაკლებად ანაღვლებთ მოსახლეობის ჯანმრთელობა, ისინი უფრო თავიანთი საქონლის გაყიდვით არიან დაინტერესებულები. სულ სხვა პასუხისმგებლობა ეკისრება ქართულ საწარმოებს, მაგრამ სამწუხაროდ იმპორტიორები ყველა დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხით ცდილობენ მათ შევიწროებას და ბაზარზე მათი ადგილის დაკავებას. აღსანიშნავია, რომ 2002 წელს თბილისის ვეტერინალურმა გაერთიანებამ 64 ტონა უხარისხო საკვები პროდუქცია ამოიღო და გაანადგურა, მათ შორის 100 ათასი დაუდგენელი წარმოშობის კვერცხი. რისკის ფაქტორს აძლიერებს კონტრაბანდულ პროდუქციის არსებობაც. ჩვეულებისამებრ გაყინული ქათმის ხორცის შემომტანი სარგებლობს იმით, რომ ჩვენი მოსახლეობა გადახდის ნაკლებუნარიანობით გამოირჩევა და ბაზარზე არასათანადოდ დაბეგრილ და კონტრაბანდულად შემოტანილ პროდუქციას იაფ ფასს ადებს. ამ დროს როგორც წესი ხარისხს ნაკლები ყურადღება ექცევა და შესაბამისად პატიოსანი მწარმოებელიც რომელიც ყოველგვარ გადასახადს იხდის და ხარისხიან პროდუქტს აწარმოებს არათანაბარი კონკურენციის პირობებში ექცევა. სამწუხაროა, რომ მოსახლეობისთვის არჩევანის გაკეთების ძირითად ამოსავალ წერტილად ისევ და ისევ ფასი რჩება.

ბოლო დროს ყურადღება გამახვილდა იმაზეც, რომ ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის გამიზნული პროდუქცია განსხვავებული, შედარებით უარესი ხარისხის დაამზადონ. ასეთ საკვებზე სპეციალური სერტიფიკატი გაიცემა და როგორც წესი მათი გაყიდვა ევროპაში იკრძალება. ვინაიდან ასეთ საკვებს დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის შედარებით დიდი დრო დასჭირდება, მათ შესანახად სხვადასხვა კონსერვანტს უმატებენ, რაც ორგანიზმისთვის სასურველი არ არის.

სამომხმარებლო ბაზრის კონტროლს შესაბამისი უწყებები ახორციელებენ. სისტემატურ რეიდებს ატარებს იგივე თბილისის ვეტერინარული გაერთიანება. ბაზარზე შემოტანილ ნებისმიერ პროდუქციას თან უნდა ახლდეს შესაბამისი სერტიფიკატი. საქმე იმაშია, რომ კანონმდებლობის მიხედვით გარე ვაჭრობის გარდა ყველა სხვა ოფიციალურად რეგისტრირებულ სავაჭრო დაწესებულებებში იკრძალება ვეტერინარული ინსპექციების ჩატარება, თუ სასამართლოს ბრძანება არ იქნა ამა თუ იმ ობიექტის შემოწმების შესახებ, თუ ზემოთ აღნიშნულ ფაქტს გავითვალისწინებთ, რისკის ფაქტორი ამ მხრივაც იზრდება. ლოგიკურია, რომ ასეთი სიტუაციიდან გამომდინარე ხშირია მალფუჭებადი პროდუქციით მოწამვლის შემთხვევები, განსაკუთრებით იმ დროს როდესაც მოსახლეობა გარე ვაჭრობის ადგილებიდან ყიდულობს პროდუქტს. მეწარმეები და განსაკუთრებით იმპორტიორები იმის გამო, რომ საქმე აქვთ მალფუჭებად პროდუქტთან თვითონ უნდა იყვნენ დაინტერესებულები პროდუქციის შემოწმებით კვალიფიციურ ლაბორატორიაში. როგორც ირკვევა სამწუხაროდ ძალზე იშვიათია ფაქტი როდესაც რომელიმე იმპორტიორი კომპანია თავისი ინიციატივით მიმართავს ვეტერინარულ სამსახურს, რათა შეამოწმოს გაყინული ფრინველის პროდუქცია და თავიდან აიცილოს შესაძლო ექსცესები.

ასეთ შემთხვევაში ბუნებრივია ისმის კითხვა, რა საშუალებას მივმართოთ, რომ ოდნავ მაინც დავიზღვიოთ თავი უხარისხო, ფალსიფიცირებული და კონტრაბანდული საქონლის მოხმარების მძიმე შედეგებისგან. უხარისხო იმპორტული პროდუქციის ტოტალური მომძლავრების პირობებში იქნებ ჯობდეს არჩევანი გავაკეთოთ საქართველოში წარმოებული იგივე გაყინული ფრინველის პროდუქციის სასარგებლოდ, რომელიც ახლა იკიდებს ფეხს საკუთარ ბაზარზე. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ქვეყნის სიძლიერეს ადგილობრივი წარმოების წარმატება განსაზღვრავს. სულ ახლო წარსულში წარმოუდგენელიც კი იყო ის ფაქტები, რომ საქართველოს წარმოებისთვის პრიორიტეტულ დარგებს სადაც მხოლოდ უცხოური პროდუქცია იყო წარმოდგენილი, კვლავაც ადგილობრივი წარმოება ჩაენაცვლებოდა. ახალშექმნილი სამამულო სავაჭრო ნიშნები კი უფრო მეტად შეფასდებოდნენ საკუთარ ბაზარზე ვიდრე ცნობილი გლობალური მარკები.

*ზაურ სალმანია*

R

**როლანდ ბერაძის ხსოვნას!**



ჩვენო საყვარელო ბიძა, ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. გვეძნელება უშენოდ ყოფნა, თურმე რამხელა იმედი ყოფილხარ.

დიდ, უსაშველო ტკივილს, კიდევ უზომო ტკივილი დაუმატე, რომელიც ერთ, ენით უთქმელ მწუხარებად გადაიქცა და სასაფლაოზე დაიდო ბინა. შენი ვახო, ერთადერთი ვაჟკაცი და შენ – შრომისმოყვარე, მზრუნველი მამა, ახლა განუყოფელ ნაწილად იქეცით.

გაიზარდა სასაფლაოზე სახელების რიცხვი, რომელსაც ჭირისუფალი არ აკლია შენი დიდი სიყვარულის გამო, იმ სითბოს, ამაგის გამო, რაც სამუდამოდ დატოვე ჩვენს გულებში.

*არჩილი და ივანე ოჯახებით*

**თემურ (რეზო) გაბათაშვილის გამოსათხოვარი**



კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე შეწყდა – თემურ (რეზო) გაბათაშვილის სიცოცხლე. მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ეს ამბავი ყველასთვის. მუდამ მოუსვენარი, საქმიანი, დაუღალავი, ხალისიანი სიკეთისთვის დაბადებული იყო თითქოს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენ გვერდით აღარ არის ნამდვილი მეგობარი, მოსიყვარულე მეუღლე, მზრუნველი მამა და შვილიშვილების სათაყვანო პაპა... იგი ამავე დროს უამრავი კეთილი საქმის მოთავე, წამომწყები და დამაგვირგვინებელი იყო. ნამდვილი ბიზნესმენი, რომელიც თავკაცობდა „ელსავაკოს“, სავაჭრო ცენტრ „ნაცარქექიას“... მხარში ედგა მშობლიურ 87-ე სკოლას. დაარსების დღიდან შეფობდა ჩვენს სკოლასაც, მთელი კოლექტივის იმედი და თანამდგომი იყო – გულისხმიერი, კაცური კაცი, სწორედ ისეთი, რომლის ადგილსაც, ვაგლახ, რომ ვეღარავინ შეავსებს. ასეთი დარჩება იგი ჩვენს ხსოვნაში.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

*დამოუკიდებელი სკოლა „მოძღვარის“ პედკოლექტივი*

**მამუკა გვილავას მონატრება**



„თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“... ამბობს ხალხური სიბრძნე და ბუნების გამოღვიძებას გვამცნობს. ვაი, რომ ვერ იკიდებს ჩვენს გულში გაზაფხული ფეხს, შვილო... თებერვალი საბედისწერო თვეა, შენი გარდაცვალების მე-5 წელს ვხვდებით და ვაცილებთ...

უსაზღვროა მონატრება, დაუამებელია ტკივილი, შეუფასებელია დანაკარგი, რომელსაც ერთი საერთო სახელი – მამუკა ჰქვია...

დატანჯული სულის მხსნელი კი მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენაა, თავშესაფარი უფლის ტაძარი...

მოიხსენე, უფალო სული გარდაცვალებული მონისა შენისა მამუკასი და განუსვენე მას, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა. ამინ!

*შენი დედ-მამა*

**ჯულიეტა გოგოლაძის გახსენება**



უკვე ერთი წელი გავიდა, ჩემო საყვარელო დედიკო, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ჩვენო იმედო, ჩვენო სიამაყევ, ჩვენო დარდიანო დედიკო. ტკივილით და ცრემლით სავსე დრო გავიდა უშენოდ. დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ უშენოდ გავლილი თვეები ვერ აღმოჩნდა მკურნალი შენი საყვარელი შვილებისათვის.

მოვალ შენს საფლავთან, სანთელს დაგინთებ, მოგეფერები, შეგამკობ ცრემლით და ყვავილებით. რამდენი რამ დამიგროვდა სათქმელი. მენატრები, მიყვარხარ, შენს სულს ვეფიცულობ. ყველაფერს გისრულებ, რაც დამიბარე, დედიკო!

*მადონა*

**ირაკლი ჩიტორელიძის მონატრება**



ირაკლი! ჩემო უსაყვარლესო და ულამაზესო, ოცნებებისთვის და საყვარელი ადამიანის გულცივობისთვის თავმოკლულო, [illegible]

ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ, როგორ მენატრები, [illegible]

[illegible] განისვენებს“.

*შენი საყვარელი [illegible]*

**ნინო ჩერქეზიშვილის მოგონება**



[illegible]

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სუფთა სული.

*შენი მეგობრები*

**ლადო სიხარულიძეს!**



ჩვენო ლადო, [illegible] იყო ჩვენთვის 2002 წლის 26 დეკემბერი. [illegible] 40 დღე.

[illegible]

სადაც წახვედი.

ნათელში ამყოფოს შენი სული უფალმა.

*მარინა და ბესო*

**რობიზონ კივილაძის გახსენება**



3 თებერვალი გათენდა, რობიზონ, შენი დაბადების დღე. 62 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ ბედისწერამ აღარ გაცალა. ამ დღეს პირველად ვხვდებით უშენოდ. იმ ქვეყნად გილოცავთ, სადღეგრძელოს ნაცვლად, ხსოვნის ჭიქას ავწევთ და ცრემლებით გაგიხსენებთ. ძალიან დაგვაკლდი ყველას – შენს მეუღლეს, ნანას, უსაზღვროდ რომ გიყვარდა; შვილებს – მაკა და გოგას, რომლებიც შორიდან გიხსენებენ ტკივილით; რძალს – თამუნას, მამაშვილურად რომ გიყვარდათ ერთმანეთი. შენი ნაფერები პჳილიშვილი – პატარა, ცისფერთვალება მარი სურათებს დაჰყურებს და ჰგონია, რომ დაბრუნდები, მაგრამ... უსაზღვროდ გვენატრებით, ჩვენო რობიკო, ალეკო, ლანა, ინგა. თქვენ ერთად წახვედით ამ ქვეყნიდან და ჩვენი სიხარული თან გაიყოლეთ. მხოლოდ ცრემლი მოაქვს იმ ტკივილიანი დღის გახსენებას. ხანმოკლე აღმოჩნდა ის ბედნიერი დღეები, ერთმანეთს სიცოცხლეს რომ ვულამაზებდით. დრო ვერ აფერმკრთალებს ტკივილს. მშვიდად იძინეთ სამუდამო სასუფეველში, ჩვენო საყვარელო ადამიანებო.

*შენი ოჯახი*

**ქეთინო ნიკვაშვილის ხსოვნას**



ჩვენო საყვარელო ქეთი! 2 თებერვალს გავიდა ერთი ტკივილითა და ცრემლით სავსე წელი, რაც დასრულდა შენი ლამაზი სიცოცხლე და მარადისობაში გადახვედი.

ჩვენო საფიცარო, გაზაფხულივით პირმშვენიერო! აღარ გვიხარია გაზაფხულის მოსვლა უშენოდ. შენ უხდებოდი გაზაფხულს. ჩვენთვის სიცოცხლე სევდიანი და პირქუშია. ყოველი დღე შენზე მოგონებებით იწყება და მთავრდება. რა ბედნიერები ვიყავით ერთად! რა მოკლე იყო წუთისოფელი შენთვის, როგორ მალე დაბნელდა შენი წილი მზე! ბედისწერამ ასე ინება. ყველაზე მეტად დედის სათუთი გული დაიჩაგრა, რომელიც ყოველი მხრიდან გეფარებოდა, რომ არ ჩამქრალიყო შენი სიცოცხლის სანთელი, მაგრამ დედაზე ძლიერი, ბედისწერა აღმოჩნდა. ქეთი, სიცოცხლის, ბედნიერების ძალას თურმე შენ გვაგრძნობინებდი და ვაი, რომ სიკვდილის ძალაც შენ გვაგრძნობინე. ხომ იცი, რომ უშენოდ არასოდეს ვიქნებით ბედნიერნი. გვენატრები, ჩვენო საყვარელო დაიკო! შვილო! მეუღლევ! გვჯერა, რომ ალბათ ღმერთის საუფლოში ხარ და ჩვეული სინატიფით დადიხარ. დედამიწაზე მშვენიერ არსებად მოვლენილს, იმ ქვეყნად ალბათ ანგელოზობა გერგო წილად.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და წმინდა სული, ქეთი, ჩვენო ტკივილო და მონატრებავ!

*დედა, მეუღლე, დები, დისშვილები, სიძე*

**გურამ გაბუნიას ხსოვნას!**



2002 წლის ბოლო თვის დასაწყისი ექსპედიციის თანამშრომლების ცრემლით დაიწყო, ექსპედიციის უფროსის ბატონ ნოდარ ხუხიას გარდაცვალების გამო; ხოლო თვის ბოლოს, მზიან ამინდში, მეხის გავარდნას ჰგავდა მთავარი ინჟინრის, გურამ გაბუნიას მოულოდნელი გარდაცვალება.

ო, რა უეცრად დააკლდა ჩვენს ექსპედიციას... თითქოს გუშინ იყო, ხალისიანი იუმორით რომ დადიოდა ექსპედიციის საქმიან ეზოში. კაცი, რომელიც ღმერთმა გამოარჩია და ბავშვობაში წილად არგუნა მკაცრი ცხოვრების ხვედრი და მაინც... უდედმამოდ გაზრდილმა დიდი ნიჭის წყალობით ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა, რომელიც მის მიერ განვლილი ცხოვრების გზასაც ეტყობა.

შრომისმოყვარე, გულისხმიერი, ენერგიით სავსე ბატონი გურამის გული, დიდ სიკეთეს და სითბოს იტევდა და ამ სითბოს უშურველად გასცემდა. რაოდენ სამწუხაროა, რომ ასე მოულოდნელად წავიდა ჩვენი ცხოვრებიდან.

დაუჯერებელია, რომ ჩვენთან აღარ ხართ, უწყინარო, კეთილო, თანამშრომლებთან თამამო, სხვებთან მოკრძალებულო, იუმორით გაჯერებულო ადამიანო. როგორ ემზადებოდით ახალ სიხარულთან შესახვედრად, რომელიც სულ მალე უნდა განხორციელებულიყო, სანაცვლოდ კი – ერთ დღეში გადახვედით იდუმალებით მოცულ სამარადისო სასუფეველში.

ნათელში ყოფილიყოს თქვენი სული.

*თერმული წყლების ექსპედიციის თანამშრომლები*

**ინეზა მურღულია-შამათავას!**



ერთი წელი შესრულდა ჩვენი განშორების შემდეგ, ნატვრად ქცეულო საყვარელო დედა! ერთი ტკივილიანი წელია შენი იმიერში გადასახლებისა, სადაც შენს პატარა ირაკლისთან დაიდე ბინა.

წახვედით და დაგვიტოვეთ ცრემლი და უსაზღვრო მონატრება.

ვაი, რომ შენი ალერსით და მფარველობით განებივრებულ ქმარ-შვილს სანატრელად გაგვიხდი.

მძიმეა ჩვენთვის თქვენით მოყენებული იარის მოშუშება.

ღმერთს კი მუდამ შევთხოვთ, რათა მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროთ.

*შვილები*

**პარასკევა ხოჭოლავას გახსენება**



ცხრა თებერვალი – დღე შენი უკანასკნელი ამოსუნთქვისა, მწარეა და ძნელად გასახსენებელი. გვენატრები, გახსენებთ, ვლოცულობთ შენზე. დაე, თბილი იყოს აქაური მიწა შენთვის. ნათელი ადგეს შენს კეთილ სულს, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

*დედა ულევი სითბო, დედა სიკეთის მგზრელი,*
*ჭაღარა დედავ ჩვენო, სახეს ნაოჭი გშვენის.*
*არ აგისრულდა ოცნება, შინ მოუსვლელი დარჩი,*
*მშვიდად იძინე, დედავ, გწყალობდეს ღმერთი მაღლით.*

*შენი შვილები და შვილიშვილები*

**დალი მექანარიშვილის უკვდავყოფა**



დალი, ჩემო ცისფერთვალება გოგონავ, უსაზღვროდ გვენატრები, შვილო.

არ არსებობს დრო, რომელსაც შეუძლია განკურნოს დედ-მამის დაკოდილი გული.

დედა გენაცვალოს, 4 თებერვალი შენი დაბადების დღეა, რომელიც მესამედ უნდა აღვნიშნოთ უშენოდ. მოვალთ ყველანი შენს სამარესთან, ვისაც შენ დააკლდი, დაზაფრულნი და გულდაფლეთილნი მწარედ დაგიტირებთ. მოგართმევთ ყვავილებს, დაგინთებთ წმინდა სანთლებს და მარადიულ სასუფეველში ყოფნას გისურვებთ. მოგიკვდეს დედა, შვილო. გვეგონა ბედნიერი იყავი, თურმე ბედშავი ყოფილხარ.

ტყუპი ბავშვების მოლოდინში ვიყავით და ავტოკატასტროფის მსხვერპლი გახდი. ბავშვების დაბადებით მაინც გაგეხარა, დედა, ისინიც რომ არ გვანდე და კალთაგადაფარებული ანგელოზებით ეახლე მარადიულ სასუფეველს.

იძინე მშვიდად, ჩემო ფერიავ, შვილებთან ერთად. უფალს ვევედრები, ნათელში მიმყოფოს თქვენი სპეტაკი სული.

*შენით დამწუხრებული მშობლები*

**ვაჟა ჯიქიას ხსოვნას!**



5 თებერვალს სამი წელიწადი გახდება შენი წასვლიდან. ეს სამი წელი ცრემლსა და დარდში გავიდა.

5 მარტს კი, შენი დაბადების დღეც მოვა უშენოდ. ამ დღეს მუდამ შენ გვერდით ვიყავი. ძალიან მიჭირს უშენობა. შენს შვილებს, შვილიშვილებს და ნათესავებს უცრემლოდ არ ახსენდები.

ერთი ნუგეში მასულდგმულებს: მწამს, რომ უფალთან სასუფეველში ხარ. შენს ხსოვნას სანთლად ანთებულს ვატარებ მთელი ჩემი ტვირთად ქცეული სიცოცხლე.

*შენი მეუღლე*

**ალექსი სეთურის გახსენება**



ერთი წელი გავიდა, უშენობით დამძიმებული, ტკივილიანი, ცრემლიანი და საშინლად გრძელი და უსასრულო ერთი წელი.

საოცრად მძიმე ყოფილა უშენოდ სიცოცხლე. ყველას გვაკლიხარ, გვიყვარხარ და გვენატრები. წახვედი და დაგვიტოვე უსაზღვრო ტკივილი და სევდა; თავს მხოლოდ იმედით ვიმშვიდებთ, რომ შენი ლამაზი სული სამუდამო სასუფეველშიც ისევე ლამაზად განაგრძობს სიცოცხლეს, როგორც აქ, ჩვენთან.

შენ ხომ უსაზღვრო სითბოს და სიყვარულს აფრქვევდი.

იყავი მშვიდად, ჩვენო საყვარელო ვაჟკაცო! ჩვენ ყველას ყოველთვის გვემახსოვრები და გვეყვარები.

*შენი ოჯახი*

**ზურა ჯოხაძის მონატრება**



2000 წლის 7 თებერვალი – დღე, რომელმაც დაგვიბნელა წუთისოფელი. ცრემლით, წუხილით გადის დღეები. უფრო გვემატება ჭრილობა და გაუსაძლისი ხდება სიცოცხლე. შენით გვინდოდა სიცოცხლე, სიბერე და ლამაზი სიკვდილი. როგორ შეგვიცვალე ყველაფერი, ჩვენო სიამაყევ, ჩვენო ჭკვიანო ბიჭო. რამდენი კარგი საქმე დაგრჩა აუსრულებელი, ვცდილობთ, ყველაფერი შეგისრულოთ. რაც დრო გადის, უსაზღვროდ გვენატრები, განსაკუთრებით – შენს დისშვილს ელენეს, რომელიც სულ გკითხულობს: როდის დაბრუნდება ზურაო? რა ვუპასუხოთ შვილო?! გვენატრები, ძალიან გვენატრები.

*შენი უბედური მშობლები.*

**ამირან (ბუთხუზ) სოზიაშვილის მონატრება**



ჩემო ბუთხუზ, მიილია უშენობით დაცარიელებული, სიხარულწართმეული ერთი წელი... უსაშველო ტკივილითა და სევდით არის სავსე ყველა შენი ახლობლის გული. ცრემლები მახრჩობს, ამგვარად რომ გილოცავ დაბადების 29-ე წელს. მუდამ ხალისიანი, სიხარულითა და შენეული იუმორით იყო სავსე ეს დღე შენს ოჯახში. ახლა კი, მწუხარებით გათანგულები უნდა შევიკრიბოთ შენს საფლავზე. დრომ და მონატრებამ უფრო გაგვიმძაფრა ტკივილი... თორნიკეს ესიზმრე ამ დღეებში: როგორ მიყვარდიო, ბუთხუზ – უთქვამს შენს ნათლულს. გიყვარდი თუ გიყვარვარო? – გიკითხავს შენ. გვიყვარხარ, ბუთხუზ, ყველას გვიყვარხარ და გვეყვარები. შენ ჩვენს მოუშუშებელ ჭრილობად დარჩები მარად!

ეს ლექსიც შენი მოულოდნელი გარდაცვალებით გამწარებულმა დავწერე იმ საბედისწერო თებერვლის თვეში...

ქარტეხილებმა ჩამილეწეს სულის სარკმელი,
აუტანელი დააკისრეს ჩემს გულს სასჯელი,
მასვეს სამსალა, შემომაბეს ყელზე საბელი...
სულში მწუხრია, გულში მწარე, შავი ნაღველი...
მტკივა ყოველი ნერვი ჩემი, ან ვით გავძელი?!
ან ამ ბოროტი სოფლისაგან ნეტავ რას ველი?
უფალო, მხოლოდ შენგან არის ჩვენი საშველი,
მოგვეცი სასო, გაგვინათე წმინდა სანთელი,
გვარგუნე სითბო, ჩაგვიყენე სულში ნათელი,
იცი, უფალო, გზას არ კარგავს სანთელ-საკმელი!

*შენი ნათლიდედა მარინე კოპლატაძე*

**გოგი ტალახაძის გახსენება**



რა უნდა დავწეროთ ისეთი, რა უნდა ვთქვათ, ან როგორ ვთქვათ, რომ უშენობით გამოწვეული მწუხარება გადმოვცეთ!

გამოუცნობი, უცხო და გამანადგურებელი გრძნობებით სავსე ორმოცი დღე გავიდა უკვე. ჩვენ კი ისევ ვართ და ვცოცხლობთ. ყოველდღე გესაუბრებით, ვიხსენებთ ყველაფერს, რაც გითქვამს და გიკეთებია. გამოგიტყდებით და, ზოგჯერ გაგვეცინება კიდეც, ზუსტად ისე, შენ რომ გადაიხარხარებდი ხოლმე.

რა ბევრი ყოფილხარ, გოგი; რამდენგან ყოფილხარ; რამდენი ვინმე და რამე ყოფილა შენში თავმოყრილი; თითქმის ყველაფერი შენ ყოფილხარ, ჩვენო ხითხითია, ჩვენო დაუდეგარო, ჩვენო უღალატო, უპატიოსნესო და თავმდაბალო! როგორი მონატრება დაიწყო, ნეტავ იცოდე. დაცარიელდა და არასფრის მთქმელი გახდა შენი ხელით ნალოლიავები მყუდრო სახლი უშენოდ. ეს სახლი კი არა, თითქმის თავშესაფარია უკვე ჩვენთვის. არ შეგეშინდეს, გოგი. ჩვენ სულ შენთან და შენით ვიქნებით ყველგან და ყოველთვის. დაე, სიმშვიდით დაივანოს შენმა სულმა სასუფეველში, რადგან დედამიწაზე ადამიანების იმედად იყავი მოვლენილი. ჩვენ კი გვეპატიება, ცოტა მეტი ცრემლი თუ დაგადინეთ, ცოტა თუ შევაკრთეთ შენი სული ჩვენი მწუხარებით. რა ვქნათ, ძნელზე ძნელია უშენობა, ძალიან დიდია ჩვენი ადამიანური სევდა, რადგან ბევრი ოცნება დავმარხეთ შენთან ერთად.

ძალიან, ძალიან, ძალიან გვიყვარხარ!
ძალიან, ძალიან, ძალიან გვენატრები!
ძალიან, ძალიან, ძალიან გვიყვარხარ, გოგლა-ბიჭო!

*შენი ოჯახი*

**ჯემალ რაჟდენის ძე კაკაბაძის მოგონება**



ჩემო დაუვიწყარო ტკივილო! 8 თებერვალს ერთი წელი გავა, რაც დაგვტოვე – ტკივილით, ცრემლით, მოგონებებით, მონატრებით სავსე წელიწადი. შენი სული მარადისობაში გადავიდა.

ჩუმად, უპრეტენზიოდ დატოვე სიცოცხლე. ყველას გვაკლიხარ და გვენატრები. რა ძნელი ყოფილა უშენობა. იმითღა ვინუგეშებთ თავს, რომ ცათა სასუფეველში ხარ და იქიდან ლოცავ შენს შვილებს და შვილიშვილებს, ნათესავებს და ყველა კეთილისმსურველს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და კეთილი სული. ვილოცებთ შენი სულისათვის და დაე, შენთვის ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს სამუდამო სასუფეველი.

*შენი დიდი ოჯახი*

**თემურ არეშიძის გახსენება**

შენი გარდაცვალება შემზარავი იყო. უკურნებელმა სენმა უცაბედად მოგწყვიტა საყვარელ ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს. უამრავი ცრემლი და მოუშუშებელი იარა დაგვრჩა.

თემო, მწუხარებით სავსე 40 დღე გავიდა უშენოდ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოვსულვართ გონს. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა.

*შენი ნათლული*

**ირაკლი ევგენიძის გახსენება**



ახალ წელს ახალი სიხარული და ბედნიერება მოაქვსო... ამ წელმა კი, შენს ახლობლებს, სევდა და გულისტკივილი მოუტანა...

ორმოცი დღე გავიდა, ბესო, შენი წასვლიდან... ჩუმად დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება და შენი ლამაზი სიცოცხლე. 22 ფოთოლი ჰქონია შენი ცხოვრების ხეს და ისინიც ისეთი ლამაზები... ყველა შენი მეგობარი სიყვარულით გიხსენებს. წახვედი და თან გაიყოლე უამრავი ფიქრი და აუხდენელი ოცნება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*რევაზ ნიჟარაძის ოჯახი*

**ნინო ნინოშვილის მონატრება**



ნინო, ჩვენო დიდო ტკივილო და მწუხარებავ! 13 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ნეტავ იცოდე, როგორ გვენატრები, ცხოვრების განთიადზე რომ დაასრულე შენი ლამაზი სიცოცხლე.

ღმერთს ვთხოვთ, ჩვენი დანთებული წმინდა სანთლები უნათებდეს სამუდამო სასუფეველში შენს უმანკო სულს.

*შენი მამიდა და მამიდაშვილები*

**ჟორა გამგონიძის მონატრება**



ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა უშენოდ. შენ ხომ ჩვენთვის არა მარტო ძმა, არამედ დიდი იმედი და მეგობარიც იყავი.

გვინდა იცოდე, რომ ყოველთვის გვახსოვხარ და გვენატრები. შენ დააკლდი არა მარტო შენს ოჯახს, არამედ მეგობრებსა და ნათესავებს. არ დაგვიტოვე სხვა სათქმელი, გარდა ერთისა; ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული უფალმა.

*სიყვარულით, შენი ძმის – ჯემალის ოჯახი*

**რამაზ ფირცხალაიშვილის გამოსათხოვარი**



40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. წელს პირველად შევხვდით უშენოდ შენს დაბადების დღეს. მძიმეა შენი ოჯახისათვის, შენი ახლობლებისათვის შენი გახსენება წარსულ დროში.

შენს სახელს არასოდეს დავივიწყებთ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

**გენადი მიგინეიშვილის გახსენება**



ორმოცი დღე გავიდა, მამიკო, რაც ჩვენთან აღარ ხარ... ორმოცი მტანჯველი დღე. ძალიან მიჭირს უშენობა. შენ ხომ ჩემი ერთადერთი იმედი იყავი.

ისე უეცრად წახვედი, დღესაც არ მჯერა შენი სიკვდილის. ჩვენს ცრემლებს ბოლო არ უჩანს. თვალს ვერ ვუსწორებ ნაადრევად დაქვრივებულ დედიკოს და ღმერთს იმას ვევედრები, სასუფეველში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

ძალიან მენატრები.

*შენი სოფო*

**დათო მარსაგიშვილის გახსენება**



დათო, 5 თებერვალს შენი დაბადების დღეა. 33 წლის გახდებოდი, შვილო. აქედან გილოცავ დაბადების დღეს, ჩემო ერთავ. დათო, მაშინ წახვედი ამ ქვეყნიდან, როცა მჩქეფარე სიცოცხლე უნდა დაწყებულიყო, როცა მამობის ბედნიერებას უნდა ზიარებოდი. გიმუხთლა ბედმა და უეცრად, ღვარცოფივით მოვარდნილ ავადმყოფობას არ შეუშინდი, არ შეეპუე, გაუთამამდი და... დათოს მოსიყვარულე, მგრძნობიარე და სათუთი სულის მქონე პიროვნებად იცნობდნენ ნათესავები, მეზობლები, კლასელები და ინსტიტუტის ამხანაგები. იმ მთებივით უდრეკი იყავი, შვილო, სადაც სამუდამო განსასვენებელი პოვე შენს მამასთან და ძმასთან, ედიშერთან ერთად. მამას ვერავის დაუძახებს შენი ედიშერი. გაიზრდება ობლად. ბრალი არის განა? მხოლოდ ერთი იმედი მასულდგმულებს. შენი ედიშერი გააკეთებს შენს გასაკეთებელს, შენი ფერი და მგვანი, ოღონდ შენი ბედი აშოროს ხევის და მთელი საქართველოს სალოცავებმა. როცა ძალიან მომენატრები, უთვალავჯერ მოვეფერები შენს ნივთებს, შენს სურათებს და შენს უცნობ შვილს, რომლის ნახვასაც შენ ვერ ეღირსე. სადამდეც შევძლებ შენს სიყვარულზე, შენს აუხდენელ ოცნებებზე ვუამბობ ყველას. შენ კი ნათელში გამყოფოს უფლის ძალამ. მსუბუქი იყოს შენი მშობლიური კარკუჩის მიწა შენთვის, შენი ძმისა და მამისთვის.

*დედა – ლია ავსაჯანიშვილი*

**გოჩა ჭუჭულაშვილის მონატრება**



პირველი მოწყენილი ახალი წელი უშენოდ, ცრემლით და წუხილით. გადის დრო და უფრო მემატება სევდა და ჭრილობა. გაუსაძლისია სევდა ჩემს გულში. ძნელია, შვილო გოჩა, უშენობა. მე შენი სიცოცხლე და გახარება მინდოდა, შენი ხელით მინდოდა მიწის დაყრა. როგორ შემიცვალე ყველაფერი. 2002 წლის 5 თებერვალი ჩვენთვის საბედისწერო აღმოჩნდა. დამიტოვე შენი პატარა ნინიკო, რომელსაც ძალიან ენატრები. გვენატრები ყველას. ღმერთს ვევედრები, რომ წმინდა ნათელსასუფეველში ამყოფოს შენი სული.

მენატრები, მენატრები ძალიან.

*დედა*

ქ. თბილისის დამოუკიდებელი საერო გიმნაზია – „შავნაბადას“ თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები სამძიმარს უცხადებენ *ქეთევან ლაბაძეს, გოჩა, ავთანდილ, თეონა აბდუშელიშვილებს,* მამის, სიმამრისა და ბაბუის

**ჯემალ ლაბაძის**

გარდაცვალების გამო

# ტელევიზორში ნანახი ბედისწერა



პავლე ი-ს ორი წლის წინ 24 წლის ვაჟი დაეღუპა ავტოავარიაში...

— 2000 წლის დეკემბრის დასაწყისში დაიღუპა კოტე, — დაიწყო ბატონმა პავლემ, — ამის შესახებ 1999 წლის 9 აგვისტოს მეცნობა: ოჯახი ბორჯომში ისვენებდა. შინ მე და ჩემი ვაჟები — კოტე და ვატო — ვიყავით. იმ დღეს ბიჭებიც წავიდნენ — პროდუქტები უნდა ჩაეტანათ. ძალიან ცხელოდა. ტელევიზორში რაღაც ფილმს ვუყურებდი. უცებ ეკრანი აირია და... როცა გამოსახულება დაიწმინდა, ეკრანიდან კოტიკომ შემომცინა... მაშინვე გამოვფხიზლდი. ჩამთვლიმა და ვიღაცამ გამამასხარავა, ვიდეო ჩამირთო-მეთქი, — გავიფიქრე.

...გამოსახულება გაგრძელდა. კოტე შებრუნდა, ავტოსადგომისკენ წავიდა, სადაც უამრავი ავტომანქანა იდგა. შინდისფერი სპორტული „ბმვ“ აირჩია, შიგ ჩაჯდა და გზატკეცილზე გამოვიდა... ვხედავდი შვილის დაღლილ სახეს. ეტყობა, ეძინებოდა და თვალები ეხუჭებოდა... ის იყო, გავიფიქრე: რას შვრები, შე მამაძაღლო, საჭესთან ზიხარ-მეთქი, — რომ მანქანა გზიდან გადავიდა და უზარმაზარ ტრაილერს შეუვარდა ქვეშ...

ამის შემდეგ ისევ აირია გამოსახულება და... ის ფილმი გაგრძელდა, რომელსაც მანამდე ვუყურებდი!.. შიშმა ამიტანა. ავდექი და ტელევიზორი მაინც შევამოწმე — არავითარი ვიდეო, ჩვეულებრივი არხი იყო...

როგორც ჩანს, მფარველი ანგელოზი მაფრთხილებდა და უნდა მიმეგდო ყური, გამეფრთხილებინა შვილი, მორიდებოდა შინდისფერ „ბმვ“-ს, არ დამჯდარიყო საჭესთან დაღლილი, გამოუძინებელი, მაგრამ არ გავაკეთე ეს, რადგან გულისგულში მშვიდად ვიყავი — ასეთი მანქანა არც კოტეს და არც მის მეგობართაგან არავის ჰყავდა.

2000 წლის დეკემბრის დასაწყისში ჩემი შვილი გერმანიაში გაჰყვა ახლობელს. იქ მოსწონებია კოტეს ის საბედისწერო „ბმვ“ და უყიდია. შინ მომავლებს ერთ-ერთ სასტუმროში მოუნდომებიათ ღამის გათევა, მაგრამ ძვირი მოუთხოვიათ. გზის გაგრძელება გადაუწყვეტიათ... როგორც ჩანს, მაშინ ჩაეძინა საჭესთან, გზიდან გადავიდა, ტრაილერს შეეჯახა და მაშინვე დალია სული...

დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მეღვიძა თუ მეძინა იმ მომენტში, როცა ტელევიზორში ის წინასწარმეტყველება ვნახე, მაგრამ მნიშვნელოვანი სულ სხვა რამეა — შედეგი. ზუსტად წლისა და ოთხი თვის შემდეგ შვილი ისე დამეღუპა, როგორც იდუმალმა ძალამ მიჩვენა...

***ინგა ჯაყელი***

# ტყუპს სხვადასხვა მამა ჰყავს!



ჩილეელმა 36 წლის მარია ალვარესმა ტყუპი შვა და სასამართლოთი მოითხოვა, თავის ყოფილ საყვარელს, ლუის კასარას ალიმენტი ეხადა. კასარას ფულის გადახდა არ უნდოდა. ამბობდა, — ტყუპის მამა მე არა ვარო.

სასამართლომ დნმ-ის ანალიზი მოითხოვა, რათა უსინდისო კაცს მამობა ეღიარებინა. ექსპერტიზის შედეგი გამაოგნებელი აღმოჩნდა: მარია ალვარესის კვერცხუჯრედი ორი სხვადასხვა მამაკაცისგან იყო განაყოფიერებული!

მარია იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ტყუპის ჩასახვის დღეებში მას ორ მამაკაცთან ჰქონდა სექსუალური ურთიერთობა.

სასამართლომ მარიას მოსთხოვა იმ მეორე მამაკაცის დასახელებაც და ახლა უკვე ორი მამაკაცი გადაუხდის თავ-თავის შვილს ალიმენტს.

***ინტერპოლ-ექსპრესი №1***

# ვალერი ბრიუსოვის უცნაური ხილვები

მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩაზე დღესაც დგას სახლი, რომელშიც XIX საუკუნის მიწურულს სპირიტულ სეანსებს აწყობდა პოეტი ვალერი ბრიუსოვი.

პირველად პოეტი სპირიტულ სეანსზე 16 წლის ასაკში მოხვდა... მოულოდნელად ოთახში სინათლე აინთო, თუმცა წინასწარ ყველა ჭაღი ჩააქრეს. სინათლე თამაშობდა, თითქოს ვიღაც ხუმრობდა. ბრიუსოვმა მოულოდნელად ვიღაცის გამჭოლი მზერა იგრძნო, მიბრუნდა და დაინახა ზღაპრული გარეგნობის ქალი, რომელსაც ტანთ თითქოს სხივებით ნაქსოვი კაბა ემოსა. ქალი ჭაბუკს ნელ-ნელა მიუახლოვდა. მისგან სამარისებური სიცივე მოდიოდა... ბრიუსოვს მარჯვენა ხელი საშინლად



აეწვა. დაიხედა — სამკაპი ამოშანთვოდა! საიდანღაც დიდი შავი კატაც გაჩნდა, ერთადერთი სანთელი ძირს გადმოაგდო და ღია ფანჯრიდან გადახტა. მშვენიერი ქალის აჩრდილიც მაშინვე გაქრა.

სეანსის მონაწილენი დიდხანს ისხდნენ სიბნელეში, ხმას ვერავინ იღებდა. შემდეგ დაასკვნეს, რომ ის შავი კატა ეშმაკეული იყო. ქალი-ფანტომი კი, ბრიუსოვის გარდა, ვერავინ დაინახა.

ამ სეანსის შემდეგ ვალერი ბრიუსოვი ძალიან შეიცვალა და ოკულტიზმის შესწავლა დაიწყო. შემდეგ ამავე თემებზე სტატიებსაც აქვეყნებდა, ცდილობდა სულების გამოძახებას და ოცნებობდა იმ ერთადერთი ქალის ნახვას... მაგრამ ამაოდ.

ბოლოს, ბრიუსოვმა ცოლად შეირთო იუნონა მატვეევა, მოსიყვარულე, მზრუნველი, მშვიდი ქალი და თითქოს დაწყნარდა.

...ქორწინების წლისთავისთვის ვალერი ცოლისთვის საჩუქარს ეძებდა. თითქმის მთელი მოსკოვი შემოიარა. მოულოდნელად ერთ-ერთ დახლთან დაინახა კაცი, რომელსაც ხელზე სამკაპამოტვიფრული ბეჭედი ეკეთა. ბრიუსოვი შეეცადა, მისთვის სახეში შეეხედა, მაგრამ კაცი უცებ შეტრიალდა და გაიქცა. მწერალი უკან დაედევნა. იისფერ სამოსში გახვეულმა ფიგურამ ჰაერში რამდენიმე ცეცხლოვანი ნიშანი შემოხაზა. ბრიუსოვი გაქვავდა. უცნობმა შეხედა პოეტს და უწინასწარმეტყველა დიდი სიყვარული, დიდება, ძალაუფლება და თან გააფრთხილა — შენი სატრფო ამ სიკეთეს ვერ შეინარჩუნებს და მარტოობაში აღმოხდება სულიო...

მოჩვენება გაქრა და ცეცხლოვანმა სხივმა გამოსახა ასო „ნ“.

რამდენიმე წელი გავიდა. ბრიუსოვი სახელგანთქმული ადამიანი გახდა, კრიტიკოსები ხოტბას ასხამდნენ, ქალები მასზე ჭკუას კარგავდნენ. ყველაფერი კარგად მიდიოდა მანამ, ვიდრე ერთ-ერთ ოჯახში იმ საოცნებო ქალს არ შეხვდა...

ამჯერად ის უსულო მოჩვენება კი არა, რეალური ქალი, ნინა პეტროვსკაია გახლდათ. საოცარი იყო ისიც, რომ მისი სახელი ნაწინასწარმეტყველევი ასო „ნარ“-ით იწყებოდა. მათ ბევრი საერთო აღმოაჩნდათ — ლიტერატურა, უცნაურობებისკენ ლტოლვა. მათი ვნებიანი სიყვარულის ამბავი მთელ მოსკოვს მოედო. მოგვიანებით ბრიუსოვმა ნინას სახე გამოიყენა რომანში „ცეცხლოვანი ანგელოზი“. ნინასთან ურთიერთობა ბრიუსოვისთვის დამღუპველი აღმოჩნდა. ის ციური არსება სკანდალურ, ლოთ დედაკაცად იქცა. ბრიუსოვი მას გაურბოდა. ნინამ სატრფოს მოსთხოვა ცოლის მიტოვება, მაგრამ ბრიუსოვმა მუზა მიატოვა და ოჯახს დაუბრუნდა. ნინამ საშინლად განიცადა დაშორება. გაღარიბდა, ქუჩაქუჩა დაეხეტებოდა. 1928 წელს კი თავი მოიკლა.

ბრიუსოვის მორიგი მსხვერპლი გახლდათ ნადეჟდა ლვოვა. ამ ქალის სახელიც „ნარ“-ით იწყებოდა. ნადეჟდაც გატაცებული იყო შავი მაგიით, წერდა ლექსებს. ერთ დროს ტერორისტობაც კი უნდოდა, რათა ნათელი იდეებისთვის შეეწირა თავი. ბრიუსოვი ცდილობდა ეს რომანი დაემალა, მაგრამ ხალხს რა გამოეპარებოდა. როცა ნადეჟდამ თავი მოიკლა, არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ ამ ტრაგედიის მიზეზი ბრიუსოვი იყო.

თავს დამნაშავედ გრძნობდა მის სიკვდილში? — ალბათ. მას ხომ ყოველი ქალი თავისებურად უყვარდა, მაგრამ არც ერთი მათგანისთვის ბედნიერება არ მოუტანია.

***ორაკული №12***

# სიზმარი გვაფრთხილებს...

— სიზმარში ტყის ნაპირს ცხენით მივუყვებოდი. უეცრად ორი ჯიქი დავინახე. ამ უზარმაზარმა ველურმა კატებმა ბუჩქებიდან ისკუპეს და დამედევნენ. ერთ-ერთი ზურგზე შემომახტა და ბასრი ბრჭყალები ჩამარჭო. ცხადად ვიგრძენი საშინელი ტკივილი. ვიფიქრე, წასულია ჩემი საქმე-მეთქი, რომ ანაზდად ჯიქი მომშორდა, მიწაზე გადახტა, ყურადღებით მოათვალიერა გარემო და უსიერ ტყეს მისცა თავი, — ჰყვებოდა მისტერ ელიოტი... რამდენიმე თვის შემდეგ ზუსტად იმ ადგილზე, სადაც ჯიქმა დაკაწრა, ელიოტს ექიმებმა მელანომა აღმოუჩინეს.



ინგლისელმა ექიმმა რობინ როისტონმა, უკვე შეაგროვა 400-ზე მეტი შემთხვევა, როცა პაციენტს სიზმარი აფრთხილებს მოსალოდნელი ავადმყოფობის შესახებ. რობინი ფსიქიატრი და ფსიქოთერაპევტია, იგი დიდი ხანია შეისწავლის სიზმრისა და ცხადის დამთხვევების საიდუმლო ფენომენს. პაციენტი, რომელსაც ჯიქი დაესიზმრა, გადარჩა — გაიხსენეთ სიზმრის ფინალი, როცა მხეცმა უეცრად დაანება თავი მსხვერპლს და როგორც გამოჩნდა, ისევე უეცრად გაუჩინარდა — პაციენტის მეუღლემ დროულად შეამჩნია ლაქა ბეჭებს შორის.

ასევე გადარჩა მეორე პაციენტიც, რომელიც სიზმარში „გააფრთხილეს“.

— ცხადად ვხედავდი ორ ხელს, რომელიც ჩემკენ მოიწევდა. მომიახლოვდა, ყელში მწვდა, მაგრამ მივხვდი, რომ ეს იყო დედაჩემის ხელები, რომელიც, რა თქმა უნდა, არაფერს მავნებდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, დედამ გამაფრთხილა მოსალოდნელ საშიშროებაზე, — იხსენებს ქალბატონი, რომელსაც ფარისებრი ჯირკვლის დაავადება აღმოაჩნდა.

ექიმ როისტონის დაკვირვებით, სიზმარი იძლევა სიგნალებს არა მარტო ჩვენი, არამედ ჩვენი ახლობლების ჯანმრთელობის შესახებაც. ერთმა მანდილოსანმა ექიმს უამბო, რომ სიზმარში ნახა დედა და ორი მშვენიერი კურდღელი. უეცრად ერთ-ერთმა მათგანმა თათი იტკინა და სისხლი წამოუვიდა. თურმე, ამ მანდილოსნის დედა სერიოზულად იყო ავად ადრე. მაგრამ შემდეგ საქმე გამოჯანმრთელებისკენ წასულა. იმ პერიოდში კი, როცა ქალიშვილმა სიზმარი ნახა, ძველმა დაავადებამ კვლავ იჩინა თავი, ზუსტად იმ ადგილზე — ფეხზე, სადაც კურდღელმა თათი იტკინა სიზმარში. ამერიკელი ინდიელები ყოველთვის უყვებოდნენ ერთმანეთს სიზმრებს და ცდილობდნენ ნანახის ახსნას.

***გარდიანი***

# ჩვენ გვწერენ მიცვალებულს მტრედი დარაჯობდა

ეს ამბავი შარშან ზაფხულს ლიკანში მიამბო სანატორიუმის ერთმა თანამშრომელმა:.

...მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალი, რომელსაც მარჯვენა მხარე დადამბლავებული ჰქონდა. როგორც კი მოხუცს სული აღმოხდა, ოთახში შემოფრინდა მოშავო მტრედი, რომელსაც მარჯვენა მხარზე ყარყუმივით შავი ხაზი აჩნდა. შემოუფრინა მიცვალებულს და შემდეგ ხელზე დააჯდა. მტრედი დაკრძალვამდე არ განძრეულა. მხოლოდ მაშინ შეირხეოდა, როცა რომელიმე ჭირისუფალი ტირილს დაიწყებდა. წამოფრინდებოდა, ხელებს დაუკორტნიდა და ასე აჩუმებდა. ამგვარადვე არ ანებებდა ვინმეს მიცვალებულისთვის სახის დაფარვას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მტრედი დარაჯობდა განსვენებულს...

ფრინველი არც ჭირისუფალს უფრთხოდა და არც სამძიმარზე მისულთ. წესის აგებისას მღვდელს თავზე დააფრინდა და ასე შეასრულებინა რიტუალი. დაკრძალვის დღეს სამგლოვიარო პროცესიას სასაფლაომდე მიჰყვა, თან სულ კუბოს გარშემო ტრიალებდა. დასაფლავების შემდეგ იქვე მდგარ ხეზე შეფრინდა და ორი დღის მერე გაუჩინარდა...

ხალხი გაოგნებული იყო, — არავის სმენია მტრედის ხეზე ჯდომაო!



ზოგი ამბობდა, განსვენებული სიცოცხლეში მოკრძალებული, წესიერი, პატიოსანი ადამიანი იყო, ამიტომ მასზე სულიწმიდა გადმოვიდაო, მღვდელმა კი თქვა, — ამ სასწაულით უფალი გვაფრთხილებს და მონანიებისკენ მოგვიწოდებსო.

***მიმოზა გადელია***

## „საზალდო-სალადო“ გვერდის პასუხები

I. მე-2 და მე-8 პრიზები

II. აბა, გამოიცანი

1) — დ); 2) — ა); 3) — გ);
4) — ა); 5) — გ); 6) — დ); 7) — დ).

III. რებუსი

ჭკუა საქმით გამოჩნდებაო.

IV. ტანკი.

V. მე-3 ფრაგმენტი.

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

თუ უკანონო მშენებლობით ირღვევა თქვენი უფლებები

მიმართეთ

„დემოკრატიული განვითარების ცენტრს“, სადაც უფასოდ მიიღებთ იურიდიულ კონსულტაციას, აღმოგიჩენენ დახმარებას სასამართლო საქმის წარმოებაში, ასევე — ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში.

მის: რუსთაველის გამზ. №23, ტელ: 92-05-94

600-750 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გაკეთება

სიღრმე (0-25)მ.

ავარიული სახლებისათვის ფუნდამენტების გამაგრება.

☎ 899-16-09-10

69-83-38 (საღამოს)

შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად



მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118

ტ: 33-26-75; 38-24-02

# ჯინა ლოლობრიჯიდა ზურაბ წერეთელს ეწვია



ქალიც ამას ჰქვია, — წამოიძახა აღფრთოვანებულმა ზურაბ წერეთელმა, როცა მოსკოვში, სამხატვრო აკადემიის წინ შავი ლიმუზინი გაჩერდა და იქიდან ძველებურად მომხიბლავი სახელგანთქმული იტალიელი მსახიობი ჯინა ლოლობრიჯიდა გადმოვიდა. წითელ ჩექმებსა და წაულის თეთრ ქურქში გამოწყობილ სუპერვარსკვლავს უამრავი თაყვანისმცემელი და ჟურნალისტი ელოდა. ჯინა 12 წელია იცნობს ბატონ ზურაბს და სხვადასხვა ქვეყანაში დადგმული მისი ქანდაკებებიც ნანახი აქვს, ამჯერად კი ხელოვანის ფერწერული ნამუშევრების სანახავად ესტუმრა. თითქმის მთელ საათს ათვალიერებდა ჯინა წერეთლის გამოფენას, განსაკუთრებით მოხიბლა ოქროსა და ვერცხლზე მინანქრით შესრულებულმა ბიბლიურმა სიუჟეტებმა. ბატონი ზურაბი შეჰპირდა — აუცილებლად გისახსოვრებთ რომელიმესო და დასძინა, — თქვენს ნაქანდაკარს (ჯინა მშვენიერი მოქანდაკეც ყოფილა) ამ ზაფხულს აუცილებლად გამოვფენ ჩემს გალერეაშიო.

ასაკშეპარულმა ლამაზმანმა საკმაოდ მედიდურად უპასუხა, — ჩემი შემოქმედების მასშტაბებს მხოლოდ თქვენი გალერეა შეესაბამებაო.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი* **№8**

# „მისია არ შესრულდა ნრტ ვუბრუნდები ცოლს ნრტ“



ჰოლივუდში მეხივით გავარდა ხმა: ტომ კრუზისა და ესპანელი მსახიობის, პენელოპა კრუსის ქორწილი ჩაიშალაო.

ზეიმი, რომელსაც მასშტაბებითა და ბრწყინვალებით ჯენიფერ ლოპესისა და ბენ აფლეკის ქორწილი უნდა დაეჩრდილა, სათუო გახდა. სათუო კი არა, სულაც გადაიდო.

როგორც ტომ კრუზმა ბრძანა, სწორედ იგი ყოფილა ქორწილის ჩაშლის ინიციატორი. მიზეზი? ყოფილი ცოლის, ნიკოლ კიდმანის გულგამგმირავმა აღიარებამ, ქმარი ძველებურად მიყვარსო, გული შეუტოკა და ტომ კრუზმა ცოლ-შვილთან დაბრუნება გადაწყვიტა, მით უმეტეს, რომ პენელოპა ბავშვზე არც ფიქრობს, მხოლოდ კარიერა აინტერესებს. მაგრამ მათი დაშორების ნამდვილი მიზეზი მალე გაირკვა: როგორც პენელოპა კრუსმა გაუმხილა მეგობარს, სწორედ მას გაუწყვეტია ტომთან ურთიერთობა. ტომი იმპოტენტიაო, შეუჩივლია დაღონებულს, რაც ხელს აძლევდა ნიკოლს, რომელიც, ქმრის ნებართვით, ხშირად ღალატობდა მას.

ამბობენ, ტომმა ხელი ისევ სთხოვა ნიკოლს ერთი პირობით — ფეხმძიმობა გაითამაშე და სინამდვილეში კი ბავშვი ვიშვილოთო. ნიკოლიც დათანხმებია — ამაზე რთული როლიც უთამაშია...

*ტვ პარკი* **№3**

# სექსუალურ ორიენტაციაზე პასუხს ტვინი აგებს



დასავლელი მეცნიერების ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა ერთი საინტერესო ფაქტი გამოააშკარავა — ყოველი მერვე ცხვარი თურმე „ცისფერია“.

ორეგონის ინსტიტუტის მკვლევარებმა ექსპერიმენტიც (დიახ, ასეთ დიდ სამეცნიერო პრობლემას გულმოდგინე მუშაობა სჭირდება) ჩაატარეს — რამდენიმე ასეული ვერძისა და ნეზვის სექსუალური მიდრეკილება გამოიკვლიეს და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის 6-დან 10%-მდე გამოდგა.

როგორც ცნობილია, სექსუალურ ორიენტაციაზე ტვინის ერთი ნაწილი აგებს პასუხს. ტრადიციული სექსორიენტაციის ცხოველების ტვინის არატრადიციულებთან შედარებით დაასკვნეს — სწორედ ტვინის ზომა განაპირობებს პარტნიორის არჩევას და პასუხს აგებს ორიენტაციაზე, როგორც ცხოველების, ასევე, ადამიანების სამყაროში.

*ოკნა* **№14**

# როგორც იქნა...



მთელი სიცოცხლე ქორწინებასა და ქორწილზე ოცნებაში გაატარა 76 წლის ეკვადორელმა ქალბატონმა მელჩორა ვერგასამ და აი, ნანატრი დღეც მოვიდა, მან საპატარძლო კაბა ჩაიცვა.

53-წლიანი სამოქალაქო ქორწინების შემდეგ, მისმა ქმარმა, 103 წლის დომინგო ოლაიამ ხელი სთხოვა. ხმაურიანი ქორწილი გადაიხადეს. ნეფე-პატარძალს გარს ახლო ნათესავები ეხვია. რა გასაკვირია: მათ 14 შვილი, 48 შვილიშვილი და 22 შვილთაშვილი ჰყავთ.

ცერემონიაზე პატარძალს თეთრი კაბა ეცვა, ნეფეს — სმოკინგი. „ახლა გვიან, ვიდრე არასდროს“, — თქვა პატარძალმა და ახალგამოცხვარ ქმარს თვალები აუციმციმდა. ისე, სიძე ისეთ მოფამფალებული, რომ ლაპარაკი უჭირს.

*მე ბულვარი* **№4**

# ქურდი ბიბლიომანი

როგორ უნდა შექმნა უნიკალური ბიბლიოთეკა, ყველაზე კარგად კალიფორნიელ 85 წლის ერნესტ ჰაინემანს სცოდნია. 350-ტომიანი კოლექცია მან... ნაქურდალი წიგნებით შეაგროვა. 10 წლის მანძილზე ყოველკვირა დადიოდა სხვადასხვა ბიბლიოთეკაში. იქაური თანამშრომლები დიდი სიმპათიით იყვნენ განმსჭვალული ერთგული კლიენტის მიმართ, ისეთი დელიკატური და თავგადაკლული მკითხველი ჩანდა. არავის მოსვლია აზრად, რომ კინოსტუდიის ყოფილი თანამშრომელი, თავაზიანი მოხუცი ქურდი იყო. ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოაჩინეს, რომ 150 წიგნი სწორედ მას წაუცუნცულებია შინ.

პოლიციელები გაოგნდნენ, როცა წიგნის მოყვარულის სახლში შეგროვილი კოლექცია ნახეს. ჰაინემანის მეგობრები ირწმუნებიან, რომ იგი წიგნის ჭეშმარიტი დამფასებელი და მცოდნეა. უბრალოდ, თავს კონტროლი ვერ გაუწია. სხვათა შორის, მას სულ 26.000 დოლარის საფასურის წიგნები აქვს მოპარული.

*ვესტი* **№2**

# მოფერება ყველას უნდა



სიყვარული და მოფერება გოლიათ სპილოყვებსაც უნდათ: კენიის დედაქალაქ ნაირობში, სპილოების საშენში, ახალშობილ ობოლ სპილოყვებს ათავსებენ.

მათი მოვლა მძიმე საქმეა. 8 კვირის ჩვილები, რომლებიც 120 კგ-ს იწონიან, წამდაუწუმ ბოთლს დაეძებენ, დღეში 24 ლ რძეს სვამენ. მაგრამ წვალებად ღირს — სპილოებს შესანიშნავი მეხსიერება აქვთ, მომვლელები უყვარდებათ.

პატარა გოლიათები მათგან ალერსს, მოფერებას ითხოვენ და არც ისინი აკლებენ ყურადღებასა და სიყვარულს. უნდა განახათ, მომვლელთა დანახვაზე რა ემართებათ — სიხარულით ჭყლოპინებენ და კუნტრუშებენ, „პაწია“ ხორთუმებით ეალერსებიან მათ.

*შტერნი* **№4**

# „მშვიდობის მტრედს“ ყველაფერი უხდება



მარად ახალგაზრდა მსახიობი ჯეინ ფონდა იერუსალიმს ეწვია თავისი 65-ე წლისთავის აღსანიშნავად და თან არაბებისა და ებრაელების შესარიგებლად. მოულოდნელად, მსახიობი გაქრა...

როცა მსახიობი არც საქველმოქმედო ღონისძიებაზე გამოცხადდა და არც წვეულებაზე, ჯეინ ფონდას უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები შეშფოთდნენ და „მშვიდობის მტრედის“ ძებნა დაიწყეს. ყველას ერთი მტანჯველი კითხვა აწუხებდა: ხომ არ მოიტაცესო? დიდი ალიაქოთის მერე ვარსკვლავი თვითონ გამოჩნდა — შავი სათვალე ეკეთა, რომლითაც ჩალურჯებულ უპეებს მალავდა, ნუთუ აწამეს „მშვიდობის მტრედიო“, აღშფოთდნენ მასპინძლები.

როგორც ადგილობრივმა პაპარაცებმა განაცხადეს, ისლამისტი ექსტრემისტები არაფერ შუაში არიან, ყველაფრის თავიდათავი ახალგაზრდა საყვარელია, რომელიც ჯეინ ფონდამ ჩამოსვლისთანავე მოჩანგლაო. მსახიობმა ახლახან გაიკეთა სახის პლასტიკური ოპერაცია და სამი დღის მანძილზე მოუვლელმა სახემ პატრონზე შური იძია.

*კომსომოლსკაია პრავდა* **№20**

# ისევ შეუკეთებელი ჯობდა

39 წლის გერმანელმა ბიურგერმა ანდრეას იენიკემ ახალი ბინა იყიდა. მოგეხსენებათ, ახალ ბინაში ყველაფერი წესრიგში არ არის ხოლმე და იქაც სამზარეულოში ონკანი წვეთავდა. ანდრეასმა იმ ფირმას მიმართა, რომელმაც სახლი ააშენა და ისიც მოვალე იყო, ყველაფერი მოეწესრიგებინა. მან სანტექნიკოსი მოითხოვა. ოსტატი მეორე დღეს გამოცხადდა და მომენტალურად შეაკეთა ონკანი, მაგრამ ბიურგერს თვალები შუბლზე აუცვივდა, როცა საფასურის ქვითარს დახედა — 1.300 ევრო უნდა გადაეხადა. გაცოფებულმა ისევ მშენებელ ფირმას მიმართა და იქაც დაუდასტურეს — სწორედ ამდენი უნდა გადაიხადოთო. ამასთან, იქით დააყვედრეს — ხუმრობა ხომ არ გგონიათ, სანტექნიკოსი ჩვენი ქალაქიდან 607 კმ-ით დაშორებულ პირდაპირ ფირმის შტაბბინიდან გამოგიგზავნეთ. ანგარიშში შედის ბენზინის, მგზავრობის დანახარჯი და კიდევ სხვა ხარჯებიო. კომპანიის შეფი ირწმუნებოდა, ის გავაკეთეთ, რაც გვევალებოდა — ონკანი შეგიკეთეთო. ახლა ბიურგერი ფირმას უჩივის — ადგილობრივი ოსტატის გამოძახება სულ 50 ევრო დაუჯდებოდა. „ბარემ მთვარიდან გამოგეგზავნათ სანტექნიკოსი!“ — ბობოქრობს ბიურგერი.

*ფოკრუგ სვეტა* **№2**

# ფეხბურთი უბურთოდ

ინგლისის ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბის მეკარე, რიჩარდ სიდოლი მთელი 10 წუთის მანძილზე იცავდა თავის კარს სრულიად ცარიელ მინდორზე. დამნაშავე კი გახლდათ საშინელი ნისლი, რომლის გამოც მსაჯმა 30-ე წუთზე მატჩი „სტილზსა“ და „ალბიონს“ შორის შეწყვიტა. მეკარემ ისევ ნისლის გამო მსაჯის ნიშანი ვერ დაინახა და კარის დარაჯად დარჩა. მხოლოდ 10 წუთის შემდეგ მივიდა მასთან გუნდის გულშემატკივარი და მატჩის შეწყვეტის ამბავი აცნობა. შემდგომში სიდოლი ჰყვებოდა, რომ საჯარიმო მოედნის იქით, ველარაფერს ხედავდა.

*მეგაპოლის — ექსპრესი* **№2**

# გააკეთეთ ფსონი, ბატონებო!

— ასეთი მოწოდებით მიმართეს სპორტის თაყვანისმცემლებს ბუკმეკერულმა კანტორებმა და კონში ვინმე როუზ-ელიზაბეტი ჩადეს. მოყვარულებმა იცოდნენ, რაშიც იყო საქმე — როუზ-ელიზაბეტი ბრიტანული ჩოგბურთის ლიდერის, ტიმ ჰენმენის ახალშობილი გოგონაა. როგორც კი ქვეყანას მოევლინა, ალღოიანმა საქმოსნებმა საზოგადოებას ერთი კითხვა დაუსვეს — გახდება თუ არა ოდესმე როუზ-ელიზაბეტი უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონი? ჯერჯერობით, ასეთია თანაფარდობა — 250:1 — გოგონას სასარგებლოდ.

ეტყობა, ბუკმეკერებმა გათვლა მემკვიდრეობითობაზე გააკეთეს. როუზ-ელიზაბეტის დიდი პაპაც (მამის მხრიდან) — ჰენრი ბილინგტონი ხომ უიმბლდონზე გამოდიოდა, ამბობენ, არცთუ წარუმატებლადო.

*ეხო პლანეტი* **№2**

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში პითაგორას სიტყვებს ამოიკითხავთ.




**დ**. ქალაქი გერმანიაში, სადაც შეიქმნა პირველი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკი; **ა**. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ი**. უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმისადმი; **ს**. ყურანის ცალკეული თავის სახელწოდება; **ვ**. მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც უკრავდა შერლოკ ჰოლმსი; **ე**. კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონ ბონაპარტი; **ნ**. ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე**. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი; **კ**. იაპონელთა ტრადიციული სამოსელი; **ვ**. ქალის პირბადე; **ი**. მომთაბარე მონღოლთა საცხოვრებელი კარავი; **რ**. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **ი**. საზაფხულო საძოვარი მთაში; **ს**. ინგლისელი მწერალი, „გულივერის მოგზაურობის“ ავტორი; **პ**. იესოს ერთ-ერთი მოციქული; **ა**. ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული სინათლის სხივი; **ლ**. XV-XVI საუკუნის გერმანელი რეფორმატორი, რომელსაც ეკუთვნის სიტყვები „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“; **ი**. კოლხეთის მეფის, აიეტის ძალად სიძე; **ტ**. კანაფის ან ფოლადის ბაგირი; **რ**. ძროხის, მოზვრის ან კამეჩის ტყავის დიდი ტიკი; **ი**. ფაშიზმის სამშობლო; **ს**. ფრანგი ფერმწერი, პოსტიმპრესიონიზმის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი; **ფ**. წყლის საღებავებით დახატული სურათი ახალშელესილ, ჯერ კიდევ სველ კედელზე ან ჭერზე; **ე**. სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **რ**. ერთნახადი სუსტი არაყი; **ე**. ვინ არის ბელზებელი; **ბ**. ცურვის ერთ-ერთი სტილი; **შ**. წარმოშობით სომეხი ამერიკელი მომღერალი ქალი; **ი**. ის, რაც, გამოთქმის თანახმად, ყველაზე ბოლოს კვდება.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
ქ. კოჩია; ვ. ვივალდი; ი. ივერია; რ. რენო; ი. იდიოტი; ს. ხიდრი; პ. პირინეი; ა. ამონალი; ლ. ლაფი; ი. იდეალი; ტ. ტეხასი; რ. რომი; ა. ანძა; თ. თრითინა; ქ. ქემელი; ვ. ვოევოდა; ე. ეტალონი; ნ. ნატურა; ი. იარუსი; გ. გლახუნა; ა. ანგარი; ზ. ზნე; ე. ენდრო; თ. თეირანი; ი. ილიონი; ა. აფთარი.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: [illegible]

სამკარიანი საჩვენებელი ვარიანტი Ford Faction -ი კონცერნ „ფორდის“ ლონდონის დიზაინ-სტუდიამ შექმნა. ბოლო დროს ევროპასა და ამერიკაში „ქალაქური“ ტიპის ჯიპებზე მოთხოვნილება გაიზარდა. ასეთი ავტომობილების მოყვარულებს გარეგნული ფაქტურა უფრო აინტერესებთ, ვიდრე მისი ტექნიკური მახასიათებლები და მაღალი გამავლობა, რადგან ძირითადად ქალაქში მოძრაობენ. მიუხედავად ამისა, „ფორდმა“ ახალი ავტომობილის ტექნიკურ მონაცემებზეც იზრუნა და გარდა იმისა, რომ Ford Faction -ს საკმაოდ ორიგინალური დიზაინი აქვს, რთულ საგზაო პირობებშიც უპრობლემოდ გადაადგილდება. „ფორდი“ დაპირებას პირნათლად ასრულებს — როგორც ყველა ახალგამოსული მოდელი, ახალი ჯიპიც სპეციალური ელექტრობარათით იქოქება. მძღოლის უკან ხედვას სარკეების ნაცვლად სამი ვიდეოკამერა უზრუნველყოფს, რომელთა მეშვეობით გამოსახულება სალონში, სარკის ტრადიციულ ადგილზე დამონტაჟებულ სამ მინიატურულ მონიტორს გადაეცემა.



**გთხოვთ, მოგვითხროთ ავტოფირმა „ლოტუსის“ საავტომობილო მარკის წარმოშობის შესახებ.**

***მიშა დუმბაძე, თბილისი.***

ბრიტანული ავტოფირმა 1996 წელს მალაიზიურ კონცერნს, „პროტონს“ შეუერთდა. მისი შტაბბინა ნორფოლკში მდებარეობს. 1995 წელს „ლოტუსმა“ ფრანკფურტის საერთაშორისო ავტოსალონზე ორადგილიანი სპორტული მოდელი, Elise წარადგინა, რომელმაც ეგზოტიკური კლასის მოყვარულთა შორის არნახული პოპულარობა მოიხვეჭა. „ლოტუსის“ მოდელები უკიდურესი ექსტრავაგანტურობით და აგრესიული იერით გამოირჩევიან. შესაძლებელია, სწორედ ამის გამოც, ცნობილი პროდიუსერები და რეჟისორები ფილმებში გადასაღებად ამ ფირმის სპორტულ მოდელებს ამჯობინებენ. „ლოტუსთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი — ფირმის საკონსტრუქტორო ბიურო შეგნებულად არიდებს თავს დღეს ძალიან მოდურ ათასგვარ ელექტრონულ მოწყობილობებს, როგორც მართვისა და ტრანსმისიის დეტალებში, ისე ელემენტარული კომფორტის უზრუნველსაყოფად. „ლოტუსის“ ყველა ძრავას მხოლოდ ერთი ინჟინერი აწყობს, რომელიც „თავით“ არის პასუხისმგებელი თავის ნახელავზე.



შვეიცარიულმა ფირმა Rinspeed-მა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი დევიზი — კარგი ავტომობილი საუკეთესოდ აქციოს. „ბედუინი“, რომელმაც გამოჩენისთანავე მსოფლიოს ავტოსამყაროში ფურორი მოახდინა, „პორშე 911“-ის ბაზაზეა შექმნილი. ავტომობილის დახვეწილ დიზაინზე (თუ შეიძლება ლაპარაკი იყოს „911“-ს დახვეწაზე) მისი ფოტოსურათიც მეტყველებს. რაც შეეხება ტექნიკურ მონაცემებს, შვეიცარიელმა კონსტრუქტორებმა „პორშეს“ მაგისტრალზე ლიდერობის გარდა სხვა ფუნქციაც მიანიჭეს — სრული გაწევა ოთხივე თვალზე და შესამჩნევად გაზრდილი კლირენსი (დაშორება გზის საფარიდან) „ბედუინს“ საშუალებას აძლევს, უგზოობაშიც უპრობლემოდ გადაადგილდეს.





ესპანური ფირმა Metalurgica de Santa Ana თავდაპირველად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოებით იყო დაკავებული. მოგვიანებით კი ესპანელებმა ჯიპების წარმოებაზე კონტრაქტი ბრიტანელებთან გააფორმეს. იმ პერიოდში, — 60-იან წლებში „ლენდ როვერის“ ყველგანმავლების ბუმი იყო. ესპანეთში „დიფენდერის“ შორეული „წინაპარი“, 88/109 მოდელი გამოდიოდა, რომელსაც აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ყიდდნენ. 80-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო ბაზარი იაპონელებმა დაიპყრეს და ესპანელებმაც მათთან გააფორმეს საწარმოო კონტრაქტი. კვლავ მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, „სანტანა“ ყოველწლიურად „სუზუკის“ ჯიპის სხვადასხვა მოდიფიკაციის 20-25 ათას ავტომობილს უშვებდა. ამჯერად, როგორც ჩანს, ბედის ჩარხი კვლავ „როვერისკენ“ შემობრუნდა და ესპანელები კვლავ ძველ პარტნიორებს დაუბრუნდნენ. მათთვის, ვინც „როვერის“ ლეგენდარული ჯიპების თაყვანისმცემელია, მაგრამ მის შესაძენად თანხა არ ჰყოფნის, მოდელ „სანტანას“ სახით შესანიშნავი ალტერნატივა გამოუჩნდება. მით უმეტეს, რომ „ლენდ როვერ დიფენდერის“ ესპანური მოდიფიკაცია მსოფლიოში სახელგანთქმული „ივეკოს“ ფირმის დიზელის ძრავებით არის აღჭურვილი. ესპანელი ავტომშენებლები პირველ რიგში წარმოების სიიაფეზე ფიქრობდნენ, ამიტომაც ახალი ჯიპი თანამედროვე ავტომობილების მსგავსად ათასგვარი ელექტრონიკით დატვირთული არ არის. სამაგიეროდ, მას ყველაფერი აქვს, რის ქონასაც პრაქტიკული ავტომფლობელი საკუთარ ჯიპზე ინატრებდა — ეს არის საკიდრის რესორული სისტემა; დამოუკიდებელი გაწევა ოთხივე თვალზე; ალუმინის ძარა; მრავალფენიანი, დაწნეხილი პლასტიკატის სახურავი და 100-ლიტრიანი საწვავის ავზი. მოკლედ, ახალ ავტომობილს ყველაფერი აქვს, რისი წყალობითაც თავის დროზე „დიფენდერი“ ლეგენდად იქცა.





როგორც კომპანია BMW -მ განაცხადა, სამუხრუჭე სისტემაში აღმოჩენილი გაუმართაობის გამო, მზად არის, ექსპლუატაციიდან ამოიღოს პოპულარული ყველგანმავლის, X5-ის 164 ათასი ავტომობილი. ბავარიული ავტოფირმის სარევიზიო განყოფილებამ დაადგინა, რომ 1999 წლის აგვისტოდან 2002 წლის 12 აპრილამდე გამოშვებულ მოდელებს ექსტრემალურ ვითარებაში ვიბრაციის გამო წინა სამუხრუჭე მილი უზიანდებათ, რაც შესაძლებელია სამუხრუჭე სითხის დაღვრის მიზეზი გახდეს. აღნიშნული გაუმართაობის აღმოფხვრა BMW-ს დაახლოებით 5 მილიონი ევრო დაუჯდება. კომპანიის მენეჯერთა განცხადებით, დაზიანებულ ავტომობილებს ადგილობრივ სერვისებში ჩაუტარებენ შემოწმებას, რის შემდეგაც უფასოდ შეაკეთებენ.

***გვერდი მოამზადა დაჩი გრძელიშვილმა***

ავტოტესტირების საერთაშორისო ასოციაციამ ახლახან ჩატარებული შეჯახების ტესტის (ე.წ. „ქრაშტესტი“) შედეგები გამოაქვეყნა. ამგვარ ღონისძიებას ასოციაცია ტრადიციულად, ყოველ წელს მართავს და ახალგამოსულ, პოპულარულ მოდელებს შორის ყველაზე უსაფრთხოს ადგენს. ტესტირება სპეციალურად აღჭურვილ ბოქსებში მიმდინარეობს. გამოსაცდელად შერჩეულ მოდელებს ჩვეულებრივ ავტომაღაზიაში ყიდულობენ, რათა სპეციალურად მოდელის გამაგრება გამოირიცხოს. ამის შემდეგაც, ავტომობილს საგულდაგულოდ ამოწმებს სპეციალური კომისია, რადგან EuroNC-ის ტესტირებაში გამარჯვება ძალიან დიდ რეკლამას ნიშნავს. გამოსაცდელ ავტომობილში საგანგებოდ დამზადებულ მანეკენებს ათავსებენ, რომელთა აგებულებაც 100%-ით ემთხვევა ცოცხალი ადამიანის ანატომიურ აგებულებას. მანეკენების კონსტრუქციის სიმკვრივეც კი ადამიანის ძვლების სიმკვრივის ტოლფასია. თვითონ ავტომობილშიც და ბოქსშიც რამდენიმე ვიდეოკამერა მონტაჟდება, ხოლო მანეკენები სენსორებით არიან აღჭურვილი, რომლებიც მანეკენის ყველანაირ, „ვირტუალურ“ ტრავმას დეტალურად აფიქსირებენ. შეჯახების ტესტი ყველანაირი შესაძლო შეჯახების სახეობაში ტარდება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ფრონტალური, ანუ პირდაპირი შეჯახება 40, 60 და 80კმ/სთ სიჩქარით. „კონკურსი“ ტესტირების სხვადასხვა ეტაპზე მოპოვებული ვარსკვლავების მიხედვით ხდება. სპეციალისტები აჯამებენ ავტომობილში მყოფი მანეკენების ტრავმებს, მათი სიმძიმის ხარისხს, ასევე ავტომობილის ძარისა და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების მდგომარეობას. ამჯერად ალუმინის ელექტრონულ ბარიერს ექვსი ავტომობილი — Audi TT Roadster-ი, MG TF-ი, Skoda Superb-ი, BMW X5-ი, Mitsubishi Pajero Pinin-ი და კომპაქტვენი Opel/ Vauxhall Meriva შეეჯახა. მათგან Pajero-ს გარდა ყველამ 5-დან 4 ვარსკვლავი მიიღო. რაც შეეხება „მიცუბიშის“ ჯიპს, მან ფრონტალურ შეჯახებაში მიღებული სერიოზული დაზიანების გამო, მხოლოდ სამი ვარსკვლავი მოიპოვა. მიუხედავად თითქმის ერთნაირი შედეგებისა, ავტომობილებმა სხვადასხვა სახის შეჯახებაში განსხვავებული შედეგები აჩვენეს — საუკეთესო შედეგები მძღოლისა და მგზავრების უსაფრთხოების მხრივ BMW-ს ჯიპმა აჩვენა (მთლიანობაში, 36-დან 31 ქულა). მიუხედავად გადახდილი ძარისა, საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ როდსტერებიც — „აუდი“ და იმის გამო, რომ ამ უკანასკნელს ძრავა უკანა მხარეს აქვს განთავსებული, ფრონტალური შეჯახების დროს შედარებით მეტად დაზიანდა.







# მენეჯერებმა ქართული ფეხბურთი გააუფასურეს

ალეკო რეხვიაშვილმა სეზონი გახსნა — მიუხედავად რიგის „სკონტოს“ წინააღმდეგობისა, საქართველოს ნაკრების 28 წლის ნახევარმცველი რუსეთის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბში, „ტორპედო-მეტალურგში“ ჩაირიცხა და ორწლიანი კონტრაქტიც გააფორმა. შესაძლოა, გასულ სეზონში ტორპედოელებმა თავი ვერავის დაამახსოვრეს, მაგრამ გუნდი ციმბირელი მაგნატების ფულით დიდ სარბიელზე გასვლით იმუქრება.

ამის შემდეგ სხვადასხვა რუსულ კლუბთან კიდევ რამდენიმე ქართველმა ფეხბურთელმა გააფორმა კონტრაქტები. რეხვიაშვილის თანაგუნდელი მენთეშაშვილი ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ჩაირიცხა. ოსურ კლუბშივე ითამაშებს საქართველოს ნაკრებში ნათამაშები სევასტი თოდუაც. მოსკოვის „დინამოს“ სამი წლით დაუკავშირა ბედი ოთარ ხიზანეიშვილმა.

ყოველივე ეს მაინც მოსალოდნელი სიახლე გახლდათ. სენსაციური იყო 19 წლის ქართველი თავდამსხმელის, დათო ნაკანის მოსკოვის „ტორპედოში“ ჩარიცხვა. მას საქართველოში თითქმის არ იცნობენ, თუმცა სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში უთამაშია.



რუსეთის უმაღლეს საფეხბურთო ლიგაში თამაში უფრო და უფრო პრესტიჟული რომ ხდება, ამას უამრავი ფაქტი და, უპირველესად, ამ ქვეყნის გუნდების ამბიციები მოწმობს. მოსკოვის ცსკა-მ ერთი კვირის წინ ქვეყნის სატრანსფერო რეკორდი ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველის, იაროშიკის 3,7 მილიონ დოლარად შესყიდვით დაამყარა. სტატისტიკა ვერაფრით აღრიცხავს იმ „შავი“ თანხის გაზრდას, რამაც რუსული კლუბების მადა ევროპელებისას გაუტოლა და ზოგიერთ შემთხვევაში, გადააჭარბა კიდეც. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუსებს ევროპის სატელევიზიო ბაზარზე წარმოქმნილი კრიზისი ნაკლებად შეეხო, რაც მათ წისქვილზე ასხამს წყალს.

მეტიც, ახლახან მოსკოვის „ლოკომოტივში“ კოსტარიკელი უინსტონ პარკსი გასინჯეს, რომლის თქმითაც, რუსი რკინიგზელები მის ძველ კლუბ „უდინეზეზე“ უარეს პირობებს არ სთავაზობდნენ. მოსკოვის „სპარტაკის“ ლიდერი ეგორ ტიტოვი კი ამტკიცებს, რუსეთში ცნობილ ფეხბურთელთა წლიური შემოსავალი მილიონ დოლარს უტოლდებაო.

იგივე შეიძლება ითქვას უკრაინულ გუნდებზეც. ყოფილი საბჭოეთის მასშტაბით დღემდე სარეკორდო ტრანსფერი კიევის „დინამოს“ ეკუთვნის, რომელმაც შარშანწინ „ალანიადან“ გიორგი დემეტრაძე 4,5 მილიონ დოლარად შეისყიდა.

უკანასკნელი ორწლიანი უძრაობის შემდეგ, სლავურმა კლუბებმა კვლავ აქტიურად დაიწყეს ქართველების გადაბირება. თუმცა, 90-იანი წლების დასაწყისისგან განსხვავებით, ამჯერად მეტი სიფრთხილითა და დაკვირვებით არჩევენ ჩვენებურებს. არც არის გასაკვირი: ჯერ ერთი, მათი ჩემპიონატის დონე გაიზარდა და მეორე — წამყვან ქართველ ფეხბურთელთა ძირითადი ნაწილი უფრო პრესტიჟულ ლიგებში გადადის.

და მაინც, რუსული კლუბების გამდიდრების მიუხედავად, მათი პრემიერ-ლიგა ევროპაში მაინც „შავ სამყაროსთან“ ასოცირდება. ჩაწყობილი თამაშების სიმრავლე კი ის დაბრკოლებაა, რომელიც ფეხბურთელებს პოტენციალის სრულად გამოვლენის შანსს უსპობს.

ამიტომაც არის სასიხარულო ლევან კობიაშვილის გადაწყვეტილება, რომელმაც მოსკოვის ცსკა-სთან თითქმის გაჩარხულ ტრანსფერზე უარი თქვა — „შალკეს“, „დორტმუნდის“, „მიუნხენ 1860“-ისა და „შტუტგარტის“ ვარიანტებმა საქართველოს ნაკრების 25 წლის ნახევარმცველს რუსული ჯარის ფული დაავიწყა. რა დასამალია, წითელი არმიისთვის ქართველი არ გვემეტებოდა.

ალბათ, მენეჯერების უარყოფით როლზეც უნდა ითქვას — მათი მიზანი მხოლოდ ფულის შოვნაა და არ დაგიდევენ, რომ წაყვანილ ფეხბურთელთა სამშობლოში დაბრუნებით მთელ ქართულ ფეხბურთს უტეხენ სახელს. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია, რა მოტივით უნდა წაიყვანო საკმაოდ მაღალი დონის გუნდებში ფეხბურთელები, რომლებიც საქართველოს ჩემპიონატშიც არ არიან გამორჩეულნი, ზოგი კი თავიანთი გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდება. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგია ის, რომ ცნობილ ქართველ მოთამაშეებსაც (რეხვიაშვილის მაგალითიც საკმარისია) პირდაპირ კონტრაქტს აღარ უფორმებენ და მხოლოდ გასინჯვას სთავაზობენ. მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელმა, ვიქტორ პროკოპენკომ მათ საყურადღებოდ ასეთი რამ თქვა: „მიკვირს იმ ფეხბურთელების, რომლებიც გასინჯვის დამამცირებელ პროცესს თანხმდებიან. ყველა თავმოყვარე მოთამაშე პირდაპირ კონტრაქტს აფორმებს“.

„ვიტ ჯორჯიას“ იტალიელი მწვრთნელი ჯანი კარნევალეც გაოცებულია: „ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია საბჭოელთა მენტალიტეტი და საფეხბურთო საკითხებისადმი დამოკიდებულება. იტალიაში ფეხბურთელი თუ მოსწონთ, პირდაპირ კონტრაქტს უფორმებენ. ან რას ნიშნავს გასინჯვა? ფეხბურთელი ხომ უნდა ფიქრობდეს სახელზე, რომელიც მენეჯერს არაფრად უღირს. ჩათვალეთ, რომ გასინჯვისას დაწუნებული მოთამაშე ფსიქოლოგიურად დაშლილია და გონზე მოსასვლელად დიდი დრო დასჭირდება“.

ფიფას ბოლო რეიტინგით საქართველო 92-ე პოზიციაზე აღმოჩნდა. ალბათ, ქართული ფეხბურთის სახელისა და მდგომარეობის გაუფასურება ამ ვაი-მენეჯერთა დამსახურებაც არის.

## მსოფლიოს უძლიერეს მოკრივეს სასამართლოში უჩივიან



კრივის სამყაროში უდიდესი გამოხმაურება მოჰყვა ლენოქს ლუისის განცხადებას იმის თაობაზე, რომ იგი უარს აცხადებს აპრილში დაგეგმილ ბრძოლაზე ვიტალი კლიჩკოს წინააღმდეგ და უკრაინელთან ჩხუბს, ისევ მაიკ ტაისონთან ურჩევნია დაპირისპირება. ლენოქს ლუისი ამ გადაწყვეტილებას წმინდა ფინანსური თვალსაზრისით ხსნის. საქმე ის გახლავთ, რომ კლიჩკოსთან ბრძოლის საფასურად ლუისი ჰონორარის სახით ათ მილიონ დოლარს მიიღებს, მაშინ როდესაც მაიკ ტაისონთან დაპირისპირებისთვის ბრიტანელს 25 მილიონს სთავაზობენ. ლუისი აცხადებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეხვდება ტაისონს, თუ ეს უკანასკნელი 22 თებერვალს „შავ მარტორქად“ წოდებულ კლიფორდ ეტიენს დაამარცხებს. რაც უნდა მოხდეს, ფაქტია, რომ ტაისონისა და ლუისის ბრძოლა ისეთ ინტერესს აღარ გამოიწვევს, როგორიც ამ ორი მოკრივის შარშანდელმა დუელმა გამოიწვია. მაშინ გალახულმა „რკინის მაიკმა“ განაცხადა, მეტოქის ძლევის არანაირი შანსი არ მქონდაო. ამის შემდეგ ლუისის შესაძლო მეტოქეებად მხოლოდ უკრაინელ ძმებ კლიჩკოებს ასახელებდნენ. მოგეხსენებათ, ძმებ კლიჩკოებს გერმანული „უნივერსუმ ბოქს პრომოუშენი“ პატრონობს. გერმანული მხარე აღშფოთებულია ლენოქს ლუისის განცხადებით. „უნივერსუმის“ წარმომადგენელი აცხადებს, რომ ლუისი ვალდებულია კლიჩკოს ეჩხუბოს. კონტრაქტი ამის თაობაზე 20 დეკემბერსაა გაფორმებული და იუწყება, რომ ლუისი-კლიჩკოს ბრძოლა ან 12 აპრილს უნდა გაიმართოს ლას ვეგასში, ან 19 აპრილს ნიუ-იორკში. „უარის შემთხვევაში, ლუისს სასამართლოში ვუჩივლებთ და მსოფლიო ჩემპიონის ქამარს (WBC ვერსიით) ჩამოვართმევთ“, — აცხადებენ გერმანელები. ამასობაში ლენოქს ლუისის ბანაკიდან ფრიად საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა. მისმა მენეჯერმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მაიკ ტაისონს მეორეჯერ გალახავს (ტაისონთან შეხვედრას ლუისის ბანაკი 21 ივნისს გეგმავს), ბრიტანელი მშობლიურ ლონდონში შეერკინება კლიჩკოს, მხოლოდ არა ვიტალის, არამედ ვლადიმირს, რომელიც ძმაზე ძლიერ მოკრივედ ითვლება. თუ ლენოქსი ტაისონის შემდეგ კლიჩკოსაც დაამარცხებს, უკვე ვალმოხდილი წავა დიდი რინგიდან და უკანასკნელი ათწლეულის უძლეველი მოკრივის სახელსაც თან გაიყოლებს. კრივის გულშემატკივრები ლენოქს ლუისისა და ვიტალი კლიჩკოს ბრძოლის გამართვის მომხრეა. ყველაფერი უახლოეს ორ-



სამ კვირაში უნდა გადაწყდეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მსოფლიო კრივის „მამები“ ერთხელაც მოითბობენ ხელს ლუისისა და ტაისონის ჩხუბით, რომელსაც ალბათ შოუს სახე უფრო ექნება, ვიდრე ამ ორი მოკრივის შესაფერისი საჩემპიონო ბრძოლისა.

მოგეხსენებათ, დღეს რუსეთისა და უკრაინის საფეხბურთო ჩემპიონატებში დიდძალი თანხაა ჩადებული. ზოგიერთი მაჩვენებლით, ამ ორი ქვეყნის ჩემპიონატი მოწინავე ევროპული ქვეყნებისასაც კი გაუტოლდა, მაგრამ რად გინდა — არც რუსეთსა და არც უკრაინაში არ არის ადგილობრივი საფეხბურთო პირველობა ისეთი პოპულარული, როგორიც ვთქვათ, ჰოლანდიასა და ბელგიაშია. რუსი ბიზნესმენები ფეხბურთით ისე ვერ ხეირობენ, როგორც უცხოელები. რუსებმაც იფიქრეს, იფიქრეს და გამოსავალი იპოვეს. „უნდა აღდგეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი“(?!). იდეის ავტორებმა წინასწარი მონახაზი უკვე გააკეთეს და „საბჭოთა სუპერ-ლიგის“ გუნდებიც კი დაასახელეს. უფრო საკვირველი ისაა, რომ მათ უკვე უამრავი მომხრე გამოუჩნდა, რომლებიც თავგამოდებით ამტკიცებენ, სსრკ-ის ჩემპიონატის აღდგენა ყოფილ საბჭოურ ქვეყნებში ფეხბურთის გადარჩენის ერთადერთი გზააო. იდეის ავტორები თავიანთ არგუმენტებს იმით ამყარებენ, რომ თუ ევროპის სუპერლიგა შეიქმნა (რაც სავსებით რეალურია) ფაქტია, იქ არც რუსულ და არც ქართულ გუნდებს არავინ გააჭაჭანებს და უკიდურესად დაეცემა ინტერესი ეროვნული პირველობების მიმართ. ასეთ შემთხვევაში კი „საბჭოთა სუპერლიგა“ ყოფილ საბჭოეთში ფეხბურთს პოპულარობას შეუნარჩუნებს. იდეა ერთი შეხედვით აბსურდულია, თუმცა კომპეტენტურ პირებს რომ ჰკითხო...

„დიდი სიამოვნებით ვითამაშებდით ასეთ ლიგაში“ (ანდრეი სტეცენკო, უკრაინის „დნეპროს“ გენერალური დირექტორი); „იდეა საინტერესოა, საქმე კი მომგებიანი“ (იური მიშინი, მოსკოვის „ტორპედოს“ გენერალური დირექტორი); „ბრწყინვალე იდეაა, მეტსაც გეტყვით, ეს ფეხბურთის გადარჩენის ერთადერთი გზაა“ (რენატ ახმეტოვი, დონეცკის „შახტიორის“ პრეზიდენტი).

**„საბჭოთა სუპერლიგის“ შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:**

1. **ლოკომოტივი (მოსკოვი)**
2. **სპარტაკი (მოსკოვი)**
3. **ცსკა (მოსკოვი)**
4. **დინამო (მოსკოვი)**
5. **კრილია სოვეტოვი (სამარა)**
6. **ზენიტი (სანქტ-პეტერბურგი)**
7. **დინამო (კიევი)**
8. **შახტარი (დონეცკი)**
9. **დნეპრი (დნეპროპეტროვსკი)**
10. **არსენალი (კიევი)**
11. **დინამო (თბილისი)**
12. **დინამო (მინსკი)**
13. **პიუნიკი (ერევანი)**
14. **ფახთაქორი (ტაშკენტი)**

ამ იდეის ხორცშესხმამდე არაფერი გეტკინოთ, მაგრამ დინამო-სპარტაკი, დინამო-სამგურალის ფონზე მართლა არ იქნებოდა ურიგო.



მორაგბეებს მნიშვნელოვანი სეზონი დაუდგათ: ქართული გუნდური სპორტის სახეობათა ისტორიაში პირველად ქვეყნის დროშა მსოფლიო ჩემპიონატზე აფრიალდება. „ბორჯღალოსნებს“ უჩვეულოდ გადატვირთული წელი ექნებათ — 2003 წელს კლოდ სორელის შეგირდები ევროპის ერთა თასზეც ითამაშებენ და მსოფლიო ჩემპიონატზეც. ამასთან, დაგეგმილია სამი ტესტის (ანუ ამხანაგური) მატჩის ჩატარება. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასის ფინალი ავსტრალიაში 2003 წლის შემოდგომაზე გაიმართება, ერთა თასის ეგიდით კი შეხვედრები 15 თებერვლიდან 29 აპრილამდე ჩატარდება. სწორედ მათ შორის შუალედში გამართავენ „ბორჯღალოსნები“ სამ ტესტს. ქართველებს მეტად ძლიერ გუნდებთან მოუწევთ შერკინება: ივნისში თბილისს საფრანგეთის „ა“ ნაკრები ეწვევა, რაც უკვე მეორე შემთხვევაა. 2001 წელსაც ითამაშეს ამ გუნდებმა საქართველოში. მართალია, „ა“ ნაკრები ეროვნული გუნდი არ გახლავთ, მაგრამ ბოლო დროს ფრანგული რაგბის პროგრესისა და ამ ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგის გათვალისწინებით თუნდაც მათ მეორე გუნდთან გაჯიბრება ურიგო საქმე არ არის.

ამის შემდეგ კლოდ სორელის რაზმი ჩრდილოეთში, თანაც მეორე ნახევარსფეროში გადაინაცვლებს და აგვისტოში კანადელებს დაუპირისპირდება, რომელთაც საკმაოდ კარგი სახელის მოპოვება მოახერხეს.

ამის შემდეგ „ბორჯღალოსნები“ ისევ ევროპაში დაბრუნდებიან და იტალიას დაუპირისპირდებიან. მატჩი 6 სექტემბერს ტრევიზოშია დაგეგმილი. იტალია ბოლო წლებში რაგბის ევროპულ ელიტას გაუშინაურდა და მასთან ძალების მოსინჯვა ფინალური ეტაპის წინ ჩვენთვის სასარგებლო იქნება.

ამასობაში კი ცნობილი გახდა, რომ მსოფლიო რაგბის საბჭომ ჩვენი ყოფილი მეტოქე, რუსეთი მსოფლიო თასის შესარჩევი ეტაპიდან მოხსნა. მათ ესპანელთა საჩივარი განიხილეს და დაადგინეს, რომ ჩვენი მეზობლების შემადგენლობაში ჩარიცხული სამი სამხრეთაფრიკელი ჯეელის ძარღვებში რუსული სისხლი ისევე ჩქეფს, როგორც მთვარეზე — სიცოცხლე. არადა, 12 ოქტომბრის შეხვედრამდე საქართველოს რაგბის კავშირმა საერთაშორისო ორგანიზაციას კითხვა ზუსტად ამის გასარკვევად გაუგზავნა, მაგრამ ჩვენ ხომ ესპანეთი არ ვართ, პასუხი რომ ეღირსებინათ.

არის მოსაზრება, თითქოს რუსებმა ჩვენ მოგვბაძეს. ალბათ, იცით, რომ „ბორჯღალოსანი“ საფრანგეთის მოქალაქე გრეგუარ იაშვილი გახდა. რაგბიში კი წესია ასეთი: მოთამაშეს წინაპრების სამშობლოს ნაკრებში გამოსვლა შეუძლია.

ალბათ, მსოფლიო სპორტის ისტორიაში ძნელია მეორე მსგავსი შემთხვევის მოძებნა, როდესაც ძმები ორი სხვადასხვა ნაკრების ღირსებას იცავენ. გრეგუარი ავსტრალიაში საქართველოსთვის იასპარეზებს, მისი პატარა ძმა დიმიტრი კი — საფრანგეთისთვის. სხვათა შორის, უმცროსი იაშვილის ძალიან დიდი იმედი აქვს ფრანგთა მწვრთნელს, ბერნარ ლაპორტს.

***ზვიად კალანდაძე***



ზოგჯერ გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი აქვს და გამარჯვებულნიც დიდად განსხვავდებიან, სხვა, ჩვეულებრივ გამარჯვებულთაგან. ავსტრიელ სამთო მოთხილამურეს, ჰერმან მაიერს თავის ხელობაში ბადალი არ ჰყავდა. ერთიმეორის მიყოლებით იგებდა თითქმის ყველა ტურნირს, სადაც კი მონაწილეობდა. სამჯერ მსოფლიოს თასი მოიგო, ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადაზეც ყველას აჯობა. ჰერმანს სამშობლოში „ჰერმინატორი“ შეარქვეს. 2001 წლის ზაფხულში მაიერი მოტოციკლს დააქროლებდა და საშინელ ავარიაში მოჰყვა. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყდა, „ჰერმინატორისთვის“ ფეხი არ მოეკვეთათ, იქნებ სიარული მაინც შეძლოსო, — ფიქრობდნენ ექიმები, ახლობლები. რამდენიმე თვის წინ, მაიერმა სიარულიც შეძლო, ერთი თვის წინ თხილამურებზე დადგომაც სცადა, მერე ორი კვირა ივარჯიშა და გასულ კვირას ცნობილი კიცბიუელის სუპერგიგანტი მოიგო(!). „ჰერმინატორი“ კვლავ დიდების მწვერვალზეა. „შენით ამაყობს მთელი ავსტრია!“ — ამ სიტყვებით მაიერს ავსტრიის პრეზიდენტმა მიულოცა გამარჯვება!

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ მიანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო სტატია. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.**

## №4 (330) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 677 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 261-მა ქალმა და 411-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ყველაზე მეტად როგორი თბილისი გსურთ?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველების ყველაზე დიდი ოცნებაა — თბილისი კრიმინალების გარეშე. რესპონდენტთა 31%-მა შეაფასა ეს გრაფა მაქსიმალური — 8 ქულით. მინიმალური — 1 ქულა კი 9 მკითხველმა (1,4%) დაუწერა. **6,49** საშუალო ქულით „თბილისი კრიმინალების გარეშე" პირველ ადგილზეა. მათხოვრების გარეშე თბილისი რესპონდენტთა 24%-ს ყველაზე მეტად სურს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს გრაფა შეფასდა ყველაზე ცოტა მინიმალური ქულით (0,9%). საშუალო ქულაა 6,33.

ნაციონალისტების წინასაარჩევნო ლოზუნგის — „თბილისი შევარდნაძის გარეშე" მხარდამჭერი რესპონდენტთა 30% აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით „თბილისი შევარდნაძის გარეშე" პირველ ადგილზეა.

როგორც ჩანს, თბილისის მერსა და კაზინოებს დაახლოებით ერთნაირი ხარისხით შეუწუხებიათ თბილისელები — 3,23 საშუალო ქულით „ზოდელავა" და 3,21 საშუალო ქულით „კაზინოები" რეიტინგში VI-VII ადგილებს იყოფენ. უნდა ითქვას, რომ ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური ქულა (27%) „ავტოინსპექტორებმა" დაიმსახურეს. მაქსიმალური ქულით ისინი მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,5%) შეაფასა. როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილთა შორის ყველაზე უწყინრად გამოიყურებიან და მკითხველებს ყველაზე ნაკლებად სურთ თბილისი აბეზარი „ავტოინსპექტორების გარეშე".




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორები არიან თბილისელები — 62 წლის **გულნარა ყურაშვილი** და 49 წლის **ლეილა გულიტაშვილი**.

მათ, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, „თბილისი „ეი-ი-ეს თელასის" გარეშე" ოთხის ნაცვლად სამი ქულით (მეექვსე ადგილი) შეაფასეს, ხოლო „თბილისი ზოდელავას გარეშე" სამის ნაცვლად — ოთხი ქულით (მეხუთე ადგილი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 5 თებერვალს, 17 საათზე.

როგორ ხდება მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა: პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (VIII-VII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VII-VI ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VI-V ადგილებს), 4-სა და 5-ს (V-IV ადგილებს) და ა. შ. 7-8-მდე (II-I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად, 1 და 3 (VIII და VI ადგილები), 2 და 4 (VII და V ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.

## №5 (331) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა"** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის"** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში*.

**№5 (331) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათს, 5 თებერვლის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 6 თებერვლის 13 საათამდე.**

© თბილისი

**ყურადღება!** საპრიზო-გამოკითხვა რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც". თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ბარათები, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათები ისევე მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათები.

**თემა №5 (331) — ძლიერი ლიდერი**

**თქვენი აზრით, რომელ უწყებას ჰყავს ყველაზე ძლიერი, პროფესიონალი ლიდერი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№5(331) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ლიდერი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | უშიშროების საბჭო — თედო ჯაფარიძე | |
| 2 | კონტროლის პალატა — სულხან მოლაშვილი | |
| 3 | თბილისის საკრებულო — მიხეილ სააკაშვილი | |
| 4 | უზენაესი სასამართლო — ლადო ჭანტურია | |
| 5 | გენპროკურატურა — ნუგზარ გაბრიჩიძე | |
| 6 | თბილისის მერია — ვანო ზოდელავა | |
| 7 | საქართველოს პარლამენტი — ნინო ბურჯანაძე | |
| 8 | ანტიკორუფციული საბჭო — კახა უგულავა | |

**მკითხველის რეიტინგი**

დაასახელეთ ყველაზე მერყევი ქართველი პოლიტიკოსი

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო სტატიის სათაური

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

### მკითხველის რეიტინგის შედეგები

**იანვრის თვის ადამიანი საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| 1. | შალვა ნათელაშვილი | 31,8% |
| 2. | ნინო ბურჯანაძე | 26,4% |
| 3. | ედუარდ შევარდნაძე | 11,0% |
| 4. | მიხეილ სააკაშვილი | 7,1% |
| 5. | ნინო ანანიაშვილი | 5,2% |
| 6. | გურამ შარაძე | 2,1% |
| 7. | გიორგი კანდელაკი | 1,2 % |
| 8-9. | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | 0,8% |
| 8-9. | ბასილ მკალავიშვილი | 0,8% |
| 10-12. | დუტა სხირტლაძე | 0,6% |
| 10-12. | იგნასიო ირიბარენი | 0,6% |
| 10-12. | დავით მირცხულავა | 0,6% |

**როგორც ვხედავთ, თვის ადამიანთა კრებული „ენერგოადამიანებმა" მართლაც „ღირსეულად" დაასრულეს. კითხვაზე პასუხის გაცემა რესპონდენტთა 0,8%-ს გაუჭირდა.**

***თვის ადამიანი 519-მა მკითხველმა დაასახელა.***

### მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „დავით სანიკიძის მკვლელობის ახალი დეტალები..." — 98 ხმა

2. **ლელა ჯიყაშვილი** — „დარჩა და დარჩა ჩემი თეთრი ქვა..." — 79



3. **ნოდარ შოშიტაშვილი** — „მეფე მირიანი, წმინდა ნინო და „მოქცევაი ქართლისაი" — 44

4. **ინგა ჯაყელი** — „თქვენ გეიხარეთ, რავარც მე მახარეფთ ყოველ ორშაფათს!" — 43

5-6. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ბოლოს და ბოლოს მიხედეთ, ხალხო, სირცხვილია!" — 39

5-6. **იზო რიკაძე** — „მომეცით საშუალება, ზატულინს საკადრისად ვუპასუხო..." — 39

თქვენს პრემიას — 50 ლარს კვლავ **ვაჟა გავაშელი** მიიღებს.

***„მკითხველის პრემიის" მფლობელი 512-მა მკითხველმა გამოავლინა***

## • ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ავთანდილ ჯორბენაძე, დავით თევზაძე

**„ფოტოანტიკვარში" მონაწილეთა 16%-მა ამ პატარა მომღერალში მაია ჯაბუა „ამოიცნო", 12%-მა — თამრიკო ჭოხონელიძე; დასახელდნენ ასევე — ეკა კვალიაშვილი, ნინი ქარსელაძე, ნინო ქათამაძე, ქეთა თოფურია და თქვენ წარმოიდგინეთ, მკითხველთა ფანტაზია ბრიტნი სპირსსა და ელენე თევდორაძესაც გადასწვდა. რესპონდენტთა უმრავლესობამ კი — 45%-მა სწორად ამოიცნო ფოტოზე გამოსახული პატარა მომღერალი — თიკა ჯამბურია.**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



თიკა ჯამბურია, ერთი წლის

## ფოტო განწყობისთვის



როცა ჯენტლმენები აღარ ჯენტლმენობენ...

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები



1/II ☽ ახალი მთვარე

მაგნიტური დღეებია:
4/II 10-დან 12 საათამდე
7/II 10-დან 13 საათამდე



## რობი უილიამსმა საკუთარ თავს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა



ექვს ახალ სიმღერაში რობი უილიამსმა 125 მილიონი ევრო მიიღო და ერთ დროს ულარიბესმა ინგლისელმა ბიჭმა აიხდინა ბავშვობის ოცნება — უზარმაზარი მამული შეიძინა მანჩესტერის გარეუბანში, რაშიც 24 მილიონი ევრო გადაიხადა. სასახლეს 42 საძინებელი აქვს, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც 50კვმ-ია, თავად რობისია. ერთი სიტყვით, პრინცს აქვს ყველაფერი, ოღონდ პრინცესა არა ჰყავს... თავად რობი ძალიან ნაზად ამბობს: „ქალები კი მიყვარს, მაგრამ რაღაც ცისფერი ჩემში მაინც არის...“

**თარაზულად:** 1. საცხენოსნო სპორტის სახეობა, რომელიც ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 1912 წლიდანაა შეტანილი; 3. ეს მცენარე მხოლოდ ერთხელ ჰყვავის, ისიც 31-54 წ. ასაკში; 5. ჰერმან ჰესესთან იგი ტრამალისაა; 7. ძლიერი გრძნობა, უზომო გატაცება; 8. რაიმე დარგში, საწარმოში მუშაობის ხანგრძლივობა; 9. დიუმას რომანი, რომელშიც აღწერილია XVI ს-ის იტალიელი მოქანდაკის, იუველირისა და მწერლის ბენვენუტო ჩელინის ცხოვრება; 12. სიუჟეტის განსაკუთრებულად დახლართული და დაძაბული განვითარება რომანში; 15. ნაწილაკი, რომელიც წინ ერთვის გერმანულ გვარებს და მიუთითებს თავადაზნაურულ წარმოშობაზე; 17. ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი, მომღერალი და მოცეკვავე ... ლოპესი; 18. ჰარისონ ფორდის ყველაზე პოპულარული პერსონაჟის სახელი; 19. თმის ბუნებრივი საღებავი; 21. ქალაქი მდინარე მტკვარზე; 23. ფილმი ლეილა აბაშიძის მონაწილეობით; 25. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული განცხადება სპექტაკლის შესახებ; 26. ნაპოლეონის მშობლიური ქალაქი; 27. საფინანსო ტერმინი; 28. სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაზე; 29. მეცნიერებაში ამოსავლად მიღებული დებულება.

**შვეულად:** 1. გორბაჩოვის ყბადაღებული ლოზუნგი; 2. ნოშრევანის მეუღლე კ/ფ-ში „ლონდრე“; 3. ხერხი, რომლითაც ორი ერთმანეთის პირისპირ მდგარი კაცი ხერხავს; 4. ზედა სასუნთქი გზების მკურნალობა ორთქლად ქცეული სამკურნალო ნივთიერებათა შესუნთქვით; 6. XIX ს-ში შექმნილი და ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხელოვნური ენა; 10. აბრეშუმის ან მატყლის ქსოვილი, რომელსაც აქვს გამოყვანილი ხაოიანი ზედაპირი; 11. სპორტული ნაწარმის ცნობილი ამერიკული ფირმა; 13. ქალაქი გერმანიაში, კარლ მარქსის სამშობლო; 14. აშშ-ის მკვიდრთა მეტსახელი ევროპაში; 15. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი; 16. ქართველთა დასახლება ბამბე ...-გრუზინსკაია; 20. გემთა მიმოსვლა, ზღვაოსნობა; 21. მძინარე მზეთუნახავის საბედისწერო ბზრიალა ჩხირი; 22. ეზოპეს მიერ შექმნილი ჟანრი; 23. აღდგომის წინა ოთხშაბათს დანთებული კოცონი; 24. სახელმწიფო-კონტინენტი.

შეადგინა რამაზ ალანიამ


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


* * *



— ცოლი ყოველდღე მსაყვედურობს, ყურადღებას აღარ მაქცევო. რა ვქნა?
— რა უნდა ქნა, რა ყურადღება უნდა გათხოვილ ქალს?!






ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 5 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№5 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 6 თებერვლის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი ©518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.


შავი ყვითელი ლურჯი წითელი